

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პუმანიგარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

გ ა ი ა ბ უ ქ უ რ ი

ქ ა ლ ი თ უ რ ქ ე თ შ ი

ისტორიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფ. გიული ალასანია

თბილისი

2012

შ ი ნ ა გ ა რ ს ი :

შინაარსი		2
შესავალი		3
თავი I		
1. ქალი ანატოლიაში ისლამამდე და ისლამის გავრცელების შემდეგ		6
თავი II		
1. სელიმ 1-ის “კანუნ-ნამე”		24
2. პოეტი ქალები ოსმალეთის იმპერიაში		30
3. ჰარემი და მისი იერარქია ოსმალეთის იმპერიაში.		35
4. გალიდე სულტანი. “ქალთა მმართველობა” ოსმალეთის იმპერიაში		51
5. სულტნის სამეფო ოჯახის გავლენიანი წევრები		78
6. ქალის სტატუსი ოსმალური საოჯახო სამართლის მიხედვით		91
7. ქალი და ქველმოქმედება ოსმალეთის იმპერიაში		95
8. ქალის სამოსი და ძვირფასეულობა ოსმალეთის იმპერიაში		114
9. ქალის მდგომარეობა ოსმალეთის იმპერიაში თანზიმათამდე		120
10. ქალის მდგომარეობა ოსმალეთის იმპერიაში თანზიმათის შემდეგ		124
თავი III		
11. ქალი თურქეთის რესპუბლიკაში		129
ქრონოლოგია - ქალთა უფლებები თურქეთში და გენდერული თანასწორობისაკენ გადადგმული ნაბიჯები		152
დასკვნა		158
ბიბლიოგრაფია		166

შ ე ს ა გ ა ლ ი

ქალთა სტატუსის განსაზღვრა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სახელმწიფოსა და მისი საზოგადოების განვითარებისათვის. მნიშვნელოვანია წარმოჩნდეს გენდერული ურთიერთობის ხარისხი, ქალთა უფლებათა სამართლებრივი ფორმულირება, საზოგადოებრივი აზრი და მენტალიტეტი ქალთან დაკავშირებით ამა თუ იმ ქვეყანაში.

ქალის საკითხის გააქტიურება XX საუკუნიდან დაიწყო, როდესაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაიწყო ქალთა ბრძოლა ემანსიპაციისათვის. გასული საუკუნიდან მოყოლებული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში შეიქმნა ქალთა მრავალი ორგანიზაცია, რომლებიც მოითხოვდნენ ქალთა უფლებების გაფართოებას და ამასთანავე იქამდე მათთვის არარსებული უფლებების მინიჭებას.

XX საუკუნის დასაწყისიდან, უფრო ზუსტად 20-იანი წლებიდან, ფემინიზმის თემა მეტად აქტუალური გახდა თურქეთშიც.

საუკუნეების განმავლობაში ოსმალეთის იმპერიაში ისლამური სამართალი დომინირებდა, რომელიც ქალს უუფლებო არსებად განიხილავდა. ოსმალურ კანუნ-ნამეებსა და სხვა საკანონმდებლო დოკუმენტებში ქალის მდგომარეობა თითქმის არ იცვლებოდა და ქალი კვლავინდებურად ინარჩუნებდა უუფლებო მდგომარეობას. თურქეთის რესპუბლიკის 1924 წლის კონსტიტუცია მნიშვნელოვანი ნაბიჯი აღმოჩნდა ქალთა უფლებების მოსაპოვებლად. თუმცა აღნიშნული კონსტიტუცია შეიცავდა დისკრიმინაციულ ფორმულირებებსაც.

თურქეთის რესპუბლიკაში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, იწყება თურქ ქალთა მასობრივი გამოსვლები, იქმნება ორგანიზაციები, თანდათანობით ქალთა საკითხი, რომელიც მეტნაკლებად საუკუნეთა განმავლობაში მიძინებული იყო, მნიშვნელოვანი ხდება და შესაბამისად ქალის უფლებები ფართოვდება.

წინამდებარე ნაშრომში მონოგრაფიულად არის შესწავლილი ქალის მდგომარეობა თურქეთში სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჭრილში: ქალი ანატოლიაში წინაისლამურ ხანაში; ქალი ანატოლიაში ისლამის გავრცელების შემდეგ; ვეცნობით ოსმალო პოეტ ქალებს; ნაშრომში საგანგებო განხილვის საგანს წარმოადგენს სულტნის სამეფო კარი, ჰარამხანა და მისი ბინადარნი, შესწავლილია სულტნის დედის - ვალიდეს მდგომარეობა, აგრეთვე სულტნის გავლენიანი სამეფო წრის ქალთა (სულტნის ცოლები, ქალიშვილები)

ისტორიები; უურადღება ფოკუსირდება უჩვეულო პერიოდზე ოსმალეთის იმპერიაში, რომელიც “ქალთა მმართველობის” სახელით გახდა ცნობილი; გაშუქებულია დეტალები მდიდარი ქალების შესახებ ოსმალეთის ისტორიაში; ქალის მდგომარეობა ოსმალეთის იმპერიაში თანზიმათამდე და მის შემდეგ; ქალი თურქეთის რესპუბლიკაში, აქვე წარმოჩენილია ქალთა ორგანიზაციები; ქალის განათლების საკითხი, ქალი ოჯახში, ქალი პოლიტიკაში, და სხვა.

ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოები სამ ეტაპად არის დაყოფილი: ა) თურქი ქალის ისტორია ისლამამდელ და ისლამის შემდგომ ხანაში; ბ) თურქი ქალის ისტორია ოსმალეთის იმპერიის დროს (1299-1923 წწ); გ) თურქი ქალის ისტორია თურქეთის რესპუბლიკის პერიოდში (1923-2000 წწ.).

დისერტაციის დაინტერესება ამ საკითხისადმი ამ სფეროში არსებულმა ვაკუუმმა განაპირობა, რადგანაც დღემდე ეს ფრიად საინტერესო თემა ქართველი მეცნიერების მიერ შეუსწავლელი და გამოსაკვლევია. ჩვენი მიზანია, გამოვიკვლიოთ თურქი ქალის ისტორია. ამისათვის მოვიძიეთ შესაბამისი ლიტერატურა და წყაროები, რამაც შესასაძლებელი გახდა აღნიშნული ნაშრომი ეფექტური ფაქტებით, ისტორიული მონაკვეთებითა თუ ორიგინალური ისტორიებით გაემდიდრებინა.

ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი წყაროები: ოსმალური კანუნ-ნამეები, ისტორიკოსთა მატიანები, ლიტერატურული ძეგლები, მუსლიმთა სადვთო წიგნი – ყურანი. ოსმალური კანუნ-ნამეებიდან აღსანიშნავია სულტან სელიმ I-ის “კანუნ-ნამე”, სადაც ყურადღება გამახვილებულია ქალის მდგომარეობაზე მემკვიდრეობის მიღებისას, ქონების ფლობისას, ქორწინება-განქორწინებისას, დანაშაულის ჩადენისას და სხვა; წინამდებარე ნაშრომი ეყრდნობა ოსმალო ისტორიკოსების – მევლანა მეჰმედ ნეშრის (1520 წ.), მუსტაფა სელიმის (1600 წ.), იბრაჟიმ ფერევის (1650 წ.), აბდულაზიზ ეფენდი ყარა ჩელები ზადეს (1657 წ.), მუსტაფა ნაიმას (1716 წ.) და სხვათა შრომებს. მათი ნაშრომებიდან ინფორმაციას ვიღებთ სამეფო კარზე მცხოვრებ ქალთა შესახებ, მათ შორის ვალიდე სულტნების, აგრეთვე, ოსმალეთის სახელმწიფო წყობილებასა და სულტნის სამეფო კარის აღწერილობაზე.

ისლამში ქალის იდეალის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა XI საუკუნეში სულტნების თოდრულ-ბეგის, ალფ-არსლანისა და მელიქ-შაჰის დროს თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში მოდვაწე ვეზირმა – ნიზამ ალ-მულქმა და მისმა პოლიტიკურმა ტრაქტატმა - “სიასეთ-ნამე”.

მნიშვნელოვანი წყაროა აგრეთვე უცხოელი მოგზაურთა და ისტორიკოსთა თხზულებები, მათ შორის: XIV საუკუნის სახელოვანი არაბი მოგზაურის – იბნ ბატუტას წიგნი “იბნ ბატუტას მოგზაურობა”, XIV საუკუნის ისტორიკოსის ფაზლალაჰ რაშიდ ად-დინის “ოღუზნამე”, სახელოვანი იმამის სადრ ად-დინ ალ-ჯუსეინის (XIIIს.) “ცნობები სელჩუკთა სახელმწიფოზე, სელჩუკთა ემირებსა და მმართველებზე”. ასევე, აღსანიშნავია, ოღუზთა საბრძოლო წიგნი – “დედე ქორქუთის წიგნი”.

ნაშრომი გამდიდრებულია ევროპელი მოგზაურების ცნობებით, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან ჰარემის შესახებ. აღსანიშნავია ლედი მერი მონტეგიუ, ინგლისელი ელჩის ცოლი, რომელმაც 1717 წელს იმოგზაურა სტამბოლსა და ედირნეში და თავისი თვალით იხილა XVIII საუკუნის ჰარემის ცხოვრება ოსმალეთის იმპერიაში. ასევე მნიშვნელოვანია მეორე ინგლისელი მოგზაური ქალი ლედი ელისაბედ კრავენი, რომელმაც აგრეთვე მე-18 საუკუნეში იმოგზაურა თურქეთში, დაწერა რამოდენიმე ოფიციალური წერილი და 1789 წელს გამოაქვეყნა წიგნი – “მოგზაურობა ყირიმიდან კონსტანტინოპოლიში”. აღსანიშნავია ინგლისის ელჩის ოსმალეთის იმპერიაში ჰენრი ლელოს ცნობები, სულტნის სასახლეში ინგლისიდან წარგზავნილი ოსტატის ტომას დალამის დდიური (“თომას დალამის დდიური, 1599-1600”), ავსტრიის მეფის ელჩის ოუგუსტინ დე ბუხბექის (1592წ.) “თურქული წერილები” და სხვა.

ნაშრომში მოხმობილი და გამოყენებულია სახელოვანი ორიენტალისტის ნ. მ. პეტერის (1892-1960) ნაშრომი, რომელიც ასახავს, “თოფკაფის სასახლისა” და ოსმალური ჰარამხანის ისტორიას.

მნიშვნელოვანი წყაროა თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია.

წყაროების პარალელურად ნაშრომში ასახულია ისტორიოგრაფიული ლიტერატურა. მათ შორის შესწავლილია მ. ალთინდალის, ლ. აჭმადის, ფ. აჭმადის, გ. გუდვინის, ჯ. თაქერის, ა. იარამანის, პ. ინალჯიკის, ლორდ კინროსის, ა. კრუტიქს, ი. ოზოუნას, ლ. პერსის, ს. ფაროქის, პ. ჯემის, მ. ჰოვის და სხვათა შრომები.

ზემოთ მოხსენიებულ ავტორთა გარდა, სადისერტაციო ნაშრომში აგრეთვე გამოყენებულია ქართველ მეცნიერთა (ნ. გელოვანი მ. სვანიძე; ნ. შენგელია; და სხვ.) და ცნობილ უცხოელ ორიენტალისტთა (ვ. ბარტოლდი, ვ. გორდონევსკი, დ. ერემუევი, ა. მილერი, ა. ნოვიჩევი, ბ. უჩოკი და სხვ.) შრომები.

თავი I

1. ქალი ანატოლიაში ისლამამდე და ისლამის გავრცელების შემდეგ

დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე თურქ-სელჩუკთა ტომების მოსვლამდე არსებობდა სხვადასხვა სახელმწიფოები, მათ შორის რომისა და ბიზანტიის იმპერიები, რომელთა კულტურების მემკვიდრე გარკვეულწილად გახდა შემდგომში ოსმალეთის იმპერია, ხოლო მოგვიანებით თურქეთის რესპუბლიკა.

ნაშრომში განხილული იქნება, თუ როგორ ყალიბდებოდა ანატოლიის ტერიტორიაზე ქალის კულტი ადამიანთა ცნობიერებასა და ცხოვრებაში. ზედა პალეოლითის ხანაში მცხოვრებმა ტომებმა, რომელებიც მისდევდნენ ნადირობასა და შემგროვებლობას, ქალი აღიქვეს, როგორც ნაყოფიერების სიმბოლო. ნეოლითურ ხანაში ადამიანმა დაიწყო მიწის დამუშავება და მუდმივი საცხოვრებლების დაარსება. არქეოლოგიურმა გათხრებმა ჩაიონიუსა და ნევალი ჩორის ტერიტორიებზე¹ (სამხრეთ-აღმოსავლეთი ანატოლია), გამოავლინა, რომ იმ პერიოდში ადამიანებს გააჩნდათ რელიგიური რწმენები, რომელიც თავს იყრიდა ნაყოფიერების კულტის გარშემო, სადაც ქალს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ქალი განიხილებოდა, როგორც ყველა არსების მფარველი. ჰაბილარის (მექოთნეობის ნეოლითი) გათხრებიდან გამომდინარე ქალის როლი როგორც სარწმუნოებაში, ისე ოჯახში, მნიშვნელოვანი იყო.

არქეოლოგები ხშირად მიანიშნებდნენ ნეოლითური პერიოდის დასახლებაზე, რომელიც დათარიღებულია ჩ. წ. 6000 წლით და მიუთითებს ქალთა დომინანტურ მდგომარეობაზე. ჩათალპოიუკის (მექოთნეობის ნეოლითი) არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნათელი ხდება, რომ ახლო აღმოსავლეთში ნეოლითურ პერიოდში დომინირებდა დედალმერთის კულტი. ა. წ.-მდე მეორე ათასწლეულში, ანტიკური კულტურის შესწავლისას, ვლინდება, რომ ქალის კულტი მაღალ საფეხურზე იდგა მესოპოტამიაში, ელამში, ვაგიპტეში, კვიპროსზე, ბერძნებს, ფინიკიელებსა და სხვათა შორის (აქმედი 1992:11).

¹ ჩაიონიუ და ნევალი ჩორი – ადრეული ნეოლითური დასახლებები, მექოთნეობამდელი ნეოლითი.

ქალთა სუბორდინაცია ძველ ახლო აღმოსავლეთში ურბანული საზოგადოებისა და არქაული სახელმწიფოს დაარსებასთან ერთად დამკვიდრდა. არქეოლოგიური მასალა გვამცნობს, რომ ქალები ურბანული საზოგადოების დაარსებამდე განიცდიდნენ უფლებრივ ჩაგვრას, რომელიც გაგრძელდა ურბანული ცენტრებისა და ქალაქების აღმოცენებასთან ერთად.

ახ.წ.-მდე მე-4 ათასწლეულის ბოლოს, ბრინჯაოს ხანაში, როდესაც პირველი ქალაქები და პოლიტიკური ორგანიზაციები გაჩნდა, მამაკაცის როლმა საზოგადოებაში მეტი მნიშვნელობა მოიპოვა, თუმცა ქალი კვლავ დარჩა ნაყოფიერების სიმბოლოდ და დედა-ღმერთის კულტიც კვლავ აგრძელებდა აყვავებას. ქულთევეს გათხრებიდან ირკვევა, რომ დედა-ღმერთი ასოცირდებოდა მზესთან, სადაც დედა-ღმერთს და მის ოჯახს უნდა ემართა პანთეონი. როდესაც მეორე ათასწლეულის ბოლოს ანატოლიაში ლურსმული დამწერლობა შემოიღეს, მონეტებსა და ბეჭდებზე ანატოლიელი ღმერთებისა და ქალღმერთების სახელები ფიგურირებდნენ. დედოფლები მოღვაწეობდნენ აღმინისტრაციულ და კომერციულ ცხოვრებაში, ქალებს კი შეეძლოთ მიეღოთ გარკვეული პროფესია.

“მეორე ათასწლეულის შუა ხანებში ხეთების იმპერიის (ძვ. წ. XVIII-დან XIII-მდე) მეფეები და დედოფლები, რომლებიც ანატოლიის უდიდეს ნაწილს მართავდნენ, თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ, რამდენიმე ხეთმა დედოფალმა ისტორიაში დატოვა კვალი, როგორც პოლიტიკური და საეკლესიო საქმეთა ერთპიროვნულმა მსახურმა, მაგალითად დედოფალმა ფუდუჭეფამ”, რომელიც იყო ყველაზე გავლენიანი ქალი ძველ ახლო აღმოსავლეთში (რენდა 2001).

ხეთური საკანონმდებლო დოკუმენტებიდან ვგებულობთ, რომ ხეთურ სამართალში დაცული იყო ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა, ეხებოდა ეს ქონებრივ საკუთრებას, ქორწინებას თუ სისხლის სამართალს.

ხეთების სამეფოს დროს ქალს გააჩნდა პოლიტიკური უფლებები. ქალი თავის ქმართან ერთად ხელს აწერდა მნიშვნელოვან საზავო ხელშეკრულებებს. მაგალითად, ხეთების სამეფოში ასეთი ზავი იყო “კადეშის” ზავი – მსოფლიოს პირველი ხელმოწერილი ხელშეკრულება ხეთებსა და ეგვიპტელებს შორის. ზავი ძალაში იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ხელს მეფესთან ერთად დედოფალიც მოაწერდა. ძვ. წ. XIIIს-ის ანატოლიაში არსებულ ხეთების სამეფოში არ შეინიშნებოდა პოლიგამიის ნიშნები. ხეთები, რომლებიც

ბატონიბდნენ მთელს ანატოლიასა და შუა აღმოსავლეთში, აუგავების ხანაში იყვნენ.

ხეთების იმპერიის დანგრევის შემდგომ ფრიგიელებმა, რომლებმაც შექმნეს სამეფო ცენტრალურ ანატოლიაში, აითვისეს ანატოლიაში არსებული ძველი დედა-ლმერთის კულტი და გარდაქმნეს ფრიგიულ კულტურად.

დედა-ლმერთის კულტის არსებობა ანატოლიის ტერიტორიაზე მომდევნო საუკუნეებშიც გაგრძელდა. ახ.წ.-მდე 61 წელს ეფესოს ცნობილი დედა-ლმერთი იყო არტემიდა. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ბერძნულ მითოლოგიაში არსებული ლმერთი აფროდიტე არის სიუგარულისა და სილამაზის ლმერთი თავისი ვაჟის ეროსისათვის.

ანატოლიის ბერძნულ საზოგადოებაში ქალები მნიშვნელოვანი თავისუფლებით სარგებლობდნენ. გაბატონებული იყო მონოგამია, თუმცა ქალთა უმრავლესობა სახლს იყო მიჯაჭვული. არისტოკრატიული და კულტურული ოჯახებიდან იყვნენ ცნობილი ქალი პოეტები, მხატვრები, მაგალითად ცნობილი პოეტი ქალი საფო კუნძულ ლესბოსიდან იყო.

რომაელთა ხანაში ქალმა უფრო მეტი უფლებები მოიპოვა ვიდრე მათ ბერძენთა მმართველობის დროს პქონდათ. ისინი უფრო აქტიურად მოღვაწეობდნენ სახლის გარეთ. მათ არ გააჩნდათ პოლიტიკური უფლებები, მაგრამ მათ იცავდა რომის სამართალი. ქალებს პქონდათ სხვადასხვა პროფესია, დაკავებული იყვნენ ვაჭრობით. მრავალი ანატოლიელი ქალი რომაელთა პერიოდში იყო მნიშვნელოვანი მონუმენტური ძეგლის მშენებლობის წამოწყების ინიციატორი, მაგალითად მონაზონი მოდესტას ინიციატივით აშენდა ბევრი ძეგლი.

ბიზანტიის პერიოდის ანატოლიაში ქრისტიანული მონოთეისტური რელიგიის გავრცელების შემდეგ, რელიგიურ დოქტრინებში წმინდა ღვთისმშობლის კულტი წარმოჩნდა. ბიზანტიის მმართველობის შუა წლებიდან მოყოლებული ღვთისმშობლის ფრესკები გაჩნდა საეკლესიო ნაგებობებში, რაც ეკლესიაში ყველაზე წმინდა ადგილს წარმოადგენდა.

ცნობილი ბიზანტიელი დედოფლები ხელოვნების მსახურნიც იყვნენ. მაგალითად, კონსტანტინე დიდის დედა ელენე, იუსტინიანე I-ის ცოლი თეოდორა, იმპერატორი ქალები ზოე და აირინი ბიზანტიის იმპერიის შუა ხანებში იყვნენ არა მხოლოდ ძალაუფლების მქონე პოლიტიკური პირები, არამედ მრავალი ეკლესიისა და სოციალური ინსტიტუტის დამაარსებლები.

“ბიზანტიის იმპერიის დროს ქალები არ იყვნენ თანასწორუფლებიანები კანონის წინაშე, მაგრამ სამაგიეროდ ქალს პატივსაცემი ადგილი ეკავა სახლში. გარდა ამისა, მათ საკუთარი ქონების ფლობისა და მართვის უფლებაც ჰქონდათ” (რენდა 2001).

X საუკუნიდან ბიზანტიის იმპერიის მნიშვნელოვანი ტერიტორია თურქელჩუკთა ტომებმა დაიკავეს და შესაბამისად მოხდა თურქი ქალის ასიმილაცია იქ არსებულ კულტურასთან.

თურქები თავდაპირველად ცენტრალურ აზიაში ცხოვრობდნენ, მაგრამ გვალვის გამო მათ ნელ-ნელა მიგრაცია დაიწყეს ჩრდილო-დასავლეთითა და კასპიის ზღვის სამხრეთით. ადრეულ ისტორიაში თურქი ქალი ითვლებოდა ოჯახის მომხიბვლელ წევრად, მეუღლის აქტიურ მხარდაჭერად, რომელიც თავის ქმართან თანასწორუფლებიანი იყო. იმ დროის თურქი ქალი იყო აქტიური, როგორც ოჯახურ, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ქალის უფლებები თანასწორი იყო მამაკაცის უფლებებთან. ქალს დამოუკიდებლობა გააჩნდა სოციალურ სფეროშიც. მას შეეძლო ყოფილიყო მოსამართლე, დაეკავებინა ნებისმიერი ადგილი უმაღლეს სახელისუფლებო წრეში. მას შეეძლო მამაკაცის მსგავსად წასულიყო ომში, თუკი ეს საჭირო გახდებოდა. როცა მეფე საომრად იყო წასული, ქვეყანას მისი ცოლი მართავდა. მეფის გარდაცვალების შემთხვევაში, ქალები იყვნენ თავიანთი არასრულწლოვანი შვილების რეგენტები.

“თურქ ხანებს პყავდათ ცოლები-ხათუნები, რომლებიც ხანის გვერდით ისხდნენ რაიმე სოციალური წვეულების ან ოფიციალური ცერემონიის დროს, როგორიც იყო, მაგალითად, უცხოელი ელჩების სტუმრობა” (მავიტანი 2001).

თურქთა რელიგია იყო შამანიზმი, რაც დაფუძნებული იყო ქალის საღვთო ძალაზე. იმისათვის, რომ ეჩვენებინათ სასწაულები, თურქი შამანები ცდილობდნენ ქალის იმიტაცია მოქმედინათ, ამისათვის ისინი იზრდიდნენ თმებს, იცვამდნენ გრძელ კაბებს და ნაზად საუბრობდნენ, ასევე იპარსავდნენ წვერულვაშს. ქორწინება თურქულ ტომებში მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო, რომელიც დიდი ზეიმით აღინიშნებოდა. მრავალცოლიანობა ტრადიციად იყო ქცეული, მაგრამ ეს არ ვრცელდებოდა თურქთა უმრავლეს ნაწილზე.

ქალებმა შეასრულეს მნიშვნელოვანი როლი წინაისლამურ შამანისტური საზოგადოების ანატოლიაში. ისლამურ პერიოდში ცენტრალური აზიის თურქი

ქალები მამაკაცებთან ერთად მონაწილეობდნენ რელიგიურ საქმიანობაში (პოუვი 2000:22).

თურქ ქალს შეეძლო დამოუკიდებლად ემართა თავისი უძრავი და მოძრავი ქონება, თუ შევადარებო თურქულ ტომებში და რომის იმპერიაში მცხოვრები ქალის უფლებებს, ჩვენ ბევრ საერთოს ვიპოვით.

ისლამამდელი პერიოდის თურქ ტომებში ქალი იყო ოჯახის უფროსი, ბავშვების აღმზრდელი, რელიგიური ცერემონიების ხელმძღვანელი. ქალები ასევე გვევლინებოდნენ მრავალი მამაკაცური საქმის მეთაურად. თურქებში შამანიზმის გავლენით აბსოლუტურად თანასწორი ურთიერთობები არსებობდა ქალსა და მამაკაცს შორის, ქალის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში არათუ შემცირდა, არამედ მან უპირველესი ადგილი დაიკავა (გოქალფი 1998:145).

ქალის სტატუსის შესწავლისას ოდუზ თურქთა საზოგადოებაში ინტერესმოქლებული არ იქნება, თუ განვიხილავთ XIV საუკუნის ისტორიკოსის ფაზლალაჰ რაშიდ-ად-დინის ნაშრომს “მატიანეთა კრებული” (“ჯამი ათ-თავარიჲ”). ამ ნაშრომს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შუა საუკუნეების თურქულ ისტორიოგრაფიაში. მასში პირველად არის ასახული ოდუზთა ისტორია მსოფლიო კონტექსტში, რაც მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა რაშიდ ად-დინის დროს ოდუზთა ტომებს, როგორც წინა აღმოსავლეთის თურქთა წინაპრებს. “ოდუზთა ისტორიის” მთავარი დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ ის წარმოადგენს ხალხური ზეპირმეტყველების ასახვას, სადაც ერთმანეთშია გადაბმული ლეგენდა და რეალობა. ეს საშუალებას გვაძლევს, ნაშრომი განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც ფოლკლორული ქეგლი, არამედ მნიშვნელოვანი ისტორიული წყარო. ოსმალთა ლეგენდარული ისტორია, როგორც თურქი ხალხის ლიტერატურული ქეგლი, განხილულია მრავალი მეცნიერის მიერ. ჩვენს მიერ განხილული ფრაგმენტი “ჯამი ათ-თავარიჲ”-იდან მსოფლიო ისტორიაში ცნობილია, როგორც “ოდუზ-ნამე”. “ოდუზ-ნამე” არის მნიშვნელოვანი ისტორიული წყარო არა მხოლოდ თურქი ხალხისთვის, არამედ იმ ქვეყნის ხალხთათვისაც, სადაც შეადწიეს თურქულმა ტომებმა.

ნაშრომიდან ირკვევა, რომ თავისი ქმრის დამჯერი და ერთგული ცოლი სათანადოდ ოყო პატივცემული. ისტორიკოსი მოკლედ მიმოიხილავს ოდუზის წინაპრებს და მის დაბადებას: “თურქი ისტორიკოსები იუწყებიან, რომ როდესაც წინასწარმეტყველმა ნოემ თავის ვაჟიშვილებს დაურიგა მიწები, უფროს შვილს –

იაფეტს (იაფესი), წილად ხვდა აღმოსავლეთის ქვეყნები თურქესტან ერთად. იაფეტი იყო მომთაბარე ტომის მცხოვრები. მისი ზაფხულის “იალაქი” და ზამთრის “ქიშლიქი” საცხოვრისები მდებარეობდა თურქესტანის ტერიტორიაზე. მას ეყოლა ვაჟი, რომელსაც ერქვა დიბ იაგქუ-ხანი. “დიბ” – ნიშნავს ტახტს, ხოლო “იაგქუ” – ხალხის მეთაურს. მას პყავდა ოთხი სახელოვანი ვაჟი: ქარახანი, ორხანი, ქიურხანი და ქიუზხანი. ქარახანი გახდა ტახტის მემკვიდრე და შემდგომში ფადიშაპი. ქარახანს ეყოლა ვაჟი. ამ ბავშვმა სამი დღე-ლამის განმავლობაში არ მიიღო დედის რძე. დედამ ხელი ჩაიქნია მის გადარჩენაზე. ერთ ლამეს მას ესიზმრა, რომ თავისი ბავშვი ეუბნება: “თუ გსურს, რომ მე მოვწოვო შენი ძუძუ, მაშინ აღიარე ლმერთი”. ქალი მსგავს სიზმარს სამი დღე ხედავდა. ერთხელაც აღმართა ხელები ცისკენ და ლმერთს შესთხოვა დახმარება. ოღუზმაც მაშინვე მიიღო დედის რძე. მცირეწლოვანმა ბავშვმა პირი დააღო და თქვა, რომ ის დაიბადა ბედის ვარსკვლავზე, ამიტომ მას უნდა დარქმეოდა ოღუზი” (რაშიდ ად-დინი 1987:26-27). შემდეგ ავტორი ეხება ოღუზის დაოჯახების ფაქტს. მან ორი ცოლი გამოიცვალა და შემდგომ მესამე მოიყვანა, რადგანაც პირველმა ორმა ცოლმა არ ირწმუნა ის ლმერთი, რომელსაც თავად ოღუზი აღიარებდა და რომლის აღიარებისკენაც მოუწოდა თავის ცოლებს, მესამე ცოლმა დაუყოვნებლივ გამოხატა ერთგულება და დამორჩილდა, ნაშრომში გვითხულობთ: “ ოღუზი მამამ დანიშნა ქიუზხანის ქალიშვილზე. გოგო სახლში მოიყვანა ოღუზმა და სთხოვა ერწმუნა ლმერთი. გოგონამ არ ირწმუნა. ოღუზმა მასთან სიახლოებზე უარი განაცხადა. ასევე მოხდა მეორე ცოლის (ის იყო ქიურხანის ქალიშვილი) შერთვისას. მაშინ მამამ ოღუზი დანიშნა მესამე ბიძის ორხანის ქალიშვილზე. მას ოღუზმა განუცხადა: თუ შენ მე დამემორჩილები, მე შენ ცოლად მოგიყვან, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გაგებცევი. გოგონამ უპასუხა: - “მე შენი ნაწილი ვარ და რაც უნდა მიბრძანო, შენ დაგემორჩილები და დაგნებდები. ოღუზმა ეს ქალი სახლში მიიყვანა და უზომოდ შეიყვარა. ქალსაც მალიან უყვარდა თავისი ქმარი” (რაშიდ ად-დინი 1987:28). აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ის ქალი, რომელიც მორჩილი იყო თავისი ქმრის, ქმრის მხრიდანაც იმსახურებდა საპასუხო პატივისცემას. აქვე ყურადსაღებია ერთი ფაქტიც, რომ ქალს თავისუფალი გადაწყვეტილების უფლება პქონდა ჯერ კიდევ ოღუზურ თურქულ საზოგადოებაში, რასაც ნათლად ვხედავთ ოღუზის პირველი ორი ცოლის მაგალითზე, რომლებმაც გაბედეს და წინააღმდეგობა გაუწიეს თავიანთ ქმარს და არ აღიარეს ის ლმერთი, რომელიც

მათ ქმარმა უბრძანა, ეს ფაქტი მათ ოდუზის მამასთანაც დააფიქსირებს: “ერთ დღეს ოდუზის მამამ მოაწყო წვეულება, სადაც დაპატიჟა ოდუზი თავისი სამი ცოლით. მამამ პკითხა შვილს. თუ რატომ უყვარდა მას მესამე ცოლი უფრო მეტად, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ორი ცოლი ძალიან ლამაზები იყვნენ? ორივე ცოლს ეს კითხვა ესიამოვნა და სმა ამოიდეს: ოდუზმა ჩვენ გვიბრძანა გვერწმუნა ერთიანი ღმერთი, ჩვენ კი ვუპასუხეთ, რომ ასეთ ღმერთს ჩვენ არ ვიცნობდით, ის კი გაგვიბრაზდა. მესამე ცოლმა კი დაუჯერა და დაემორჩილა მას. ამიტომაც მისდამი ოდუზი უფრო კეთილმოსურნე და მოსიყვარულეა”(რაშიდ ად-დინი 1987:28).

ისლამის შემოსვლამდე ქალი დამცირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ქალის ცხოვრება მოსაწყენი იყო და გარკვეული იდეოლოგიებითა და ადამ-წესებით სავსე. ქალი განიხილებოდა როგორც ცხოველი. ისლამამდე დიდი სირცხვილი იყო ოჯახში მდედრობითი სქესის ბავშვის დაბადება, რომელსაც ხშირად დაბადებისთანავე ცოცხლად მიწაში მარხავდნენ, მიზეზად კი გაჭირვებას ასახელებდნენ. სწორედ ასეთ პერიოდში გამოჩნდა მოციქული მუჰამედი, რომელმაც მიზნად დაისახა ყველა იქამდე არსებული მსგავსი გაურკვევლობის გაუქმება და ქალთათვის საზოგადოებრივი სტატუსის განსაზღვრა და უფლებების მინიჭება.

ისლამის გავრცელების შემდეგ (ჩვ.წ. მე-7 ს-ში) მოხდა ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობის მკვეთრი ფორმულირება. ისლამმა ქალის სტატუსი აამაღლა დის, ქალიშვილის, ცოლის და დედის რანგში. მათ უფლებები მიიღეს სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა მემკვიდრეობა, ქორწინება, განთლება და სხვა.

პირველი მნიშვნელოვანი უფლება რას ისლამმა ქალს მიანიჭა იყო მისი როგორც ადამიანის აღიარება, რადგანაც ისლამამდე ქალი მიიჩნეოდა როგორც არაამქვეური არსება, რომელიც შექმნილი იყო მხოლოს შრომისა და სხვისადმი სამსახურისათვის. ისლამი მიუთითებს, რომ ქალი და მამაკაცი ერთი სხეულისაგან შეიქმნა, ყურანში წერია:

“(4:1) პოი ხალხო! გეშინოდეთ თქვენი უფლისა, რომელმაც შეგქმნათ თქვენ ერთი არსისგან. და შექმნა მისგან წყვილისცალი მისი, და გაამრავლა მათგან კაცნი და ქალნი. და გეშინოდეთ ალლაჰისა, ვისითაც ურთიერთობთ თქვენ შორის, და ნათესაური კავშირებისა. ჭეშმარიტად, ალლაჰი თვალისმდევნელია თქვენზე” (სილაგაძე 2009ბ:27).

შემდეგი მნიშვნელოვანი აღიარება იყო ქალისა და მამაკაცის თანასწორობა. ისლამში ქალსა და მამაკაცს შორის სხვაობა არ არის, ქალიცა და მამაკაციც ერთნაირი უფლებებით სარგებლობს. ყურანში წერია:

“ქალის უფლებები მსგავსია მამაკაცის უფლებებისა” (ყურანი 1986:51).

ყურანი როცა მიუთითებს მორწმუნებზე, ხშირად ვხვდებით ასეთ გამოთქმას: “მორწმუნე მამაკაცები და ქალები”, საიდანაც თვალნათლივ ჩანს ქალისა და მამაკაცის თანასწორობა მათ მოვალეობებში, უფლებებსა და სხვა წყალობაში. ყურანში წერია:

“35(35) ჭეშმარიტად, მუსლიმი კაცები და მუსლიმი ქალები, მორწმუნე კაცები და მორწმუნე ქალები, მორჩილი კაცები და მორჩილი ქალები, მართალი კაცები და მართალი ქალები, მომთმენი კაცები და მომთმენი ქალები, ღვთისმოში კაცები და ღვთისმოში ქალები, მოწყალების გამდები კაცები და მოწყალების გამდები ქალები, მომარხულე კაცები და მომარხულე ქალები, თავიანთი სარცხვენელთა დამცავი კაცები და დამცავი ქალები, ალაპის მრავლად მხესენებელი ქალები ... სწორედ მათ გაუმზადა აღაპება და დიდი საბოძვარი” (ყურანი 2006:277).

ყურანი ამბობს, რომ ქალებს, ისევე როგორც მამაკაცებს, გააჩნიათ სული და თუ ისინი კეთილი გზით ივლიან, აუცილებლად მოხვდებიან სამოთხეში:

“70 (70) შედით სამოთხეში თქვენ და თქვენი მეწყვილები, ინეტარებოთ” (ყურანი 2006:311).

“ვინც სამართლიანი ცხოვრებით ცხოვრობს, იქნება ეს კაცი თუ ქალი, ჩვენ დავუჩქარებთ გზას ბედნიერი ცხოვრებისაკენ” (ყურანი 1986:229).

ისლამის გავრცელების შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა ქალთა მემკვიდრეობის საკითხეში. თუმცა ისლამამდე ქალი არ იყო მთლიანად ჩამოშორებული მემკვიდრეობას, მისი წილი მამაკაცებთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალი იყო. უმეტეს შემთხვევაში ქალის წილის საკითხი მემკვიდრეობის მიღებისას დამოკიდებული იყო მამაკაცის ნება-სურვილზე. ისლამის წარმოშობამ ახალი ელემენტები შეიტანა მემკვიდრეობის სისტემაში და შედეგად ყველა იქამდე არსებული გაუგებრობა მოხსნა.

მემკვიდრეობის განაწილების სხვა ძირითად პრინციპებთან ერთად მნიშვნელოვანია ერთ-ერთი წესი: მამრობითი სქესის მემკვიდრე (თუმცა არა ყოველთვის) იდებს წილის – ორჯერ მეტს მდედრობითი სქესის მემკვიდრესთან

(გარდაცვლილთან) შედარებით, ერთი და იგივე ნათესაური კავშირის დროს (გელოვანი 2005:236):

“(4:11) მცნებად გაძლევთ ალლაპი თქვენი შვილების გამო: ვაჟს – ორი ქალის წილის ზომა: და თუ არიან ქალები, ორზე მეტი, მაშინ მათ – ორი მესამედი იმისა, რაც დატოვა: და თუ ერთი ქალია, მაშინ – ნახევარი მას. და მის მშობლებს – თითოეულს მეექსედი იმისა, რაც დატოვა, თუკი შვილი ჰყავს მას; და თუკი არა ჰყავს შვილი და მემკვიდრეები მშობლები არიან, მაშინ დედას – მესამედი; ხოლო თუ მმები ჰყავს, მაშინ დედას – მეექსედი მას შემდეგ, რაც გაიცემა მისი ნაანდერძევი ან ვალი; თქვენი მშობლები თუ შვილები თქვენი – თქვენ არ იცით, ამათგან რომელნი არიან უფრო სარგებლიანნი თქვენთვის. დადგენილადაა ალლაპისაგან, - ჰეშმარიტად, ალლაპი ყოვლისმცოდნე და ბრძენია” (სილაგაძე 2009ბ:29).

ყურანი შეაგონებს იმ კაცებს, რომლებიც ამცირებენ ან ცუდად ეპყრობიან ქალებს:

“(4:19) – პოი თქვენ, რომელთაც იწამეთ! ნებადართული არა გაქვთ, ძალით აიღოთ მემკვიდრეობაში ცოლები. და ნუ დაუშლით წაიღონ იმის ნაწილი, რაც მიგიციათ მათთვის, გარდა – თუკი ცხადი მრუშობა ჩაიდინონ. კეთილად მოიპყარით მათ, ხოლო თუ შეიძულეთ – იქნება თქვენ გძულდეთ რამე, ალლაპს კი დიდი სიკეთე ჩაედოს მასში” (სილაგაძე 2009ბ:30).

ისლამის წინასწარმეტყველმა თქვა: “ქალები არიან მამაკაცების ტყუპი ნახევრები”. ყურანში წერია: “”ისინი სამოსელია თქვენი და თქვენა ხართ სამოსელი მათი” (სილაგაძე 2009ა:28).

ისევე როგორც სამოსელი ფარავს ჩვენს ტანს სიშიშვლისაგან, ასევე ქალი და მამაკაცი შეუღლების შემდეგ იცავენ ერთმანეთის უბიწოებას. სამოსელი ტანს ანიჭებს სიმყუდროვეს, ასევე ქალიცა და მამაკაციც სიმყუდროვეს პოულობენ ერთად ყოფნისას.

მუპამედი ქებით ავსებდა სათნო და უბიწო ქალებს, ის ამბობდა: “მსოფლიო და ყველაფერი ამ მსოფლიოში ძვირფასია, მაგრამ ყველაზე ძვირფასი ამ ქვეყანაზე არის სათნო ქალი”. მან ერთხელ ასეთი რამე უთხრა მომავალ ხალიფა ომარს: “საჭიროა თუ არა, რომ გაცნობო თუ რა შეიძლება იყოს ყველაზე ძვირფასი ამქვეყნად, რაც შეიძლება კაცმა მოიმარაგოს? ეს არის სათნო ცოლი, რომელიც ქმარს ყოველ შეხედვაზე სიამოვნებას პგვრის და რომელიც თავის თავს განაგებს, როცა მარტოა” (შაქირი).

წინასწარმეტყველი აგრეთვე ამბობს:

“უკელაზე დიდი სიმდიდრე, რაც კაცს გააჩნია, არის რწმენა, მადლიერი გული და მორწმუნე ცოლი, რომელიც მას ეხმარება რწმენაში”. და კვლავ: “მსოფლიო, მთელი მსოფლიო არის მატერია და ამ მატერიებს შორის საუკეთესო არის სათხო ქალი” (შაქირი).

ისლამის შემოსვლის შემდეგ ყურანის მიხედვით ნებადართული გახდა მამაკაცს პყოლოდა ორი, სამი ან ოთხი ცოლი, (იქამდე მათ ურიცხვი რაოდენობით შეეძლოთ პყოლოდათ ცოლები), ხოლო თუ ის თავის ცოლებს ერთნაირად არ მოეპყრობოდა, მაშინ მას მხოლოდ ერთი ცოლის ყოლის უფლება ენიჭებოდა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავდა რომ ყურანი იწონებდა მრავალცოლიანობას, უბრალოდ მრავალცოლიანობის ნებას რთავდა მუსლიმს: “(4:3) ხოლო თუ შიშობთ, რომ სამართლიანი არ იქნებით ობლებთნ, მაშინ შეირთეთ, ვინც მოგეწონებათ, ის ქალები, - ორი, სამი, ოთხი; ხოლო თუ შიშობთ, რომ თანასწორად ვერ მოეპყარით, მაშინ – ერთი, ან ისინი, რომელთაც თქვენი მარჯვენა დაუფლებია. ეს უფრო ახლოს იქნება იმასთან, რომ გზას არ გადასცდეთ თქვენ” (სილაგაძე 1999:27). “თვითონ მუჰამადს ალაჰმა განუსაზღვრელი რაოდენობის ცოლების ყოლის ნება დართო. მუსლიმ მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ მუჰამადმა ამ სურის გარდმოვლენამდე მოიყვანა ყველა ცოლი. ჰადისების მიხედვით მუჰამადს ჰყავდა 14 ცოლი. ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. თუმცა ყველა ერთი აზრის არის იმასთან დაკავშირებით, რომ 9 ცოლი იყო ცოცხალი მისი გარდაცვალების შემდეგ” (გელოვანი 2005:103).

ისლამიდე მამაკაცს შეეძლო გაპყროდა თავის ცოლებს რამდენჯერაც სურდა. ისლამმა შეზღუდა ეს რიცხვი და მამაკაცს მიენიჭა განქორწინების მხოლოდ ორი უფლება. ყურანის მიხედვით გაქორწინების სურვილის გამოთქმა შეეძლო როგორც მამაკაცს, ისე ქალს, ეს დამოკიდებული იყო იმაზე თუ “ვის ხელში იყო კონტრაქტი”. “და თუ გაეყრებოდეთ მათ, ვიდრე შეეხებოდეთ, ხოლო გალდებულება უკვე აგიღიათ, მაშინ მათ – ნახევარი იმისა, რაც ივალდებულეთ, თუკი არ დათმეს ქალებმა ან არ დათმო იმან, ვის ხელთაც ქორწინების პირობაა: ხოლო თუ თქვენ დათმობთ, ეს უფრო ახლოა დვთისმოშიშობასთან. და მადლი არ დაიგიწყოთ თქვენ შორის, - ჭეშმარიტად, ხედავს ალლაჰი, რასაცა იქმთ, იმას” (სილაგაძე 2009:37).

მოციქული მოუწოდებდა მუსლიმებს: “გეშინოდეთ ალაპის ქალთან მიმართებაში”. “თქვენს შორის საუკეთესოა ის, ვინც თავის ცოლს კარგად ექცევა”. “მუსლიმს არ უნდა ეჯავრებოდეს თავისი ცოლი და არც რაიმე ნაკლს უნდა ხედავდეს მასში, და თუ ის ამ ნაკლს ხედავს, მაშინ მან თავის ცოლში კარგის დანახვაც უნდა შეძლოს”. “რაც უფრო კეთილი და ზრდილობიანია მუსლიმი თავისი ცოლის მიმართ, მით უფრო სრულყოფილია ის თავის რწმენაში”. ის აგრეთვე მოუწოდებს მორწმუნებს, რომ კარგად განარჩიონ მორჩილნი და არაპატიონსანი ცოლები, რათა უმიზეზოდ არ დასაჯონ ისინი:

“ (4:34) და კაცები ქალებს ზემოთ დგანან იმით, რითაც ალლაპმა ერთნი მეორეზე უპირატესნი პყო, და იმით, რასაც თავიანთი ქონებიდან გაიღებენ. ხოლო პატიოსანი ქალები მორჩილნი არიან და დამცველნი დაფარულისა – იმით, რითაც ალლაპი იცავს. და რომელთა ურჩობასაც შიშობდეთ, იმ ქალებს შეაგონეთ, მერე მიატოვეთ სარეცელში და ცემა აგემეთ; მაგრამ თუ მორჩილნი გახდნენ, გზას ნუდარ ეძებთ მათ წინააღმდეგ. ჭეშმარიტად, ალლაპი მაღალი და დიდებულია” (სილაგაძე 2009ბ:32).

მოციქული მუჰამედი მოუწოდებს კაცებს უცან არ წაართვან ცოლებს ის, რაც მათ თავად აჩუქეს და რაც მათ ეკუთვნით:

“ (4:20) და თუ მოისურვებთ, ერთი ცოლი მეორე ცოლით შეცვალოთ, და თუნდა კინტარი გქონდეთ მიცემული მისთვის, უკან არ წაართვათ არაფერი. ნუთუ წაართმევთ რასმე ცრუ დაბრალებით და ცხადი ცოდვით თქვენ?” (სილაგაძე 2009ბ:30).

ქალი, როგორც დედა, დიდ პატივს იმსახურებს ისლამში. მუჰამედი აცხადებდა, რომ დედის უფლება უმთავრესი იყო. მაგ. ერთი კაცი მისულა ალაპის მოციქულთან და უკითხავს: “მოციქულო, ვინ არის ის ადამიანი, ვისაც ყველაზე მეტი უფლება აქვს ჩემზე?” მან კი უპასუხა: -”დედაშენი”. -შემდეგ ვინ? – დედაშენი! –შემდეგ ვინ? – დედაშენი! –შემდეგ ვინ? –მამაშენი!” (ალ-ბუჰარი, საპიჰ, 8/2).

თურქი ქალის შესახებ მუსლიმურ აღმოსავლეთში საინტერესო აზრს გამოთქვამს თურქი ისტორიკოსი ბაჟრიე უჩოკი. მისი აზრით ყურანის გამოჩენის შემდეგ აღინიშნა დიდი გადატრიალება ქალის სოციალურ და უფლებრივ მდგომარეობაში მუსლიმურ აღმოსავლეთში. თუმცა ქალი მუსლიმურ სამყაროში იკავებს უფრო დაბალ საფეხურს, ვიდრე მამაკაცი, მაინც მისი მდგომარეობა ყველა მიმართულებით უმჯობესია, ვიდრე წინამუსლიმურ დროში. “წინაისლამურ

ეპოქაში ქალი განიხილებოდა, როგორც ვიღაცის საკუთრება, ისლამის გავრცელების შემდეგ კი მან მოიპოვა უფლება. ამიტომ ისლამის აყვავების ხანაში მუსლიმურ ქაუნებში ქალს თავისუფლად და მშვიდად შეეძლო დაეკავებინა მისთვის შესაფერისი თანამდებობა” (უჩოკი 1982:19). მუსლიმი ქალები, მათ შორის თურქი ქალები, წარმატებით მოღვაწეობდნენ მეცნიერების, ლიტერატურის დარგში. ისინი ფაქტობრივად არ ჩამორჩებოდნენ მამაკაცებს არც პოლიტიკურ არენაზე. ასრულებდნენ სახელმწიფო საქმეებს, იყვნენ ვალიები, ნაიბები (ნაცვლები, რეგენტები) და ძლევამოსილი მეუფენი.

ქალის უფლებებზე საუბრობს პროფესორი მ. მეიერიც. შუა საუკუნეების ხანაში მამაკაცი დაკავებული იყო მიწათმოქმედებით, მეცხოველეობით. ისინი იყვნენ მთავარი მწარმოებლები, არჩენდნენ ოჯახებს, ზრუნავდნენ შთამომავლობაზე. ამასთანავე, მამაკაცს ექვემდებარებოდა ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო სისტემები. “პატრიარქალური შუა საუკუნეების ქალს ეკავა დაბალი, არასრულფლებიანი მდგომარეობა, მაგრამ ეს არ უნდა ავრიოთ უუფლებობაში. ქალის სოციალურ სტატუსს მაღლა აყენებდა მისი როლი ოჯახში, ქალს უფლება პქონდა საკუთრებაზე, მემკვიდრეობიდან წილის მიღებაზე, სასამართლოში სარჩელის შეტანაზე და სხვ” (უჩოკი 1982:7).

ისლამში ქალის იდეალის ჩამოყალიბებაში ყურანთან, ჰადისებთან (გადმოცემა მოციქულ მუჰამადის სიტყვების და საქციელის შესახებ), და მუსლიმურ სამართალთან ერთად გარკვეული როლი შეასრულა ცნობილი პოლიტიკური და რელიგიური მოღვაწეების სხვადასხვა რეკომენდაციამ და მითითებამ (გელოვანი 2003:421). XI საუკუნეში ნიზამ ალ-მულქი, სულტნების თოლოულ-ბეგის (1037-1063), ალფ-არსლანის (1063-1072) და მელიქ-შაჰის (1072-1092) დროს თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს ვეზირი თავის პოლიტიკურ ტრაქტატში - “სიასეთ-ნამეში” წერდა: “თუ გინდა, რომ ქვეყანა არ დაიქცეს, ცოლს სახელმწიფო საქმეებში ჩარევის უფლება არ მისცე. თუ მბრძანებელი ცოლის კარნახით მართავს ქვეყანას, სახელმწიფო ზარალდება, ხალხი განსაცდელში ვარდება, იწყება ქაოსი, იფლანგება ხაზინა, ზეიმობს ბოროტება... ცოლს მოუსმინე, მაგრამ არ დაუჯერო” (ნიზამ ულ-მულქი 1999:53).

ნიზამ ალ-მულქის ეს სიტყვები განპირობებული იყო თურქი ქალის აქტიურობით პოლიტიკურ არენაზე თურქ-სელჩუკთა საზოგადოებაში. ამის შესახებ ვკითხულობთ ისტორიკოსი სადრ ად-დინ ალ-ჰუსეინის ნაშრომში “ცნობები სელჩუკთა სახელმწიფოზე, რომელიც იუწყება სელჩუკთა ემირებსა და

მმართველებზე”, რომ თურქთა ბელადის – იაბღუბ² ცოლი ყურადსაღებ გაფრთხილებებს აძლევდა თავის ქმარს, თურქთა ბელადი - იაბღუ გულში მალავდა თავის ზიზღს ემირი – თოქაქის³ მიმართ, თუმცა როდესაც ემირი სელჩუკი – თოქაქის ძე გაიზარდა, იაბღუმ მას ჯარის მმართველობა გადასცა და სუბაშის⁴ ტიტული მიანიჭა. თურქთა ბელადის ცოლი ქმარს ყოველთვის ახსენებდა, რომ ფრთხილი ყოფილიყო ემირი სელჩუკის მიმართ. ის თავის ქმარს მოუწოდებდა: “მეფობის წყარო არ იქნება შენთვის სუფთა, სანამ შენ არ მოკლავ სელჩუკს და შენი სახელმწიფოს დილა არ გაბრწყინდება სანამ მას ჭიქიდან სიკვდილს არ დაალევინებ. ის მალე გაგამევებს შენი დედაქალაქიდან და ეცდება შენს მოგუდვას. ეს იყო ნათქვამი ისე, რომ სელჩუკმა გაიგონა და დაინახა. ემირმა შეგაზმა ცხენი და თავის ცხენოსნებთან და ქვეითებთან ერთად გაემართა ისლამის ქვეყანაში და გაბედნიერდა პანაფიტური ისლამის მიღებით” (სადრ ად დინი 1980:25).⁵

ოჯახურ მდგომარეობასა და უფლებებზე დაყრდნობით მუსლიმ ქალს შეეძლო შეესრულებინდა საცმაოდ აქტიური როლი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ამისი გამოვლინება სხვადასხვაგვარი იყო სოფელსა და ქალაქში. ქალთა აქტიურ მდგომარეობას საზოგადოებაში განსაზღვრავდა მათი ქონებრივი მდგომარეობა, განათლების დონე, სოციალური სტატუსი. ქალები ხშირად მიმართავდნენ სასამართლოს, რათა ესარგებლათ თავიანთი უფლებებით, მაგ. მემკვიდრეობის მიღებისას. ქალები გამოდიოდნენ როგორც თავიანთი შვილების დამცველნი, ისე როგორც თავდებები. ზოგიერთი ქალი ფლობდა განსაკუთრებულ ქონებას, ფულს დებდა ვაჭრობაში, მევახშეობაში,

² იაბღუ – უმაღლესი სელისუფალის ტიტული დასავლეთ თურქეთში

³ თოქაქი – სელჩუკთა წინაპარი ტიტული, ამ სახელის რამოდენიმე ვარიანტშია მოაღწია ჩვენამდე.

⁴ სუბაში – სამხედრო მეთაური, ჯარის მთავარსარდალი, არაბული ექვივალენტი: კა'იდ ალ-ჯაში.

⁵ ქვემოთ (თავი 6. ვალიდე სულტანი. ქალთა მმართველობა ოსმალეთის იმპერიაში) ვისაუბრებთ თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში ცნობილი რეგენტი ქალის, სულტან მალიქ-შაჰის (1072-1092) მეუღლის და სულტან მაჰმუდის დედის თურქან-ხათუნის შესახებ. ამ ქალმა შეძლო გარკვეული ბრძოლის გადალახვის შემდეგ თავისი შვილი მაჰმუდი სულტანი 2გამხდარიყო.

აარსებდა მეჩეთებსა და სხვა რელიგიურ და კულტურულ დაწესებულებებს. შესაბამისად შუა საუკუნეების თურქეთში არსებობდნენ მდიდარი ქალები.

ისლამის ევოლუცია გაგრძელდა ქალის უფლებების მკვეთრი შეზღუდვით. თუმცა ეს პროცესი ერთბაშად არ მომხდარა. ვ.ა. გორდლევსკის აზრით, ისლამის გავრცელების შემდეგ XIII-XIV სს-ში თურქი ქალი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თავისუფლებას. ადგილობრივი ტრადიციები ჯერ კიდევ არ იყო მოსპობილი. “იყო შემთხვევები, როდესაც მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ძალაუფლება ქალის ხელში გადადიოდა და ის ხდებოდა ოჯახის უფროსი. ქალები ერთიანდებოდნენ საზოგადოებრივ და რელიგიურ დაჯგუფებებში” (გორდლევსკი 1962:16).

ისტორიკოსი აშიკ ფაშაზადე მცირე აზიის მოსახლეობაში გამოარჩევს “რუმის ბაჯებს” – მცირე აზიის დებს. მისი აზრით, შესაძლებელია, ტერმინი ბაჯი ნიშნავდა რადაც სექტას, რომელიც ახლოს იყო ბეჭთაშის ორდენთან. მეპტედ კოპრულუს აზრით “ბაჯი” იყო ქალთა სამხედრო გაერთიანებები.

“ბაჯიების ორგანიზაციის” შესახებ საინტერესო ცნობები მოიპოვება თურქი ისტორიკოსი ქალის – მერალ ალთინდალის ნაშრომში (ალთინდალი 1994:14).

თურქ-სელჩუკთა ხანაში არსებობდა ვაჭარ-ხელოსანთა მუსლიმური ამქარის წევრთა ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციამ ახლად შექმნილ ოსმალეთის იმპერიაში დიდი როლი ითამაშა, კერძოდ მურად 1-მა იანიჩართა კორპუსის დაარსების შემდეგ (1362წ.) ამ ორგანიზაციის წევრები იანიჩართა კორპუსის შემადგენლობაში შეიყვანა.

ანატოლიის თურქიზაციისა და ისლამიზაციის პერიოდისათვის, ანატოლიაში აგრეთვე არსებობდა ვაჭარ ხელოსანთა მუსლიმური ამქარის ქალთა საზოგადოებაც. ეს ანატოლიური “ბაჯიების ორდენი” იყო. მათ ჯერ კიდევ ანატოლიაში სელჩუკთა სახელმწიფოს არსებობის დროს სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს.

მამაკაცთა მუსლიმური ამქარის საზოგადოების დამაარსებელი აჲი ევრენი იყო. ის ფილოსოფოსი და 20-მდე ნაწარმოების აგტორი გახლდათ. იგი ყოფილი მეტყველე იყო, მაგრამ მეტად ძლიერი და განათლებული პიროვნება. ეს ორგანიზაცია თანდათანობით გაფართოვდა და ჩამოყალიბდა “რუმის ბაჯების ორდენი.” “რუმის ბაჯების ორდენის” მთავარი განშტოებები თავმოყრილი იყო

ქალაქებში: კაისერი, კონია და კირშეპირი და ამ ქალაქების ბაჯიების ორგანიზაციის სახელს ატარებდა” (ალთინდალი 1994:14).

ისლამის გავრცელებამდე “რუმის ბაჯების ორდენის” ქალები იყვნენ კარგი ცხენოსნები და მამაკაცებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ომებში. თურქ ქალთა ეს ორგანიზაცია ჩაბმული იყო ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში და მისი წევრები ამზადებდნენ საომარ ტანსაცმელსაც.

“ბაჯიების ორდენის” წევრი ქალები მამაკაცებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ლოცვებისა და სხვა დგთისმსახურების დროს. ორგანიზაციაში მისული სტუმრის გამასპინძლება და მათთვის დამის თავშესაფარის მიცემა ბაჯიების მოვალეობა იყო.

1243 წელს მონდოლებმა თოქათი და სივასი დაიპყრეს და კაისერს მოადგნენ. ქალაქის დასაცავად მიმდინარე 15 დღიანი ომის დროს აპიებთან ერთად ომში ბაჯიებიც იბრძოდნენ. ომის შემდეგ ანატოლია მონდოლებმა დაიპყრეს, აპიებმა და ბაჯიებმა თავიანთ სამ ქალაქში არსებული ორგანიზაციები სოფელში გადაიტანეს.

უნდა აღინიშნოს, რომ “რუმის ბაჯიების ორდენის” დამაარსებელი გახდდათ ფატმა ბაჯი, რომელიც მამაკაცთა მუსლიმური ამქარის ორგანიზაციის დამაარსებლის აპი ევრენის ცოლი იყო. ფატმა ბაჯი 1210 წელს დაიბადა. დედამისი ტყვეთა ბაზარზე ნაყიდი ცუდი ყოფაქცევის მონა ქალი ყოფილა. პატარაობაში მეტად მოუსვენარი ფატმა, განათლებული ქალი გახდა და რელიგიური სექტის მეთაურადაც მოგვევლინა. ფატმა ბაჯის მხარში ედგა თავისი და – ამინე ხათუნი, რომლებმაც ერთად დიდი წვლილი შეიტანეს ორდენის საქმიანობაში.

“იმ პერიოდის ანატოლიაში ასევე არსებობდა “ბექთაშის ქალთა ორდენი”, რომელიც დიდ პატივს სცემდა ფატმას პიროვნებას” (ალთინდალი 1994:16).

1228 წელს ფატმა ბაჯი ცოლად გაჰყვა აპი ევრენს. 1240 წელს მისი ქმარი დაიჭირეს, ხოლო 1243 წელს მონდოლების მიერ კაისერის დაპყრობის შემდეგ დატყვევებულ მამაკაცებში ფატმა ბაჯიც აღმოჩნდა. 17 წლის პატიმრობის შემდეგ ფატმა ბაჯი გაათავისუფლეს. პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ მან თავის ქმართან ერთად ერთი წელი იცხოვრა, რადგანაც მალე აპი ევრენი გარდაიცვალა.

ფატმა ბაჯის მიერ დაარსებული ორგანიზაცია ფაქტობრივად ამ დროისათვის აღარ არსებობდა. ამასთანავე ის ხვდებოდა, რომ მუდმივი

მეთვალყურეობის ქვეშ იყო და გადაწყვიტა “ბექთაშის” ორგანიზაციაში შესულიყო, სადაც ის დიდი პატივით მიიღეს და მისმა მეთაურმა ჰაჯი ბექთაშმა მას ქონებაც მისცა. ჰაჯი ბექთაშის გარდაცვალების შემდეგ, ფატმა ბაჯიმ მას მავზოლეუმი აუგო. ფატმა ბაჯი ქირშეპირში დაბინავდა და იქვე გარდაიცვალა.

აშიკ ფაშაზადესა და იბნ ბატუტას მიხედვით “ბაჯიების ორდენი”, ისევე როგორც აჰიელთა, ანუ მამაკაცების ორდენი, მონღოლების მიერ ანატოლიის დაპყრობისთანავე დაიშალა.

უნდა აღინიშნოს, რომ “ბაჯიების ორდენის” პარალელურად თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში არსებობდა “ფაქირეგან”-ის (“Fakiregan”), “ბაჯიანი-სა” (“Baciyan”) და “ქალბატონი დერვიშების” (“Hanim Dervisler”) ორდენები, მაგრამ ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ფატმა ბაჯის ორდენი იყო” (ალთინდალი 1994: 17).

ასეთი იყო ქალთა გაერთიანება – “ბაჯიების ორდენი”, რომელიც რეალურად წარმოადგენდა ქალთა სამხედრო გაერთიანებას, რომლის წევრი ქალებიც თითქმის არ განირჩეოდნენ მამაკაცებისაგან, არამედ ისინი მამაკაცებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ სამხედრო ოპერაციებში, მამაკაცებთან ერთად დადიოდნენ მეჩეთებში, ეწეოდნენ საქველმოქმედო საქმიანობას. ფატმა ბაჯის მიერ ანატოლიაში დაარსებული “ბაჯიების ორდენის” ხსოვნა ადამიანთა მოგონებებში დიდხანს შემორჩა.

ამგვარად, ჩვენ დავინახეთ, რომ XIII-XIV სს-ში ანატოლიაში თურქი ქალი, ისლამის გავრცელების მიუხედავად, კიდევ ინარჩუნებდა თავისუფლებას. ამის მთავარ განმაპირობებელ მიზეზს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ანატოლიაში ჯერ კიდევ არ იყო მოსპობილი ქრისტიანული ტრადიციები და ამასთანავე ისლამსაც ჯერ მყარად არ ჰქონდა გადგმული ფესვები.

აფლიაკის მიხედვით (XIVს.) მდიდარი ქალები იკრიბებოდნენ კონიაში დიდმოხელე ემინედინ მიქაილის მეუღლესთან. არაბი ისტორიკოსის იბნ-ბატუტას მიხედვითაც XIV ს-ში ოსმალეთში განაგრძობდა არსებობას ძველი ტრადიციები. “იბნ-ბატუტამ იზნიქში აღმოაჩინა ქალი, რომელიც ქალაქს მართავდა ქმრის სახელით. მისი ქმარი კი იყო სულტანი ორხანი (1326-1359) ” (გორდლევსკი 1962:70). ეს ქალი იყო – ნილუფერ სათუნი, წარმოშობით ბერძენი ლორდის შვილი, რომელიც 1299 წელს ოსმან ბეიმ მოიტაცა და ცოლად შერთო თავის 12 წლის ვაჟს ორპან ბეის. ორპან ბეი თავის ცოლს ყველაფერში ენდობოდა და

ქვეყნის გარეთ ყოფნის დროს სახელმწიფოს მმართველადაც ტოვებდა (ბეითსი 1978:251).

იბნ-ბაზუტამ იმოგზაურა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ქ. ალაიეში. მოგზაური აღნიშნავს, რომ ქალები ქ. ალაიეში თავსაბურავის გარეშე დადიოდნენ, ქალებმა მოგზაურს და მის თანმხლებ პირებს თავიანთი ხელით გამომცხარი პური გაუგზავნეს. ხოლო როცა მოგზაურმა დატოვა ქალაქი, ქალები ტირილით აცილებდნენ (იბნ ბაზუტა 1963:123). აქ საგულისხმოა ერთი ფაქტი, რომ ქ. ალაიე აღმოცენდა ყოფილი ბიზანტიური ქალაქის კალონოროსას ადგილზე, ასე რომ, აქ ძლიერი იყო ქრისტიანული ტრადიციები და ამის გამო ხშირად ხდებოდა ისლამის დოგმების დარღვევა.

ამრიგად, ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ ყალიბდებოდა ანატოლიის ტერიტორიაზე ქალის კულტი. ჯერ კიდევ ზედა პალეოლითის ხანაში ქალი აღიქვეს, როგორც ნაყოფიერების სიმბოლო. ნეოლითურ პერიოდში დომინირებდა დედაღმერთის კულტი. ქალის კულტი მაღალ საფეხურზე ჩანს ანტიკური ქვეყნების კულტურის შესწავლისას. ახ. წ. აღ-მდე მე-4 ათასწლეულის ბოლოს, ბრინჯაოს ხანაში, მამაკაცის როლმა საზოგადოებაში მეტი მნიშვნელობა მოიპოვა. თუმცა ქალი კვლავ დარჩა ნაყოფიერების სიმბოლოდ და დედაღმერთის კულტიც აგრძელებდა აყვავებას. მეორე ათასწლეულის შუა ხანებში ხეთების იმპერიის (ძვ. წ. XVIIIს-დან XIIIს-მდე) დროს ხეთურ სამართალში დაცული იყო ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა. ქალს გააჩნდა პოლიტიკური უფლებებიც. ანატოლიის ბერძნულ საზოგადოებაში ქალები მნიშვნელოვანი თავისუფლებით სარგებლობდნენ, გაბატონებული იყო მონოგამია. რომაელთა ხანაში კი ქალმა უფრო მეტი უფლებები მოიპოვა, ვიდრე ბერძენთა მმართველობის დროს პქონდათ. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ რელიგიურ დოქტრინებში წმინდა დვორისმშობლის კულტი წარმოჩნდა.

XI საუკუნიდან თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს ბიზანტიის იმპერიის მნიშვნელოვანი ტერიტორია და მოხდა თურქი ქალის ასიმილაცია იქ არსებულ კულტურასთან. იმ დროს თურქი ქალი აქტიური იყო როგორც ოჯახურ, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქალს დამოუკიდებლობა გააჩნდა სოციალურ სფეროშიც. თურქთა რელიგია იყო შამანიზმი, რაც დაფუძნებული იყო ქალის საღვთო ძალაზე. ისლამამდელი პერიოდის თურქი ქალი იყო იყო ოჯახის უფროსი, ბავშვების აღმზრდელი, რელიგიური ცერემონიების ხელმძღვანელი.

ისლამის გავრცელების შემდეგ ოსმალეთის იმპერიაში მოხდა ქალის უფლებების მკვეთრად შეზღუდვა იმასთან შედარებით რა უფლებებიც ქალს გააჩნდა ისლამამდე. აქეე ადსანიშნავია, რომ ყურანმა გარკვეულწილად მოხსნა მრავალი გაუგებრობა, რაც ისლამამდე არსებობდა ქალთან მიმართებაში და ქალის უფლებები ჩარჩოში მოაქცია. ისლამამდე ქალთათვის რაიმე სახის უფლების მინიჭება დამოკიდებული იყო მამაკაცის ცალკეულ გადაწყვეტილებაზე. ყურანში კი მოხდა ქალთათვის ამ უფლებების მინიჭების მკვეთრი ფორმულირება.

ისლამის ევოლუცია განვითარდა ქალის უფლებების მკვეთრი შეზღუდვით. ისლამის განვითარების შედეგად შეიზღუდა ქალთა უფლებები. ადგილობრივი ძველი ტრადიციები შეიცვალა შარიათის მოთხოვნების შესაბამისად. ისლამმა თანდათანობით ქალს ჩამოართვა ის უფლებები, რომლებიც მათ მანამდე გააჩნდათ. მალე ქალი აღმოჩნდა დამცირებულ მდგომარეობაში მამაკაცთან შედარებით. შემდგომ კანონმდებლობებში და ზნე-ზვეულებებში უფრო და უფრო იზღუდებოდა მათი უფლებები.

თავი II

1. სელიმ I-ის “კანუნ-ნამე”

სელიმ I-ის სულტნობის პერიოდში (1512-1520წწ.) ოსმალეთის იმპერიაში უკვე შარიათის მკაცრი კანონმდებლობა მოქმედებდა. ამ პერიოდში შეიქმნა სულტან სელიმ I-ის “კანუნ-ნამე”, ანუ სამართლის წიგნი.

სულტან სელიმ I-ის (1512-1520) კანუნ-ნამეს შესახებ XX საუკუნემდე არაფერი იყო ცნობილი. ნაკლებად იყო ცნობილი ამ სულტნის საკანონმდებლო საქმიანობის შესახებაც. XX საუკუნეში თურქული ხელნაწერების შესწავლისას მიკვლეულ იქნა ორი ერთნაირად დასათაურებული ხელნაწერისადმი, რომელიც ასე იკითხებოდა: “სულტან სელიმის კანონთა წიგნი, დმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული”.

ერთი ხელნაწერი იყო შიფრით B 1882, გადაწერის თარიღით 1564 წელი, რომელიც ახლოსაა ამ კანონთა წიგნის თავდაპირველ შედგენის თარიღთან.

მეორე ხელნაწერი, შიფრით A 250, არ იყო დათარიღებული. ამ ხელნაწერის მიხედვით ნათელი ხდება კანუნ-ნამეს შემდგენლის სახელი, რომელიც არის ნიშანჯი ჯელალ-ზადე (1567წ.).

ქოჯანიშანჯი ჯელალ-ზადე მუსტაფა ჩელები (1567წ.) იყო XVI საუკუნის ოსმალეთის იმპერიის გამოჩენილი ისტორიკოსი და კანონმდებელი. მან თავისი მოღვაწეობა სულტან სელიმ I-ის კარზე დაიწყო. ის ორჯერ იყო ნიშანჯის ⁶ თანამდებობაზე სულტან სულეიმან კანუნის (1520-1566) დროს (1534-1557წწ.). და 1566-1567წწ.). აქედან გამომდინარე უდავოა, რომ მას მართლაც შეეძლო ეთავა სელიმ I-ის “კანუნ-ნამე”-ს შედგენა. სელიმ I-ის სულტნობის პერიოდზე მან ცალკე ისტორიული ნაშრომიც დაწერა, სახელად “წიგნი სელიმზე”.

სელიმ I-ის “კანუნ-ნამე”-ს შედგენის შემდეგ ქოჯანიშანჯი ჯელალ-ზადემ გააგრძელა საკანონმდებლო საქმიანობა და დაასრულა სულეიმან კანუნის (1520-1566) “კანუნ-ნამე”-თი.

⁶ ნიშანჯი – სახელმწიფო კანცელარიის მეთაური, რომლის ვალდებულებაც იყო სულტნის ყველანაირი ბრძანებებისა და სახელწმიფო აქტების გაფორმება.

სელიმ I –ის კანონთა წიგნის შედგენის პარალელურად მიმდინარეობდა ოსმალთა კანონთა ნორმების დამკვიდრება იმპერიის პროვინციებში: კაისერი, რუმი, დიარბექირი და სხვა, რაც დათარიფებულია 1516-1518 წწ.

სელიმ I-ის “კანუნ-ნამე”-ში საუბარია სასოფლო-სამეურნეო და სამოქალაქო გადასახადებზე, აღწერილია სხვადასხვა სახის საბაზრო გადასახადები პროდუქციის მიხედვით. აღსანიშნავია რომ სელიმის “კანუნ-ნამე” ნაწილობრივ არის მისი მამის, ბაიაზიდ II-ის (1481-1512წწ.) საკანონმდებლო საქმიანობის გაგრძელება.

თუ შევადარებთ სელიმ I-ის “კანუნ-ნამე”-ს მეშვეობა II (1444-1481 წწ.) კანონთა კოდექსს, აშკარაა, რომ სელიმ I-ის დროს მნიშვნელოვანი ცვლილებები გატარდა კანომდებლობაში, ფეოდალური წყობილების დეტალები ამ კანუნ-ნამეში უფრო დეტალურად არის აღწერილი. მაგ. გლეხთა მიმაგრება სიფაჰთა მიწაზე, თიმარიოტული სისტემის გამარტივება, “თავისუფალთა” კატეგორიის ჩამოყალიბება.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება ოსმალეთის იმპერიაში დასრულდა სელიმ I-ის დროს და საზოგადოებაში დამკვიდრდა კანონმდებლობა.

აღნიშნულ “კანუნ-ნამეში” საუბარია ქალზეც. საინტერესო იქნება თუ მიმოვისილავთ და დავინახავთ თუ როგორია ამ პერიოდში ქალის მდგომარეობა ოსმალეთის იმპერიაში სელიმ I-ის “კანუნ-ნამე”-ს მიხედვით.

სელიმ I-ის კანუნთა კრებული შედგება რამდენიმე პუნქტისაგან. ერთ-ერთ მათგანში, რომელიც ეხება გადასახადს ქალის გათხოვებისას ნათქვამია, რომ ქალიშვილის გათხოვებისას მამა იხდიდა გადასახადს. აღსანიშნავია ისიც, რომ გადასახადი ქალიშვილის გათხოვებისას იყო 60 ახჩა, ქალის მეორედ გათხოვებისას კი 40 ახჩა. ერთ-ერთი სხვა მუხლიდან ირკვევა ისიც, რომ გადასახადს თავის მხრივ იხდიდა მამაკაციც ხელახლა დაქორწინებისას. ანუ “კანუნ-ნამე”-ს ერთ-ერთ მუხლში ნათქვამია: “თუ ვინმე მისცემს განქორწინებას, მას ხელახლა დაქორწინება შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ გადაიხდის საქორწინო გადასახადს” (ტვერიტინოვა 1969:31). ამ საქორწინო გადასახადს ეწოდებოდა “ბაშლიქი”. ვისაც შეუძლია გადაიხადოს “ბაშლიქი”, მას შეუძლია ჰყავდეს ბევრი ცოლი. ამიტომ ძველი დროიდან თურქეთი ითვლება პარამხანების ქვეყნად. “სულტნის დროს პარამხანები მხოლოდ მაღალი თანამდებობის მქონე მდიდარ პირებს ჰქონდათ. იმისათვის, რომ პყოლოდა რამდენიმე ცოლი, უნდა

კარგად შეენახა ისინი. ამიტომ მდაბიოთა უმრავლესობას თითქმის ყოველთვის ერთი ცოლი ჰყავდა” (ერემევი 1968:100).

შურანის მიხედვით მამაკაცს უფლება პქონდა პყოლოდა ოთხი კანონიერი ცოლი. მამაკაცი ვალდებული იყო თითოეული ცოლისათვის მიეცა საცხოვრებელი, მის შესანახად გადაეხადა ყველა გადასახადი. ქალს უფლება პქონდა ეცხოვრა განცალკევებულ ბინაში, სადაც არ იცხოვრებდნენ ქმრის ოჯახის წევრები, მისი სხვა ცოლები და შვილები.

გაყრისათვის აუცილებელი იყო, რომ მამაკაცს სამჯერ გაემეორებინა ორი მოწმის თანდასწრებით, რომ მას არ სურს თავისი ცოლი ქვლავ მის ცოლად დარჩენილიყო. “ქალს არა თუ შეეძლო გამოსულიყო განქორწინების ინიციატორად, არამედ მას არ შეეძლო არცერთი საქმის მართვა სახლში ქმრის თანხმობის გარეშე. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ცოლები ქონების 1/16-ს ან უკათეს შემთხვევაში 1/8-ს იღებდნენ. ქალიშვილები კი, როგორც წესი, 2-ჯერ უფრო ნაკლებს, ვიდრე ვაჟები” (პოზნანსკა 1974:125).⁷

სელიმ I-ის “კანუნ-ნამე”-ს მიხედვით, ის ადამიანი, რომელიც გაბედავდა გოგოს ან ქალისადმი შეურაცხყოფის მიუენებას, სასტიკად ისჯებოდა. “კანუნ-ნამეში” ვკითხულობთ: “ვინც ძალით ან ეშმაკობით შეიპყრობს ვინმეს სახლში გოგოს ან ბიჭს, და ის ვინც შეიპყრობს ქალიშვილს ან ქალს, უნდა იქნეს დასაჭურისებული. თუ ქალს, ან გოგოს ძალით გაათხოვებენ, დამნაშავეებმა მაშინვე უნდა გაათავისუფლონ მოტაცებული და უნდა იქნენ დასჯილნი. და თუ ვინმე დაქორწინდა (მოტაცებულ გოგოზე), მაშინ მას წვერი უნდა მოჭრან” (ტვერიტინოვა 1969:32). იგივეს ამტკიცებს შემდეგი მუხლები: “თუ რომელიმე ადამიანი ქალის ბინაში შევა, გაუშლის მას თმებს, გახდის სამოსს, და ამის შემდეგ ამხელენ მას, ის დასჯილი იქნება მკაცრად, ჩასვამენ ციხეში და მიუყვანენ სულტანს სასახლეში” (ტვერიტინოვა 1969:33). “და თუ ვინმე აკოცებს სხვის ცოლს ან ქალიშვილს, ან მივა მის სახლში და ეცდება ამას, მაშინ ყადი მკაცრად დასჯის მას. თითოეული ჯოხის დარტყმაზე აღებულ იქნეს ჯარიმა 1 ასხა” (ტვერიტინოვა 1969:32).

აღსანიშნავია, რომ სელიმ I-ის “კანუნ-ნამე”-ს მიხედვით კანონი სხვადასხვაგვარად მოქმედებდა ქალების მიმართ. ეს, როგორც ჩანს,

⁷ XX ს-ში, კერძოდ 1926 წელს, გაუქმდა პოლიგამია და ასევე დამყარდა ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა.

დამოკიდებული იყო ქალის სოციალურ მდგომარეობაზე. ქალის მრუშობაში მხილების დროს დაბალი წრის ქალი უფრო სასტიკად ისჯებოდა, ვიდრე მაღალი საზოგადოების წარმომადგენელი ქალი. კანუნთა წიგნში გკითხულობთ: “როდესაც მოხდება ჩეუბი ქალებს შორის და ისინი ერთმანეთს გაწეწავენ, ან სხვა... თუ ისინი უწესო ქალებს განეკუთვნებიან, მაშინ ისინი სასტიკად უნდა იქნენ დასჯილნი, თითოეული ჯოხის დარტყმაზე აღებულ იქნეს ჯარიმა 1 ახჩა, ხოლო თუ ისინი წესიერ ქალებს განეკუთვნებიან, მაშინ ჯარიმას გადაიხდიან მათი ქმრები, 20 ახჩას” (ტვერიტინოვა 1969:32). ანუ ეს უკანასკნელნი არ ისჯებიან ფიზიკური სასჯელით, მათგან კანონი მხოლოდ ჯარიმის გადახდით კმაყოფილდება.

უურანის მიხედვით (სურა, 2, 4 ...) ორი მოწმე ქალის ჩვენება თანაბარია ერთი მამაკაცის ჩვენებისა. სელიმ I-ის კანუნთა წიგნიდან კი ვრწმუნდებით, რომ ქალის ჩვენება ისეთივე ანგარიშგასაწევია, როგორც მამაკაცისა. ერთი და იგივე დანაშაულისათვის კანონი ერთნაირად მოქმედებს როგორც მამაკაცისათვის, ისე ქალისათვის. მაგ.: “თუ მამაკაცი იტყვის ქალზე, რომ მასთან ერთად იმრუშა და ქალი უარყოფს, ქალმა უნდა დადოს ფიცი, მამაკაცი კი უნდა დაისაჯოს და თითოეული 2 ჯოხის დარტყმაზე აღებულ იქნეს ჯარიმა 2 ახჩა” (ტვერიტინოვა 1969:32). ასეთივე კანონი მოქმედებს ქალზე: “თუ ქალი ან ქალიშვილი მამაკაცს დაადანაშაულებს ცუდ ყოფაქცევაში, კაცი კი ამას უარყოფს, მაშინ ქალის სიტყვებს არ უნდა მიექცეს ყურადღება. მამაკაცმა უნდა დადოს ფიცი მოწმის დაუსწრებლად, ქალი ან ქალიშვილი კი უნდა დაისაჯოს 2 ჯოხის დაკვრით, ან აღებულ იქნეს ჯარიმა 1 ახჩა” (ტვერიტინოვა 1969:32).

სელიმ I-ის “კანუნ-ნამე” ნათელ სურათს წარმოგეიდგენს ქალის მდგომარეობის შესახებ მემკვიდრეობის მიღებისას. მამის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობა მთლიანად ვაჟიშვილზე გადადიოდა. კანუნთა წიგნში გკითხულობთ: “თუ გარდაცვლილ რაიათს⁸ დარჩება ვაჟიშვილი ან ქალიშვილი და ორივენი მოითხოვენ: ეს მიწა მამაჩემისაა: - სიფაპის (ფეოდალი) ეკრძალება გადასცეს მიწა ქალიშვილს, და არც მან უნდა გადასცეს” (ტვერიტინოვა 1969:47). თუ მამას ვაჟი არ დარჩება, მაშინ მიწა ქალიშვილს გადაუცემა: “თუ გარდაცვლილს არ დარჩება ვაჟი და მხოლოდ ქალიშვილი, მაშინ არის ასეთი ბრძანება, რომ თუ ქალიშვილი მიწას მოითხოვს, მაშინ მას კანონით მიწა უნდა

⁸ რაიათი იყო გლეხის საერთო აღმნიშვნელი აღმოსავლეთის ქვეყნებში

გადაეცეს” (ტვერიტინოვა 1969:47). “იყო შემთხვევები, როდესაც მიწა ქალიშვილს გადაეცემოდა თაფუს⁹ საფუძველზე. 1573-74 წლის გურჯისტანის კანუნ-ნამეში ნათქვამია: გარდაცვლილ რეიას შვილი არ ჰყავს და მას ქალი რჩება, ეს მიწა სხვას არ მიეცემა, ქალს გადაეცემა თაფუს წესით” (სვანიძე 1999ბ:102). აღსანიშნავია ისიც, რომ ოსმალეთის მრავალ კანუნ-ნამეში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ თუ გარდაცვლილ რაიათს ვაჟი არ დარჩებოდა, სიფაპის აკრძალული ჰქონდა მიწის ნაკვეთი გადაეცა ქალიშვილზე და ეს მიწა თაფუს საფუძველზე სხვას მიეცემოდა.

საინტერესო იქნება მოვახდინოთ შედარება და ვნახოთ, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ მე-20 საუკუნის, ანუ რეფორმების შემდგომი პერიოდის თურქეთის სოფლებში. “ანკარის ვილაიეთის სოფლებში გარდაცვლილი ოჯახის უფროსის ცოლი იღებს ქმრის მემკვიდრეობის 1/4-ს, ვაჟიშვილები ქონებას თანაბრად იღებენ, ქალიშვილებს აძლევენ ქონების იმ ნაწილს, რომელსაც მართებულად მიიჩნევენ, ეს ნაწილი ყოველთვის ნაკლებია ვაჟიშვილების წილთან შედარებით. ქალიშვილი თუ არ დათანხმდება ამ წილს, მას უფლება აქვს რაიონულ სასამართლოში სარჩელის შეტანისა, თუმცა მას ეს შესაძლებლობა არ გააჩნია, რადგან მას არა აქვს შესაბამისი ძალა და განათლება” (სერებრიაკოვა 1979:32).

სელიმ I-ის “კანუნ-ნამე”-ს მიხედვით ქალს არ გადაეცემოდა უპატრონოდ დარჩენილი მიწა. მიუხედავად იმისა, რომ ის პირობას იძლეოდა, რომ გადაიხდიდა ყველა გადასახადს: “თუ მიწა დარჩება უპატრონოდ და მას მოითხოვს ქალი, რომელიც განაცხადებს, რომ ის გადაიხდის მიწის ყველა გადასახადს, არ არის ფალიშაპის ბრძანება, რომ მიწა მიიღოს ქალმა” (ტვერიტინოვა 1969:47). საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თვით სელიმ I-ის “კანუნ-ნამე”-ში ვხვდებით ერთ-ერთ ისეთ მუხლს, სადაც აშკარა აღიარებაა იმისა, რომ ქალმა შესაძლებელია შეასრულოს მამაკაცის საქმე, მოვალეობა, ანუ ქალი გაუტოლდეს მამაკაცს თავისი შესაძლებლობებით. მაგ. ერთ-ერთი მუხლის გაგრძელებაში ვკითხულობთ: “მაგრამ თუ ქალმა რაღაცა საშუალებებით მიიღო მიწა, უძღვება ჩიფოს და იხდის გადასახადს (უშრს) და სიფაპის გადასახადს, მაშინ არ უნდა ჩავერიოთ და ვილაპარაკოთ, რომ ქალი არ შეიძლება დადგეს

⁹ თაფუ - მიწის ნაკვეთით სარგებლობისათვის გადასახადი, ასევე ფეოდალური დამოკიდებულების პირობა

მამაკაცის ადგილას და სიფაპიმაც არ უნდა წაართვას მას ეს მიწა” (ტვერიტინვა 1969:47). ასე აღიარებდა სულტანი სელიმ I ქალის შესაძლებლობებს, ქალის მიერ საზოგადოებრივი საქმიანობის მართვის უნარს.

სელიმ I-ის სულტანობის პერიოდში ოსმალეთის იმპერიაში გავრცელებული იყო შარიათის მკაცრი კანონმდებლობა, რომელიც სასტიკად ილაშქრებდა ქალის წინააღმდეგ, ზღუდავდა მის უფლებებს, ართმევდა მას საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის საშუალებას. თუ ჩვენ ამ გადმოსახედიდან შევხედავთ სელიმ I-ის “კანუნ-ნამე”-ს, დავინახავთ, რომ იმ დროისათვის ეს კანონთა კრებული მეტად პროგრესული, წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ოსმალეთის ისტორიაში. სულტანმა სელიმ I-მა თავის “კანუნ-ნამე”-ში დაგვანახა, რომ არ შეიძლება ქალს მთლიანად ჩამოერთვას უფლებები და იქცეს უუფლებო არსებად, პირიქით გარკვეულ დონეზე მან აღიარა ქალის უფლებები, მისი შესაძლებლობები, საზოგადოებრივი საქმიანობის მართვის უნარი და განსაკუთრებულ შემთხვევაში ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობაც.

2. პოეტი ქალები ოსმალეთის იმპერიაში

პოეზია ოსმალეთის იმპერიაში არა მხოლოდ მამაკაცების, არამედ ქალების გატაცებაც იყო. ქალები წერდნენ მეტად შთამბეჭდავ ლექსებს. XV საუკუნიდან მოყოლებული XX საუკუნემდე ოსმალეთის იმპერიაში ქალების მიერ შექმნილი მნიშვნელოვანი პოეტური მემკვიდრეობა ღირსეულ კონკურენციას უწევს მამაკაცთა შემოქმედებას და თვალსაჩინო ადგილიც დაიმკვიდრა თურქულ პოეზიაში.

პოეტური ნიჭის მქონე ქალი უნდა ყოფილიყო უფრო იღბლიანი და ორგანიზატორული ტალანტის მქონე, ვიდრე მამაკაცი, თუ მას რეალურად სურდა თავისი ტალანტის გამოვლენა და განვითარება. ამისი მთავარი პირობა სპარსული ენის შესწავლა იყო, რაც შემდგომში ახლო აღმოსავლეთის ლირიკული პოეზიის კლასიკის შემეცნებას გაუადვილებდა. ასეთი განათლება ნებისმიერი შეძლებული ახალგაზრდა მამაკაცის ცოდნის შემადგენელი ნაწილი იყო, მაგრამ ამას ქალთაგან მხოლოდ თითოეული თუ ახერხებდა. უფრო მეტიც, ჰეშმარიტ პოეტს წაკითხული უნდა ჰქონოდა თანამედროვე პოეტთა შრომები. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ყველაფერი არ მოიპოვებოდა დაბეჭდილი ფორმით, ქალს უხდებოდა ამ ინფორმაციის მოპოვება ხელნაწერის სახით და გზის გაკვლევა პოეტთა საზოგადოებაში. ყოველივე ეს, განსაკუთრებით კი თანამედროვე პოეტებთან ურთიერთობა, მეტად რთული და მხოლოდ მაღალი სოციალური წრის ქალთა ხვედრი იყო.

სელიმ I-ის ტახტზე ასვლისას თურქეთში ფართოდ იყო ცნობილი პოეტი ქალის მიპრი-ხათუნის სახელი. ის დაიბადა 1456 წელს და გარდაიცვალა 1516 წელს. წარმოშობით იყო ამასიდან, ბაბი ილიას, ბაბიდების აჯანყების ერთ-ერთი ლიდერის შთამომავალი, თეოლოგთა და განათლებულ დერვიშთა ოჯახიდან, სადაც ლიტერატურული აქტივობა მიღებული ტრადიცია იყო. მამამისი ამასის ყადი იყო. მიპრი ხათუნი იღბლიანი აღმოჩნდა, რადგანაც მას მიეცა შესაძლებლობა ურთიერობა ჰქონოდა ლიტერატულ საზოგადოებასთან, რომელიც ჩამოაყალიბა უფლისწულმა აპმედიმ (1465-1513) ამასიაში. ბაიაზიდ II-ის (1481-1512) ვაჟმა თავის გარშემო შემოიკრიბა სახელოვანი ლიტერატორები, რომლებიც აგრეთვე განთქმულნი იყვნენ სტამბოლშიც. თავდაპირველად მიპრი-ხათუნისთვის დედაქალაქი მიუდწეველი აღმოჩნდა, ხოლო მისი პოეზია

ფაქტობრივად იყო პასუხი მისი კოლეგისა და კონკურენტის – პოეტ ნეჯათის შემოქმედებაზე. მიპრი, თავის მხრივ, აცხადებდა რომ მას მისი მამაკაცი კოლეგები სერიოზულად არ აღიქვამდნენ და ის ცდილობდა ნიჭიერი ქალის დაცვას (იზი 1985: 229-30).

მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად მიპრი-ხათუნმა მაინც მოახერხა თავის დამკვიდრება. მისი ცხოვრების ბოლო წლებში მისი სახელი იყო იმ ლიტერატურულ პირთა სიაში, რომლებიც დააჯილდოვა სულტანმა ბაიაზიდ II (1481-1512). სავარაუდოდ ნაწილობრივ მის პოპულარობას დედაქალაქში ხელი შეუწყო მისმა მეგობრობამ უფლისწულ აქმედთან (ერუნსალი 1977-79: 213-22).

იმ დროს მართლაც იშვიათი მოვლენა იყო ქალისათვის განათლების მიღება. მიპრიმ ეს მამამისის წყალობით მოახერხა. მაშინ, როდესაც ისლამი ქალს ჩარშაფში ახვევდა და უკეტავდა მას გზას საზოგადოებრივი ცხოვრებისაკენ, როდესაც ოსმალეთში შარიათის მკაცრი კანონმდებლობა მოქმედებდა, მიპრი-ხათუნმა თავის შემოქმედებაში (ლექსთა კრებული “დივანი”) უმდერა სიყვარულს, რომელიც, მისი აზრით, ცხოვრებას აზრს ანიჭებს. პოეტი ქალი წერდა ასევე მუსლიმი ქალის მდგომარეობაზე, “რომელიც თავის ცხოვრებას ჯერ მშობლების სახლის კედლებში ატარებდა, ხოლო შემდეგ კი ქმრის სახლში. მას არ ჰქონდა უფლება გადაეწყვიტა თავისი ბედი” (მიპრი-ხათუნი 1967:28).

მიპრი-ხათუნს გააჩნდა ფართო მსოფლმხედველობა. მას ჰქონდა მრავალი სასიყვარულო ისტორია, მის სილამაზეზე ლეგენდები დადიოდა. ის არ ერიდებოდა თავისი თაყვანისმცემლების სახელების დასახელებას თავის პოეზიაში. ყველა მისი ბიოგრაფი გვამცნობს, რომ მისი ყველა სიყვარული დარჩა პლატონური. ნათელია, რომ პოეტი ყოველთვის მკაცრად იცავდა მორალსა და ეტიკეტს (ფაროქში 2007:117).

მიპრი ხათუნის დასრულებული პოემებიდან აღსანიშნავია “დაზალი” (“ლირიკული ოდა”), სადაც ნახსენებ ალექსანდრეს ნაცვლად ის გულისხმობდა თავის შეყვარებულს – ესქენდერს. ის აღიარებდა სრულ თავისუფლებას ქალსა და მამაკაცს შორის. ამასთანავე პროტესტს უცხადებდა ქალის მიმართ თანამედროვე მუსლიმური საზოგადოების შეხედულებას, რომელიც განიხილავდა ქალს, როგორც გაუნათლებელ არსებას, შეზღუდულს საკუთარ აზრებსა და გრძნობებში. მიპრი ამბობდა: “ერთი ლირსეული ქალი უმჯობესია, ვიდრე ათასი

უდირსი მამაკაცი, ერთი სადი აზროვნების ქალი უმჯობესია, ვიდრე ათასი უწიგნური მამაკაცი” (მიპრი-ხათუნი 1967:75).

საინტერესოა ნაწყვეტი ევლია ჩელების მოგზაურობიდან ქ. ამასიაში, მან მოინახულა პოეტი ქალის საფლავი და აღნიშნა: “ის იყო უმწიგვლო ქალი, მან ზეპირად შეისწავლა 70 ტომი დიდაქტიკური ლიტერატურისა ... მისი სიტყვები არის ისეთივე წმინდა, როგორც ძვირფასი ქვის წყალი, ის არის ავტორი სილაბიკური (მარცვლოვანი) ლექსთა კრებულისა – “დივანი”, გამოჩენილი, ორიგინალური აზროვნების წარჩინებული პოეტი ქალი” (ფეხვი 1983:75).

ქალის უუფლებო მდგომარეობა აისახა თურქულ ფოლკლორში: “ქალებს თმები გრძელი აქვთ, ჰკუა კი მოკლე,” “40 წელში ერთხელ შეიძლება მოუსმინო ქალის რჩევას,” “ ქალი მამაკაცის გარეშე იგივეა, რაც ცხენი ავშარის გარეშე,” “რასაც ქალი შეეხება, იქ კეთილდღეობა ქრება” და სხვა.

ზემოთ მოხსენიებული პოეტი ქალის მიპრი-ხათუნის გარდა ოსმალეთის იმპერიაში იყვნენ სხვა პოეტი ქალებიც.

ოსმალო პოეტ ქალთაგან აღსანიშნავია ზეინაბი, რომელიც XV საუკუნეში მოღვაწეობდა და 1474 წელს გარდაიცვალა. იგი იყო მეტად განათლებული ქალი. თურქული ენის გარდა ის ფლობდა არაბულ და სპარსულ ენებს, შესაბამისად მან ბევრი ლექსი სპარსულ ენაზეც დაწერა. ჩვენამდე მისმა მხოლოდ რამოდენიმე ლექსმა მოაღწია. ამისი მიზეზი მისი ქმარი გახლდათ, რომელიც ცდილობდა თავისი ცოლი საზოგადოებრივი წრიდან მოეკვეთა და ჩამოშორებოდა მამრობითი სქესის წარმომადგენელ კოლეგებს. მისი ქმარი აგრეთვე ცდილობდა ზეინაბისათვის ლექსების წერაც კი აეკრძალა. ეს პირველი ოსმალო პოეტი ქალი აგრეთვე ბრწყინვალე მუსიკოსი იყო.

ზეინაბის ლექსები ასახავს იმ პერიოდში არსებულ მამაკაცთა დომინირებულ მდგომარეობას, რაც ქალებს აიძულებდა მამაკაცთა მიერ დამკვიდრებული ნორმებით ეცხოვრათ.

პოეზიით იყო აგრეთვე დაკავებული სულტან სულეიმან ბრწყინვალის ცოლი როგორლანაც. სულეიმანი, რომელიც არის დაახლოებით 3000 ლექსის ავტორი, ხშირად უგზავნიდა თავის ცოლს როგორლანას წერილებს სასიყვარულო ლექსების სახით, როგორლანაც მას ლექსებითვე პასუხობდა (გოჩექი 2003: 75).

XVIII საუკუნის სახელოვანი პოეტი ქალი იყო პუბი ხათუნი, თუმცა ის უფრო ცნობილია, როგორც ფითნათი, რომლის ნამდვილი სახელიც არის ზუბეიძე (გარდაიცვალა 1780). ფითნათი ცხოვრობდა სტამბოლში, მას ახლო კავშირი ჰქონდა ორ შეის ულ ისლამთან - ესად ეფფენდი იყო მისი მამა და შერიფ ეფენდი მისი ძმა. ორივეს დიდი ინტერესი გააჩნდა ლიტერატურისადმი (ფაროქი 2003ბ:159).

პუბი ხათუნიმ განათლება მიიღო იქამდე, ვიდრე დატოვებდა მამის სახლს. მის ბიოგრაფიაში ვკითხულობთ, რომ მისი ქმარი იყო შეის-ულ-ისლამ ფეუზულლაპის (მოკლეს 1703 წელს) შთამომავალი და ცნობილი იყო თავისი უჭქურბით. ლიტერატურული მოღვაწეობის გარდა, ფითნათი, ცნობილი იყო მახვილი გონებითა და ენამოსწრებულობით, სწორედ ამან გახადა ის პოპულარული. მისი სახელი ფიგურირებს ანეგდოტების შემგროვებელთა სიაშიც. ამ დიალოგებში ფითნათი და სხვა მამაკაცი ლიტერატორები არ ერიდებოდნენ ერთმანეთისთვის პოეტური მინიშნებების და უფრო მეტიც ეროტიკული მინიშნებების გაკეთებას. თუმცა მრავალი ამ მონათხოვიდან ძნელად სარწმუნოა.

გამორჩეული თურქი პოეტი ქალი იყო ლეილა ჰანიმი, რომელიც 1847 წელს გარდაიცვალა. მისმა ქორწინებამ ერთ კვირას გასტანა. ბევრი მისი სასიყვარულო ლექსი ქალთა მიმართ იყო დაწერილი. ლეილა ჰანიმიც თავისუფალ ცხოვრებას მისდევდა. მას ხშირად “ბულბულსაც” ეძახდნენ. ის ცნობილი იყო ლექსების ექსპრომტად შექმნის ოსტატობით. მისი გაბედული ლექსები იმდროინდელი მორალის მსახურთა აღშფოთებასაც იწვევდა. მან დატოვა ლექსთა კრებული, რომელიც იმდროინდელი სტამბოლის მაღალი საზოგადოების გართობას ასახავდა (ფაროქი 2003ბ:159).

XIX-XX საუკუნეების ცნობილი პოეტი და ნოველისტი ქალები იყვნენ: ნიგარ ჰანიმ ბინთ ოსმანი (1862-1918), რომელიც იყო ბულგარელი ოფიცრის ქალიშვილი, მან დატოვა ბულგარეთი 1848 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ და თავი ოსმალეთის იმპერიას შეაფარა, აქ მან მიიღო ისლამი და განათლება (რენდა 1993:248). ასევე ფატმა ალიე (1862-1936), რომლის როგორც მწერლის კარიერა ოსმალეთის იმპერიის არსებობის ბოლო დეკადაში შედგა. ის იყო დიდებირის აქმედ ჯევდეთ ფაშას ქალიშვილი. აქმედ ფაშა ცნობილი იყო კონსერვატორული პოლიტიკით, მაგრამ შვილების განათლების საკითხს სხვაგარად მიუდგა და როცა დაინახა, რომ მისი ქალიშვილი ფატმა ალიე იყო

საკმაოდ ნიჭიერი, მას სათანადო განათლება მიაღებინა, რათა მასში სამწერლობო კარიერა განევითარებინა. ფატმა ალის ნოველები ასახავენ XIX საუკუნის მიწურილსა და XX საუკუნის დასაწყისში სტამბოლის მაღალი კლასის ცხოვრებას (ფაროქი 2003ბ:159).

ამრიგად, XV-XX საუკუნეებში ოსმალეთის იმპერიაში მოდგაწე პოეტი ქალების შექმნილი მნიშვნელოვანი პოეტური მემკვიდრეობა ღირსეულ კონკურენციას უწევს მამაკაცთა შემოქმედებას და თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა თურქულ პოეზიაში.

პოეტ ქალთაგან გამორჩეული იყო მიპრი-ხათუნი (1516). მაშინ, როდესაც ისლამი ქალს ჩარშაფში ახვევდა და ოსმალეთის იმპერიაში შარიათის მკაცრი კანონმდებლობა მოქმედებდა, მიპრი-ხათუნმა თავის შემოქმედებაში უმდერა სიყვარულს, აღწერა მუსლიმი ქალის მდგომარეობა, რომელიც ფაქტობრივად უცვლებო იყო.

XV საუკუნის ცნობილი პოეტი ქალი იყო ზეინაბი (1474), რომელიც თურქული ენის გარდა ფლობდა არაბულ და სპარსულ ენებს. მან თავის შემოქმედებაში ასახა მამაკაცთა დომინირებული მდგომარეობა.

XVIII საუკუნის სახელოვანი პოეტი იყო ფითნათი (ჰუბი ხათუნი (1780). XIX საუკუნეში ლეილა ჰანიმი, იგივე “ბულბული” და სხვანი.

ქველა ზემოთ ჩამოთვლილი პოეტი ქალის არსებობა საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ ქალებმა მეტად რთულ ვითარებაში მაინც შეძლეს თავიანთი თავის დამკვიდრება. დავინახეთ, რომ მათ დიდი წვლილი შეიტანეს ოსმალეთის იმპერიის ლიტერატურის ისტორიაში, კერძოდ კი პოეზიაში, და ამით მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრეს თურქულ პოეზიაში.

3. ჰარემი და მისი იერარქია ოსმალეთის იმპერიაში.

სიტყვა ჰარემი მომდინარეობს არაბული სიტყვისაგან “ჰარამ” და ნიშნავს აკრძალულს, დაცულს, წმინდას (კუცია 1999ბ:232). ჰარემი არის სახლის განცალკევებული ნაწილი, სადაც ცხოვრობენ ქალები, ბავშვები და მათი მოსამსახურები. ჰარემში ცხოვრობენ აგრეთვე ცოლებიც. ჰარემი არის “ბედნიერების სახლი”, ადგილი, სადაც ქალები არიან განცალკევებული და ხელშეუხებელნი ყველასაგან გარდა იმ ერთი მამაკაცისა, რომელიც მართავს მათ ცხოვრებას (კრუტიე 1989:17).

ჰარემი არსებობდა აზიური სამყაროს სხვადასხვა მხარეში და ცნობილი იყო სხვადასხვა სახელით, მაგრამ ყველაზე განვითარებული ეს იყო ოსმალეთის იმპერიის დიდ სერაგლიოში.

ოსმალეთის იმპერიაში თითქმის 4 საუკუნის მანძილზე სულტნის სასახლე – თოფკაფი შედგებოდა სამი ნაწილისაგან: ენდერუნი, ბირუნი და ჰარემი. თოფკაფის სასახლის ეზოში სამი დიდი კარიბჭე იყო: “ბაბ-ი ჰიუმაიუნი, ბაბუსალამი და ბაბუსაადე, ასევე 4 კარი. სასახლის მთლიანი ტერიტორია 700 000 მ2-ს შეადგენდა და სამივე მხრიდან ზღვა ეკრა. თოფკაფის სასახლეს გარს ერტყა კედელი სიგრძით 1400 მეტრი. სასახლეში მოხვედრა რამდენიმე კარის გავლით იყო შესაძლებელი, მათგან ყველაზე მთავარი კარი ბაბ-ი ჰიუმაიუნი იყო, რომელიც აია სოფიას მხარეს გამოდიოდა” (იხსანოგლუ 2006:112). თოფკაფის სასახლის მარცხენა ნაწილში იყო განლაგებული ჰარემი.

ოსმალეთის იმპერიაში სულტნის სამეფო კარი ორი ნაწილისაგან შედგებოდა – საგარეო და საშინაო. საგარეო მოიცავდა სულტნის მოხელეებს, ხოლო საშინაო - სულტნის ოჯახის ქალებისა და ბავშვების სამყოფელს, რომელსაც ეწოდებოდა ჰარემი (ჰარამხანა).

სულტნის სასახლის საგარეო კარს განაგებდა თეთრი საჭურისების უფროსი კაფუ აღასი (კაფუჯი ბაში). იგი იყო შუამავალი სულტანსა და გარე სამყაროს შორის (სვანიძე 1999ბ:184). სასახლეში მათი რაოდენობა 300-დან 900 კაცამდე იყო და არანაირი კონტაქტი არ ჰქონდათ ჰარემის ქალებთან (ბურაქი 1996–2008). სულტნის სასახლის საშინაო კარს და ჰარემს შავი საჭურისების მეთაური “კიზლარ აღასი” (ქალიშვილების ბატონი) მეთაურობდა. მას ასევე “ბაბუსაადეთ-აღასი”-ს ეძახდნენ (ჰამერი 1992:85; აქგუნდუზი 2000:278).

თანამდებობით “კიზლარ ადასი” დიდვეზირისა და შაიხ-ულ-ისლამის¹⁰ შემდეგ მოდიოდა (აქგუნდუზი 2000:278). მის ხელთ იყო დიდი პოლიტიკური ძალაუფლება. ის მეტად დაახლოებული იყო სულტნის დედასთან და ცოლებთან და აგრეთვე წარმოადგენდა დამაკავშირებელ რგოლს სულტანსა და მის დედას შორის. მისი თანამდებობა უტოლდებოდა დიდვეზირის თანამდებობას. შავი საჭურისების მეთაური ხელმძღვანელობდა ჰარამხანის მსახურთა საქმიანობას, ახდენდა სულტნის მხევლების შერჩევას. საჭურისები ყოფილი მონები იყვნენ. მათგან ყველაზე მახინჯები ყველაზე ძვირად ფასობდნენ.

თურქი ისტორიკოსები თეთრი საჭურისების დასაქმების თარიღად მიიჩნევენ XV საუკუნეს მეშვეობა I-ისა (1413-1421) და მურად II-ის (1421-1451) ეპოქას. შავი საჭურისების ინსტიტუტი კი დაარსდა დაახლ. 1475 წელს სულეიმან ბრწყინვალის დროს. მისი ცოლის – როკსოლანას პირადი მცველების შემადგენლობაში იყვნენ როგორც თეთრი, ისე შავი საჭურისები, ხოლო ჰარემის ძველი სასახლიდან ახალ სასახლეში გადასვლის შემდეგ, დაახლ. 1541 წელს, მკაცრად დამკვიდრდა საჭურისების ინსტიტუტი (პეტერი 2005:134).

ჰარემის სტრუქტურა იერარქიული იყო. ეს სტრუქტურა ჩამოყალიბდა ისლამისა და სახელმწიფოს მოთხოვნილებათა გავლენით. აქ ხომ ტახტის მემკვიდრე იზრდებოდა. ჰარემში უპირატესობა ენიჭებოდა იმ მხევლებს, რომელთაც გაუები შობეს. მუსლიმ მამაკაცებს ეკრძალებოდათ ერთმანეთის ნათესავი მხევლების ყოლა. თუ მხევალს საჭურისს და მონას მიუჩენდნენ, ეს ჰარემის იერარქიაში ერთი საფეხურით აწევას ნიშნავდა (გელოვანი 2005:201).

ჰარემის ქალთა უმრავლესობა წარმოშობით ქრისტიანი იყო, ისინი იყვნენ ყველაზე ლამაზი ქალები ოსმალეთის იმპერიაში. ახალგაზრდა გოგონებს სულტნის სასახლეში აგზავნიდნენ, როგორც სულტნისადმი მიძღვნილ საჩუქარს. ჰარამხანის ქალთა უმრავლესობას შეადგენდნენ ჩერქეზი, ქართველი, აფხაზი, სლავი და სხვა წარმოშობის მონა და ტყვე ქალები. ქართველი ქალები განთქმულნი იყვნენ სილამაზით. მონებით დატვირთული ნაგები ხშირად კვეთდნენ შავ ზღვას. 8 წლის ჩერქეზი ქალი, 10 წლის აბისინიელი ქალი, 5

¹⁰ შაიხ-ულ-ისლამი (“ისლამის უხუცესი”) - საპატიო ტიტული, რომელიც X საუკუნიდან ეძლეოდათ ცალკეულ გამოჩენილ ფატჰებსა და სუფიებს. XII-XVIII სს-ში შაიხ-ულ-ისლამის ინსტიტუტი ფართოდ იყო გავრცელებული ეგვიპტეში, სირიაში, ირანში, თურქეთში, შუა აზიაში, ყირიმში, ვოლგიისპირეთსა და კავკასიაში. ეს ტიტული ენიჭებოდა ცნობილ დვობილ დატისმეტყველებს და რელიგიურ მოღვაწეებს (კუცია 1999:208).

წლის ჩერქეზი გოგონა, 15-16 წლის ჩერქეზი ქალი, 12 წლის ქართველი გოგონა, საშუალო სიმაღლის ზანგი მონა, 17 წლის ზანგი მონა ლირდა დაახლ. 1000-2000 კურუში. იმ დროს, როცა ცხენი ლირდა 5000 კურუში (კრუტი 1989:30). ჩერქეზი ქალები განთქმულნი იყვნენ სინაზით. მრავალმა მათგანმა დიდ წარმატებას მიაღწია ჰარემში და დაწინაურდნენ ჰარემის იარარქიის საფეხურზე. სტამბოლის მონათა ბაზარზე დიდი მოთხოვნა იყო ჩერქეზი, აბისინიელ და ქართველ ქალებზე (ვალჩი 1970:46-49).

მონა-ქალებს ძირითადად ყიდულობდნენ მონათა ბაზარზე. ამ ფაქტს ადასტურებს აგსტრიის მეფე ფერდინანდის ელჩი ოუი ჯისელინ დე ბუსბექი, რომელმაც ოსმალეთის იმპერიაში იმოგზაურა 1544-62 წლებში, იყო პირველი, ვინც ესტუმრა ანატოლიას ოსმალთა მიერ ამ ტერიტორიების დაპყრობის შემდეგ. ის თავის მოგონებებში წერს: “თურქები ... მხევლებს ყიდულობენ მონათა ბაზარზე, ან ომში ნადავლის სახით შოულობენ, როდესაც მათ კონკრეტული მხევალი მობეზრდებათ, კვლავ მონათა ბაზარზე აგზავნიან გასაყიდად (ბუსბექი 1927:117).

მნიშვნელოვანი მონათა ბაზარი იყო ალექსანდრიასა და კაიროში, რაც დიდი შემოსავლის წყარო იყო. ჯერ კიდევ მუპამადი და მისი მიმდევრები ლაშქრობათა დროს ატყვევებდნენ ქალებს და ბავშვებს, რომლებიც მოგვიანებით ნაწილდებოდა მეომრებს შორის ნადავლის სახით ან იყიდებოდა მონათა ბაზრებზე (სვანიძე 2002:188). შარიათის მიხედვით მონა არ შეიძლება ყოფილიყო მუსლიმი (გუდვინი 1994:105). ბევრი მონა ქალი ცდილობდა სასახლის კარზე სულტნის ფავორიტი ქალი გამხდარიყო, რაც მათ სამუდამო ფუფუნებას უზრუნველყოფდა.

მონათა ბაზრები თსმალეთის სახელმწიფოში იმპერიის დაარსებიდან არსებობდა. ასეთი ბაზარი იყო თსმალეთის იმპერიის პირველ დედაქალაქში ბურსაში, შემდეგ კი ედირნეში. მნიშვნელოვანი მონათა ბაზარი იყო სტამბოლში.

თსმალეთის იმპერიაში მონები ძირითადად შემდეგი ქვეყნებიდან შემოჰყავდათ:

- ა) ყირიმელ-თათართა სახანოებიდან, ჩერქეზეთიდან, საქართველოდან;
- ბ) ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებიდან;
- გ) სუდანიდან, ისქანდერიდან და აქედან სტამბოლის მონათა ბაზარზე მიჰყავდათ (ალთინდალი 1994:30).

თანდათანობით სტამბოლის მონათა ბაზარზე მონების რაოდენობა

მატულობდა. ამის გამო მურად IV-ს (1623-1640) სურვილი გაუჩნდა მონათა ბაზარი სტამბოლიდან სხვა ქალაქში გადაეტანა (ალთინდალი 1994:30).

ამრიგად, მონათა ბაზარი ოსმალეთის იმპერიის დაარსებამდე არსებობდა და შემდგომში ფართო მასშტაბებს მიაღწია. მონათა ბაზარზე შესყიდული მონა და ტუკ ქალების უმრავლესობა სულტნის ჰარამსანაში ხვდებოდა და იქ განაგრძობდა ცხოვრებას. ზოგიერთი მონა ქალი, რომელსაც ბედი გაუდიმებდა, ვალიდე სულტანი ხდებოდა (ულუჩი 1992:10-11). მრავალი ჩერქეზი და ქართული ოჯახი აიძულებდა თავიანთ ქალიშვილებს გამხდარიყვნენ მხევლები, რაც მათ უზრუნველ ცხოვრებას განაპირობებდა (გოჩექი 2003:76).

აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის შუა წლებში ოსმალეთის მთავრობამ მონებით ვაჭრობის შეზღუდვა დაიწყო. საბოლოოდ 1847 წელს მონათა ბაზარი სტამბოლში გაუქმდა.

1453 წლის კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ, ოსმალეთში თანდათანობით მოხდა ბიზანტიური კულტურისა და ტრადიციების შეთვისება. სულტანმა მეჰმედ II (1451-1481), რომელიც ცნობილია, როგორც “ფათიში” ანუ “დაპყრობელი” თავის დედას სოხოვა ქალთა საცხოვრებელი ისე მოეწყო, როგორც ეს ბიზანტიის იმპერატორის ქვრივს – დედოფალ კლენეს ჰქონდა. სასახლის შიგნით დაარსდა სკოლები, მონა ქალები სასახლეში მიჰყავდათ. ისლამური პოლიგამია ნელ-ნელა შეერწყა ბიზანტიურ წეს-ჩვეულებებს და ამ ყველაფერმა ასახვა ჰქონდა ჰარემში.

კონსტანტინოპოლის დაპყრობიდან 10 წლის შემდეგ მეჰმედ II-მ (1451-1481) ააშენა თოფკაფის სასახლე, რომელიც დასავლეთში ცნობილი იყო, როგორც დიდი სასახლე (Seraglio) ან ბრწყინვალე პორტა (Sublime Porte) (კრუბი 1989:27).

მველი ლეგენდის მიხედვით სულტნის სასახლე გადაჭიმული იყო მარმარილოს ზღვასა და ოქროს რქას შორის და გახდა ძველი ბიზანტიის აკროპოლისი.

ჰარამსანა სულტნის სასახლეში 1541 წლიდან გადავიდა, მას შემდეგ, რაც სულტანმა როგორიცანამ თავისი საცხოვრებელი იქ გადაიტანა და ამით მან პრეცედენტი შექმნა ოსმალეთის იმპერიაში (ბუქური 2005:208).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XVI-XVII საუკუნეები ოსმალეთის იმპერიაში ცნობილია როგორც “ქალთა მმართველობის ხანა” (Kadınlar Sultanlığı), დაწვრილებით ამაზე ჩვენ ქვემოთ უფრო ფართო ვისაუბრებთ. საუკუნეზე მეტხანს ჰარემი მართავდა მთელს იმპერიას. ის იყო ინტრიგებისა და

მექრთამეობის კერა. ჰარამხანა მდებარეობდა სულტნის პირად საცხოვრისსა და შავი საჭურისების მეთაურის ოთახს შორის. ჰარემში იყო 4 ათასამდე ოთახი.

XV-XVII სს-ის განმავლობაში ჰარემში მცხოვრებთა რაოდენობა რამოდენიმე ათასი ქალიდან რამოდენიმე ასეულამდე შემცირდა. ეს განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ახალგაზრდა უფლისწულებს აგზავნიდნენ პერიფერიებში მმართველებად, რომლებიც შესაბამისად ტოვებდნენ სასახლეს და თან მიჰყავდათ მათი კუთვნილი ჰარემის ქალები. XVII ს-ის შემდეგ, შემოიდეს მემკვიდრეობის შესახებ ახალი კანონი, რომლის თანახმად, უფლისწულს შეეძლო ეცხოვრა სასახლეში თავისი მხევლებით. შედეგად ჰარემის მოსახლეობა ორი ათასამდე გაიზარდა. ამ ფაქტს აღასტურებს ა. დ. ალდერსონიც. თუმცა ეს ციფრი მაინც ძნელად დასაჯერებელია. ჰარემის მოსახლეობის მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა მურად III-ის (1574-1595), აქმედ I-ისა (1603-1617) და იბრაჟიმის (1640-1648) სულტნობის პერიოდში, რომლებიც ყველაზე დიდ დროს ჰარემში ატარებდნენ. ქალთა რაოდენობის ზრდასთან ერთად შესაბამისად გაიზარდა ხარჯები (Harem and the Ottoman Women).

ისტორიკოს პ. ინალჯიქის მიხედვით 1475 წლისთვის თოფკაფის სასახლეში 400 მონა ქალი, ხოლო ძველ სასახლეში 250 ქალი იყო (ინალჯიქი 1989:85). მემატიანეს მიხედვით, მეჰმედ II-ის (1451-1481) სულტნობის დროს, რომელმაც ააშენა თოფკაფის სასახლე, ჰარემის თითოეულ ოთახში 3-4 საწოლი იყო. მოგვიანებით ქალთა რაოდენობამ სულტნის სასახლეში იკლო და 1499 წელს ბაიაზიდ II-ს (1481-1512) 10 მონა ჰყავდა თოფკაფის სასახლეში და 80 მონა ქალი ძველ სასახლეში. სულტნის შვილების დედებს და ასევე სულტნის დედებს ჰყავდათ მოსამსახურე გოგონები, რომლებიც ასევე იყვნენ ჰარემის წევრები. ჰურემ სულტანს, სულეიმან I-ის (1520-1566) ცოლს, ჰყავდა 100 სეფექალი და აურაცხელი რაოდენობა მოსამსახურე ქალებისა, რომლებიც დამეს ჰარემში ატარებდნენ. სელიმ II-ის ცოლს ნურბანუს მონა ქალების მეტად მოკრძალებული რაოდენობა ჰყავდა ჰარემში. ჯამში ეს იყო 150 კაცი, ხოლო ძველ სასახლეში 1500 (გუდვინი 1994:128).

ჰარემში მოსახვედრად მთავარი ფაქტორი იყო გოგონას სილამაზე და გონიერება. ჰარემის ქალები უწესობისა და ურჩობისათვის ისჯებოდნენ და იგზავნებოდნენ ძველ სასახლეში, სადაც რჩებოდნენ მცირე დანაზოგის ამარა, მომავალში დაქორწინების უიმედობით. ის ქალი, რომელიც შემჩნეული იქნებოდა

ჯადოქრობაში, მკაცრი სასჯელით ისჯებოდა, ტომარაში სვამდნენ და შუაგულ ბოსფორში აგდებდნენ (გუდვინი 1994:129).

ჰარემი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც პირამიდა, სადაც ჰარემის ქალთა შორის გარკვეული იერარქია არსებობდა. ჰარემის იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურზე მონა და ტყვე ქალები იდგნენ, იერარქიის სათავეში კი სულტნის დედა – ვალიდე გვევლინებოდა.

მონა ქალები სასახლის ჰარემში მოხვედრამდე გადიოდნენ გარკვეულ წვრთნას, გარდა ამისა საჭურისები უსინჯავდნენ სხეულის თითოეულ ნაწილს, რომ რაიმე დეფექტი არ ჰქონოდათ. თუ მონა ქალი ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებდა, შავი საჭურისების უფროსი მას წარუდგენდა ვალიდე სულტანს, რომლის საბოლოო დასტურის შემდეგ ჰარამხანაში ხვდებოდა. ახალგაზრდა ქალები ჰარემში ხვდებოდნენ “acemi”-b¹¹ სტატუსით, რაც ნიშნავს უცხოს, ახალბედას. “Acemi”-ს სტატუსით ასევე სარგებლობდნენ ვაჟებიც. ჰაჟების მსგავსად ისინი იყვნენ “kul”-ები¹², რომელთა ყიდვა ან გაყიდვა არ შეიძლებოდა. “Acemi” დაწინაურდებოდა და ხდებოდა “cariye”, “şagird”¹³, “gedikli” ან “usta”¹⁴ (ინალჯიქი 1989:86).

ჰარემის ახალბედა წევრის წვრთნა ჰარემში პირველივე დღიდან იწყებოდა. ისინი საერთო საცხოვრებელში იწყებდნენ ცხოვრებას, მათ თვალყურს ადევნებდნენ ასაკოვანი ქალები, თითოეულს ჩაბარებული პყავდა ათ-ათი გოგონა. მთელი დამე ჰარემში შუქი ანთებული იყო. ქალებს ასწავლიდნენ ცეკვას, პოეზიას, რელიგიას, სიმღერასა და მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრას. ჰარემში მეტად მიღებული იყო მოთხოვნების კითხვა. ყოველ დამე “ათას ერთის დამის” ერთ მოთხოვნას კითხულობდნენ (გუდვინი 1994:131; ინალჯიქი 1989:85). როდესაც ჰარემის ქალებს შემოესმებოდათ სულტნის გერცხლის ლურსმებით მოჭედილი ჩუსტების ხმა, სასწრაფოდ იმალებოდნენ,

¹¹ Acemi – კადეტი ან მონა ქალი ჰარემში

¹² Kul – სულტნის მონები, როგორც სულტნის დიდი ოჯახის წევრები, (ვრცელდებოდა ორივე სქესზე), სახელმწიფოს მსახური.

¹³ Şagird – ჰარემის იერარქიის ერთ-ერთი საფეხური, რომელიც “cariye” –ზე მაღალ და gedikli- ზე დაბალ საფეხურზე იდგა.

¹⁴ Usta - ინიშნებოდა სულტნისადმი განსაკუთრებული სამუშაოს შესასრულებლად.

რადგანაც სულტანთან პირისპირ შეხვედრა დიდ შეურაცხყოფად ითვლებოდა (ინალჯიქი 1989:86).

ჰარემში მოხვედრისთანავე გოგონას ქრისტიანული სახელის ნაცვლად მუსლიმურ სახელს არქმევდნენ, რომელიც ასე თუ ისე შეეფერებოდა მის გარეგნობას. მაგალითად, თუ ახალგაზრდა ქალს პქონდა ლამაზი ვარდისფერი ლოკები, მას არქმევდნენ “გულბაჟარს”, გაზაფხულის ვარდს. შემდეგ მას სასწრაფოდ მოაქცევდნენ ისლამზე, ყოველივე ამის შემდეგ გოგონა ეუფლებოდა სასახლის ეტიკეტსა და ისლამურ კულტურას (კრუტიკ 1989:30). სელიმ II-ის ცოლის – ნურბანუს თავდაპირველი სახელი ცეცილია იყო და წარმოშობით გენეციელი იყო (ალდერსონი 1956:82). 12 წლის ასაკში, 1557 წელს, ის ტყვედ ჩავარდა. ლამაზი და მომღიმარი გარეგნობის გოგონა სულტანს მიჰვარეს და “ნურბანუ” შეარქვეს, რაც თურქულად ნიშნავს “მანათობელ პრინცესას” და ისლამიც მიაღებინეს (ჯემი 2003:88). სულეიმან I-ის (1520-1566) ცოლი როკსოლანა, ევროპაში ცნობილი როგორც “როსა”, წარმოშობით იყო გალიციელი ტყვე ქალი, თურქებმა მას დაარქვეს ჰურემი ანუ “მომღიმარი” თავისი მხიარული სიცილის გამო (კინროსი 2002:236).

სულტნის მხევალს “ოდალისკი”-ი¹⁵ ერქვა, სიტყვა-სიტყვით ითარგმნება, როგორც “ოთახის ქალი” და ნიშნავს საყვარელს, ხარჭას, ხასას, ან მხევალს, რომელზედაც სულტანი ან უფლისწული დაქორწინდებოდა (ჩლაიძე 2001ბ:1081). ისინი სწავლობდნენ ცეკვას, პოეზიას, მუსიკალურ ინსტრუმენტებს და ეროტიკულ ხელოვნებას. ყველაზე მომხიბვლელი “ოთახის ქალებიდან” თორმეტს არჩევდნენ, როგორც სულტნის “მომღოდინე ქალები” (gedikli). მათ ევალებოდათ სულტნის ჩაცმა, ბანაობა, სარეცხის გარეცხვა, ყავითა და ჩაით გამასპინძლება. მოწონების შემთხვევაში სულტანი მათ თავისთან იტოვებდა. თუმცა “ოთახის ქალების” ძირითადი ნაწილი არ გამოირჩეოდა დიდი სილამაზით და ისინი იყვნენ სასახლის მოსამსახურები. ხშირად სულტანი “ოთახის ქალს” ანუ ხარჭას, საჩუქრის სახით რომელიმე ფაშას აძლევდა. მუსლიმური ეტიკეტის მიხედვით ფაშას უნდა გამოესყიდა ეს ქალი და ცოლად შემდეგ მოეყვანა (ბუქური 2007:291).

დანარჩენი “ოთახის ქალები” იყვნენ პირადად სულტნის ცოლების (Kadınlar), ქალიშვილების, შავი ან თეთრი საჭურისების უფროსის სამსახურში.

¹⁵ “ოდალისკი” მომღინარეობს თურქული სიტყვიდან – “oda”, რაც ოთახს ნიშნავს.

გლიერი ფიზიკური მონაცემების “ოთახის ქალები” ხდებოდნენ ჰარემის მთავარი ადმინისტრატორები სხვადასხვა სფეროში, როგორიც იყო: აბანოს მეთვალყურე, უურანის წამკითხველი, საწყობის მეთვალყურე და ა.შ. “ოთახის ქალს” შეეძლო ჰარემის უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა ან შეიძლებოდა ის ხელახლა გაეყიდათ მონათა ბაზარზე (კრუტი 1989:33).

ჰარემის შემდეგ საფეხურზე იყვნენ “gedik”-ი¹⁶ ან “პრივილეგირებული”, რომელიც სულტანს ნანახი ჰყავდა ან კონტაქტიც ჰქონდა მასთან. ისინი არა მხოლოდ ლამაზები იყვნენ, არამედ განათლებული და მოსიყვარულენი, თუმცა ისინი ისევ ქალიშვილები იყვნენ. სხვადასხვა პერიოდში ეს გოგონები იწოდებოდნენ, როგორც “gözde”¹⁷, რომლებიც ხშირად უერთდებოდნენ “ikbal”¹⁸-ებისა და “hassodalik”¹⁹-ების კატეგორიას, ამისათვის მათ უნდა გაეჩინათ შვილი.

ის ვინც შეძლებდა სულტნის უურადღების მიპყრობას და მასთან ლამეს გაატარებდა, საკუთარ ოთახს იმსახურებდა თავისი მონებით, სამზარეულოს მოსამსახურებითა და საკუთარი საჭურისებით. თუ რჩეულებს ქალიშვილი შეეძინებოდათ, გადადიოდნენ სასახლეში და ხდებოდნენ ‘Hasseki kadin’²⁰, ქალიშვილის მშობლები. სულტნის გარდაცვალების შემთხვევაში მათ შეეძლოთ გათხოვილიყვნენ. თუ გაუი შეეძინებოდათ, მათი შემოსაგალიც იზრდებოდა და მათი ამბიციაც დაკმაყოფილებული იყო. “ikbal”-ის კატეგორიიდან, სულ მცირე ისინი ხდებოდნენ ‘Hasseki Sultan’²¹-ი ან ახალგაზრდა ვაჟიშვილის დედები, თუმცა ვაჟიშვილის დაღუპვის შემთხვევაში მათ ეს სტატუსი ჩამოერთმეოდათ (ჰამერი 1992:86). მათი სტატუსი ექვივალენტი იყო კანონიერი ცოლის სტატუსისა, მათ ჰქონდათ აპარტამენტები, ჰყავდათ მონები, საჭურისები, ქონება, უამრავი ჩასაცმელი, ძვირფასეულობა და ჯამაგირი (ჰენზერი 2005:176).

¹⁶ gedik – ამ შემთხვევაში ნიშნავს პრივილეგირებულს, რომელიც ჯერ კიდევ არ ჰყავდა სულტანს არჩეული.

¹⁷ gözde – “გოგონა სულტნის თვალში”

¹⁸ ikbal – სულტნის საყვარელი, რომელიც ჯერ არ არის დაწინაურებული kadın-ად.

¹⁹ hassodalik – იღბლიანი ან რჩეული, სულტნის ფავორიტი

²⁰ Hasseki kadin – სულტნის ქალიშვილის დედები

²¹ Hasseki Sultan – სულტნის ვაჟიშვილის დედები

მთავარი “Hasseki Sultan”-ი იყო ყველაზე უფროსი ვაჟიშვილის დედა, რომელიც ტახტზე ასვლისთანავე ხდებოდა “Valide Sultan”-ი²² და მართავდა პარემს. თეორიულად შვილის სიკვდილი ნიშნავდა მისი უფლებების ჩამორთმევას. ასე მოხდა 1603 წელს, როდესაც მეჰმედ III (1595-1603) გარდაიცვალა და საფიქ სულტანი ტრადიციისამებრ “ძველ სასახლეში” გადაიყვანეს. საფიქს უფლება აღარ ჰქონდა ემართა პარემის ხარჯები (გარდა საკუთარი ხარჯებისა). შესაბამისად, მან ვერც წამოწყებული “ვალიდეს მეჩეთი”-ს აშენება დაასრულა (ბეითსი 1978:254).

ვალიდე სულტანი იყო პარემში ყველაზე დიდი ძალაუფლების მქონე ქალბატონი. მეტად გავლენიანი ადგილი პარამხანის ქალთა შორის ეკავა სულტნის დედას – ვალიდეს, თუმცა ისიც, როგორც სხვა დანარჩენი პარამხანის წევრი ქალები, დამოკიდებული იყო პარამხანის შავი საჭურისების მეთაურზე – “კიზლარ აღასი”-ზე (“გოგონათა უფროსი”) (მილერი 1947:46). მუსლიმი მამაკაცი დიდ პატივს სცემდა დედას. გადმოცემით, “კაცს შეიძლება ჰყავდეს ბევრი ქალი, მაგრამ დედა ერთი ჰყავს”. დედებს ისინი ანდობდნენ პარემის მთელ ქალბატონებს (კრუტი 1989:34).

სულტნის გარდაცვალებიდან არაუგვიანეს ორი კვირისა ეწყობოდა ახალი ვალიდე სულტნის კურთხევის ცერემონიალი. ეს პროცესია მეტად დიდებული და შთამბეჭდავი იყო. ცერემონიაზე პირველი მიემართებოდა იენიჩართა და ცხენოსანთა რაზმი, მათ მიჰყვებოდნენ ქალაქის მმართველები თავიანთი ოფიცრებით, რომლებსაც თავზე თეთრი ჩალმის ქუდები ეხურათ. ამ ცერემონიაზე უტყუარ ცნობებს გვაწვდის ფრანგი მოგზაური ტავერნივ. მონაწილეთა ჩასაცმელი მორთული იყო პატარა ზარებით. პროცესის მოპყვებოდა 600 სამეფო შთამომავალი დიდი მწვანე ჩალმის ქუდებით და შეიხულ-ისლამი. მათ მოპყვებოდნენ სახელმწიფო მოხელეები და შემდეგ მოდიოდა შავი საჭურისების მეთაური. ყოველივე ამის უკან მოდიოდა ეტლი, რომელშიც იჯდა ვალიდე თავისი ქალიშვილებით, მას უკან მოსდევდა მონებითა და მსახურებით სავსე 12 ეტლი და 4 დიდი თოვლით სავსე ფურგონი, რომელიც პარემში გამოიყენებოდა. ვალიდეს მიაცილებდნენ “ბედნიერების ჭიშკრამდე” სადაც თავად ახალი სულტანი ხვდებოდა და თავის თავზე იდებდა დედაზე ზრუნვას (ტავერნი 1678:89-90). ასე სრულდებოდა სულტნის დედის ძელი

²² Valide Sultan – სულტნის დედა

სასახლიდან ახალ სასახლეში გადასვლის ცერემონიალი. წინა სულტნის დედა და ცოლები თავიანთი ამაღლით კი უკან ბრუნდებოდნენ ძველ სასახლეში. ამ სასახლეს ასევე ერქვა “ცრემლების სასახლე”. მათ ყოფილ საცხოვრებელს სულტნის სასახლეში ანგრევდნენ და მის ნაცვლად ახალს აშენებდნენ (კრუტიე 1989:36). აქვე ფრანგი მოგზაური ეჭვს გამოთქვამს, რომ სულეიმან II-ის (1687-1691) დედამ დაიკავა ვალიდეს თანამდებობა შვილის გამეფებიდან შვიდი თვის შემდეგ. მიზეზი უცნობია. სულეიმანი ტახტზე ავიდა ნოემბერში, ხოლო ვალიდე სალიპა შემდეგი წლის ივლისში გახდა ვალიდე, რომლის შემდეგაც მოხუცმა ქალმა მხოლოდ 18 თვე იცოცხლა (ტავერნიე 1675: 89-90).

ვალიდე თავის მმართველობის პირველივე დღეს დიდვეზირსა და შეიხ-ულ-ისლამს საჩუქრად უგზავნიდა ძვირფასი ქვებით მოჭედილ ხმალსა და სიასამურის ბეწვის პალტოს. თუ ვალიდე თავის შვილზე ადრე გარდაიცვლებოდა, სულტანი დედის ნეშტს “ბედნიერების ჭიშკრამდე” (*Bab-iül-Hümâyün*) მიაცილებდა, საიდანაც ნეშტს დაცვის თანხლებით სასაფლაოზე მიასვენებდნენ, ხოლო 40 დღის გლოვის შემდეგ ყოფილი ვალიდე სულტნის ქალთა ამალას უკან გაიწვევდა ძველ სასახლეში.

სულტნის მცირეწლოვანების შემთხვევაში, ვალიდე სულტანი ხდებოდა მისი შემცვლელი, ანუ რეგენტი. თუ სულტანი ლაშქრობაში ან სამოგზაუროდ მიდიოდა, თავის ტახტს სამმართველოდ დედას უტოვებდა. დედის გარდა ეს საქმე შეიძლება მიენდო ტახტის მემკვიდრისათვის, დიდვეზირისათვის, ან რომელიმე ვეზირისათვის (ბუქური 2005ბ:210).

ამრიგად, ჰარემის იერარქია ასე მიემართებოდა ქვემოდან ზემოთ: მონა და ტყვე ქალები, მოსამსახურე ქალები ან “ოთახის ქალები” (*odalisk*), პრივილეგირებულები (*gedik*) და სულტნის ფავორიტები (*gözde*), იდბლიანები (*ikbali*), ან რჩეულნი (*hassodalik*), სულტნის ქალიშვილის დედები (*haseki kadin*), სულტნის ვაჟიშვილის დედები (*hasseki sultan*) და იერარქიის სათავეში იდგა სულტნის დედა (*valide sultan*).

კვირაში ორჯერ ჰარემის გოგონებს შეეძლოთ დაცვის თანხლებით ესეირნათ სასახლის ეზოში, ხანდახან კი დახურული ფურგონებით პიქნიკედაც კი დადიოდნენ, აქაც საჭურისების თანხლებით. ჰარემის ეზოში იყო საცურაო აუზი, რომელშიც წყალი კარგად თბებოდა.

ჰარემის მეტად კორუმპირებულ ფენას წარმოადგენდა „kira”²³ – ს კატეგორია, ისინი იყვნენ ვალიდე სულტნის საქმიანი აგენტები. მათი ძალაუფლება გრცელდებოდა ჰარემის ქალებზე და ამ გზით სულტანზედაც. მათვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა ჰარემის სტუმრების მიერ გადგებული საჩუქრები ჰარემის ქალთან დამის გასატარებლად.

ჰარემის ქალთა უმრავლესობა ახალგაზრდა ასაკში ესალმებოდა სიცოცხლეს. ასეთი მოვლენა არაერთხელ დაჩქარებულა სხვადასხვა მეთოდით. 1600 წელს ინგლისელი ელჩი ოსმალეთის იმპერიაში პენრი ლელო მოგვითხრობს ჰარემის ინტრიგებზე. ქალების უმრავლესობა წყალში დახრჩობით ასრულებდა სიცოცხლეს, ამაში დიდი წვლილი საჭურისებს მიუძღვოდა, რომლებიც იჭერდნენ ქალებს, ტომრებში ათავსებდნენ, ნავში სვამდნენ და შუაგულ წყალში ისვრიდნენ (ბუქური 2007:295).

დიდი ზარზეიმით აღინიშნებოდა ჰარემში ახალშობილის დაბადება. მშობიარობისათვის სასახლეში წინასწარ იწყებოდა სამზადისი. ასუფთავებდნენ სასახლის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ოთახს და ლამაზად რთავდნენ. საწოლის გადასაფარებლებს და საბნებს წითელი ფერისას არჩევდნენ, ყველა სხვა საჭირო ინვენტარი კი ოქროსი ან ვერცხლის იყო.

ახალშობილის დაბადებას მოელს სასახლეს შავი საჭურისების უფროსი ამცნობდა. ვაჟის დაბადების შემთხვევაში სასახლის თითოეული განყოფილება ხუთ ცხვარს სწირავდა, გოგონას დაბადებისას კი სამს. შესაბამისად, არტილერია შვიდჯერ გაისვრიდა ცეცხლს ვაჟის დაბადებისას და ხუთჯერ გოგონას დაბადებისას. ასე გრძელდებოდა დღეში ხუთჯერ თითოეული ლოცვის დაწყებისას (კრუტი 1989:110). ვალიდე სულტანი და დიდვეზირი საჩუქრებს მიართმევდნენ ახალშობილს და მის დედას. ახალშობილს ასევე ელოდა ძვირფასი ქვებით მოჭედილი აკგანი. ამ ამბიდან დიდი ხნის განმავლობაში ჰარემში გრძელდებოდა ზეიმი და გართობა, ჰარემი განათებული იყო ათასნაირი ლამპებითა და შუქურებით.

ჰარემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენდა თურქული აბანო, რომელსაც თურქულად “პამაზ”-ი (*hamam*) ეწოდება. თურქული აბანო ბიზანტიური აბანოს ადაპტაცია, რომელიც, თავის მხრივ, წარმოიშვა

²³ kira – ნიშნავს ქირას, kiraci –დამქირავებულს, ამ შემთხვევაში საქმიან აგენტს, რომელიც ძირითადად ვალიდე სულტანს ემსახურებოდა

რომაული “თერმი”-დან (*Thermae*), რაც ანტიკური ხანის აბანოს ნიშნავს. თუმცა, ძველი რომაული ანტიკური აბანოები განლაგებული იყო ქალაქებსა და დასვენების ცენტრებში, თურქული “პამამი” კი იმპერიის მთელს პროვინციებში ფართოდ გამოიყენებოდა (კრუტი 1989:81).

ჰარემის ქალები განთქმულნი იყვნენ ატლასისებური კანით, მათთვის დაბანა და განწმენდა რელიგიური ვალდებულება იყო. ამიტომაც, ჰარემში მრავლად იყო აბანოები. სულტანს, მის დედას და ცოლებს საკუთარი აბანოები ჰქონდათ, ჰარემის დანარჩენი ქალბატონები კი საზოგადო აბანოთი სარგებლობდნენ, რომლის ხშირი სტუმარიც იყო თავად სულტანი.

სახელგანთქმული ორიენტალისტი ნ. მ. პენზერი (1892-1960)²⁴, რომელსაც მიუკა იშვიათი შანსი ფეხი შეედგა დიდ სერაგლიოში, მოგვითხრობს, რომ სულტნის სასახლეში იყო კორიდორი, რომელსაც ერქვა “აბანოს კორიდორი”. ის აკავშირებდა სულტნის სამყოფელს “ჰუნკარ სოფასი”-სთან (“სამეფო სალონი”), ამავდროულად კორიდორიდან იყო შესასვლელი ორივე აბანოში (პენზერი 2005:205)

იყო დრო, როცა სულტნის სასახლეში 30-ზე მეტი აბანო იყო. იატაკი დაგებული იყო მდიდრული ფილებით, წყალი მარმარილოს ავზებში ჩაედინებოდა, საიდანაც ოქროსა და ვერცხლის თასებით ქალები ტანზე ივლებდნენ და ერთმანეთსაც ეხმარებოდნენ ბანაობაში.

ჰარემის ქალებისათვის, რომლებსაც თავისუფლება წართმეული ჰქონდათ, “პამამი” იყო მთავარი თავშესაქცევი ადგილი. ბანაობის ცერემონია რამოდენიმე საათს გრძელდებოდა და ძირითადად საღამოობით ტარდებოდა.

აბანო იყო ქალების გაცნობის ადგილი, ისინი იქ ერთმანეთსაც ათვალიერებდნენ. ხშირად სულტნის და “პამამში” ირჩევდა თავისი ძმისთვის შესაფერის ქალს.

ტრადიციისამებრ ქალი ქორწინების წინა ღამეს აბანოში მიდიოდა. პრინცესა სასახლის აბანოთი სარგებლობდა. მას იქ მიჰყებოდა თავისი დედა,

²⁴ ნ. მ. პენზერი – სახელგანთქმული ორიენტალისტი (1892-1960). 1936 წელს მან მოახერხა ფეხი შეედგა “დიდებულ სერაგლიოში” (Great Seraglio). პენზერმა მთლიანად დაათვალიერა სულტნის სასახლე, რომელიც მან ორი წლის განმავლობაში რამოდენიმეჯერ მოინახულა.

ნათესავები და ახვედრებდნენ 200-მდე ქალს, რომლებიც საპატარძლოს საჩუქრებს აძლევდნენ.

ჰარემსა და ზოგადად ოსმალეთის იმპერიის შესახებ მნიშვნელოვანი წყაროა ევროპელი მოგზაურების ჩანაწერები. ისინი ოსმალეთის იმპერიაში ჩამოდიოდნენ როგორც ევროპელი მმართველების წარგზავნილები, ან იყვნენ გზად მიმავალნი ახლომდებარე ქვეყნებში. ისინი ტოვებდნენ თავიანთი მოგზაურობის აღწერილობას, რაც ჩვენთვის მეტად ლირებული ისტორიული წყაროა. აღსანიშნავია, რომ ისინი ადგილობრივ ინფორმაციას მეტწილად დებულობდნენ ოსმალო არამუსლიმ ქალთაგან, ეს უკანასკნელნი ხშირად ევროპელი მოგზაურების თარჯიმნები იყვნენ.

ჰარემის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ლედი მერი მონტეგიუ, ინგლისელი ელჩის ცოლი, რომელმაც 1717 წელს იმოგზაურა სტამბოლსა და ედირნეში და თავისი თვალით იხილა XVIII საუკუნის ოსმალეთის იმპერიაში ჰარემის ცხოვრება. ის ასე აღწერს იქაურობას: “17 წლის გოგონა ჰარემში იყო სრულიად შიშველი და გარს ეხვივნენ ასევე შიშველი ქალები, ისინი შემოსილები იყვნენ გრძელი ნაწნავებით, პქონდათ საოცრად თეთრი კანი და ლამაზი ფართო თვალები. ისინი ცეკვავდნენ და მღეროდნენ (მონტეგიუ 1861). ლედი მერი მეტად უცნაურად იყო ჩაცმული თურქი ქალის თვალში. აბანოში ქალებს თავს დასტრიალებდნენ მოახლეები, რომლებიც მათ თმებს უვარცხნიდნენ. ინგლისელი ელჩის ცოლს კარგი მასპინძლობა გაუწიეს ედირნეში, სადაც ის ესტუმრა დიდვეზირის ცოლს. ეტლიდან შავი საჭურისების მეთაურმა ჩამოაბრძანა, შემდეგ გაიარეს რამოდენიმე ოთახი, სადაც ორ რიგად ჩამწკრივებული გოგონები ისხდნენ ლედის პატივსაცემად. დიდვეზირის ცოლი სიასამურის ბეწვით იყო გამოწყობილი. ჰარემის გოგონებს ემოსათ ნაქარგი ხალათები. საჭურისებმა ლედი მერი წაიყვანეს ყვავილების პავილიონში, რამაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ერთ-ერთ ოთახში ოთხი ქალი საკრავზე უკრავდა, ხოლო 16 ქალი რიგრიგობით ცეკვავდა. სტუმარი რომ გააცილეს, საჩუქრად გადასცეს ვერცხლის კალათა, რომელიც სავსე იყო ნაქარგი ცხვირსახოცებით.

ჰარემის და ზოგადად ქალის შესახებ თურქეთში ცნობებს ვხვდებით მეორე უცხოელი მოგზაური ქალის ნაშრომში, რომელმაც მე-18 საუკუნეში იმოგზაურა თურქეთში, ეს გახლავთ ელისაბედ ლედი ქრავენი (1750-1828). მან დაწერა რამოდენიმე ოფიციალური წერილი და 1789 წელს გამოაქვეყნა, როგორც

“მოგზაურობა ყირიმიდან კონსტანტინოპოლიში”. თურქეთი, რომელსაც ქრავენი აღწერს, არის ევროპაზე ჩამორჩენილი და ნაკლებად მიმზიდველი ქვეყანა. ქრავენი ხშირად გამოხატავს უკმაყოფილებას ოსმალური საზოგადოების მიმართ.

ყველაზე მნიშვნელოვანი არის ელისაბედ ქრავენის შეხედულებები თურქ ქალზე. ლედი მერი მონტეგიუს აღწერილობებისაგან განსხვავებით, ის ამბობს, რომ თურქი ქალები არიან ძალიან მახინჯები და დასძენს: “უდავოა, რომ ბუნებას სურდა ეს ქალები სილამაზით დაეჯილდოვებინა, მაგრამ მათი უშნო წარბები, მოწევისაგან გაშავებული შავი კბილები, მოხრილი მხრები, მათ გარეგნობას საზიზდარს ხდის, ... შავი ფერის ნელსაცხებელი, რითიც ისინი თვალებს იღებავენ, მათ უკმერ გამოხედვას ანიჭებს” (კრავენი 1970:294-95).

თურქ ქალის თმის შავ ფერზე ყურადღებას ამახვილებენ სხვა ევროპელი მოგზაურებიც, ევროპელი ელჩი: გ. პოსტელი, რომელიც სტამბოლს ეწვია 1535 წელს დასძენს, რომ თურქ ქალებს მოსწონდათ თმის შავი ფერი, ხოლო წარბებს აერთიანებდნენ, რაც მათ სილამაზედ მიაჩნდათ.

ლუიჯი დე ზარა ბასანო, რომელიც სტამბოლში იმყოფებოდა 1537-1540 წლებში, რომში დაბრუნების შემდეგ გამოსცა წიგნი ოსმალო ხალხის ადათ-წესებზე, რომელიც შეიცავდა აღწერილობას ქალთა მდგომარეობის შესახებ. ისიც ასევე აღნიშნავს, რომ ოსმალო ქალს ძალიან უყვარდა შავი ფერის თმა და სხვა ფერის თმებს შავად იღებავდნენ.

ერთ საკითხში, რომელიც შეეხება თურქი ქალის თავისუფლებას, განსაკუთრებით მათ დამოკიდებულებას მამაკაცის მიმართ, ლედი ქრავენი ეთანხმება ლედი მერის. ქრავენი აღტაცებით აღნიშნავს: “ მე ვფიქრობ მე არ მინახავს მეორე ასეთი ქვეყანა, სადაც ქალს ამხელა თავისუფლება აქვს, როგორც ეს თურქეთშია. თურქი ქმარი, რომელიც დაინახავს ფლოსტებს ჰარემის კართან, აღარ შევა შიგნით (კრავენი 1970:270).

ლედი მერი წერს: “აღვილი შესამჩნევია, რომ მათ აქვთ იმაზე მეტი თავისუფლება, ვიდრე ჩვენ,” ის გაოცებით დასძენს, რომ “გრძელი ჩადრი, რომელსაც ქალები ატარებენ, იმდენად ნიდბავენ მათ, რომ ძნელია განასხვავო ძალაუფლების მქონე ქალი თავისი მონისაგან და შესაბამისად ეჭვიან ქმარს გაუჭირდება ამოიცნოს თავისი საკუთარი ცოლი, როდესაც მას შეხვდება ... ეს განაპირობებს ქალთა დიდ თავისუფლებას “ (მონტეგიუ 1965:328).

იგივე ფაქტზე არის ყურადღება გამახვილებული ლედი ქრავენის მიერ თურქი ქალის აღწერისას აბანოში: “მე შევედი აბანოს წინამდებარე ოთახში, ეს არის ქალთა გასახდელი ოთახი, იქ იყო დაახლოებით 50 ქალი, ზოგიერთ მათგანს თმები დაბანილი ქონდა, ზოგს შედებილი და დაწნული, ზოგიერთი იყო ტუალეტში ... ეს აბანოები დიდი გასართობია ქალთათვის, ჩვეულებრივ ისინი იქ 5 საათი რჩებიან, ძირითად დროს ატარებენ როგორც წყალში, ისე ტუალეტში – მაგრამ მე ვფიქრობ, რომ არასოდეს არ მინახავს ერთად ამდენი მსუქანი ქალი ... რამოდენიმე ქალს ჰქონდა ნაზი კანი და ლამაზი ნაკვთები ... (კრავენი 1970:342)

ლედი ქრავენი აგრეთვე ესტუმრა პარემს და აღწერს: “შეუძლებელია წარმოიდგინო ამაზე უფრო სუფთა ოთახი ინტერიერში, ვიდრე ეს არის პარემი; იატაკი და გასასვლელი დაფარულია ჭილობით, რომელიც არის ჩალის ან ლერწმის ფერი, რომლისაგანაც ისინი არის დამზადებული. ოთახებში არანაირი ავეჯი არ დგას, გარდა ბალიშებისა, რომლითაც მთელი ოთახი იყო მოფენილი და ასევე ფარდები. ამდენად თურქები, არც კაცი და არც ქალი, ფლოსტებით არ შედის ოთახში, იქ არ არის რაიმე სილის ან ჭუჭყის კვალი (კრავენი 1970:294).

ლედი ქრავენი პარემს წარმოგვიდგენს, როგორც ყველაზე დაცულს და წმინდა ადგილს და დასძენს: “პარემი არის წმინდა ადგილი, თუნდაც თავისი მფლობელისთვის, რომელმაც დაიპყრო მათი სიცოცხლე, მხოლოდ იმიტომ, რომ ის არის მდიდარი. შეიძლება ითქვას, რომ თურქეთში ქალები არიან დაცულნი ფუჭი, უსარგებლო ცხოვრებისაგან, და ვერაფერი მთელს მსოფლიოში ვერ დაარღვევს მათ მყუდროებას. მათი ტალანტი, სილამაზე, ბედნიერება თუ უბედობა დაფარული და შენიდბულია ბოროტი თვალისაგან (კრავენი 1970:305).

თავისი ჩანაწერები დაგვიტოვა ინგლისელმა თომას დალამბა, რომელიც სტამბოლს ეწვია 1599-1600 წლებში, მან მეჰმედ III-ს (1595-1603) საჩუქრად ჩამოუტანა ინგლისის დედოფალ ელისაბედის მიერ გამოგზავნილი ორდანი. თომას დალამბა სულტნის სასახლეში თვალი მოჰკრა ლამაზ თურქ ქალებს და შესაბამისად აღწერა თავის ჩანაწერებში.

ამრიგად, ჩვენ დავინახეთ, რომ პარემი, რომელიც აზიური სამყაროს მრავალ ქვეყანაში არსებობდა, ყველაზე განვითარებული ოსმალეთის იმპერიაში იყო. ის საუკუნეების განმავლობაში ოსმალო სულტნის სასახლის შემადგენელი ნაწილი იყო. კერძოდ, პარემის გადატანა სულტნის სასახლეში 1541 წელს მოხდა, მას შემდეგ, რას სულტანმა როგორიცაც თავისი საცხოვრებელი იქ გადაიტანა და ამით პრეცედენტი შექმნა ოსმალეთის იმპერიაში.

პარემის ქალთა უმრავლესობა ქრისტიანი და არამუსლიმური წარმოშობის იქო, ისინი ყველაზე ლამაზი ქალები იყვნენ ოსმალეთის იმპერიაში, რომლებიც სულტნის პარემში ძირითადად მონათა ბაზრებიდან ხვდებოდნენ. ეს ქალები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რათა პარემში წარმატება მოეპოვებინათ. მრავალი იღბლიანი მონა ქალი სულტანი ვალიდე გახდა.

პარემის სოციალური სტრუქტურა იერარქიული იქო. ეს სტრუქტურა ჩამოყალიბდა ისლამისა და სახელმწიფოს მოთხოვნილებათა გავლენით. სულტანი ვალიდე განაგებდა პარემს, ის იყო პირამიდის თავში და მას მხოლოდ შვილის სიკვდილის შემდეგ კარგავდა თავის ტიტულს. მონა ქალები კი პარემის იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურზე იყვნენ.

XIX საუკუნეში სულტანი აბდულ-მეჯიდი თოფკაფიდან გადავიდა ახალ სასახლეში (ბოსფორის ახლოს). ამავე სასახლეში გადავიდა სულტნის პარემიც. ოსმალეთის იმპერიის დაშლასთან ერთად მოიშალა პარემის ტრადიციაც. 1923 წელს მუსტაფა ქემალ ათათურქმა (1881-1938წწ.) სულტნის ინსტიტუტთან ერთად პარემიც გააუქმა.

ასეთი იყო პარემი და მისი იერარქია ოსმალეთის იმპერიაში, სადაც საუკუნეების განმავლობაში იწერებოდა ქალთა საინტერესო ისტორიები.

4. გალიდე სულტანი.

ქალთა მმართველობა ოსმალეთის იმპერიაში

ქალის საკითხის განხილვისის თურქეთში შეუძლებელია გვერდი აუარო ისეთ დიდ თემას როგორიცაა ვალიდე სულტნების ისტორია. ვალიდე სულტნების ანუ სულტნის დედების ისტორია ოსმალეთის ისტორიის ყველაზე საინტერესო თემაა. მათ და აგრეთვე სასახლის სხვა გავლენიანმა ქალებმა ოსმალეთის იმპერიაში შექმნეს ხანა, რომელიც ისტორიაში ცნობილი გახდა “ქალთა მმართველობის” სახელით.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენამდე მრავალმა წყარომ მოაღწია. აღნიშნულ თემაზე მიმოხილვა რამდენიმე ქვეთავად არის წარმოდგენილი: ა) ვალიდე სულტნის წოდების ზოგადი აღწერილობა; ბ) ვალიდე სულტნები როგორც რეგენტები; გ) ვალიდე სულტნების განუსაზღვრელი უფლებები – “ქალთა მმართველობა” ოსმალეთის იმპერიაში დ) ვალიდე სულტნები როგორც დინასტიის დამცველები; ე) ვალიდე სულტნის ინსტიტუტის დასასრული.

ვალიდე არაბული სიტყვაა, არაბულად ვალიდათუნ ნიშნავს დედას, ვალიდუნ – მშობელს. ვალიდე სულტანი არის წოდება (ტერმინი), რომელიც მიენიჭებოდა სულტნის დედას. სულტნის დედების მოხსენიებისას ასევე იყენებდნენ ტერმინს “*Mehdi Ulya*” – უმაღლესი ხელისუფლის მშობელი.

ვალიდე სულტნის წოდება, გადმოცემის თანახმად, პირველად მურად III-მ (1574-1595წ.) შემოიდო და შემდგომში დიდხანს არსებობდა. ვალიდეს ტიტული უნარჩუნდებოდა დედას შვილის სულტნობის პერიოდში. “სულტნის სიკვდილის ან სხვა განსაკუთრებული შემთხვევის დროს სულტნის ცოლები, დედები და ქალიშვილები თოფკაფიდან ანუ ახალი სასახლიდან ძველ სასახლეში გადაჰყავდათ და ახალი სულტნის დედას ანიჭებდნენ ვალიდეს წოდებას, რომელიც ძველი სასახლიდან (*Eski Saray*) თოფკაფის სასახლეში გადადიოდა” (ფაქტალინი 1993:582).

ოსმალეთის იმპერიის აღმოცენებიდან, ანუ XIV საუკუნიდან მოყოლებული, უფლისწულთა დედებს პქონდათ მნიშვნელოვანი როლი თავიანთი შვილების პოლიტიკურ აღზრდასა და მეურვეობაში, როლი, რომელიც მათ დინასტიის არსებობის მთელს მანძილზე შეინარჩუნეს. მეურვის, ანუ რეგენტის წოდება დედებს ოსმალებამდეც გააჩნდათ. თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში

ასეთი რეგუნტი ქალი იყო სულტან მელიქ-შაჰის (1072-1092) მეუღლე და სულტან მაჰმუდის დედა თურქან ხათუნი. ის ერთ-ერთი თვალსაჩინო ქალი იყო თურქეთის ისტორიაში, თუმცა ოფიციალურად არ ფლობდა სახელმწიფოს მართვის სადაცებს, მას მეტად დიდი ძალაუფლება ჰქონდა მინიჭებული. წარმოშობით ყარახანიანთა სახელმწიფოდან იყო. მას შემდეგ, რაც გახდა მალიქ შაჰის ცოლი, მისი გავლენის ქვეშ აღმოჩნდა 12 ათასიანი ჯარი. ჯერ კიდევ მალიქ შაჰის დროს ის იღებდა მნიშვნელოვან ზომებს, რომ მისი შვილი მაჰმუდი სულტანი გამხდარიყო. “მალიქ შაჰის ცოლმა თურქან ხათუნმა ხალიფა მუკოედს 100 ათასი ოქრო გაუგზავნა იმ მიზნით, რომ მელიქ შაჰის შვილს მაჰმუდს უბრძანოს ერთგულება გამოუცხადოს მას.” (შენგელია 2003:389). მან დაამარცხა ტახტის მეორე პრეტენდენტი ბარქიაროქი, რომელიც მელიქ შაჰს სხვა ცოლისაგან ჰყავდა და მამის სიკვდილის შემდეგ მაჰმუდი სულტანი გახდა. თურქან ხათუნი კი სულტნის მცირეწლოვანობის გამო რეგუნტი. ამ ფაქტს ადასტურებს XII საუკუნის ისტორიკოსი სადრ ად-დინ ალ-ჰუსაინი, რომელიც თავის ნაშრომში “ცნობები სელჩუკთა სახელმწიფოზე, რომელიც იუწყება სელჩუკთა ემირებსა და მმართველებზე” წერს: “როდესაც მელიქ შაჰი გარდაიცვალა ბაღდადში, გვერდზე არ აღმოჩნდა არცერთი მისი ვაჟი გარდა მაჰმუდისა, რომელიც მცირეწლოვანი იყო. ჯარმა მას შეჰვიცა შემდეგ მიზეზთა გამო: პირველი – მისი დედა – თურქან-ხათუნი სულტან მალიქ-შაჰის მმართველობის დროს მეტად გავლენიანი გახდა და შეიქმნა სრულუფლებიანი ყველა საქმეში. ის იყო კეთილმოსურნე ჯარის მიმართ და მათაც არჩიეს მისი ვაჟი. მეორე მიზეზი იყო ის, რომ ის იყო თურქ მეფეთა შთამომავალი. ამბობდნენ, რომ ის იყო აფრასიაბას გვარიდან. მესამე მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ მის ხელთ იყო ფული და ის გასცემდა ჯარზე თანხას. ამიტომაც შეჰვიცეს მათ მაჰმუდს და თან წაიყვანეს ისფაპანში” (სადრ ად-დინი 1980:78-79).

სულტნის სასახლე შედგებოდა მამაკაცთა განყოფილებისაგან და ქალთა ჰარამხანისაგან. როგორც ზემოთ ვთქვით, ჰარამხანს იცავდნენ შავი საჭურისები. “მეტად გავლენიანი ადგილი ეპავა ჰარამხანის ქალთა შორის სულტნის დედას (ვალიდეს), თუმცა ისიც, როგორც სხვა დანარჩენი ჰარამხანის წევრი ქალები, დამოკიდებული იყო ჰარამხანის შავი საჭურისების მეთაურზე – “ყიზლარ აღასიზე” (“გოგონათა უფროსი”)” (მილერი 1947:46).

“მეჰმედ II-ის (1451-1481) დროს ჰარამხანაში 300-ზე მეტი ქალი ცხოვრობდა. მათ ყოფაცხოვრებას თვალყურს ადეგნებდა სულტნის დედა ვალიდვა, რომელიც

დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. დროთა განმავლობაში მისი გავლენა კიდევ უფრო გაიზარდა და ხშირად იგი სახელმწიფო საქმეებშიც კი ერეოდა.

ძველი სასახლიდან ახალ სასახლეში გადასვლისას იმართებოდა ცერემონიალი, რომელსაც Valide Alay, ანუ ვალიდეს პატივსაცემად გამართული ცერემონიალი ეწოდებოდა. ახალი სულტანი ტახტზე ასვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ ბრძანებას გასცემდა თავისი დედის ძველი სასახლიდან ახალ სასახლეში გადაყვანის შესახებ. ვალიდესთან ერთად ახალ სასახლეში გადადიოდა მთელი ამალა მსახურებისა. “იმ გზაზე, სადაც ვალიდე ტახტრევანზე მჯდომი ჩაივლიდა, უამრავი ხალხი იყო შეკრებილი. იენიჩრები²⁵ მისალმებით ხვდებოდნენ, როდესაც ვალიდე მონებს ჩაუვლიდა, მათ საჩუქრებს და ახალ ფულს ურიგებდა. სასახლეში შესვლისას სულტანი ეგებებოდა დედას, ხელებს უკოცნიდა და სიხარულით შიგნით შეუძლვებოდა” (ფაქალინი 1993:581).

ვალიდე სულტანი ტახტის მემკვიდრეზე მადლა იდგა. ტახტის მემკვიდრეს რიგით მესამე ადგილი ეკავა. “ვალიდეს მმართველობა შვილის სულტნობის პერიოდს მოიცავდა. თუ შვილი გარდაიცვლებოდა ან ტახტიდან ჩამოაგდებდნენ, ისიც (ვალიდე) კარგავდა თავის ტიტულს და “ძველი ვალიდე სულტნის” სახელით იწოდებოდა (“Eski Valide Sultan”)” (ოზთუნა 1986:17).

სულტნის მცირეწლოვანობის შემთხვევაში, ვალიდე სულტანი ხდებოდა მისი შემცვლელი. თუ სულტანი ლაშქრობაში ან სამოგზაუროდ მიღიოდა, თავის ტახტს სამმართველოდ დედას უტოვებდა. დედის გარდა ეს საქმიანობა შეიძლება მიენდო ტახტის მემკვიდრისათვის, დიდგენირისათვის, ან რომელიმე გეზირისათვის.

ვალიდე სულტნების რაოდენობა 22-ია. “ეს 22 ვალიდე სულტანი ჯამში 226 წელი მართავდა ქვეყანას. 22 ვალიდედან 6 შვილების გარდაცვალების შემდეგ “ძველი ვალიდე სულტნის” სახელით განაგრძობდა ცხოვრებას, 15 კი

²⁵ იენიჩრები – იენიჩართა კორპუსი [თურქ. yeniçeri, “ახალი ჯარი”] – სამხედრო კორპუსი ოსმალეთის იმპერიაში, რომლის დაკომპლექტება ხდებოდა დევშირმეს (სამხედრო ბეგარა) წესით აღზრდა-განათლება მიღებულ ქრისტიანული წარმომავლობის გამუსლიმებულ ჭაბუკთაგან. კორპუსის შექმნის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი იყო ბიზანტიულთა წინააღმდეგ ომებში, უპირველესად კი მათი დაცული ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეების აღებისათვის ორგანიზებული ინფანტერიის არსებობის აუცილებლობა (სვანიძე 1999:82).

შვილების სულტნობის პერიოდში გარდაიცვალა” (ოზოუნა 1986:17). ზოგიერთი ვალიდეს მმართველობის დრო ძალიან მოკლეა:

მეჰმედ I (1413-1421) დედა დევლეთ ხათუნი – 6 თვე;

მუსტაფა I (1617-1618) დედა – 1 წელი, 6 თვე;

აქმედ I (1603-1617) დედა პანდან სულტანი – 1 წელი, 11 თვე, 6 დღე;

სულეიმან II (1687-1691) დედა სალიპა დილაშუბი - 1 წელი, 11 თვე, 27 დღე;

ოსმან III (1754-1757) დედა შეპსუგარ სულტანი – 1 წელი, 2 თვე;

მურად V (1876) დედა შევქ ეფთა სულტანი – 3 თვე, 2 დღე.

ზოგიერთი ვალიდე კი დიდი ხნის მანძილზე ფლობდა ტიტულსა და თანამდებობას:

მეჰმედ IV (1648-1687) დედა ხადიჯე თურპან სულტანი – 34 წელი, 10 თვე, 28 დღე;

აბდულ-ჰამიდ II (1876-1909) დედინაცვალი რაპიმე ფერესთუ სულტანი – 28 წელი;

მურად IV (1623-1640) დედა ქოსემ მაჰფეიქერ სულტანი – 25 წელი, 1 თვე, 28 დღე;

მუსტაფა II (1695-1703) დედა ემეთულაჲ რაბია გულნუშ – 20 წელი, 8 თვე;

აქმედ III (1703-1730) დედა ემეთულაჲ რაბია გულნუშ – 20 წელი, 8 თვე;

სელიმ III (1789-1807) დედა მიჰრი შაჲ სულტანი – 16 წელი, 6 თვე, 9 დღე;

აბდულ-აზიზი (1861-1876) დედა ფერთევ ნიალ სულტანი – 14 წელი, 11 თვე, 5 დღე (ბუქური, 2004ა: 38).

ჯამში კი ოსმალეთში ვალიდე სულტნების რაოდენობა ქრონოლოგიის მიხედვით ასე გამოიყერება:

1. ნილუფერი (1359-უცნობი), ორპან I-ის ცოლი, მურად I-ის დედა, ნილუფერ ხათუნი;
2. ჰუმა (1432-უცნობი) მურად II-ის ცოლი, მეჰმედ II-ის დედა, ჰუმა ხათუნი;
3. ამინა გულბაჲარი (1481-1492) მეჰმედ II-ის ცოლი, ბაიაზედ II-ის დედა, გულბაჲარ ხათუნი;
4. აიშე ჰაფსა (1520-1534) სელიმ I-ის ცოლი, სულეიმან I-ის დედა;
5. ჰურემი, იგივე როგორი, (1500-1506—1558) სულეიმან I-ის ცოლი, სელიმ II-ის დედა;
6. ნურბანუ (1574-1583) სელიმ II-ის ცოლი. მურად III-ის დედა;
7. საფიე სულტანი (1594-1603) მურად III-ის ცოლი, მეჰმედ III-ის დედა;

8. პანდანი (1603-1603) მეტედ III-ის ცოლი, აქმედ I-ის დედა;
9. მაჟურუხ პადიჯე (1617-1621) აქმედ I-ის ცოლი, ოსმან II-ის დედა;
10. ქოსემი (1623-1648) მაჟურეიქერი, აქმედ I-ის ცოლი, მურად IV-ისა და იბრაჟიმ I-ის დედა;
11. თურპან პადიჯე (1648-1683) იბრაჟიმ I-ის ცოლი, მეტედ IV-ის დედა;
12. სალიპა დილაშუბი (1687-1689) იბრაჟიმ I-ის ცოლი, სულეიმან II-ის დედა;
13. მაჟურარა უმათულაპ რაბია გულნუშ (1695-1715) მეტედ IV-ის ცოლი,
მუსტაფა II-ისა და აქმედ III-ის დედა;
14. სალიპა საბქათი (1730-1739) მუსტაფა II-ის ცოლი, მაჟურა აქმედ I-ის დედა;
15. შევსუგარი (1754-1756) მუსტაფა II-ის ცოლი, ოსმან III-ის დედა;
16. მიჰრი-შაჰი (1789-1807) მუსტაფა III-ის ცოლი, სელიმ III-ის დედა;
17. აიშე სენიეფერვერ (აიშა სინა ფარვარ, აიშე სინე-ფერვერ) (1807-1808)
აბდულ-კამიდ I-ის ცოლი, მუსტაფა IV-ის დედა;
18. ნაქშედილი (1808-1817) აბდულ-კამიდ I-ის სხვა ცოლი, მაჟურა II-ის დედა
(სავარაუდოდ ის იყო ნაპოლეონის ცოლის ჟოზეფინას ბიძაშვილი);
19. ბეზმიალემი (ბაზიმი ალამი) (1839-1852) მაჟურა II-ის სხვა ცოლი, აბდულ-
მეჯიდ I-ის დედა;
20. ფერთევნიალი (1861-1876/ მაჟურა II-ის ცოლი, აბდულ-აზიზის დედა;
21. შევქ ეფხა (1876-1876) მურად V-ის დედა;
22. რაჟიმე ფერესთუ (1876-1904) აბდულ-მეჯიდ I-ის ცოლი, აბდულ-კამიდ II-ის
დედინაცვალი) (ვალიდე სულტანი 2009).

ოსმალეთის იმპერიის ტახტის მემკვიდრეები ბაგშვობიდანვე იღებდნენ როგორც ფიზიკურ, ისე ინტელექტუალურ წერთნას. უფლისწულები გადიოდნენ ასევე სამხედრო წერთნასაც. ამისათვის სულთნებს თავიანთი შვილები დაჲყავდათ ლაშქრობებში, ავალებდნენ იმპერიის გარკვეული ნაწილის მმართველობას. მაგრამ ოსმალეთის იმპერიის არსებობის მანძილზე იყო შემთხვევები, როცა პრინცები, ჯერ კიდევ პატარაობაში, უმამოდ რჩებოდნენ. მაგ. აქმედ I 14 წლის იყო, როცა მამა გარდაეცვალა, მუსტაფა 2-ის, ოსმან II – 13-ის, მურად IV – 6-ის, იბრაჟიმი – 2-ის, მეტედ IV – 7-ის. ხშირად ასეთ მდგომარეობაში მყოფი ტახტის მემკვიდრეები ცხოვრების აქტიურ წლებს თავიანთი ბიძებისა და ტახტზე მჯდომი ბმებისაგან უგულებელყოფილი

ატარებდნენ. ბუნებრივია, ასეთ მდგომარეობაში მყოფი პრინცის განათლებასა და აღზრდაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მათი დედა.

გალიდე სულტანები შვილებისთვის რჩევების მიცემას მათი ტახტზე ასვლის შემდეგაც აგრძელებდნენ.

გალიდე სულტანები შვილის აღმზრდელებად ოსმალეთის იმპერიაში XVI-XVII საუკუნიდან მოგვევლინენ. ეს იყო როგორც მათი მოვალეობა, ისე მათი უფლება. აქვე აღსანიშნავია, რომ მსგავსი უფლებებით ოსმალეთის პირველი სულტნის ოსმან I-ის (1281-1326) დედა სარგებლობდა და ის იყო პირველი ასეთი უფლების მქონე დედა (ბუქური 2005გ:211). XVI ს-ის ისტორიკოსის ნეშრის მიხედვით “სელჩუკთა სულტანმა ალაედდინმა ოსმანს სულტნის ტიტული უბობა, როგორც მისი დამოუკიდებლობის სიმბოლო. ამასთან დაკავშირებით ჩატარდა ცერემონია, როდესაც მუსიკოსთა ანსამბლმა დაკვრა დაიწყო, ოსმანის დედამ მოუწოდა თავის შვილს, რომ პატივისცემის ნიშნად ფეხზე წამომდგარიყო” (ნეშრი 1983:98). აქედან მოყოლებული სულტნის კურთხევის ცერემონიალზე მუსიკის ხმაზე სულტნის ფეხზე წამოდგომა ტრადიციად იქცა, სანამ ამ ტრადიციას მჯგნედ II (1451-1481) გააუქმებდა. შესაძლებელია ნეშრის ეს მონათხოვი ლეგენდად უფრო მივიჩნიოთ, ვიდრე რეალურ ფაქტად, მაგრამ მაინც გასათვალისწინებელია, რომ გარკვეული ხნის მანძილზე სულტნის დედის მითოთება შემდგომში ტრადიციად იქცა.

გალიდე სულტნების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ისტორიკოსი იბრაჟიმ ფეჩევი, რომელიც თავის მიერ აღწერილი ისტორიის დიდი ნაწილის თანამედროვე იყო. “ფეჩევის თხზულებათა დიდ დირსებად ყველას მიერ აღიარებულია ის გარემოება, რომ იგი სარგებლობდა მისი თანამედროვე და, უმთავრესად, წინა საუკუნეთა ისტორიოგრაფიული ღირებულებით” (ჯიქია 1964:16).

იბრაჟიმ ფეჩევი მოგვითხოვთ აკმედ I-ის (1603-1617) დედაზე – ჰანდან სულტანზე, რომლის მოქმედებასაც “დედის უფლებას” უწოდებს, როცა ის თავის შვილს რჩევას აძლევს, რომ ადმირალ დერვიშ ფაშას მითოთებას დაუჯეროს. ამის შესახებ გვიამბობს: “ხანდახან ფადიშაპმა უნდა მოიწვიოს დერვიშ ფაშა თავის სასახლის ბაღში და ყურად იღოს მისი რჩევები. ფაქტობრივად გალიდე სულტანიც სარგებლობს დედის უფლებით და არწმუნებს თავის შვილს, რომ “დერვიშ ფაშას საწინააღმდეგო არაფერი გააკეთო”, ფეჩევი

ასევე იმეორებს ძველ და პოპულარულ ნათქვამს: “დედის უფლება, ღმერთის უფლებაა” (ფეხუვი 1864-1867:316).

იბრაჟიმ ფეხუვი თავის აღწერილობაში, რომელიც ეხება სულტნის მიბრძანებას ბაჟეკაფის სასახლეში, ხაზს უსვამს თუ რაოდენ დიდ პატივს სცემდა სულტანი თავის დედას, მომდევნო ნაწყვეტიდან ჩვენ კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით ვალიდე სულტნის მაღალ სტატუსში ოსმალეთის იმპერიაში: იბრაჟიმ ფაშას დიდვეზირი შეუძლვა ოთახში, ტახტამდე მიაცილა და დააბრძანა. თავად მასთან ახლოს იატაგზე დაბრძანდა და ჩურჩულით საუბარი დაიწყეს: “ჩვენ ვიქცეოდით სულტნის განკარგულებისამებრ და არ დავუშვით, რომ მოხუცი აღები ჩვენ მოგვმსახურებოდნენ. მცირე ხნის თათბირის შემდეგ სადრაზამთან ის შიგნით შევიდა, რათა ეთათბირა ვალიდე სულტანთან, ჩვენც მათ გავყევით. მოხუც აღებს არ სურდათ, რომ შევეშვით, მაგრამ სულტანმა უბრძანა მათ, რომ ჩვენ შევეშვით და ჩვენ ის არ დავტოვეთ მანამ, სანამ არ მოვისმინეთ პატივსაცემი ვალიდე სულტნის ხმა” (ფეხუვი 1981-1982).

სელიმ I-მა (1512-1520) დატოვა ქვრივი პაფიზე სულტანი – სულეიმან კანუნის დედა. ის გამოირჩეოდა დისციპლინით და მისი კონტროლის ქვეშ იყო პარემი, მიუხედავად იმისა, რომ იქ იყო სასტიკი კონკურენცია სულეიმან I-ის (1520-1566) ცოლებს: გიულბაჟარსა და პურემს შორის (გუდვინი 1994:122).

სულტანი მურად III (1574-1595) იყო ყველაზე მეტად დამოკიდებული თავის დედაზე, ნურბანუ სულტანზე. პაოლო კონტარინის მიხედვით, რომელმაც 1583 წლის დეკემბერში მოხსენება გაუგზავნა ვენეციის მთავრობას, სადაც იტყობინებოდა სულტნის დედის გარდაცვალებას, აცხადებდა, რომ მურად III-ის დედა იყო ის ადამიანი, რომელსაც ყველაზე ხშირად ეყრდნობოდა სულტანი. სულტნის პოლიტიკა მთლიანად დედის რჩევებზე იყო აგებული და მასაც სხვა არაფერი რჩებოდა გარდა იმისა, რომ დაეჯერებინა და ერთგული ყოფილიყო თავისი დედის. ნურბანუს გარდაცვალებისას სულტანმა სინანულით წარმოთქა, რომ ის რჩებოდა ობოლი, რომელსაც აღარ ეყოლებოდა რჩევის მიმცემი. “ნურბანუს ბოლო რჩევა თავისი შვილისადმი იყო შემდეგი: ქვეყანაში ყველაფერი მისი (სულტნის) კონტროლის ქვეშ ყოფილიყო, გაეძლიერებინა თავისი მეთვალყურეობა ფულზე და ოქროზე ყურადღებით ედევნებინა თვალი თავისი ვაჟის აღზრდისათვის (პერსი 1993:238).

XVI-XVII საუკუნეები თსმალეთის იმპერიაში ცნობილია როგორც “ქალთა მმართველობის ხანა” (*Kadınlar Sultanatı*). საუკუნეზე მეტხანს თსმალეთის

იმპერიის პოლიტიკური ძალაუფლება სამეფო ჰარემის წარმომადგენელ ქალთა ხელთ იყო. უფრო ზუსტად “ქალთა მმართველობა” როკსოლანას გარდაცვალების შემდეგ, ანუ 1558 წელს, დაიწყო და დასრულდა ვალიდე სულტნის – თურკანის (მეჰმედ IV-ის (1648-1687) დედის) მმართველობით (1648-1683). ხანგრძლივი დროის განმავლობაში სახელმწიფოს მართავდა ჰარემი, სადაც განუწყვეტელი ბრძოლა მიმდინარეობდა ვალიდე სულტანსა და სულტნის ცოლებს შორის, ასევე “კიზლარ აღასისთან” ... ქალები ერეოდნენ სახელმწიფო საქმეებში, ისმენდნენ სახელმწიფო საიდუმლოებებს და შესაბამისად შლიდნენ თავიანთ კარტს” (პენზერი 2005:186). “ეს აიხსნება იმით, რომ ზოგიერთი სულტანი ტახტზე ასვლისას მცირებლოვანი იყო და მათი დედები და სულტნის კართან დაახლოებული დიდმოხელეები აქტიურად ერეოდნენ სახელმწიფოს მმართველობაში” (სვანიძე 2002:5).

ძალაუფლების მქონე ქალთაგან გამორჩეული არიან სულტნის სასახლის კარზე დაახლოებული ქალები: სულტნის დედები (ვალიდე სულტნები), სულტნის ცოლები, ქალიშვილები და სხვა. ეს ქალები არიან: როკსოლანა იგივე “ჰურემი” - სულტან სულეიმან I-ის (1520-1566) ცოლი, მიპრიმაჟი - სულეიმან I-ის ქალიშვილი, ნურბანუ - მურად III-ის (1574-1595) დედა, საფიე - მეჰმედ III-ის (1595-1603) დედა, ქოსემი - მურად IV-ის (1623-1640) დედა, თურკანი - მეჰმედ IV-ის (1648-1687) დედა და სხვა (ბუქური 2005:206).

ქალთა მიერ ძალაუფლების მოპოვება ოსმალეთის იმპერიაში უცბად არ მომხდარა. ქალთა მხრიდან სახელმწიფო საქმეებში ჩარევა ჯერ კიდევ ოდუზურ-თურქმენულ ტომებში შეინიშნებოდა. ამის შესახებ ვკითხულობთ ფაზლლალას რაშიდ ად-დინის “ოდუზნამეში”, სადაც წერია, რომ როდესაც თურქმენული ტომის ბელადმა – ოდუზმა ილაშქრა კილ ბარაქის ქვეყანაში, მას დიდი დახმარება აღმოუჩინეს ადგილობრივმა მცხოვრებმა ქალებმა და უფრო მეტიც, ამ ქალთა გონივრული რჩევის შედეგად ოდუზებმა ადვილად მიაღწიეს გამარჯვებას და ქვეყანა დაიკყრეს. “ოდუზნამეში” ვკითხულობთ: “კილ ბარაქთან ომის დროს ოდუზს იქაურმა ქალებმა მისცეს თავშესაფარი. ამ ქალების ქმრები მეტად მახინჯები იყვნენ და ამიტომ მათ ოდუზი ძალიან მოეწონათ. მათ სულდათ მისთვის დახმარება აღმოეჩინათ და ოდუზი მიიყვანეს ით ბარაქას ცოლთან, რომელიც მათ შორის ყველაზე უფროსი ცოლი იყო. ამ ქალმა მთელი გულითა და სულით გამოხატა თავისი სიმპათია ოდუზის მიმართ და მალულად მასთან ელჩი გააგზავნა, რომელსაც ოდუზთან დაბარა: “თუ თქვენ

გსურთ დაიპუროთ ჩვენი ქვეყანა, მაშინ შემდეგნაირად უნდა მოიქცეო: დაამზადეთ რკინის ლურსმნები ეკლებით და თითოეულმა თქვენმა მეომარმა დაიმაგროს თავის ზურგზე, შეტაკების დროს კი უნდა ესროლონ მტერს. მაგრამ იმისათვის, რომ ამ რკინის ეკლებმა არ დააზიანონ თქვენი ცხენების ფეხები, თქვენ ცხენებს ნალები უნდა დააჭედოთ. გარდა ამისა თქვენს მტრებს სახე არა აქვთ დაცული და თქვენ შეგიძლიათ ისრები სახისკენ მიმართოთ. ოდუზს ძალიან გაუხარდა ამ ქალის რჩევა და დახმარების სურვილი. ააშენეს გემები და ამ ქალებთან გააგზავნეს ელჩები, რომლებიც გამორჩეულად ლამაზი კაცები იყვნენ. ამ ელჩებს ქალები მთელი ძალით დაეხმარნენ და ოდუზთან გაატანეს ყველა საჭირო ნივთი. ზოგიერთი ქალი დიდი სიყვარულის გამო ამ კაცებს გაჰყვნენ. ეს ქვეყანა ამ გზით იქნა დაპყრობილი” (რაშიდ ად-დინი 1987:36).

1336 წელს მსოფლიოში ცნობილი არაბი მოგზაური იბნ-ბატუტა ოსმალეთის იმპერიის მონახულების შემდეგ წერდა, რომ თურქებსა და თათრებში ცოლები მეტად დიდი უფლებებით სარგებლობდნენ. იბნ-ბატუტამ იმოგზაურა ქალაქ ხორჯზმიც²⁶. ის გაოცებული დარჩა ქალთა მდგომარეობით და დასძენს: “ყადის ცოლმა – ხათუნ ჯიჯა-აღამ გამომიგზავნა 100 დინარი, ხოლო მისმა დამ, ემირის ცოლმა – თურაბექ ხათუნმა მოაწყო წვეულება, სადაც მოწვეულ იყვნენ ფაკიზები²⁷ და სასახლის სხვა გამორჩეული პირები. ეს წვეულება გამართულ იქნა ამ ქალის მიერ აშენებულ ზავიაში²⁸” (იბნ ბატუტა 1988:4).

²⁶ ხორჯზმი – ოლქი ამუდარიის ქვედა დინებაში, რომელიც იბნ ბატუტას მოგზაურობის დროს შედიოდა ოქროს ურდოს შემადგენლობაში. დედაქალაქი იყო ურგენჩი ან ხორჯზმი.

²⁷ ფაკიზი [ფაკიჲ, არაბ. ზმნიდან ფაკიჲ, “ესმოდა, ერკვეოდა”, იცოდა სამართალი] – კანონმდებელი-დავთისმეტყველი, მუსლიმური სამართლის – ფიკის მცოდნე. ფაკიჲი შეიმუშავებს ფიკის პრობლემებს, ასწავლის მას და ფიკის თვალსაზრისით გამოაქვს აზრი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა პრობლემაზე. ფიკის პროფესიული ცოდნა აუცილებელი იყო ყადიებისა და მოხელეებისათვის. ფაკიჲები შეა საუკუნეებში წარმოადგენდნენ ქალაქის მოსახლეობის გავლენიან ფენას და დღესაც ინარჩუნებენ თავიანთ გავლენას იმისდა მიხედვით, თუ როგორია ისლამის პოზიციები ამა თუ იმ ქვეყანაში (ჯაფარიძე 1999: 187).

²⁸ ზავია [“კუთხე”] – ქრისტიანი ბერის სენაკი, ან პატარა მეჩეთი, სამლოცველო, სალოცავად გამოყოფილი კუთხე სახლში, ზოგადად დატისმსახურების ადგილი

აღსანიშნავია, რომ სულტნის სამეფო კარზე ჭარბობდნენ არამუსლიმური წარმოშობის ქალები. მაგალითად, მურად IV-ის (1623-1640) დედა ბერძენი იყო, სულტან სულეიმან I-ის (1520-1566) ცოლი – როკსოლანა სლავი წარმოშობისა, მეჰმედ II-ის (1451-1481) ცოლი და შემდგომი სულტნის დედა გულბახარი – ალბანური ან ბერძნული წარმოშობისა. ეს განპირობებული იყო მეტწილად პოლიტიკური მდგომარეობით. ამ ფაქტს ადასტურებს ისტორიკოსი იბრაჟიმ ფეჩევი თავის ისტორიულ ნაშრომში და დასძენს: “აწ გარდაცვლილმა ილდირიმმა ბაიაზიდ სანმა ცოლად მოიყვანა ვლაკას ვაჟიშვილის ქალიშვილი. უდავოა, ეს უჩვეულო ტრადიცია სულტნის კარზე – გიაურის ქალიშვილის ცოლად მოიყვანა, მეტად ხშირი იყო. ასე რომ, სულტნის კარზე ჭარბობდნენ მეზობელი ქავენის მმართველების ლამაზი ქალიშვილები. ასევე სულტან მურად II-ემ (1421-1451) ცოლად მოიყვანა ვოჩეს ქალიშვილი. ვოჩე იყო ვლაკას ვაჟი, მას მიზნად ჰქონდა დასახული დაემარცხებინა ბოსნიის მეფე და სხვა რუმელის გიაურები. შედეგად მან წაართვა მას სემენდერუ” (ფეჩევი 1981-1982).

ასევე “ორსან I-მა (1326-1360) ცოლად მოიყვანა ბიზანტიული პრინცესა – თეოდორა, სულ მალე თეოდორას და ცოლად გაჰყვა იოანე პალეოლოგს. ამ გზით თურქები დამკვიდრდნენ ევროპაში არა როგორც მტრები, არამედ როგორც მოკავშირეები და ნათესავები ბიზანტიის იმპერატორისა” (კინროსი 1997:353).

ამ ფაქტს იმეორებს ჸ. ინალჯიქი და დასძენს: 1346 წელს ოსმალეთის სულტანმა ორჰანმა კავშირი დაამყარა იოანე V კანტაკუზინთან – ბიზანტიის ტახტის პრეტენდენტთან და იქორწინა მის ქალიშვილ – თეოდორაზე. ამან ხელი შეუწყო თსმალებს ჩარეულიყვნენ ბიზანტიის საშინაო საქმეებში (ინალჯიქი 1989:9).

XIV საუკუნეში მურად I-მა (1360-1389) იქორწინა რამდენიმე ბერძენ პრინცესაზე, მათ შორის იყო ბიზანტიულ კანტაკუზინთა ოჯახის ასული. მისი პირველი ცოლი ბერძენი იყო, რომელსაც შემდგომ დაერქვა “გულჩიჩეკი” (Gülçiçek). მისგან სულტანს შემდგომი სულტანი ბაიაზიდ I – “ელვა” (1389-1402) ეყოლა. “ბაიაზიდმა დედის გავლენით ცოლად მოიყვანა ქრისტიანი ცოლები, მათ ისლამის პირველ საუკუნეებში. მომდევნო ხანებში ზავია ეწოდებოდა სუფი შაიკის სავანესაც, სადაც ის ქადაგებდა და ასწავლიდა მურიდებს. ეს ტერმინი განსაკუთრებით გავრცელდა ჩრდ. აფრიკაში (მადრიბში) და ანდალუსიაში (მუსლიმურ ესპანეთში), სადაც სუფიურმა სავანეებმა საერთოდ დიდი როლი ითამაშეს სუფიზმის პროპაგანდასა და პოპულარიზაციაში (სანიკიძე 1999: 62).

შორის იმპერატორ იოანე V პალეოლოგის ქალიშვილი. მაგრამ ყველაზე მეტად თავისი ცოლებიდან გამოარჩევდა დესპინეს, რომელიც იყო უნგრეთის მეფის ლაზარ I-ის ქალიშვილი. დესპინა საკმაოდ დიდ ძალაუფლებას ფლობდა, მაგრამ ის არ გამხდარა სულტნის დედა. ის სულტანთან ერთად 1402 წლის ანკარის შეტაკების დროს ტყვედ ჩავარდა, სულტანი მალე გარდაიცვალა, დესპინას ტრაგიკული ისტორიაც აქ წყდება, ის რომ სულტნის დედა გამხდარიყო მასზე მეტი იქნებოდა ცნობილი, მაგრამ უცნობია შემდგომი სულტანი მეჰმედ I (1413-21) მისი შვილი იყო თუ არა” (გუდვინი 1994:122).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი ვალიდე სულტანი წარსულში მონა ქალი იყო, რომლებმაც მოახერხეს სასახლის კარზე დაწინაურება და ვალიდე სულთნობამდე ამაღლება. ასეთ ქალებს მიეკუთვნებიან შემდეგი ვალიდე სულტნები: ქოსემი, ნურბანუ, საფიე და გულნუშ სულტნები (ალთინდალი 1994:29).

სულტან სულეიმან I-ის (1520-1566) ცოლი როკსოლანა წარმოშობით სლავი მონა ქალი იყო, რომელიც კავკასიაში ტყვედ ჩავარდნის შემდეგ სტამბოლის მონათა ბაზარზე, აქედან კი სულტნის პარამხანაში მოხვდა. როკსოლანამ პარემში წარმატებას მალე მიაღწია. იგი გახდა სულტნის ფავორიტი და საზოგადოებრივ შეკრებებზე სულტანს მუდამ თან დაჲყვებოდა. მან ოსმალეთის იმპერიაში პრეცედენტი შექმნა და 1536 წელს პარემი ძველიდან ახალ სასახლეში გადაიტანა სულტნის გვერდით, სადაც მან თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია სულტანი და აგრეთვე ხელთ იგდო სახელმწიფოს მართვის სადაგენები (კინროსი 1997:256; უზუნჩარშილი 1998:404-405; ინალჯიქი 1989:86). მან გამოიწვია სულტნის ცოლის – გულბაჰარის აღშფოთება, რომლის შვილი – მუსტაფა ოსმალეთის იმპერიის ტახტის მემკვიდრედ ითვლებოდა.

მალე, 1534 წელს როკსოლანას წყალობით გულბაჰარი და მისი შვილი მუსტაფა იმპერიის შორეულ პროვინციაში გადაასახლეს. როკსოლანას სულეიმანისაგან ვაჟი ეყოლა, რომელსაც არსებული ტახტის მემკვიდრე უნდა შეეცვალა.

როკსოლანამ დაარწმუნა სულეიმანი, რომ დიდვეზირი იბრაჰიმი მას დალატობდა და ცდილობდა სულტნის ხელისუფლების უზურპაციას. ეს ყველაფერი იმით დასრულდა, რომ 1536 წელს დიდვეზირი იბრაჰიმი სიკვდილით დასაჯეს. თანდათანობით “ჰურემ სულტანმა” პარემის ქალთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა. როკსოლანას ინტრიგებს ემსხვერპლა სულეიმანის

უსაყვარლესი შვილი მუსტაფა, რომელიც მამის თვალწინ სიკვდილით დასაჯეს. (ნოვიჩევი 1963:99; ინალჯიქი 1989:87).

სახელგანთქმული ორიენტალისტი გ. მ. პეტერი წერდა, რომ, როკსოლანას მმართველობით დაიწყო ქალთა მმართველობის ხანა (*kadinlar sultanatu*), რომელიც დაახლოებით 150 წელი გაგრძელდა, თურქან ვალიდე სულტნის, მუჰამედ IV-ის დედის გარდაცვალებამდე (პეტერი 2005:186). თუმცა ჩვენ ვხვდებით ამ ფაქტის სხვანაირ ახსნას უ. უ. ბეითსის ნაშრომში, რომელიც ვარაუდობს, რომ ე.წ. ქალთა მმართველობის ერა ოსმალურ ისტორიოგრაფიაში დაიწყო საფიქს მმართველობით (ბეითსი 1978:254)

“ჰურემ სულტანმა” მიაღწია მუსლიმური სამართლის მიხედვით გამხდარიყო სულტნის კანონიერი ცოლი, რისთვისაც არცერთ მონა ქალს ოსმალეთის იმპერიის არსებობის ბოლო ორი საუკუნის მანძილზე არ მიუღწევია (კინროსი 2002:236). ამ ქორწინებამ როგორც ქრისტიანულ, ისე მუსლიმურ სამყაროში დიდი აღშფოთება გამოიწვია. როკსოლანას ვაჟები გახდნენ ოსმალეთის ტახტის მემკვიდრეები. მისი ვაჟი სელიმი 1566 წელს სულეიმანის I-ის მომდევნო სულტანი გახდა, მას შემდეგ რაც ბრძოლა მოუგო თავის ძმას ბაიაზიდს, რომელიც 1561 წელს ამ ბრძოლაში დაიღუპა.

ქვეყნის მართვა-გამგეობაში თავისუფლად ერეოდნენ სულტნის ქალიშვილებიც. ამისი მაგალითია სულტან სულეიმან I-ის (1520-1566) და როკსოლანას ქალიშვილი მიჰრიმაჰი. ის ყველაზე ცნობილი პრინცესა იყო ოსმალეთის იმპერიაში. მიჰრიმაჰი სათავეში ედგა მრავალ საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობას. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მამის და ასევე ძმის სელიმ II-ის (1566-1574) სულტნობის დროს (ბეითსი 1978:252).

მიჰრიმაჰი, მამის სურვილით, ცოლად გაჲყვა რუსთემ ფაშას – შორეული დიარბექირის მმართველს. აღსანიშნავია, რომ ცოლისა და სიდედრის აქტიურობით რუსთემ ფაშა ორჯერ გახდა დიდგენირი სულტან სულეიმან I-ის დროს. კინროსი დასწეს: “მას შემდეგ რაც რუსთემ ფაშა გახდა სუელიმანის სიძე და დიდგენირი, მის ხელთ აღმოჩნდა სახელმწიფოს ფინანსები. სულტნის ნება-სურვილით მის ხელში აღმოჩნდა ქვეყნის მართვის სადავეები. შესაბამისად როკსოლანამ მიაღწია თავისი ძალაუფლების ზენიტს” (კინროსი 2002:238). მიჰრიმაჰმა წააქეზა მამა მალტელთა წინააღმდეგ ლაშრობა მოეწყოთ. ოსმალო ისტორიკოსთა მიხედვით მიჰრიმაჰი მამას ვაჟიშვილებზე მეტადაც უყვარდა. მამა

მას ჭკვიან ქალად მიიჩნევდა. აქედან გამომდინარე, მისი რჩევები სასახლის წევრთა გამოხმაურებასა და მამის მოწონებას იმსახურებდა.

აღსანიშნავია, რომ მიპრიმაპი დიდი ქონების მფლობელი გახლდათ. მის ქონებას შეადგენდა მისი მზითევი და აგრეთვე ქმრის დანატოვარი ქონება. ისტორიკოსი იბრაჟიმ ფეხვი დასძენს: “რუსთემ-ფაშამ გამოიჩინა დიდი გულუხვობა, ის გასცემდა დიდ მოწყალებას. მან დიდმალი ფული დაუტოვა სულტან მიპრიმაპს” (ფეხვი 1981-1982).

ზემოთ უკვე მოხსენიებული იყო, რომ მონა ქალიდან ვალიდე სულთნობამდე ამაღლდა ქოსემ სულტანი. ის იყო ვალიდე სულტანი სამი თაობის სულტნობის დროს, კერძოდ კი მურად IV-ის (1623-1640), იბრაჟიმის (1640-1648) და მეჰმედ IV-ის (1648-1687) დროს. ქოსემ სულტანი იყო აპმედ I-ის “ხასა”, რომელმაც შემდეგ დიდი უფლებები მოიპოვა. ის სასახლის კარზე მეტად გავლენიანი ფიგურა იყო. ამასთანავე აქტიურად მონაწილეობდა ოსმალეთის იმპერიის ტახტზე ახალი კანდიდატურის შერჩევის პროცესში.

აპმედ I-მა გზიდან ჩამოიცილა თავისი ძმა მუსტაფა, რომელიც სასიკვდილოდ გაიმეტა. მალე ტახტზე აპმედ I-ის (1603-1617) შვილი ოსმანი ავიდა, თუმცა მას ტახტის მოპოვებაში დიდი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა. ოსმანმა, ტახტის მოსაპოვებლად, გადაწყვიტა სიკვდილით დაესაჯა თავისი კველა ძმა, მათ შორის მამამისის აპმედ I-ის ფავორიტი ქალის, ყოფილი “ხასის” – ქოსემის სამი ვაჟი: მურადი, ქასიმი და იბრაჟიმი. 1612 წელს ვენეციელი ელჩი თურქეთში სიმონ კონტარინი იტყობინება, რომ ქოსემმა თხოვნით მიმართა სულტანს და თავისი შვილები სიკვდილისაგან დაიხსნა. ოსმანის თავდაპირველი ცდა – ხელში ჩაეგდო ტახტი, კრახით დასრულდა. ამისი მიზეზი გახლდათ ის, რომ მას დედამისი არ დაეხმარა ტახტის მოპოვებაში. 1618 წელს, როცა ოსმანი ტახტზე ავიდა, დედამისი მაჰფირუზი ცოცხალი იყო. ის ფაქტი, რომ მაჰფირუზი არ მფარველობდა თავის შვილს, განკირობებული იყო იმ მიზეზით, რომ ის ოსმანის სულტნობის დროს სასახლეში არ ცხოვრობდა და შესაბამისად არც გალიდე სულტანი არ ყოფილა. “სავარაუდოა, რომ მაჰფირუზის მოკვეთა სასახლიდან მოხდა თავისი შვილის ოსმანის გამეფებამდე და მან თავისი სტატუსის აღდგენა სასახლის კარზე ამის მერე ვედარ შეძლო. ამაზე მეტყველებს მისი სასახლიდან შორს ცხოვრება და ასევე მისი მოკრძალებული დასაფლავება 1620 წელს, შვილის გამეფებიდან 2 წლის შემდეგ” (პერსი 1993:233).

ის ფაქტი, რომ მაპფირუზე სასახლიდან შორს ცხოვრობდა, კიდევ ერთხელ მტკიცდება, წყაროთა მონაცემებით, სადაც აღნიშნულია, რომ ოსმანი სასახლეში დედის გარეშე იზრდებოდა. ოსმანი კარგ დამოკიდებულებაში იყო მამის “ხასასთან” – ქოსემთან, რომელსაც მომავალი სულტანი ხშირად სასეირნოდ დაჰყავდა. სულტან აჰმედ I-ს (1603-1617) კი არ მოსწონდა თავისი შვილის ურთიერთობა თავის “ხასასთან”. სულტანის ეს შიში განპირობებული იყო იმით, რომ მან კარგად იცოდა ქოსემის ამბიციები თავის შვილებთან დაკავშირებით. სხვა მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ის, რომ სულტანს არ სურდა თავის დავაუგაცებულ შვილებს (ოსმანს და მეჰმედს) ურთიერთობა ჰქონდათ ისეთ ქალთან, რომელიც ისლამური კანონმდებლობის მიხედვით არ იყო საოჯახო წევრთა რანგში. მაგრამ აჰმედ I-ის გარდაცვალების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. ოსმანი, როგორც სულტანი ქოსემს დიდ პატივს სცემდა. ქოსემმაც მოხერხებულად შეძლო ოსმანზე გავლენა მოეპოვებინა და სულტანს გადააფიქრებინა თავისი შვილების სიკვდილით დასჯა. 1612 წელს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსმანმა სიკვდილით დასაჯა მხოლოდ აჰმედი, თავისი უფროსი ძმა, რომელიც ქოსემის შვილი არ იყო.

ვალიდე სულტანი სულტანთან შუამავლადაც გვავლინებოდა. 1599 წლის გაზაფხულზე, როცა მეჰმედ III-მ (1595-1603) დაუფიქრებელი გულუხვობა გამოიჩინა და უნგრეთის კამპანიისათვის შიდა სალაროდან მნიშვნელოვანი თანხა გაიღო, დიდვეზირმა იბრაჟიმ ფაშამ დახმარებისათვის სადედინ ეფენდის მიმართა, რომელიც სულტანის მასწავლებელი და იმუამად მუფთი ²⁹ იყო. სადედინ ეფენდი კი, თავის მხრივ, დაუკავშირდა სულტანის დედას – საფიეს, საფიე სულტანს ასევე მიმართა იემენმა, ჩივილით, რომ მათი ძველი თხოვნა სულტანისადმი, რომელიც ეხებოდა დამატებითი ჯარების შეევანას პროვინციის დასაცავად, იგნორირებული იყო.

საფიე სულტანი წარმოშობით ვენეციელი და ბაფოს არისტოკრატიული გვარის წარმომადგენელი იყო, რომელიც ტყველ ჩავარდა და შემდეგ ჰარემში მოხვდა. საფიეს მეორე სახელი ბაფა ერქვა. ის საიდუმლო მიმოწერას აწარმოებდა ეკატერინე მედიჩთან, რათა ხელი შეეშალა თურქეთისათვის ვენეციაზე თავდასხმისაგან. ის ასევე ეკონტაქტებოდა ვენეციის ელჩს ერთ-ერთი

²⁹ მუფთი ეწოდება ფაკის, რომელსაც გამოაქვს ფეთვა - საღვთისმეტყველო-სამართლებრივი დასკვნა (სანიკიძე 1999d: 186).

ებრაელის, სახელად “კიარეზას” მეშვეობით, რომელსაც ჰარემში გასაყიდად მიჰქონდა სამკაულები. მან მიაღწია იმას, რომ თავისი შვილი სულტანი გახადა, თავად კი ვალიდე სულტანი გახდა (პენზერი 2005:187).

წყაროებში მოიპოვება დამადასტურებელი ცნობა იმის თაობაზე, რომ ვალიდე სულტანი გაბედულ მითითებას აძლევს თავის შვილს ქვეყანაში არსებული არეულობის გამო. მაგალითად, სელანიქის ცნობით, 1600 წელს მეჰმედ III-ის (1595-1603) მიერ მოწვეული კრების შემდეგ, რომელსაც ვალიდეს გარდა ესწრებოდნენ მუფთი და დიდვეზირი, საფიე სულტანმა თავის შვილს შეახსენა, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა მნიშვნელოვან ცვლილებებს საჭიროებდა. მთელი ქვეყანა სავსე იყო მექრთამეობით, გადასახადები იყო მოუწესრიგებელი. ამ ყველაფრის მიზეზი კი ის იყო, რომ ქვეყანას უვიცი ადამიანები მართავდნენ (სელანიქი 1989:857-58).

საფიე სულტანსა და მეჰმედ III-ზე (1595-1603) პატარა ისტორიული ნაკვეთი აქვს დაწერილი XVI საუკუნის სულტნის კარზე მოღვაწე ოსმალო ისტორიკოსს მუსტაფა ალის. ეს ისტორია არის ნაწყვეტი მისი დიდი ისტორიული ნაშრომისა. მისი დაწერის მიზანი იყო ის, რომ გაეფრთხილებინა სულტანი და დედამისი, რომ ქვეყანაში მნიშვნელოვანი რეფორმები იყო გასატარებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში ოსმალეთის იმპერია ადვილად განადგურდებოდა (ფლეიშერი 1979-1980:176-78). ალის მოწოდება საფიე სულტნისადმი, ცხადია, განპირობებული იყო საფიეს ძალაუფლებით და მისი მჭიდრო ურთიერთობით თავის შვილთან – მეჰმედთან და დიდვეზირთან.

ამ პერიოდის ოსმალო პოეტი ნევი, რომელიც იყო მურად III-ის შვილის მასწავლებელი, საფიესადმი მიძღვნილ ლექსში ქებას ასხამდა ვალიდე სულტანს, როგორც “საუკუნის დედოფალს და უერთგულეს დედოფალს.”

მნიშვნელოვანი ვალიდე სულტანი იყო მეჰმედ IV-ის (1648-1687) დედა ჰადიჯე თურქან სულტანი, რომელიც ვალიდე სულტანი გახდა მას შემდეგ, რაც ტახტიდან ჩამოაგდეს სულტანი ქოსემი. “ახალგაზრდა სულტნის მეჰმედ IV-ის ტახტზე ასვლის შემდეგ მთელი რვა წლის მანძილზე ქვეყანაში არეულობა იყო, რომლის დროსაც იენიჩები და სიფაპები ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრებდნენ ორ დაქვრივებულ სულტანს: მეჰმედ IV-ის დედას თურქანსა და მის ბებია ქოსემს, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ მოკლულ იქნა მისი მოწინააღმდეგის დაკვეთით” (კინროსი 1997:324).

ქველა ამ ანგარიშსწორებას ზედ დაერთო ცელილებები საგარეო პოლიტიკაში. XVIII საუკუნის შუა წლებში ზღვაზე ბატონობა ვენეციელთა ხელში გადავიდა. თურქებს ძალა არ შესწევდათ დაეცვათ საკუთარი საზღვრები და საზღვაო გზები. ვენეციელებმა ხელთ იგდეს კუნძულები ტენედოსი და ლემნოსი. თურქები მარცხდებოდნენ. იმისათვის, რომ ქვეყანა კრიზისული მდგომარეობიდან გამოსულიყო, სულტნის დედამ საიდუმლოდ მოიხმო თავისთან ენერგიული, დიდი რეპუტაციის მქონე პიროვნება, რომელიც წაადგებოდა ოსმალეთის სახელმწიფოს. ეს პიროვნება იყო მეჰმედ ქოფრულუ, რომელსაც სულტნის დედამ თურკანმა დიდვეზირის თანამდებობა შესთავაზა. წარმოშობით ალბანელმა ქოფრულუმ თურკანს პირობები წაუყენა, რომლითაც ის ისეთ აბსოლუტურ ძალაუფლებას ითხოვდა, რომელიც იქამდე მხოლოდ სულტნის დედას გააჩნდა. ვალიდე სულტანმა თავისი შვილის პირით შევფიცა, რომ მის ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებდა. სულტანმა პატივი სცა დედის გადაწყვეტილებას და ქოფრულუ დიდვეზირად დაინიშნა (კინროსი 2002:332). აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ საკუთარი მმართველობის დროს ვალიდე სულტანი მეტად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად იღებდა. ისიც აღსანიშნავია, რომ მას თავის შვილთან, ამ გადაწყვეტილების მიღების დროს, შეთანხმებული ურთიერთობა ჰქონდა, უფრო მეტიც, შვილი დედის გადაწყვეტილებას იწონებდა და პატივს სცემდა.

მეჰმედ IV-ის (1648-1687) დედა – თურკან სულტანი თავისი შვილისთვის იყო ავტორიტეტი, რომელსაც ის სახელმწიფოს მართვას ანდობდა, თვითონ კი საქვეყნო საქმეებს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. მემატიანეს – სილაპარ მეჰმედ ფაშას ცნობით, როდესაც 1683 წლის თურკანი გარდაიცვალა, ქვეყანა დანაღვლიანდა, ხალხი კი ღმერთს მიმართავდა, რომ ხელიდან გამოეცალათ ქვეყნის ძლიერი ძალა. 4 წლის შემდეგ მეჰმედ IV (1648-1687) გარდაიცვალა. უ. უ. ბეითსი აღნიშნავს, რომ თურკანის გარდაცვალება ქვეყნისათვის იყო დიდი დანაკლისი. ოსმალო ისტორიკოსების აზრით: “ქვეყნის დიდი ბოძი წაიქცა” (ბეითსი 1978:255).

სულტნის სტამბოლში არყოფნის პერიოდში გალიდე სულტნები იყვნენ სულტნების აქტიური დამცველნი. ისინი თვალყურს ადევნებდნენ, რომ რომელიმე მემკვიდრეს ხელისუფლება ძალით არ ჩავგდო ხელში.

სელანიქის ცნობის მიხედვით, 1586 წლის ერთ-ერთი ომის დროს მეჰმედ III-მ (1595-1603) საფიქ სულტანი დატოვა მთელი ხაზინის მეთვალყურედ, სადაც

მილიარდი ასპერი ინახებოდა (ჰამერი 1835-1837:320). სულტანმა ეს ომი მოიგო. “როდესაც მან მიიღო საფიქს მილოცვის წერილი, საფიქს უკმაყოფილებას გამოთქვამდა, რომ სულტანმა ამ ომის შემდეგ დიდვეზირი სინან ფაშა დააჯილდოვა. ამის შემდეგ სულტანმა პირველივე შესაძლებლობაზე ყოფილი დიდვეზირი, დედამისის მოწონებული – იბრაჟიმ ფაშა დააბრუნა ძველ თანამდებობაზე, რომელსაც ასევე დიდი წვლილი პქონდა გამარჯვებაში. მაგრამ აქ ადსანიშნავია ის ფაქტი, რომ იბრაჟიმ ფაშა იყო საფიქს სიძე” (ჰამერი 1835-1837:330). აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ იბრაჟიმ ფაშას დაწინაურება საფიქს აქტიურობის შედეგი იყო. კარგად ჩანს თუ რა დიდი იყო სულტნის პატივისცემა დედისადმი, მიუხედავად იმისა, რომ იბრაჟიმი იმსახურებდა დაწინაურებას, ეს მხოლოდ დედის ჩარევის შემდეგ მოხდა.

ქოსემ სულტანი განთქმული იყო თავისი ინტელექტითა და ტაქტით (ბაისუნი 1967:915-923). 1634 წელს ქოსემ სულტანმა დიდი მფარგელობა გაუწია თავის შვილს – სულტან მურად IV-ს (1623-1640). მურადის მიერ იზნიქის მოსამართლის სიკვდილით დასჯამ სასულიერო პირთა დიდი აღშფოთება გამოიწვია. გაჩნდა ჭორებიც, ვითომ მუფთი აჰიზადე ჰუსეინ ეფენდი სულტანს მახეს უგებდა, რათა ტახტიდან ჩამოეგდო. როდესაც ამ ხმებმა გალიდე სულტნის ყურამდე მიაღწია, მან სასწრაფოდ მოუწოდა მურადს დაბრუნებულიყო დედაქალაქში. ამის შემდეგ ეს მუფთი იყო პირველი, რომელიც ოსმალეთის იმპერიაში სიკვდილით დასაჯეს (ნაიმა 1863-1864:182).

ქოსემ სულტანმა გააგრძელა მმართველობა თავისი მეორე შვილის იბრაჟიმის (1640-48) სულტნობის დროსაც. როდესაც იბრაჟიმი ტახტიდან გადადგა, ქოსემის გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ ის ერთხანს დარჩა ძალაუფლების მქონე მმართველად, როგორც ძლიერი ვალიდე სულტანი, თავისი შვილი მვილის მეპმედ IV-ის სულტნობისას (დენგლერი 1978:237; ბეითსი 1978:255).

ვალიდე სულტნების ძალაუფლებას ადასტურებს შემდეგი ფაქტი: 1670 წელს ლუი XIV-ის ელჩი მარკიზ დე ნოინტელი სტამბოლში გემით ჩავიდა, მაგრამ საიმპერიო სასახლესთან ჩავლისას საყვირი არ მისცა. ამას თრი მიზეზი პქონდა: 1. ამით მას სურდა გამოეხატა საფრანგეთის ძალაუფლება ოსმალეთის იმპერიაზე და 2. მეპმედ IV-ის (1648-1687) არყოფნა სტამბოლში. ამაზე ქალაქის მოსახლეობა საშინლად აღელდა. “დიპლომატიური კრიზისი ვალიდე სულტნის თურკანის გაბედულმა ნაბიჯმა განმუხტა. ის სასახლიდან გადმოდგა და

მოითხოვა, რომ ფრანგებს მის სახელზე სამეფო საყვირი მიეცათ. ფრანგული გემები მართლაც სწრაფად შეჩერდნენ და ორტილერიამ ცეცხლი გახსნა, ვალიდეს საპატივსაცემოდ საპასუხო ცეცხლი გახსნა სასახლის ორტილერიამაც (პერსი 1993:241).

ვალიდე სულტნების დიდი ავტორიტეტის მიუხედავად, XVI საუკუნეში მათ ხშირად ექმნებოდათ პრობლემები. ყველა სულტანს როდი სურდა, რომ მათი დედა მათ საქმეებში ჩარეულიყო. ასეთ შემთხვევებს განსაკუთრებით მაშინ პქონდა ადგილი, როცა სულტანი სრულწლოვანების ასაკს მიაღწევდა და თავს შესაფერისად იგრძნობდა, რომ მთელი ქვეყნის მართვა თავის თავზე აედო.

ვალიდე სულტნების გავლენის სფერო მართლაც ფართო იყო. მათ დიდი ზეგავლენა პქონდათ მოპოვებული სასახლის კარის უმაღლეს მოხელეებს შორის. მათი ქალიშვილები თხოვდებოდნენ გავლენიან პირებზე, შესაბამისად მათ მოქიშპებიც უწნდებოდათ სულტნის დიდვეზირის, მუჭთისა და წინა სულტნების სახით.

ადსანიშანვია, რომ თვითონ სულტანსაც არ სიამოვნებდა დედამისის მიერ დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება, განსაკუთრებით მაშინ, როცა დედის ქმედებანი მის პოლიტიკასთან შეუსაბამობაში მოდიოდა. მეჰმედ III-ს (1595-1603) ხშირად უხდებოდა დედასთან – საფიქსთან დაპირისპირება. 1600-1603 წლები სტამბოლში მყოფი ელჩი აგოსტინო ნინი აღნიშნავს, რომ საფიქ სულტანი არ გამოირჩეოდა მმართველობის განსაკუთრებული ნიჭით, პირიქით, მისი როლი ქვეყნის მართვაში უმნიშვნელო იყო. მისი ცნობის მიხედვით მეჰმედ III-ს საფიქ სულტანი სასახლიდან ძველ სასახლეში გადაუყვანია, მაგრამ რამოდენიმე დღეში კვლავ უკან დაუბრუნებია. საფიქ სულტანი აგრეთვე გადაურჩა ჯარისკაცების ამბოხებასაც, რომლებიც მოითხოვდნენ მისი სასახლიდან შორს გასახლებას. ეს საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ საფიქ ედირნეში წაიყვანეს. გარდა ამისა, საფიქ სულტანი დაადანაშაულეს ფულის გადახარჯვაში, რომელიც მან მეჩეთის ასაშენებლად გაიდო, რომელიც თუმცა ვეღარ დასრულდა.

საფიქ სულტნის არაპულარობას აღნიშნავს ინგლისელი ელჩი ჰენრი ლელო და ამბობს, რომ მუჭთი და ჯარისკაცები ხშირად ჩიოდნენ სულტანთან საფიქ სულტნის მმართველობის გამო (ლელო 1952:2).

ყველაზე სერიოზული კრიზისი, რომელსაც საფიქ დაუპირისპირდა, იყო 1600 წელს საიმპერიო ჯარის ჯარისკაცების ამბოხება, რომლებიც ასევე ვალიდე

სულტანს ადანაშაულებდნენ დიდქალი ფულის გაფლანგვაში. “მარტო კომერციულ საქმიანობაში საფიქ სულტანის ქონება 500 მლნ ასპერს შეადგენდა. ყველანაირ ქრთამს საფიქ სულტანი ებრაელი ქალის დახმარებით იღებდა, რომელიც მისი მარჯვენა ხელი იყო” (პერსი 1993:242). მუჰამედმა აჯანყებულები დააწყნარა და შეპირდა, რომ მდგომარეობას გამოასწორებდა.

საფიქმ გადაწყვიტა, რომ თავისი სიძე – დიდვეზირი იბრაჟიმ-ფაშა და ადმირალი ჰალილ-ფაშა თანამდებობიდან გადაეყენებინა, რადგანაც მათ ვერ შეძლეს მისი დაცვა აჯანყების დროს. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ სულტანმა მეჰმედმა ყურად არ იდო დედის ნათქვამი და არ დათანხმდა მის მოთხოვნას. სელანიქის ცნობის მიხედვით, მას დედისათვის პასუხად შეუთვლია, რომ ვეზირებს არანაირი დანაშაული არ მიუძღვდათ.

საფიქ სულტანისაგან განსხვავებით, კიდევ უფრო ნაკლები უფლებებით სარგებლობდა აქმედ I-ის (1603-1617) დედა ჰანდან სულტანი. უნდა აღინიშნოს, რომ ჰანდან სულტანი იყო მეჰმედ III-ის ძის და საფიქ სულტანის შვილიშვილი. აქმედ I-მა ყურად არ იდო დედის თხოვნა, არ დაესაჯა სიკვდილით დიდვეზირი მეჰმედ ფაშა, რომელმაც სათანადო ზომები ვერ მიიღო და ვერ ჩააქრო 1603 წლის ანატოლიის აჯანყება. დედის თხოვნის მიუხედავად, აჯანყებიდან დაბრუნებული მეჰმედ ფაშა სულტანმა დაუყოვნებლივ სიკვდილით დასაჯა (ფეხვი 1864-1867:31). ჰანდან სულტანი აქმედის ტახტზე ასვლიდან 2 წლის შემდეგ გარდაიცვალა.

მიუხედავად იმისა, რომ მურად III-მ (1574-1595) შემოიღო ვალიდე-სულტანის ინსტიტუტი, იგი დედას თავის საქმეს მხოლოდ მისი დედაქალაქში არყოფნის პერიოდში გადააბარებდა ხოლმე. მურადი დედას არ რთავდა ნებას სრული ძალაუფლება აედო ხელში, როგორც ნურბანუ და საფიქ სულტნების შემთხვევაში იყო. ყველა მომდევნო სულტანის საზრუნვავი აგრეთვე იყო ის, რომ შეეზღუდათ დედების უფლებები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში აჭარბებდნენ თავის ძალაუფლებას და ფაქტობრივ მმართველებად იქცეოდნენ ხოლმე, თუმცა ეს ბალანსი დიდად იყო დამოკიდებული სულტნების და დედების პიროვნულ თვისებებზე და შესაძლებლობებზე.

ჩანს, რომ მეჰმედ III-ის (1595-1603) შემდგომი სულტნები სერიოზულად დაფიქრდნენ ვალიდე სულტნების ხელისუფლებაზე და გადაწყვიტეს მათი უფლებები ჩარჩოში მოექციათ.

მურად IV-ის (1623-1640) სულტნობის მეორე პერიოდში ნაკლებად ჩანს ვალიდე სულტნის ჩარევა შვილის საქმეში.

მურად IV-ის ნაადრევი გარდაცვალების შემდეგ ტახტზე მისი ძმა – იბრაჟიმი ავიდა. იბრაჟიმ I (1640-1648) მჭიდროდ თანამშრომლობდა დედასთან და დიდვეზირთან, თუმცა ცდილობდა მათი გავლენისაგან თავი დაეცვა. მალე იბრაჟიმმა მუფთის თანამდებობაზე თავისი ნდობით აღჭურვილი პირი – სინჯი ხოჯა დანიშნა და ამით ძალაუფლება განიმტკიცა. მალე დედამისმა ქოსემმა და დიდვეზირმა მუსტაფა ფაშამ მასზე კონტროლი დაკარგეს. 1644 წელს დიდვეზირი სიკვდილით დასაჯეს. იბრაჟიმმა დედის სიკვდილით დასჯაც მოინდომა, მაგრამ შეიწყალა და სასახლიდან გადაასახლა.

ისტორიკოსი ნაიმას მიხედვით ვიგებთ, რომ იბრაჟიმი დედის მითითებას ყურს აღარ უგდებდა, ვალიდე სულტანი თოფკაფის მახლობლად ცხოვრობდა. “იბრაჟიმმა თავის დებს, ანუ ქოსემის შვილებს – აიშეს, ფატმასა და ჰანზადეს და ასევე თავის დის შვილს ქაიას წაართვა მათი კუთვნილი მიწები და ძვირფასეულობა და უბრძანა, რომ მას დამორჩილებოდნენ (ნაიმა 1863-1864:317).

ვალიდე სულტნები შევიწროებას განიცდიდნენ დიდვეზირებისა და ულემების წარმომადგენლების მხრიდან. ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ ვალიდე სულტნები დიდ მატერიალურ ქონებას ფლობდნენ. ამასთან დაკავშირებით სულტნის სამეფო კარზე მოეწყო შეხვედრა, სადაც უნდა განეხილათ როგორც ვალიდე სულტნების, ისე სამეფო ოჯახის წევრ ქალთა მიერ ქონების ფლობის საკითხი. კრებაზე გამოცხადებულ იქნა, რომ ვალიდე სულტანი ქოსემი ფლობდა მიწებს, საიდანაც მას წლიური შემოსავალი დაახლოებით ასეულობით ათასი კურუში შესდიოდა. მუფთიმ ეს გააპროტესტა და თქვა, რომ წარმოუდგენელი იყო ვალიდეს ასეთი დიდი ფართობის მიწის ნაკვეთი ჰქონოდა. სამეფო კარზე მოღვაწე ხელისუფალნი აგრეთვე კრიტიკის თვალით უყურებდნენ ვალიდე სულტნის მიერ გაწეულ რაიმე მოწყალებას საკუთარი ქონების ხარჯზე. ამას ისინი თვლიდნენ, როგორც სახელმწიფოს ფინანსურ სისტემაში ჩადენილ დანაშაულს, რადგანაც ქვეყანა გასაჭირები იყო. ქოსემმა კი თავისი თავი იმით გაიმართლა, რომ მისი სურვილი იყო გაჭირვებულთათვის დახმარების გაწევა, ვიდრე ფულის უსარგებლოდ დება სახელმწიფოს ხაზინაში და დროთა განმავლობაში მისი გაფლანგვა.

საინტერესოა მიმოვისილოთ, თუ რა ფუნქცია ენიჭებოდა დედას, როგორც რეგენტს. XVII ს-ში ოსმალები სიტყვა რეგენტს არ გამოიყენებდნენ.

“რეგენტობის ხანის” აღსანიშნავად ჩვენ ვხვდებით ასეთ გამოთქმას – “მოვალეობა გამოწრობისა და მეთვალყურეობისა”, რომელიც გამოიყენა ყარა ჩელები ზადე აბდულაზიზ ეფენდიმ, მას სურდა მიეთითებინა ქოსემ სულტნის ფუნქციაზე, როცა მისი შვილი წლის შვილიშვილი მეჰმედ IV (1648-1687) სულტანი გახდა.

რეგენტობის ხანა გარკვეული ვალდებულება იყო სულტნის დედისათვის, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა თავისი შვილისათვის სულტნად გახდომის დღიდან.

პირველი სულტანი, რომლის დროსაც სხვა განაგებდა ქვეყანას, იყო მუსტაფა I. ფეხვის მიხედვით: “როცა აღმოჩნდა, რომ მუსტაფას გონიერივი და ფიზიკური მდგომარეობა საფრთხეში იყო, საჭირო გახდა ექიმის ჩარევა, ხოლო ქვეყნის მართვის სადაცემი კი მის დედას გადასცეს, რომელიც რეალურად ასრულებდა იმ ფუნქციას, რაც სულტნის კომპეტენციაში შედიოდა” (ფეხვი 1992:134).

მალე მუსტაფას ადგილი ოსმან II-მ (1618-1622) დაიკავა. როდესაც იენიჩარები ოსმანს აუჯანყდნენ, მათ წინასწარ გარკვეული პქონდათ თუ ვის კანდიდატურას დაუჭრდნენ მხარს დიდვეზირის პოსტზე.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იბრაჟიმის სულტნობის ადრეულ წლებში ქვეყანას ფაქტობრივად მართავდა დიდვეზირი და ვალიდე სულტანი და ეს ხანა წარმატებულიც იყო. ხოლო როცა სულტანმა სრულწლოვანების ასაკს მიაღწია და ერთპიროვნული მმართველი გახდა, დედამისი გადაასახლა, ხოლო დიდვეზირი 1644 წელს სიკვდილით დასაჯა.

1648 წელს იბრაჟიმი ჩამოაგდეს და ტახტზე ავიდა 7 წლის მეჰმედ IV (1648-1687), რომელიც რეგენტს საჭიროებდა. ამ შემთხვევაში წამოიჭრა ორი ვალიდე სულტნის კანდიდატურა. პირველი იყო მეჰმედის ახალგაზრდა დედა თურჰან სულტანი (დაახლ. 22 ან 23 წლის) და საკმაოდ გამოცდილი, მეჰმედის ბებია – ქოსემი. ვინაიდან რეალური ვალიდეს კანდიდატურა ძალიან ახალგაზრდა იყო, იყო ეჭვი, რომ მას, შესაძლოა, ქვეყანა სათანადოდ ვერ ემართა. ამიტომ თანამდებობაზე კვლავ ძველი ვალიდე სულტანი – ქოსემი დატოვეს.

ის, რომ ქოსემი ძლიერი ვალიდე სულტანი იყო, ამაზე ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ ამჯერად ქოსემზე და თურჰან სულტანზე სხვა კუთხით

ვისაუბრებთ. ჩვენ აქ მიმოვიხილავთ იმას, თუ როგორი გზებით ცდილობდა ეს ორი ქალი ძალაუფლების მოპოვებასა და შენარჩუნებას.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მეშვეობის IV-ის სულთნად გახდომის დღიდან ვალიდე სულტანი გახდა ქოსემი. მალე მას თურპანი –მეშვეობის (1648-1687) დედა დაუპირისპირდა, რომლის მოკავშირედაც გამოდიოდა დიდვეზირი სიავუშ ფაშა. ქოსემმა გადაწყვიტა მეშვეობის ნაცვლად ტახტზე სულეიმანი აეყვანა, რომელიც იბრაჰიმის მეორე შვილი იყო. ამ გზით თურპანის ნაცვლად ვალიდე სულტანი სულეიმანის დედა გახდებოდა, რომელსაც დილაშუბი ერქვა და რომელიც ნაკლებად ამბიციური იქნებოდა. მაგრამ ქოსემის ეს გეგმა გასცა მისმა მსახურმა ქალმა მელექი ჰათუნმა და თურპანს ყველაფერი აცნობა. 1651 წელს ქოსემ სულტანი მოკლულ იქნა, რაშიც თურპან სულტნის ხელი ერია. მეშვეობის IV-ის (1648-1687) სულტნობის პირველი 8 წლის მანძილზე იენიჩარები და სიფაჰები ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრებდნენ ორ ვალიდე სულტანს: მეშვეობის დედას თურპანსა და მის ბებიას - ერთ დროს დიდი ძალაუფლების მქონე ქოსემს, რომელიც მოკლულ იქნა თავისი მოწინააღმდეგის მიერ (კინროსი 2002:331).

ქოსემის დიდ ავტორიტეტს ქვეყანაში ადასტურებს ის ფაქტი, რომ მისმა სიკვდილმა ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია, “როცა მისი სიკვდილის ამბავი სახალხოდ ცნობილი გახდა, სტამბოლში მცხოვრებმა მოსახლეობამ ქალაქის მეჩეთები და ბაზრები დაკეტეს და სამი დღე გლოვა გამოაცხადეს (ჩელები 1991:89). ქოსემის სიკვდილის შემდეგ ქვეყანაში გატარდა რიგი ღონისძიებები. სიკვდილით დასაჯეს ქოსემის მოკავშირე იენიჩარები. თურპან სულტანმა კი ვალიდე სულტნის თანამდებობა მიიღო. აღსანიშნავია, რომ თურპანი ძალაუფლებას ამ თანამდებობის მიღებამდე ფლობდა. ამაზე მეტყველებს თურპანსა და დიდვეზირს შორის არსებული მიწერ-მოწერის დამადასტურებელი საბუთები. მაშასადამე, თურპანი ადრეული რეგენტობის დროიდან აქტიურად მონაწილეობდა ყოველგვარი ოფიციალური დოკუმენტისა თუ საქმის წარმოებაში.

იმ შემთხვევაში, თუ სულტანი დარწმუნებული არ იყო რაიმე საქმიანობის კანონიერებაში, ის გამოცდილ ხალხს სთხოვდა კონსულტაციას ან ხელმძღვანელობდა კანუნამეთი, რათა ყველაფერი კანონის ფარგლებში მოექცია. თანდათანობით თურპანის, როგორც ქვეყნის მმართველის ადგილი,

გამყარდა, რადგანაც მან შეძლო სწრაფად შეეძინა სათანადო გამოცდილება და გაეზარდა მოკავშირეთა რიცხვი.

აღსანიშნავია, რომ დედის – თურპანის გვერდით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ შეხვედრებსა თუ კრებებზე მონაწილეობას იღებდა მექმედ IV, რომელსაც დედამისი ეხმარებოდა გადაწყვეტილების მიღებაში.

1656 წელს ოსმალეთის იმპერიაში მომხდარი სამხედრო გადატრიალების შემდეგ გადაუენებულ იქნა დიდვეზირი თარპუნჯუ აქმედ ფაშა. მის ნაცვლად თურპანმა, როგორც ზემოთ ვთქვით, ქოფრულუ მექმედ ფაშა დანიშნა. ისტორიკოსებმა ეს ფაქტი მიიჩნიეს აღდგენად დიდვეზირის ძველი ხელისუფლების, რომელიც გარკვეული დროის მანძილზე შეზღუდული იყო პარემის ქალთა მიერ. თურპანის მიზანიც იყო ის, რომ ქვეყანა გადაერჩინა პოლიტიკური და ფისკალური ქაოსისაგან. თურპან სულტანი ამისათვის ზრდიდა დიდვეზირის ძალაუფლებას, რათა მას ქვეყანაში მნიშვნელოვანი დონისძიებები გაეტარებინა, შედეგად კი ზღუდავდა თავისი და თავისი შვილის ხელისუფლებას. ჩანს, რომ ამ ვალიდე სულტნის მიზანი იყო, რომ ქვეყანაში აღდგენილიყო ის ტრადიციული ბალანსი სულტანსა და დიდვეზირს შორის, რაც ოდითგანვე თხმალეთის იმპერიის საფუძველს წარმოადგენდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქოფრულუ მექმედ ფაშას დანიშვნით არ დამცრობილა თურპან სულტნის, როგორც ვალიდე სულტნის როლი. ეს იმით იყო განპირობებული, რომ ქოფრულუ მექმედ ფაშა თურპანის კანდიდატურა იყო. ასე რომ, 1656 წელს თურპანი სერიოზულ რისკზე წავიდა, როცა ქოფრულუ დიდვეზირად დანიშნა, მაგრამ მისდა საბედნიეროდ, ამ რისკმა გაამართლა (გუდვინი 1994:141). ნ. გ. კენზერი დასძენს, რომ თურპანი მეტად გონივრულად მოიქცა, როცა დიდვეზირად მექმედ ქოფრულუ დანიშნა, რომელიც თურქეთის სამი ყველაზე წარმატებული დიდვეზირიდან პირველი იყო (კენზერი 2005:192).

ქოფრულუს დიდვეზირად დანიშვნის შემდეგ თურპანმა დაიწყო ჩანაქალეს ციხესიმაგრისა და დიდი მეჩეთის მშენებლობა.

1656 წელი სხვა მხრივაც იყო მნიშვნელოვანი წელი ოსმალეთის სამეფო დინასტიის ქალთა ისტორიაში. თურპან სულტნის რეგენტობით დასრულდა ქალთა რეგენტობის ისტორია, ანუ მექმედ IV-ის შემდეგ ვალიდე სულტანი აღარასოდეს ყოფილა თავისი შვილის რეგენტი.

პოლიტიკური ხელისუფლების შეზღუდვის შემდეგ ვალიდე სულტნები გახდნენ დინასტიის მატრიარქები, რომელთა ძირითად საზრუნავს

წარმოადგენდა საოჯახო დინასტიის კეთილდღეობა და გადარჩენა. ვალიდე სულტნებს ასევე შეუვალი ძალაუფლება გააჩნდათ გარკვეულ ასპექტებში, რომელიც მათი შვილების კომპეტენციაში არ შედიოდა. ისინი ცდილობდნენ დაებრუნებინათ სასულტნოსათვის სიმყარე. “სულტანი თითქმის შეუვალი გახდა სახელმწიფოს მართვაში, ვალიდე სულტანი კი, როგორც ჰარემის უფროსი, ოჯახის ავტორიტეტს განაგებდა. იგი წარმოადგენდა ერთ მთლიან სამეფო ოჯახს, რომელიც უზრუნველყოფდა კავშირის დამყარებას სამეფო დინასტიის თაობებს შორის და სიმბოლიზირებას ანიჭებდა მათ მარადუამობას” (პერსი 1993:259).

ვალიდე სულტნები ასევე აქტიურად ზრუნავდნენ დინასტიის გამრავლებაზე. ამის ერთ-ერთი მაგალითია ნურბანუ სულტანი - მურად III-ის (1574-1595) დედა, რომელიც ცდილობდა თავის შვილს არ ჰყოლოდა მხოლოდ ერთი ცოლი საფიქ. მაგრამ მურადი 20 წლის მანძილზე მაინც ამ ერთი ცოლის ერთგული დარჩა (კინროსი 2002:275). საფიქ მას მხოლოდ ორი შვილი გაუჩინა, ამათგან ერთი ადრეულ ასაკში გარდაიცვალა. იგი იმსხვერპლა იმ ხშირმა ეპიდემიებმა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა XVIს-ის ბოლო წლებში. მურად III-ის დამ დინასტიის გამრავლების მიზნით თავის ძმას საჩუქრად ორი მხევალიც კი მიჰვარა.

დინასტიის გაზრდაზე ზრუნავდა, აგრეთვე, ქოსემ სულტანიც. რომელიც ეცადა თავისი შვილის დარწმუნებას, რათა სიკვდილით არ დაესაჯა თავისი ძმები. დინასტიის გასამრავლებლად ქოსემ სულტანი ცდილობდა თავისი შვილის - იბრაჰიმის გარშემო შემოეკრიბა ხასები, თვითონ კი ქვეყნის მართვის სადაგები ეგდო ხელო. იბრაჰიმის სულტნობის ბოლო წლებში, როდესაც ქვეყანაში არეულობა იყო, ქოსემ სულტანი კიდევ ერთხელ გამოვიდა დინასტიისა და საკუთარი შვილის დასაცავად.

ვალიდე სულტანმა – თურკანმა, დინასტიის შესანარჩუნებლად, დაიცვა თავისი შვილის მევედ Ⅳ-ის (1648-1687) ძმები – სულეიმანი და აჰმედი, რომლებიც არ იყვნენ მისი შვილები.

ვალიდე სულტნები იყვნენ ოსმალეთის იმპერიაში არსებული ტრადიციების პირველი დამცველები. მაგალითად, ისეთი ტრადიციების, როგორიც იყო სულტნის ტახტზე ასვლის ცერემონია. როდესაც მთავრობის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, რომ იბრაჰიმი ტახტიდან გადაეცენებინათ, მათ ბრძანება გაუგზავნეს სასახლეში, რომ სულტნის შვიდი წლის ვაჟი ტახტზე

აეყვანათ და საზეიმო ცერემონია მეჩეთში გამართულიყო. ქოსემ სულტანი ამ ფაქტს აქტიურად გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ სულტნის ტახტზე კურთხევის ცერემონია მეჩეთში არასოდეს არ ჩატარებულა და ის ყოველთვის სასახლეში ტარდებოდა. უნდა ვიგარაუდოთ, რომ ქოსემს სურდა ამ ცერემონიალის ჩატარება იმ ადგილას, სადაც მას მეტი კონტროლის საშუალება ექნებოდა, მაგრამ სინამდვილეში, ეს არ ნიშნავდა მხოლოდ საკუთარი ავტორიტეტის შენარჩუნებაზე ზრუნვას, არამედ მას რეალურად სურდა ახალი სულტნის კეთილდღეობა, რომელსაც ამ ქვეყანაზე ჯერ არანაირი გამოცდილება არ გააჩნდა. ვალიდე სულტნების მაღალ ავტორიტეტზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ახალი სულტანი ტახტზე ასვლისთანავე პირველ რიგში დედას მოინახულებდა ხოლმე. მურადმაც და მჰკმედმაც ორივემ მოინახულეს თავიანთი დედები, რათა მათგან მიეღოთ დალოცვა და რჩევები.

ვალიდე სულტნები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სულტნის გადაყენებისას. გადაყენებული სულტნის დედა გასცემდა სანქციას, რათა ტახტზე კვლავ სამეფო დინასტიის ჩამომავალი ასულიყო და არა სხვა პირი.

XVIIს-ის ხუთი სულტნიდან სამის დედა (ესენი იყვნენ მუსტაფა I-ის, იბრაჟიმისა და მუსტაფა II-ის დედები) შეესწრო შვილის ტახტიდან გადაყენებას. მოიპოვება მტკიცებულება იმის შესახებაც, რომ როგორც მუფთიმ, ისე დიდვეზირმა, დედებს ნება დართეს მონაწილეობა მიეღოთ სულტნის გადაყენებაში. მაგალითად, “როდესაც ნათელი გახდა, რომ მუსტაფას გონებრივი შესაძლებლობები ქვეყანას დიდ ზარალს მიაყენებდა, დედამისი დათანხმდა მის გადაყენებას. დედამ მხოლოდ ის ითხოვა, რომ მისი შვილი სიკვდილით არ დაესაჯათ” (ნაიმა 1863-1864:315).

“მდგომარეობის დაძაბვის შემთხვევაში სახელმწიფო პირები შემდეგ სტრატეგიას იყენებდნენ. ისინი ვალიდე სულტანს ადარებდნენ მოციქული მჰკამედის დედას, ამით გაამაყებული ქოსემ სულტანი კიდევ უფრო აფართოებდა თავისი, როგორც მასწავლებლის, უფლებებს თავისი შვილის და არა მხოლოდ შვილის, არამედ მთლიანად მუსლიმური თემის წინაშე” (პერსი 1993:264).

თანდათანობით ვალიდე სულტნის ფუნქცია ოსმალეთის იმპერიაში ფორმალური ხდებოდა. ეს შეგვიძლია კარგად დავინახოთ გულნუშ სულტნის მაგალითზე. მან მეტად უმნიშვნელო როლი შეასრულა თავისი შვილის – მუსტაფა II-ის გადაყენებაში 1703 წელს და ასევე მისი მეორე შვილის – აჰმედ III-ის (1703-1730) ტახტზე ასვლაში. ამ ფაქტისადმი თანხმობის გამოსახატავად

მას დააწერინეს ფორმალური პეტიცია, რომელიც გაუგზავნა დიდვეზირსა და მუფთის, რითიც აცნობა, რომ თანახმა იყო მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. ე.ო. ვალიდე სულტანს მოსთხოვეს იმის რატიფიცირება, რაც უკვე დამტკიცებული იყო წამყვანი პოლიტიკური და რელიგიური პირების მიერ, თუმცა მის მიერ ამ სანქციის გაცემა მაინც აუცილებელი იყო.

მაშასადამე, ჩვენ დავინახეთ, რომ საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა ქალის სტატუსმა ანატოლიაში. ქალის უფლებო მდგომარეობის ფონზე ოსმალეთის იმპერიაში ჩამოყალიბდა პარემის სოციალური სტრუქტურა და დამკვიდრდა სულტანი ვალიდეს ინსტიტუტი. სულტანი ვალიდე მოგვევლინა, როგორც რეგენტი და როგორც ყველაზე ძალაუფლების მქონე ქალი ოსმალეთის იმპერიაში.

სულტანი ვალიდეს წოდება პირველად მურად III-მ (1574-1595) შემოიღო და შემდგომშიც დიდხანს არსებობდა. ვალიდეს ტიტული უნარჩუნდებოდა დედას შვილის სულტნობის პერიოდში. ისინი შვილების აღმზრდელებად ოსმალეთის იმპერიაში XVI-XVII საუკუნეებში მოგვევლინენ. ეს იყო როგორც მათი მოვალეობა, ისე მათი უფლება. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ რეგენტის ანუ მეურვის წოდება დედებს ოსმალებამდეც გააჩნდათ. თურქ-სულტანთა სახელმწიფოში ასეთი რეგენტი ქალი იყო სულტან მალიქ-შაჰის (1072-1092) მეუდღე და სულტან მაჰმუდის დედა თურქან-ხათუნი.

პარემში მცხოვრებ ქალთა უფლებები უსაზღვრო იყო. ისინი ერეოდნენ სახელმწიფოს საქმეებში, ისმენდნენ ქვეყნის საიდუმლოებებს. პარემის გავლენიანმა ქალებმა XVI-XVII სს-ში ოსმალეთის იმპერიაში შექმნეს ეპოქა, რომელიც ცნობილი გახდა, როგორც “ქალთა მმართველობის ხანა”. საუკუნეზე მეტხანს თსმალეთის იმპერიის პოლიტიკური ძალაუფლება სამეფო პარემის წარმომადგენელ ქალთა ხელში იყო. ეს ხანა დაიწყო როკსოლანას (სულტან სულეიმან ბრწყინვალის ცოლი) გარდაცვალების შემდეგ (1558) და დასრულდა სულტანი ვალიდე თურკანის (მეჰმედ IV-ის დედა) მმართველობით (1648-1683).

XVI საუკუნის მიწურულიდან სულტნები სერიოზულად დაფიქრდნენ სულტანი ვალიდეს ხელისუფლებაზე, მათ დიდ ძალაუფლებაზე და გადაწყვიტეს მათი უფლებები შეეზღუდათ. მიუხედავად იმისა, რომ სულტანი ვალიდეს ინსტიტუტი მურად III-მ (1574-1595) შემოიღო, მისი და ყოველი მომდევნო სულტნის საზრუნავი იყო ის, რომ შეეზღუდათ დედების უფლებები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ფაქტობრივ მმართველებად იქცეოდნენ ხოლმე, თუმცა ეს

ბალანსი დიდად იყო დამოკიდებული სულტნებისა და დედების პიროვნულ თვისებებსა და შესაძლებლობებზე. სამეფო წრის ქალთა გავლენიანი მმართველობა მალე დასრულდა. პოლიტიკური ხელისუფლების შეზღუდვის შემდეგ სულტანი ვალიდები გახდნენ დინასტიის მაგრიარქები, რომელთა ძირითად საზრუნავს წარმოადგენდა დინასტიის კეთილდღეობა, გამრავლება და გადარჩენა. ისინი ასევე იყვნენ ოსმალეთის იმპერიაში არსებული ტრადიციების პირველი დამცველები. თანდათანობით სულტანი ვალიდეს ფუნქცია ფორმალური გახდა.

ამრიგად, მეტად საინტერესო ტრანსფორმაცია განიცადა როგორც მთლიანად ქალის სტატუსმა ანატოლიაში, ისე სულტანი ვალიდეს ინსტიტუტმა. ვთვლით, რომ ამ ქალებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ოსმალეთის იმპერიაში.

5. სულტნის სამეფო ოჯახის გავლენიანი წევრები

სულტნის გავლენიანი სამეფო ოჯახის წევრებიდან აღსანიშნავია სულტნის დედები, სულტნის ცოლები და სულტნის ქალიშვილები. სულტნის დედებზე – ვალიდე სულთნებზე ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ ვრცლად, ამჯერად სულტნის ცოლებსა და ქალიშვილებზე შევჩერდებით. აქვე აღსანიშნავია, რომ ქვემოთ დასახელებული სულტნის ცოლები აგრეთვე გვევლინებიან როგორც ვალიდე სულტნები.

სერაგლიოში მცხოვრები ცოლებიდან ყველაზე აღსანიშნავია სამი მათგანი: როკსოლანა (1526-1558 წწ.), სულეიმან ბრწყინვალის ცოლი, ქოსემ სულტანი – ყველაზე დიდხანს იცოცხლა და ყველაზე მეტი ნახა და ნაქშედილ სულტანი – ისეთი ცხოვრებით იცხოვრა, რომ მასზე ლეგენდები გაჩნდა.

როგორია (ჰურემ სულტანი)

სტამბოლში მდებარეობს ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი ნაგებობა – სულეიმან ბრწყინვალის მეჩეთი, რომელიც არქიტექტორ სინანის შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუშია. მეჩეთის შიგნით სიბნელის მიუხედავად მრავალი ფანჯარაა, რომლებიც სპარსული მინითაა დამზადებული და მიკრაბი³⁰, რომელიც ფერადი ფილებითაა მოპირკეთებული. იქვე მოთავსებულია სულეიმანისა და მისი ლეგენდარული ცოლის – როკსოლანას მავზოლეუმი.

ჰარემის მრავალი ქალის მსგავსად როგორიანას წარმოშობაც ბუნდოვანია. სავარაუდოა, რომ ის იყო რუსი მონა უკრაინიდან, რასაც მისი სახელი ადასტურებს – “როკსოლანა” ან “რუსალენა”, რომელიც სულეიმანის საუკეთესო მეგობარმა – დიდვეზირმა იბრაჟიმმა მონათა ბაზარზე იყიდა. ოსმალურ ისტორიოგრაფიაში ის ცნობილია როგორც “ჰურემ” სულტანი, ხოლო უცხოურ წყაროებში – როგორიანა, მას სულეიმანისაგან ჰყავდა ოთხი ვაჟი სელიმი, ბაიაზიდი, მეჰმედი და ჯიჰანგირი (უზუნჩარშილი 1998:401).

როგორიანას პორტრეტიდან იფრქვევა მისი განუმეორებელი სილამაზე, მისი თვალებიდან გამოსჭვივის მისი მაღალი ინტელექტი. ის იყო არაჩვეულებრივი სტრატეგი და მსახიობი პოლიტიკოსი, რომელიც ისევე

³⁰ ნიშა მეჩეთის კედელში, რომელიც მიუთითებს მექისაკენ (კიბლა) (მეტრეველი 1999:135).

თვლიდა თავის თითოეულ ნაბიჯს, როგორც ჭადრაკის თამაშისას თითოეულ სვლას.

როგორიცაამ შეძლო გამხდარიყო სულტნის მესამე ცოლი, რადგანაც მას ვაჟიშვილი შეეძინა, ხოლო მას შემდეგ, რაც ის სამი ვაჟის დედა გახდა (მექმედის, სელიმის და ბაიაზიდის) მან სულტნის გული საბოლოოდ დაიპყრო. თუმცა სულტნის ტახტის მიღებაში მას სხვა უფლისწულები ეღობებოდნენ.

მექმედ ფათიშის მიერ მიღებულ იქნა კანონი, რომლის ძალითაც ტახტი მამიდან უფროს შვილზე გადადიოდა. სულეიმანს თავისი ვაჟიშვილებიდან სურდა, რომ ბაიაზედი გამხდარიყო მომდევნო სულტანი, თუმცა ამ დროს ყველაზე უფროსი მუსტაფა იყო, რომელიც სულტანს სხვა ქალისაგან პყავდა (უზუნჩარშილი 1998:358). დიდვეზირი იბრაჰიმ ფაშაც მას ემხრობოდა. პურემ სულტნის პირველი ამოცანა გახდა ამ ვეზირის თანამდებობიდან გადაყენება.

6. მ. პეტერის მიხედვით, სულეიმანის დედის გარდაცვალების შემდეგ, როგორიცაასთვის ორი მთავარი მეტოქე დარჩა – პირველი ცოლი, ბოსფორ სულტანი (სავარაუდოდ გულბაჰარი) და დიდვეზირი – იბრაჰიმი (პეტერი 2005:175).

1526 წელს პიეტრო ბრაგადინო, ვენეციელი ელჩი სტამბოლში ვენეციის სენატს სწერდა იმ გაუთავებელ ბრძოლაზე, რომელიც მიმდინარეობდა სულტნის პირველ ცოლს – გულბაჰარსა (მუსტაფას დედა) და როგორიცაას შორის. გულბაჰარმა ერთი-ერთი ჩხერის დროს როგორიცაას სახეც კი დაუმახინჯა. როგორიცაა პროტესტის ნიშნად ჩაიკეტა თავის საცხოვრებელში და უარი განაცხადა სულტანთან შეხვედრაზე, მიზეზად თავისი სახის პრობლემები მოიყვანა. ის საქვეყნოდ მოითხოვდა, რომ სულტანს ცოლად მოეკვანა და ძალაუფლებაც მიენიჭებინათ მისთვის. სულტანმა მისი გულის მოსაგებად თავისი შვილი მუსტაფა მანისაში გააგზავნა გამგებლად, რომელსაც პროტოკოლის მიხედვით დედა – გულბაჰარიც თან გაჰყვა. სულეიმანმა მალე გაუშვა ყველა მხევალი და დააქორწინა თავის ფაშებზე. ის როგორიცაას ყველა სურვილს უსრულებდა, მალე როგორიცაა სულტნის კანონიერი ცოლიც გახდა. ამ უპრეცედენტო ამბავზე მოგვითხოვთ იმდროინდელი ინგლისელი დამკვირვებელი სერ ჯორჯ იანგი: (1530წ.)

“ამ კვირას მოხდა უპრეცედენტო ამბავი სასულტნოს ისტორიაში. სულტანმა ცოლად მოიყვანა რუსეთიდან წამოყვანილი მონა ქალი სახელად როგორიცაა და არის დიდი ზეიმი. სასახლეში დიდი მხიარულებაა, ისევე

როგორც ქუჩები, მორთულია სახლებიც, ქუჩებში არის ბევრი საქანელა და ხალხი ქანაობს” (კრუტიქ 1989:115).

ეს ულამაზესი ამბიციური ქალბატონი მართავდა სულეიმანს თავის გარდაცვალებამდე, 32 წელიწადი.

სულეიმანმა ამ ქალში აღმოაჩინა მეორე ნახევარი, რომელთნაც ჰარმონიული ურთიერთობა ჰქონდა როგორ სახლში, ისე საგარეო სააქმეებშიც. ჰარემი ბნელი ქვესკნელიდან გადაიქცა ლამაზ ოაზისად.

1541 წლის იანვარში “ძველ სასახლეში” ძლიერი ხანძარი მოხდა. ამ ფაქტით ისარგებლა როგორიცაა საცხოვრებლად თოფგაფის სასახლეში გადავიდა, აქეთ გადავიდა სულტნის ჰარემიც. ჰურემ სულტნის წლიური შემოსავალი 5 000 დუკატს შეადგენდა (გუდვინი 1994:125).

სულეიმანს სურდა როგორიცაა სასახლე აეგო. როგორიცაა იფიქრა, რომ თვალთახედვის არიდან გაუჩინარებას შეეძლო გამოეწვია სულტნის მხრიდან მისი მივიწყება და სანაცვლოდ მან სულტანს მეჩეთის აშენება შესთავაზა. მიიწვიეს იმ დროისათვის ყველაზე ცნობილი თურქი არქიტექტორი – სინანი და ააშენებინეს მეჩეთი, რომელსაც “სულეიმანიქ”, სულეიმან ბრწყინვალის მეჩეთი უწოდეს, ეს მოხდა 1549 წელს.

როგორიცაა ცდილობდა თავისი ვაჟისათვის მოეპოვებინა სულტნის ტიტული. შემონახულია როგორიცაა წერილები სულეიმანისადმი. ერთ-ერთ წერილში ის სწერს სულტანს:

“ჩემო მბრძანებელო, შენი არყოფნა ჩემს გულში სიყვარულის ცეცხლს უფრო და უფრო აღვივებს. შეიწყალე ეს სული და დააჩქარე წერილის გამოგზავნა, რათა იქნებ მასში გიპოვო ნუგეში. როდესაც შენი წერილი წავიკითხე, შენი შვილი მეტედი და ქალიშვილი მიპრიმაჲი, ჩემს გვერდით იყვნენ და მათ ცრემლები წამოსცვივდათ... შენ მეტითხები, თუ რატომ გამაბრაზა იბრაჲიმ ფაშამ. ღმერთის ნებით, როდესაც შევხვდებით ერთმანეთს, მე აუცილებლად გაცნობებ” (ულუჩაი 1950:31).

სასულტნოში დიდი პატივისცემით სარგებლობდა უფლისწული მუსტაფა, რომელიც მამას ძალიან უყვარდა. როგორიცაა შეეცადა მუსტაფა თავისი შვილებისათვის გზიდან ჩამოეშორებინა. როდესაც მან ხელთ იგდო მუსტაფას წერილი ირანის შაჰისადმი, სადაც ის წერდა, რომ სურდა ძალაუფლების მოპოვება და ამაში შაჰს სთხოვდა დახმარებას. როგორიცაა მუსტაფა ეს ყველაფერი

სულტანს აცნობა, რის შედეგადაც მოხდა ბრძოლა მამასა და შვილს შორის ერეგლის მიდამოებში. სულეიმანმა მოკლა თავისი შვილი.

როგორიცაა თოხი შვილიდან მექმედი მცირეწლოვანი დაიღუპა, ჯიშანგირს ეპილეფსია აღმოაჩნდა, ბაიაზიდი ძალიან მკაცრი აღმოჩნდა, ხოლო სელიმი გახდა ერთადერთი ვაჟი, რომელზედაც დედამ იმედები დაამყარა და ტახტის მემკვიდრეც გახდა.

როგორიცაა გარდაიცვალა 1558 წელს და მისი ადგილი დაიკავა მისმა ქალიშვილმა მიპრიმაპმა და მისმა შვილიშვილმა აიშა ჰუმეშაპმა. სელიმი და მისი შვილი მურად III (1574-1595) ხშირად პოლიტიკას ქალებს ამჯობინებდნენ. ამ პერიოდში სარგებლობდნენ მათი დები, ცოლები და ქალიშვილები და აქტიურად ერეოდნენ სახელმწიფოს საქმეებში. საუკეთესო თანამდებობებს ურიგებდნენ თავიანთ ქმრებსა და ვაჟიშვილებს. სულეიმანი რჩევისათვის თავისი ვაჟიშვილების ნაცვლად, თავის ქალიშვილს - მიპრიმაპს მიმართავდა. როგორიცაამ კარგად გაწვრთნა თავისი ქალიშვილი.

ქოსემი

უფლისწული აპმედი და უფლისწული მუსტაფა ცხოვრობდნენ “ოქროს გალიაში” (*Golden Cage*). როცა აპმედი სულტანი გახდა, მან არ მოკლა თავისი ძმა და კვლავ “ოქროს გალიაში” დატოვა რამდენიმე ქალთან ერთად. შესასვლელში აუშენა კედელი, რომელშიც პატარა ფანჯარა გამოჭრა, საიდანაც მუსტაფას საჭმელს აწვდიდნენ, ასევე ალკოჰოლს და ოპიუმსაც. 14 წლის შემდეგ ეს კედელი დანგრეულ იქნა, მუსტაფა კი სულტანი გახდა.

სულტანი აპმედი ყოველ საღამოს სხვადასხვა ქალთან ერთად ატარებდა. უპირატესობას ბერძენ ლამაზმან – ქოსემს ანიჭებდა, რომელსაც ნაირნაირი ძვირფასეულობით ანებივრებდა. ქოსემი 15 წლის იყო, როდესაც აპმედ I-ის ფავორიტი გახდა, რომელიც აგრეთვე 15 წლის იყო.

აპმედის სულთნობა მცირე ხანს გაგრძელდა, 1603 წლიდან 1617 წლამდე მან ქოსემი მეტად ახალგაზრდა ქვრივი დატოვა. მას სამი ვაჟი დარჩა: მურადი, ბაიაზიდი და იბრაჟიმი. რამდენიმეთვიანი მმართველობის შემდეგ გიურ მუსტაფას მმართველობა დაამხო საჭურისების კორპუსმა და ის კვლავ საპყრობილები დააბრუნეს, ტახტზე ავიდა მუსტაფას ძე – ოსმანი, მაგრამ ის იენიჩარებისა და

სიფაპების აჯანყების დროს მოკლეს. მას ყური მოაჭრეს და დამცირების მიზნით მის დედას გაუგზავნეს. ეს პირველი შემთხვევა იყო სულტნის მკვლელობისა, თუმცა იქამდე ადგილი ჰქონდა ძმათა მკვლელობებს. გიური მუსტაფა 1622 წელს კიდევ ერთხელ გამოიყვანეს საპყრობილებას და ტახტზე აიყვანეს. ამჯერად მუსტაფამ მოითხოვა ქოსემის ვაჟების სიკვდილით დასჯა. საჭურისების კორპუსმა წინააღმდეგობა გაუწია და ტახტზე ქოსემის უფროსი ვაჟი მურად IV (1623-1640) აიყვანეს (კრუტიე 1989:119).

ამ გზით ქოსემმა აიხდინა თავისი ოცნება და ვალიდე სულტანი გახდა. ქოსემის უმცროსი ვაჟი – იბრაჰიმიც გონებასუსტი იყო. დედა იმედებს ევალაზე ლამაზ და მამაც ბაიაზიდზე ამყარებდა, მაგრამ ის თავისმა ძმამ მოკლა.

არცერთი ვალიდე არ ყოფილა ისეთი გავლენიანი, როგორც ქოსემ სულტანი. ის იენიჩარებთან ალიანსში მონაწილეობას იღებდა დიდვეზირის დანიშვნა-გადაყენებასა და სულტნის ტახტზე ასვლაში (ინალჯიქი 1989:98).

მურად IV-მ (1623-1640) სიკვდილისას დედამისს ამცნო, თუ როგორ სძულდა თავისი ძმა იბრაჰიმი. მან ბრძანა იბრაჰიმი მოეკლათ, მაგრამ ქოსემი წინ გადაედობა. იბრაჰიმი საპყრობილები ჩაკეტეს და თავისი ძმის შიშით გარეთ ვერ გამოდიოდა. მხოლოდ იმ პირობით გამოვიდოდა, თუ თავისი ძმის ნეშტს დაანახებდნენ.

იბრაჰიმის სულტნობის წლებს – 1640-1648 წწ. განეკუთვნება ქოსემის, როგორც ვალიდე სულტნის გავლენიანი მმართველობა. დიდვეზირის, მუსტაფა ფაშას დახმარებით იმპერიის მართვა მის ხელთ იყო. უსუსური იბრაჰიმი ჰარემის ცხოვრებით ერთობოდა. მას სიგიჟემდე უყვარდა ბეწვი და მოითხოვდა ყველგან ბეწვი ყოფილიყო, რომ ხელით შეხებოდა. ამასთანავე მას ხიბლავდა მსუქანი ქალები. მისი ფავორიტი იყო სომეხი ქალი, რომელსაც აღმერთებდა. მას სულტანმა უბოძა დამასკოს მმართველობა. ერთხელ სულტანმა ჰარემის მთელი ქალები ტომრებში მოათავსა და დაახრჩო.

იბრაჰიმის სიგიჟის ამბები მალე ფართოდ გაცხადდა და ამას მოჰყვა იენიჩარების აჯანყება. ისინი მიადგნენ სასახლეს და მოითხოვეს სულტნის თავი. ქოსემმა მათთან რამდენიმე საათიანი მოლაპარაკებები აწარმოა, შემდეგ კი დანებდა იმ პირობით, რომ სულტანს არ მოკლავდნენ და მას უკან დააბრუნებდნენ საპყრობილები, სადაც ის მოსიარულე მთგარეული გახდა. მისი ყვირილი სქელი კედლების იქითაც ისმოდა. საბოლოოდ მუფთის ბრძანებით ის დაახრჩეს.

ახალი სულტანი გახდა იბრაჰიმის 7 წლის ვაჟი მეჰმედი, მისი დედა თურქან სულტანი იყო. ქოსემს არ სურდა დაეთმო თავისი თანამდებობა თურქანისათვის და დაბრუნებულიყო “ცრემლების სასახლეში” (*House of Tears*). ქოსემმა სცადა მოეწამლა მეჰმედი და ტახტზე აეყვანა ახალგაზრდა ობოლი უფლისწული, რომელსაც ადვილად მართავდა. შედეგად ამ ორ ქალს შორის დაიწყო ომი..

იენიჩარები ქოსემის მხარეს იყვნენ, დიდვეზირი ქოფრულუ მეჰმედ ფაშა და სასახლის ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლები კი - თურქანის მხარეს.

ქოსემმა ფარულად იენიჩარები ჰარემში შეიყვანა, რათა მძევლად აეყვანათ ახალგაზრდა სულტანი და მისი დედა. თურქანს ადრევე ამცნეს ამ შეთქმულების შესახებ და ქოსემი თავად აღმოჩნდა საჭურისების შეთქმულების მსხვერპლი.

ქოსემი გაგიჟდა, ის თავის ძვირფასეულობას ჯიბეში იტენიდა და ჰარემის ლაბირინთებიან დერეფნებში დადიოდა. ერთ დღეს ის პატარა კაბინეტში ჩაიკეტა, უკან საჭურისები მისდევდნენ. თავსაბურავის ნაწილი კარებში მოჰყვა, რაც დაინახეს საჭურისებმა, შეცვივდნენ ოთახში, ქოსემი გამოათრიეს, ტანსაცმელი შემოახიეს და გაძარცვეს. ერთ-ერთმა თავდამსხმელმა ქოსემი ფარდით მოახრჩო. მისი შიშველი და სისხლით მორწყელი სხეული ჰარემის კარებთან (*Gate of the Aviary*) დააგდეს (პერი 2005:192).

ქოსემი ჰარემის ქალთაგან ყველაზე დიდხანს მართავდა ქვეყანას, თითქმის ნახევარი საუკუნე (*Kösem Sultan*).

ძალაუფლება ხელთ იგდო თურქანმა (1648წ.). ის ჰარემში ძალიან უყვარდათ. ის მოკრძალებული ქალი იყო და ნაკლებად ერეოდა სახელმწიფოს საქმეებში. 1687 წელს თურქანი გარდაიცვალა, ამით დასრულდა ქალთა მმართველობის ხანა.

ნაქშედილ სულტანი (Aime Debucq de Rivery)

სულტანის სასახლის არცერთი ქალის ცხოვრება არ იყო ისე იდუმალებით მოცული, როგორც ნაქშედილის. დანამდვილებით ისიც არ შეგვიძლია ვთქვათ, ნაქშედილი და ემი ერთი და იგივე ადამიანი იყო თუ არა.

ერთი ვერსიით ემი დიუბუქ რივერი დაიბადა 1763 წელს მარტინიქში კეთილშობილის ოჯახში. მისი ბიძაშვილი - ჟოზეფინა (*Josephine Tascher de la Pagerie*) ცოლად გაჰყვა ნაპოლეონ ბონაპარტის. ლეგენდის მიხედვით ეს ორი გოგო გათხოვებამდე მკითხავთან იყო, რომელმაც უთხრა, რომ ორივე მათგანი გახდებოდა დედოფალი, მათგან ერთი აღმოსავლეთის, ხოლო მეორე დასავლეთის.

1784 წელს, როცა ემი ნანტიდან მარტინიქში ბრუნდებოდა, ის შეიპყრეს და 21 წლის ემი სულტან აბდულ-ჰამიდ I-ს მიჰვარეს.

ემი ქერა, ლამაზი და მეტად განათლებული გოგონა იყო. სულტანმა მას სახელად ნაქშედილი (“გულზე ამოქარგული”) დაარქვა და თავის ფავორიტად აქცია. ის მეოთხე ცოლამდე ამაღლდა და ჰარემის პოლიტიკურ ვნებათაღელვაში ჩაერთო. ის უყურებდა და სწავლობდა, თუ როგორ ცდილობდნენ სულტანის პირველი ცოლი – ნუქჰეთ რეზა და სულტანის მეორე ცოლი მიჰრიმაჰი თავიანთი შვილების ტახტზე აყვანას.

1789 წელს, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის წელს, სულტანი აბდულ-ჰამიდი გარდაიცვალა. სულტანი გახდა 27 წლის სელიმ III (1789-1807). მან სთხოვა ნაქშედილს თავის შვილთან მაკმუდთან, ანუ თავის ძმისშვილთან ერთად სასახლეში დარჩენილიყო. სულეიმანისათვის ნაქშედილი იყო საფრანგეთთან ასოცირებული, საფრანგეთით კი სელიმი მეტად მოხიბლული იყო. ნაქშედილი მისი ნდობით აღჭურვილი გახდა, ის სულტანს ფრანგულსაც ასწავლიდა. პირველად გაიგზავნა ელჩი სტამბოლიდან პარიზში. სელიმმა ნება დართო ნაქშედილს სასახლე როკოკოს სტილით მოქრთო (კრუტი 1989:123).

ამ ფრანგულილურმა რეფორმებმა იმსხვერპლა სელიმის სიცოცხლე. 1807 წელს ის მოკლულ იქნა რელიგიური ფანატიკოსების მიერ, რომლებიც არ იწონებდნენ სულტანის ლიბერალიზმს. მკვლელებს მაკმუდის მოკვლაც სურდათ, მაგრამ ნაქშედილმა დუმელში გადამალა და ასე გადაარჩინა სიკვდილს თავისი შვილი. ამ გზით მაკმუდი შემდეგი სულტანი გახდა და დაასრულა მნიშვნელოვანი რეფორმები, რომლებსაც ატარებდა თავისი დედის

მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ. ლ. კინროსის მიხედვით მაპმუდის დედა წარმოშობით, შესაძლებელია ფრანგი იყო, თუმცა მაპმუდმა არ იცოდა არცერთი ევროპული ენა (კინროსი 1997:472).

ჰარემის ეტიკეტის გათვალისწინებით ემიზ მიიღო ისლამი, მაგრამ ის გულში ქრისტიანი დარჩა. მისი უკანასკნელი სურვილი იყო, მისთვის საბოლოო ქრისტიანული რიტუალი მღვდელს ჩაეტარებინა. ამაში მის შვილს წინააღმდეგობა არ გაუწევია. მომაკვდავ ემისთან ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში პირველად შეაბიჯა სასახლეში კათოლიკე მღვდელმა.

მქაფლევარი ქ. ისომ-ფერპაარენი აღნიშნავს, რომ ნაქშედილი იყო სულტან მაპმუდის დედა, მაგრამ მას არ ერქვა ემი. ის ასევე დასძენს, “მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მცირე ინფორმაცია მოგვეპოვება XVIII საუკუნის სულტნის დედებზე, თითქმის დაზუსტებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი არ იყვნენ ფრანგი პრინცესები” (ისომ-ფერპაარენი 2006:161). ამ ლეგენდების გავრცელების ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ ოსმალეთის იმპერიის სურვილი საფრანგეთან დიპლომატიური კავშირის განმტკიცებისა. შეგვიძლია დავასვნათ, რომ ემის წარმომავლობა, ისევე როგორც ჰარემის ქალთა უმრავლესობისა, მაინც ბურუსით დარჩა მოცული.

სულტნის ქალიშვილები

სულტნის ქალიშვილები სასახლეში სხვა სამეფო წრის ბავშვებთან ერთად იზრდებოდნენ, მათთან ერთად თამაშობდნენ ასევე “ოდალისკი”-ს შვილები. მათი ძმების მსგავსად მათაც აძლევდნენ განათლებას სკოლაში, იქამდე, ვიდრე ისინი მიაღწევდნენ ზრდასრულ ასაკს.

პრინცესების ქორწინება, ძირითადად, პოლიტიკურ მიზანს ემსახურებოდა, ისევე როგორც მრავალ სახელმწიფოში. სულტანი თავად ირჩევდა სასიძოებს თავისი ქალიშვილებისა და დებისათვის, ხოლო დიდვეზირი ფორმალურად გამოსცემდა დეკრეტს (დირექტივა, ბრძანება). როგორც კი ამ დეკრეტს მიიღებდა ესა თუ ის სასიძო, ის იძულებული იყო გაპყროდა თავის ყოფილ ცოლებსა და “ოდალისკებს” (კრუტი 1989:109).

პრინცესების დაქორწინება ადრეულ ასაკში ხდებოდა, ისე, რომ საქმრო თვალითაც არ ჰყავდათ ნანახი. ცოლის მცირეწლოვანების გამო, ქმარი ვალდებული იყო ეთავა მისი აღზრდა. მას შემდეგ, რაც ქორწილი გადაწყდებოდა, სულტანს პრინცესისათვის უნდა ეჩვენებინა სასახლე, რომელშიც ისინი გადავიდოდნენ. საცხოვრებლის ყველანაირ ხარჯს იხდიდა ქმარი. პრინცესებს თან მიჰქონდათ მზითევი, რომელიც მათი პირადი საკუთრება იყო (ბეითსი 1978:249).

ზემოთ აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს პრინცი დემეტრიუს კანტემირი XVII სულტანის დასასრულს. ის მოგვითხრობს, რომ სულტნის ქალიშვილები ძირითადად აკვიდანვე არიან დანიშნულები მაღალ სახელმწიფო მოხელეებზე, რომლებსაც იქამდე, სანამ სულტნის ქალიშვილს არ მოიყვანენ ცოლად, სხვა ცოლის მოყვანის უფლება არა აქვთ. თუ ეს მოხელე სულტნის მიერ დასჯილი იქნება, მაგალითად, თავს მოკვეთენ, მაშინ სულტნის ქალიშვილს სხვა საქმროს შეურჩევენ. მურად IV-ის (1623-1640) დას ერთ წელში ოთხი ქმარი ჰყავდა, მაგრამ არცერთი მათგანი არ ყოფილი რეალური ქმარი. მისი ქმრები ამხილეს სხვადასხვა სახელმწიფო დანაშაულებებში, შესაბამისად მთელი ქონება გადაეცა მათ ცოლს, რეალურად კი სამეფო ხაზინას (კანტემირი 1734:179).

პრინცესები ხშირად თხოვდებოდნენ სქესობრივ მომწიფებამდე და მათზე გაცილებით დიდი ასაკის მამაკაცებზე და შესაბამისად ხშირად ადრეულ ასაკში ქვრივდებოდნენ. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო XIX სულტნები. თუმცა ეს ყოველთვის არ იყო კატასტროფა. ფატმა სულტანი, სულტან აჰმედ III-ის (1703-1730) ქალიშვილი, 13 წლის იყო, როცა დააქორწინეს დიდგეზირ – ნევშაპირლი იბრაჰიმ ფაშაზე, რომელიც 51 წლის იყო. 63 წლის დიდგეზირი სიკვდილით დასაჯეს. 24 წლის ფატმა ბოლომდე ქმრის ერთგული დარჩა. მანამდე 5 წლის ფატმა დააქორწინეს დიდგეზირზე და 9 წლის ფატმა დაქვრივდა.

მუსტაფა III-ის (1757-74წ) შვილი დააქორწინეს 4 წლის ასაკში, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ კი, 7 წლის ასაკში – დიდგეზირზე, 8 წლისა ისევ დაქვრივდა. 17 წლისა იგი დაქორწინდა ფაშაზე და 25 წელი იყო მისი მეუღლე. მისმა მეუღლემ მასზე დიდხანს იცოცხლა.

ზოგიერთი გოგონა 2-3 წლის ასაკში უკვე ინიშნებოდა. სერაგლიოს მატიანები - ანალებში (*Annals*) მოიპოვება ქორწილის შესანიშნავი აღწერილობა (1709წ.), რომელიც გაიმართა მეჰმედ III-ის (1595-1603) 5 წლის ქალიშვილ ფატმასა და მის კარისკაცს ალი-ფაშას შორის, რომელიც საშუალო წლოვანების

მამაკაცი იყო. ცერემონია იყო სიმბოლური. დაქორწინების შემდეგ მათ ერთად ცხოვრება იქამდე არ შეეძლოთ, სანამ ფატმა მოწიფულობის ასაკს არ მიაღწევდა. ამას კი ალი-ფაშა ვერ მოესწრო, რადგანაც ქორწინებიდან 7 წლის შემდეგ ის მოკლულ იქნა ერთ-ერთ ომში.

სულტან სულეიმანის და – შაჰ სულტანი ცოლად პყავდა დიდვეზირ ლუტფი ფაშას. მან წინააღმდეგობა გაუწია თავის ქმარს მკაცრი გადაწყვეტილების მიღებაში, რაც ითვალისწინებდა მუსლიმი ქალების დასჯას, ამისათვის დიდვეზირი სასტიკად გაუსწორდა შაჰ სულტანს, ქალის კივილმა საჭურისების ყურამდეც მიაღწია. განრისხებულმა სულტანმა არ დასაჯა სიკვდილით ლუთფი ფაშა, თუმცა მოითხოვა განქორწინებოდა თავის დას და შემდეგ გადაასახლა. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ პრინცესები ერეოდნენ მათი ქმრების საქმიანობაში და ცდილობდნენ ჩარეულიყვნენ მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში. გადასახლებაში ლუთფი ფაშამ დაწერა მნიშვნელოვანი ისტორიული ნარკვევი თსმალეთის სულთნებზე, რომელიც დღესაც მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროა. შაჰ სულტანი აღარ დაქორწინებულა. სამეფო ოჯახმა შეურაცმხუფლე ლუთფი ფაშას მაინც არ ჩამოართვა ქონება.

პრინცესები, ხშირად, სიცოცხლესაც კი უძღვნიდნენ თავიანთ მოსიყვარულე ქმრებს, მაგალითად, ფატმა სულტანმა, მურად IV-ის დამ, გადაარჩინა სიავუშ ფაშას სიცოცხლე.

ევლია ჩელების მიხედვით, უფრო მეტია ცნობილი კაია სულტანზე და მის ქმარზე მელექ აჰმედ ფაშაზე. 1633 წელს ევლიამ თავად გაისროლა იარადი, რათა აღენიშნათ კაიას დაბადება. 1644 წელს ის დაქორწინდა დიდვეზირზე მელექ აჰმედ ფაშაზე. ისინი ძალიან ბედიერი წყვილი იყო. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მას ვალიდე სულტანთან ვიზიტისათვის პრობლემა არ ექმნებოდა და ყოველთვის თავისუფლად შედიოდა მასთან. როცა ის გარდაიცვალა, ყველა გალიდე თუ პრინცესა მივიდა მის საფლავზე პატივსაცემად.

მელექ აჰმედი კვლავ დაქორწინდა პრინცესაზე, ბებერ ჯადოქარზე – ფატმა სულტანზე. მისთვის ეს მეოთხე ქმარი იყო. საქორწინო დამის შემდეგ მან სასახლეში მოიყვანა შიდა და გარე მოსამსახურების აურაცხელი რაოდენობა. ეს ქალი იყო უსირცხვილო და არაორდინარული პიროვნება. ქმარმა თავის ცოლზე შესჩივლა სულტანს, სულტანმა კი მიუგო, რომ ასეთი უთანხმოებანი ხშირი იყო ცოლ-ქმარს შორის. მელექ აჰმედის გარდაცვალების შემდეგ, ფატმამ მოისურვა დაულუქა მისი ოთახები. ეს ამბავი აცნობეს დიდ ვეზირს, რომელმაც

მოითხოვა სასწრაფოდ მოეხსნათ ყველა ლუქი, პრინცესამ კი გაქცევით უშველა თავს.

ფატმას ცხოვრებას თუ გადავხედავთ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ის იყო მეტად განებივრებული და ეგოისტი ქალი. ის იყო ქოსემის შვილი, დაბადებული 1605 წელს. 19 წლისა დაქორწინდა კაფუდან ფაშაზე, რომელსაც გაეყარა, რათა დაქორწინებულიყო ქარა მუსტაფა ფაშაზე, რომელიც მოკლეს 1628 წელს ე.წ. საქორწინო სარეცელზე. ამის შემდეგ ფატმა დაქორწინდა სხვა ადმირალზე, რომელიც 3 წლის შემდეგ მოკლეს. მხოლოდ 24 წლის შემდეგ მან მოითხოვა მელექ აქმედ ფაშაზე დაქორწინება. აქმედ ფაშას გარდაცვალების შემდეგ ის სასწრაფოდ დაქორწინდა კიდევ ერთ ფაშაზე, რომელიც 3 წლის შემდეგ გარდაიცვალა, ამის შემდეგ ფატმა 62 წლის ასაკში გათხოვდა ბოლო ფაშაზე, რომელმაც ფატმაზე დიდხანს იცოცხლა.

ნებისმიერი მამაკაცი, რომელიც ქორწინდებოდა სულტნის ოჯახის წევრზე, ჯილდოვდებოდა “*Damat*”-ის ან “*სიძეს*” ტიტულით.

ფატმას და – აიშე, ასევე დაიბადა 1605 წელს 7 წლის ასაკში ის დააქორწინეს დიდვეზირზე, რომელიც მოკლეს, როცა აიშე 9 წლის იყო (გუდვინი 1994:144). ცნობილი არაა ისინი ერთმანეთს ოდესმე თუ შეხვდნენ. შემდეგ ის დაინიშნა ერთ-ერთ გმირზე, რომელიც გარდაიცვალა, როცა აიშე 16 წლის იყო. 1627 წელს აიშე 22 წლის ასაკში გათხოვდა ერთ დიდვეზირზე. მისი მკვლელობის შემდეგ სამი წელი აიშემ შეისვენა, რის შემდეგაც გათხოვდა ფაშაზე. ეს ქორწინება გაგრძელდა 4 წელს. საბოლოოდ ის გათხოვდა ვოინუკ აქმედ ფაშაზე, რომელიც გარდაიცვალა, როცა აიშე 39 წლის იყო. აიშე დარჩა ქვრივი, თუმცა დიდაძი ფული პქონდა და 1656 წელს გარდაიცვალა.

XIX საუკუნეში “ბავშვების ქორწინება” დასრულდა და ქორწინების მინიმალურ ასაკად დასახელდა მოწიფულობის ასაკი. ზოგიერთი პრინცესა თვითონვე არჩევდა თავის საქმროს და შესაბამისად დიდი თავისუფლებით სარგებლობდა, ვიდრე რომელიმე ქალი ისლამურ სამყაროში. ზოგი პრინცესა სიყვარულით თხოვდებოდა.

ქორწინების ცერემონია მეტად საინტერესო იყო. პროცესია მიემართებოდა თოფკაფის სასახლიდან სასიძოს სასახლისაკენ. იანიჩართა კორპუსი სადღესასწაულო ფორმაში იყო გამოწყობილი და მზითევი მიჰქონდათ. მათ მიჰყვებოდათ ყურანის წამკითხველები, მილიციის მეთაური, თეთრი საჭურისების უფროსი, მთავარი არქიტექტორი და სხვა. მოჰქონდათ სადღესასწაულო

ვერცხლისა და ოქროს ფოთლებით მორთული ცვილის ხე, რომელსაც პატარძლის ოთახში დგამდნენ როგორც ნაყოფიერებისა და სიუხვის სიმბოლოს (*Nahil*). ბოლოს მოჰკონდათ საჩუქრები, მათ შორის ძვირფასი სამკაულები, თვლებით მოქარგული ბალიშები. პროცესიაში მონაწილეობას იღებდნენ თანამდებობის პირები, რომლებიც მოდიოდნენ თანამდებობის მიხედვით, დიდვეზირი და შეიხ-ულ-ისლამი ერთად მოდიოდნენ. ყველაზე ბოლოს მოდიოდნენ ავეჯით დატვირთული სახედრები (გუდვინი 1994:145).

ქორწინების ცერემონია ძირითადად ხუთშაბათ დღეს იმართებოდა და სრულდებოდა საპატარძლოს თავის ახალ ბინაში შებრძანებით. წვეულებას ესწრებოდნენ მექის მბრძანებელი და შავი საჭურისების უფროსიც. პატარძალი მიჰყავდათ ვერცხლის ეტლით, რომელსაც მიჰყვებოდნენ პარემის მთავარი ქალბატონები ნაკლებად თვალისმომჸრელი ეტლებით და შემდეგ გოგონები. უკრავდა ორკესტრი. ევლია ჩელების მიხედვით ზოგიერთი სადღესასწაულო ცვილის ხე იმდენად დიდი იყო, რომ ასეული მონა იყო საჭირო მის სატარებლად. 1646 წელს 4 წლის პრინცესას ქორწინებისას ეს ხე იმდენად მაღალი იყო, რომ მინარეთის სიმაღლეს აღწევდა. საქორწინო დღესასწაული ორ კვირაზე მეტხანს გრძელდებოდა.

სულტნები გულუხვები იყვნენ თავიანთი ქალიშვილების გათხოვებისას. საპატარძლოს მზითევს სახალხოდ გამოფენდნენ. 1836 წელს მიჰრიმაჳ სულტნის ქორწილის შესახებ შემდეგ ცნობებს გვაწვდის ბარონი ჰელმუტ მოლტკე:

“გუშინ (4 მაისი, ოთხშაბათი, 1836წ.) პრინცესას მზითევი წაიღეს თავის ახალ სახლში, პროცესიას იცავდნენ კავალრები და რამოდენიმე ფაშა. პროცესიაში მონაწილეობას იღებდა 40 სახედარი, რომელიც დატვირთული იყო ძვირფასი ქსოვილებით, 20 ეტლი დატვირთული შალით, ხალიჩებით, აბრეშუმის ტანსაცმლით და სხვა, შემდეგ მოდიოდა 360 მტვირთავი, რომლებსაც მოჰკონდათ დიდი ვერცხლის ლანგრები. პირველ ლანგარზე იდო ყურანი, შემკული ოქროთი და მარგალიტებით, შემდეგ ვერცხლის სკამები, საიუველირო ყუთები, ოქროს ჩიტის გალიები და კიდევ ღმერთმა იცის რა. სავარუდოა, რომ აქედან ბევრ ნიგოს უგან აბრუნებდნენ და შემდეგი პრინცესას ქორწილზე პალავ გამოჰკონდათ” (კრუტიე 1989:109).

გართობა, ცეკვა, თამაში რამოდენიმე კვირას გრძელდებოდა. ქორწილის ცერემონიის დასრულების შემდეგ ახალდაქორწინებულები სასახლეში მიდიოდნენ, რომელიც წინასწარ იყო მორთული სულტნის მიერ. სასიძო

შედიოდა საცოლის ოთახში, ის ჯერ ლოცულობდა, შემდეგ ფეხებს უკოცნიდა პრინცესას. ასე იწყებოდა პირველი საქორწინო დამე.

ნათელია, რომ ოსმალეთის იმპერიის პრინცესათა დაქორწინება პოლიტიკურად მოტივირებული იყო. ამის ნათელი მაგალითია ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები. აქვე აღსანიშნავია, რომ მე-15 საუკუნის დასასრულისათვის ნელ-ნელა იყო თემალო პრინცესათა ქორწინებამ არაოსმალური დინასტიის წარმომადგენლებზე, ისინი ხშირად თხოვდებოდნენ ან საკუთარ ბიძაშვილზე, ან რომელიმე გამორჩეულ დიდმოხელეზე და ამით გამოხატავდნენ ისინი ქვეყნისადმი ერთგულებას (გოჩექი 2003:75).

პრინცესებს დიდი ზეგავლენა გააჩნდათ მამებზე, მაგალითად სულეიმან ბრწყინვალის (1520-1566) ქალიშვილს მიპრიმაჲს და მის (სულტნის) შვილიშვილს აიშე ჰუმაშაჲს დიდი ძალაუფლება გააჩნდათ მამებსა და ქმრებზე. აჲმედ III-ის (1703-1730) მეორე ქალიშვილმა ჰათიჯე სულტანმა დიდი გავლენა მოახდინა როგორც მამაზე, ისე ძმაზე, ასევე დიდვეზირზე ტიტების ეპოქაში.

მიპრიმაჲ სულტანი ყველაზე ცნობილი პრინცესა იყო თემალეთის ისტორიაში. ის სათავეში ედგა მრავალ საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობას. ის ძალზედ ამბიციური იყო. ოსმალო ისტორიკოსთა მიხედვით მიპრიმაჲი მამას ვაჟიშვილებზე მეტადაც უყვარდა და მას მიიჩნევდა ძალიან ჰკვიან ქალად.

მიპრიმაჲის ქონება, რომელსაც შეადგენდა მისი კუთვნილი მზითევი და ასევე ქმრის ქონება, მისივე ანდერმით, გადაეცა საქველმოქმედო ორგანიზაციებს მიპრიმაჲ სულტანს ძალიან უყვარდა თავისი ძმა სელიმ II (1566-1574), რომელსაც ტახტზე ასვლისას ასესხა 50 000 ოქროს დუკატი (ბეითსი 1978:252).

მიპრიმაჲ სულტნის სახელი დაკაგშირებულია ოსმალეთის იმპერიაში მშენებლობის გააჭტიურებასთან. მისი სურვილით და ინიციატივით აშენდა ორი მეჩეთი თავისი კომპლექსებით, აბანოებითა და მედრესეებით. ორივე ეს მეჩეთი ააშენა არქიტექტორმა სინანმა. პირველი მეჩეთი მდებარეობდა უსქუდარის ნაპირზე – სტამბოლის აზიურ ნაწილში, ხოლო მეორე ედირნეგაფიში.

6. ქალის სტატუსი ოსმალური საოჯახო სამართლის მიხედვით

თურქი ქალის სოციალური და სამართლებრივი სტატუსის წარმოჩენისათვის საინტერესო იქნება, თუ მოკლედ განვიხილავთ ოსმალურ საოჯახო სამართალს. ოსმალურ საოჯახო სამართალი საუკუნეთა მანძილზე შეესაბამებოდა შარიათის კანონმდებლობას. მან ცვლილებები მხოლოდ 1917 წელს განიცადა, როცა მიღებულ იქნა ახალი საოჯახო სამართალი.

ოსმალეთის იმპერიაში 1544 წლამდე ქალს შეეძლო გათხოვება მშობლების დაუკითხავად, რაც 1544 წლიდან სულტნის ბრძანებით სასტიკად აიკრძალა და ასე გაგრძელდა XX საუკუნემდე. ამ კანონის ძალით მოსამართლეები ვალდებული იყვნენ ყოველგვარი ქორწინების საქმე შეეწყვიტათ, თუ ამაზე მშობლების თანხმობა არ ექნებოდათ მიღებული.

ოსმალეთის იმპერიაში ისლამური კანონმდებლობის მიხედვით დაშვებული იყო პოლიგამია, ანუ მუსლიმ კაცს შეეძლო 4 კანონიერი ცოლი ჰყოლოდა. აღსანიშნავია, რომ პოლიგამია ძირითადად სახელისუფლებო წრეებში იყო გავრცელებული. მაგალითად, ქოფრულუ მეჭმედ ფაშას 4 კანონიერი ცოლი და რამოდენიმე ხასა ჰყავდა. ქვეყნის ერთიან მდგომარეობას თუ განვიხილავთ ამ მიმართულებით, დავინახავთ, რომ მამაკაცთა ძირითად ნაწილს ერთი ან ორი ცოლი ჰყავდა, რაც დამოკიდებული იყო მათ ქონებრივ შესაძლებლობებზე. ამის განმაპირობებელი ფაქტორი აგრეთვე იყო ისიც, რომ ხშირად ქალს არ სურდა ცოლად გაპყოლოდა ისეთ მამაკაცს, რომელსაც სხვა ცოლი ჰყავდა. მაგ. ”1631 წელს ოსმალეთის ერთ-ერთ ხოფელში მოლა ჰუსეინის ქალიშვილმა შაპიემ უარი განაცხადა დაქორწინებულიყო უკვე დანიშნულ ჯაფერზე, რადგანაც მას უკვე სხვა ცოლი ჰყავდა” (აქილმაზი 2002ა: 629).

ლუიჯი დე ზარა ბასანომ, რომელიც სტამბოლში იმყოფებოდა 1537-1540 წლებში, რომში დაბრუნების შემდეგ გამოსცა წიგნი ოსმალო ხალხის ადათ-წესებზე, რომელიც შეიცავდა აღწერილობას ქალთა მდგომარეობის შესახებ. ქორწინებასთან დაკავშირებით ლ. ბასანო აღნიშნავს, რომ მუსლიმი ქალი არ თხოვდებოდა ქრისტიან მამაკაცზე, მაგრამ მუსლიმი მამაკაცი ხშირად ირთავდა ქრისტიან ცოლს. მუსლიმ ქალს შეეძლო განქორწინება თუ მას არ მოეწონებოდა ქმრის სახლი ან თუ ქმარი დააძალებდა თავის ცოლს ლვინის დალვას.

ოსმალეთის იმპერიაში მრავალი ცნობა მოიპოვება იმის შესახებ, რომ ქმრები ხშირად უმიზეზოდ სცემდნენ თავიანთ ცოლებს, შეურაცხყოფას აყენებდნენ მათ და სახლებში ამწყვდევდნენ. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ყოველთვის მხარს უჭერდა ქალს და მამაკაცებისაგან მათდამი პატივისცემას მოითხოვდა.

ჩვენ მოგვეპოვება მუსლიმი იურისტების მიერ სამართლის წიგნებიდან შედგენილი სია იმ უფლება-ვალდებულებებისა, რაც მამაკაცებს ქალებთან მიმართებაში გააჩნდათ:

1. ქალებმა უნდა დააკმაყოფილონ თავიანთი ქმრების ყველა სურვილი თუ ბრძანება და დაემორჩილონ მათ;
2. საცხოვრებელის განსაზღვრა მამაკაცის ვალდებულებაა და ქალებიც უნდა დაემორჩილონ მათ. “მამაკაცმა თავისი ცოლი არ უნდა აცხოვროს იქ, სადაც მისი დედ-მამა ცხოვრობს ან ყოფილი ცოლი. თუ ეს საცხოვრებელი არ არის ჯანმრთელი, ან არ არის იქ საცხოვრებელი პირობები, ქალს შეუძლია იქაურობა დატოვოს” (პალილი 1974:78).
3. მამაკაცს შეუძლია აკონტროლოს ცოლის წასვლა-მოსვლა. პანაფიტების მიხედვით მამაკაცმა არ უნდა დაუშალოს თავის ცოლს კვირაში ერთხელ თავისი მშობლების, ხოლო წელიწადში ერთხელ ნათესავების მონახულება;
4. სტუმრის მიღების ნებართვა ცოლმა ქმრისაგან წინასწარ უნდა მიიღოს, რადგანაც მისი ქმარი იხდის ყველა ხარჯს, მაგრამ ეს არ უნდა გავრცელდეს ცოლის მშობლების სტუმრობაზე კვირაში ერთხელ და ნათესავების წელიწადში ერთხელ.

ქალის ასეთი დამოკიდებული მდგომარეობა ერთნაირად არ ვრცელდებოდა მთელს ოსმალეთის იმპერიაში. ამის დადასტურებაა თუნდაც ლედი მონტეგიუს წერილები, სადაც ის ასახავს XVIII ს-ის თურქი ქალის თავისუფალ ცხოვრებას (აქილმაზი 2002ა:630).

ქმარს არ შეუძლია განკარგოს ცოლის ქონება, ქალს შეუძლია დამოუკიდებლად განკარგოს თავისი ქონება და ქმარს უფლება არა აქვს ამ ქონებაზე. თავისი ქონებით ქალებს შეუძლიათ გაკვების დაარსებაც, რაზედაც ამ ნაშრომში იქნება საუბარი. ქალს ასევე შეეძლო თავისი ქონების

მემკვიდრეობით გადაცემა. “მაპრი”³¹, რომელსაც ქმარი აძლევდა ცოლს, იყო ცოლის კუთვნილი ქონება, რომელზედაც არც ქმარს და არც მამამისს არანაირი უფლება არ გააჩნდათ. ჩვეულებრივ ”მაპრის” ნაწილს ქალს გადასცემდნენ ნიშნობის ცერემონიალზე ან ქორწილის შემდეგ და მას ეწოდებოდა “*mehr-i muaccel*”³². ”მაპრის” დანარჩენ ნაწილს ქალი იღებდა მაშინ, როცა ქორწინება სრულდებოდა გაყრით, ან სიკვდილით. ამას ეწოდებოდა “*mihr-i müeccel*”. ამგვარად ”ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში ცოლს აუცილებლად გამოეყოფოდა ”მაპრი” და შემდეგ დანარჩენ ქონებას უყოფდნენ მემკვიდრეებს. თუ ეს ასე არ მოხდებოდა, ქალს შეეძლო წასულიყო სასამართლოში და დაეცვა თავისი უფლებები” (აქილმაზი 2002ა:630).

ქმრები ასევე ვალდებულები იყენენ თავიანთი ცოლებისათვის უზრუნველეყოთ საცხოვრებელი, საჭმელი, სასმელი, სამედიცინო დახმარება და მოსამსახურის ხარჯები. წინააღმდეგ შემთხვევაში ქალს შეეძლო სასამართლოში სარჩელი შეეტანა.

“ისლამური სამართლის მიხედვით განქორწინება ხდებოდა ”ტალაკ“ – ფორმულის წარმოთქმით. მამაკაცს ჰქონდა განქორწინების უპირატესი უფლება. ქალს საკუთარი ინიციატივით განქორწინება შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საქორწინო ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული, ამას ერქვა “*tefviz-i talak*”, მაგრამ მოსამართლეთა ჩანაწერებში ქალის მიერ განქორწინების ინიციატივის შესახებ მეტად მწირია ცნობები. ამის მიზეზი არის ის, რომ ქალს იშვიათად აძლევდნენ განქორწინების უფლებას. არის ცნობები იმის შესახებ, რომ ”*tefviz-i talak*“-ის უფლებები მიიღო ოსმალეთის სულტნების ზოგიერთმა ქალიშვილმა.

³¹ მაპრი არის ქონება, რომელიც ქმარმა უნდა გამოუყოს ცოლს თანასწორუფლებიანი ქორწინების თანახმად. მაპრი კანონიერი ქორწინების მთავარი პირობაა და განიხილება, როგორც საფასური ცოლისათვის ცოლ-ქმრული მოვალეობის შესრულების გამო. მაპრი არის ყველაფერი ის, რასაც ღირებულება გააჩნია და რაზედაც შეიძლება გავრცელდეს საკუთრების უფლება (გელოვანი 2005:167).

³² მუსლიმურ სამართალში მაპრი ორ ნაწილად იყოფა: მუ'აჯჯალ (წინასწარ გადახდილი) და მუ'აჯჯალ (გადავადებული). პირველი ნაწილის გადახდა ხდება მაშინვე, ცოლის მოთხოვნით და მეორე ნაწილი – ან ქმრის გარდაცვალებისას ან განქორწინებისას (გელოვანი 2005:168).

ქველაზე მისაღები განქორწინების მეთოდი ქალისათვის იყო “*Tefrik*”-ის დროს ქალი მიმართავდა სასამართლოს და ითხოვდა განქორწინებას. მიზეზად კი ასახელებდა ცოლ-ქმრული ვალდებულებების შეუსრულებლობას.

ამგვარად, ჩვენ დავინახეთ, რომ ოსმალურ სამართალს საფუძვლად ედო ისლამური სამართალი მცირეოდენი ცვლილებებით. ეს ცვლილებები კი მიღებული იყო ოსმალეთში გაბატონებული ჰანაფიტური სამართლებრივი სკოლის მიერ. აღნიშნული საოჯახო სამართალი უცვლელი დარჩა 1917 წლამდე, როცა მიღებულ იქნა ახალი საოჯახო სამართლის კოდექსი.

7. ქალი და ქველმოქმედება ოსმალეთის იმპერიაში

ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები მდიდარი ქალების შესახებ მეტად საინტერესო ცნობები მოიპოვება.

წინამდებარე თავში საუბარი იქნება XV-XVIII სს-ის ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრებ მდიდარ ქალთა შესახებ, მათ სოციალურ როლზე საზოგადოებაში, აღწერილი იქნება მდიდარი ქალების ქონებრივი ინვენტარიზაცია, მათი საზოგადოებრივი სტატუსი. ვისაუბრებთ იმაზეც, თუ როგორ გამოიყურებოდა მდიდარი ქალის ჩასაცმელი, მათი ძვირფასი სამკაულები. მნიშვნელოვანი ინფორმაცია იქნა მოძიებული იმ ქალთა შესახებ, რომლებმაც ჰაჯი (პილიგრიმობა) შეასრულეს მექაში.

როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, შუა საუკუნეების ოსმალეთის იმპერიაში შარიათის მიხედვით ქალს უფლება ჰქონდა მემკვიდრეობიდან თავისი წილი ქონება მიედო. ეს განპირობებული იყო იმითაც, რომ ყადი აქტიურად ცდილობდა დაუცვა ქალთა უფლებები მემკვიდრეობის მიღებისას, შედეგად ქალისთვის სასამართლოს კარი ყოველთვის დია იყო. ოსმალურ ანატოლიაში მნიშვნელოვანი იყო ქალის მიერ ქონების ფლობის საკითხი. მაგრამ ჩანს, რომ ამ კუთხით სიტუაცია განსხვავებულია რეგიონების მიხედვით. მე-17-ე საუკუნის ანატოლიაში ქალები ხშირად იდებდნენ მემკვიდრეობიდან თავიანთ წილს. მოგვეპოვება ცნობები იმის შესახებაც, რომ ქალები თავიანთ ქონებას ზრდიდნენ ფულის გასესხების გზითაც. ანატოლიური ქალის საკუთრებაში ხშირად იყო ბაღები და ვენახები. XVI-XVII საუკუნეების ჩანაწერების მიხედვით იყვნენ ქალები, რომლებიც ფლობდნენ სახელმწიფოს კუთვნილ სასოფლო-სამეურნეო მიწებს და ამასთან დაკავშირებით იცავდნენ თავიანთ უფლებებს სასამართლოში. სამწუხაროდ ძალიან მწირია ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მოიპოვებდა ქალი ასეთ აქტიურ როლს საზოგადოებაში.

ისტორიკოსმა აბრაჟამ მერჯუზმა დაკვირვებები ჩაატარა ალეპოს მაგალითზე. მისი ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ XVIII საუკუნის ალეპოში ხშირი იყო ისეთი ფაქტი, როცა ცოლ-ქმარი ერთად ყიდულობდა სახლს, რაც იშვიათი იყო ცენტრალურ ანატოლიაში. ცნობებიდან ირკვევა, რომ ალეპოელი

ქალი უფრო აქტიურად იდებდა მემკვიდრეობით უძრავ ქონებას, ვიდრე ეს ხდებოდა XVII საუკუნეების ანატოლიაში.

ინგერესს მოკლებული არ იქნება თუ შევჩერდებით XVIII საუკუნის ოსმალეთის იმპერიის პრინცესათა დანახარჯებზე. ოსმალეთის იმპერიის არსებობის მანძილზე პრინცესათა მოხმარების საგნებს ყოველთვის შეადგენდა ძვირფასი ნივთები. XVIII საუკუნიდან ამ პრინცესათა პოლიტიკური როლი გაიზარდა და შესაბამისად მათმა დანახარჯებმაც იმატა და გამჭვირვალე შეიქმნა. დანახარჯების ძირითად წყაროს წარმოადგენდა ზღვის ზოლში ბოსფორის გასწვრივ მდებარე ვილები (საჰილსარაი). ასეთი ვილები, ჩვეულებრივ, საიმპერიო დინასტიის ჩამომავალ ქალებს დაბადებიდან გააჩნდათ, ან გადაეცემოდათ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ამ დინასტიის ჩამომავალზე გათხოვდებოდნენ. პრინცესათა ქმრები ხშირად იგზავნებოდნენ შორეულ პროვინციებში, პრინცესები კი არ ტოვებდნენ დედაქალქს, ეს ვილები იყო მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი (ფაროჭი 2003: 155).

საფიფ სულტანს გააჩნდა აგარაკები, აბანოები და ბალები, ამასთანავე ზღვისპირა აგარაკები უსქედარის საზღვაო ზოლში, ფერმები სილივრიში, სალთფანში. მას აგრეთვე გააჩნდა ვაკფები, რომლიდანაც შემოსულ თანხას საქველმოქმედო საქმიანობას ახმარდა. აღსანიშნავია, რომ ამ სასახლეებმა ჩვენამდის არ მოაღწია, რადგანაც ისინი ხისაგან იყო ნაგები და მათ შესახებ მხოლოდ ისტორიული დოკუმენტებიდან ვიგებთ. ევროპელი მოგზაურები აღფრთვანებას უზიარებდნენ ერთმანეთს ბოსფორის ზოლში არსებული სასახლეების გამო. ვხვდებით აგრეთვე ამ მოგზაურთა მიერ ამ სასახლეთა აღწერილობას.

სულტნები ხშირად სტუმრობდნენ თავიანთ ქალიშვილებსა და დებს ბოსფორის სანაპირო ზოლში მდებარე ვილებში. პრინცესები ასევე დაინტერესებულნი იყვნენ ამ ვილების რეკონსტრუქციით. მაგალითად, ჰათიჯე სულტანმა, სელიმ III-ის (1789-1807) დამ დააფინანსა სტამბოლის პირველი ნეოკლასიკური სტილის შენობის აშენება, რომლის არქიტექტორიც იყო ფრანგი ა.ი. მელინგი (ფაროჭი 2003: 155). პრინცესას გარდაცვალების შემდეგ მისი ვილა არ გადაეცემოდა მის მემკვიდრეს, არამედ შემდეგ პრინცესას.

თოფკაფისა და პრემიერმინისტრის სასახლეების გამოკვლევებს უფრო შორსაც მივყავართ. ირკვევა, რომ XVI-XVII სს-ის მანძილზე დინასტიის

ჩამომავალი ქალები იყვნენ დიდმასშტაბიანი სამეჩეთო კომპლექსების დამაარსებლები. XVIII ს-ში ასეთი საქმიანობა ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო.

XIV საუკუნიდან მოყოლებული ოსმალეთის იმპერიის არნახულმა სიძლიერემ განაპირობა არქიტექტურის აყვავება, რაც XVI საუკუნეში უფრო ფართოდ გაიშალა. ისლამურ საზოგადოებაში ქალის შეზღუდული უფლებების მიუხედავად, სელჩუკთა და ოსმალთა ხანაში მრავალი არქიტექტურული ნაგებობა იქნა დაფინანსებული ქალთა მიერ. ეს ფაქტი ბადებს კითხვებს, თუ რომელ სოციალურ ფენას მიეკუთვნებოდნენ ზემოთ დასახელებული ქალები, რა სახსრებით აფინანსებდნენ მონუმენტური ძეგლების მშენებლობას. ჯერ კიდევ წინაოსმალურ პერიოდში ანატოლიაში შენდებოდა კონკრეტული ქალებისადმი მიძღვნილი მავზოლეუმები, სადაც მდებარეობდა სასაფლაოც. სელჩუკთა ხანიდან შემორჩენილია ერთი ასეთი ძეგლი, ის მდებარეობს ქალაქ კაისერში და მიძღვნილია ერთ-ერთი იმ დროისათვის მეტად ცნობილი ქალბატონისადმი – მაჰფერი ხათუნისადმი, რომელსაც ეწოდებოდა “პრინცესათა პრინცესა”, “სულტნების სულტნის დედა” (ბეითისი 1978:245).

XII საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე XV საუკუნემდე აშენებული 1000 მედრესედან 5 ატარებდა ქალის სახელს, ასევე 119 ქარავანსარაიდან 6 ატარებდა ქალის სახელს. აღსანიშნავია, რომ 5 ამ 6-დან აშენებულია მაჰფერი ხათუნის მიერ. ეს ქალი დომინირებს სელჩუკთა ხანაში, როგორც ყველაზე დიდი მშენებელი.

ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითებიდან ადვილად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქალის როლი სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში სელჩუკთა სახელმწიფოში *de facto* აღიარებული იყო. ეს განაპირობა იმ ფაქტმა, რომ სელჩუკმა ქალებმა გამოცდილება მიიღეს ქრისტიანული სამყაროდან, რომელიც იმ ტერიტორიაზე სელჩუკთა ხანამდე არსებობდა.

ოსმალო ქალები აარსებდნენ რელიგიურ დაწესებულებებს: მეჩეთებს, სკოლებს, მაგზოლეუმებს, ასევე საერო შენობებს: აბანოებს, ბაზრებს, ხიდებს, კარავანსარაიებს.

ამ მხრივ საინტერესოა განვიხილოთ სახელოვანი არაბი მოგზაურის იბნ ბატუტას ნაშრომი “მოგზაურობა”, კერძოდ თავი, რომელიც ეხება მის მოგზაურობას შუა აზიასა და რამოდენიმე ახლომდებარე რაიონში, სადაც ის აგვილწერს თუ რა უფლებებით სარგებლობდნენ ადგილობრივი ქალები, რომლებიც იყვნენ იქაური გამგებლების ცოლები. იბნ ბატუტა, თავის

მოგზაურობისას ქალაქ ხორეზმში, აღნიშნავს, რომ ამ ქალაქში მან გაიცნო ქალაქის დიდვეზირის ცოლი, რომელმაც საკუთარი სახსრებით ააშენა მეჩეთი, ნაშრომში ვკითხულობთ: “პარასკევს გავემართე მეჩეთსა და მედრესეში. ამ ქალაქს (*ხორეზმი*³³) მართავდა სულტანი უზბეგი³⁴, რომელსაც ჰყავდა თავისი დიდვეზირი სახელად ყუთლუდემირი. ამ ემირმა ააშენა მედრესე და სხვა მომიჯნავე სათავსოები. რაც შეეხება მეჩეთს, ის ააშენა მისმა მადლობისი მეუღლემ თურაბექ-ხათუნმა ³⁵” (იბნ ბატუტა 1988:2). მოგზაური ამ ქალბატონისთვის არ იშურებს მაღალ შეფასებას, გვაცნობს მის ოჯახის წევრებს და დასძენს: “ემირი არის სახელოვანი ემირი – ყუთლუდემირი ³⁶, მისი სახელი ნიშნავს “კეთილშობილ რკინას”, “ყუთლუ” ნიშნავს “კეთილშობილს”, “დემირ” – “რკინას”. ეს ამირა არის სულტან მუჰამედ უზბეკის დეიდაშვილი დედის მხრიდან. მისი ვაჟი დაქორწინებულია სენებული სულტნის ქალიშვილზე. მისი დედა არის მეფე თაითუგლი ყუთლუდემირის ცოლი – თურაბექ ხათუნი, განთქმული თავისი კეთილშობილებით” (იბნ ბატუტა 1988:3). იბნ ბატუტას დიდი ფულადი დახმარება აღმოუჩინა ემირმა, მან მოგზაურს გაუგზავნა ტომრით ფული. ამ ფულის (დირჰემებში) რაოდენობა მაღრიბულ ოქროში უტოლდებოდა სამას დინარს. ასევე ფულადი დახმარება აღმოუჩინა ყადის ცოლმა, ხოლო ზემოთმოხსენიებული ემირის - ყუთლუდემირის ცოლმა წვეულება გამართა და სხვადასხვა საჩუქრით დააჯილდოვა სტუმარი, “მოგზაურობა”-ში ვკითხულობთ: “ყადის ცოლმა – ჯიჯა-აღა-ჰანუმმა გამომიგზავნა ათი დინარი. მისმა დამ – თურაბექმა, ემირის ცოლმა, გამართა წვეულება, რომელზეც მოიწვია ფაკიჟები და ქალაქის სხვა ცნობილი პირები. ეს წვეულება გამართულ იქნა მის მიერ აშენებულ ზაგიეში სადაც კვებავდნენ მიმსვლელ-მომსვლელს. მან (თურაბექმა) გამომიგზავნა სიასამურის ქურქი და

³³ ხორეზმი - ოქრო ამუდარიის ქვედა დინებაში, რომელიც იბნ ბატუტას მოგზაურობის დროს შედიოდა ოქროს ურდოს შემადგენლობაში. დედაქალაქი იყო ურგენჩი ან ხორეზმი.

³⁴ უზბეკი – ოქროს ურდოს მე-10 ხანი (1312-1349წწ.).

³⁵ თურაბექ-ხათუნი – მას იბნ ბატუტა მოიხსენიებს მაშინაც, როცა აღწერს თავის მოგზაურობას ირანში. იქ ლაპარაკობს იმაზე, თუ რამდენი საჩუქრი გაუგზავნა ამ ქალმა ინდოეთის მეფეს. (იხ. ბატუტა, 1988: 26, II, 73).

³⁶ ყუთლუდემირი – იბნ დუქმაქის მიხედვით ის დანიშნული იქნა ქ. ხორეზმის გამგებლად 721 (1321) წელს.

კარგი ცხენი. ის საუკეთესო, მორწმუნე და ხელგაშლილი ქალია. ალაპი სწყალობდეს” (იბნ ბატუტა 1988:4).

იბნ ბატუტა ასევე საინტერესო ისტორიას გვამცნობს, თუ როგორ აშენდა ქალაქ ბალპაში³⁷ მეჩეთი ქალაქის გამგებლის ცოლის მიერ. ქალებს აბასიანთა მმართველობის დროს (750-1258) მნიშვნელოვანი მისია ეკისრებოდათ, ისინი ხშირად იყვნენ შუამავლები ხალხსა და უმაღლეს ხელისუფალთ შორის, გარდა ამისა, ისინი დიდი გულუხვობითა და დიდსულოვნებით გამოირჩეოდნენ, რამაც თავად ხალიფაც კი განაცვიფრა. ამას ადასტურებს იბნ ბატუტას მოგზაურობის ერთ-ერთი თავი: “ერთმა ისტორიკოსმა მაცნობა, რომ მეჩეთი ბალპაში აშენებულ იქნა ქალის მიერ, რომლის ქმარიც, სახელად დაუდიბნ ალი, იყო ბალპას გამგებელი აბასიანთა დროს. ერთხელ მოხდა ისე, რომ ხალიფა გაუწყრა ბალპის მცხოვრებლებს მათ მიერ ჩადენილი საქციელის გამო და ქალაქში გაამწესა ამირა, რომელსაც დაევალა დიდადი გადასახადების აკრეფა. როცა ეს ამირა მივიდა ბალპაში, ქალები და ბავშვები ეახლნენ გამგებლის ცოლს, რომელმაც ეს მეჩეთი ააშენა და დაიწყეს მასთან წუწუნი აღნიშნული მოსაკრებლის გამო. მაშინ ამ ქალმა ამირას გაუგზავნა კაბა, რომელიც შეკერილი იყო ძვირფასი ქვებით და რომლის ღირებულებაც აღემატებოდა მთლიანი მოსაკრებლის თანხას და დასძინა: “გადაეცი ეს ხალიფას, მე ამას გავცემ ბალპის მოსახლეობისათვის, მათი სევდიანი მდგომარეობის გამო. ამირამ წაუღო კაბა ხალიფას, დაუდო ის წინ და მოუყვა მთელი ისტორია. ხალიფას შერცხვა და თქვა: “ნუოუ შესაძლებელია ქალი იყოს უფრო დიდსულოვანი, ვიდრე ჩვენ? მან უბრძანა ამირას გაეთავისფლებინა ბალპის მცხოვრებნი მოსაკრებელისაგან და დაბრუნებულიყო სასწრაფოდ და დაებრუნებინა კაბა გამგებლის ცოლისთვის. ამის გარდა მან გაანთავისუფლა ბალპის მცხოვრებლები გადასახადისაგან მთელი წლის მანძილზე. ამირა დაბრუნდა ბალპაში და ამ ქალის სახლში მისვლისას გაუმჟორა ხალიფას სიტყვები და დაუბრუნა კაბა. მაშინ მან (ქალმა) ჰკითხა: “ნახა ხალიფამ ეს კაბა?” ამირამაც დაუდასტურა. “ მე არასოდეს არ ჩავიცვამ იმ კაბას, რომელიც ნახა იმ კაცმა, რომელიც არ არის ჩემი ნათესავი, - განაცხადა მან და ბრძანა გაეყიდათ კაბა,

³⁷ ბალპა – ქალაქი სამხრეთ ავღანეთში. ძველ დროში ამ ქალაქს ერქვა ბაქტრა. მონღოლთა შემოსევამ ამ ქალაქის აყვავებას ბოლო მოუდო. ბალპას მახლობლად აშენდა ახალი ქალაქი, სახელად გაზირაბადი.

იმ ფულით კი ააშენა მეჩეთი, მოპირდაპირე მხარეს ზავია და კარავან-სარაი ქვისგან, რომელსაც ერქვა კაზანი³⁸. კარავან სარაი ისევ კარგ მდგომარეობაშია. კაბის 1/3 თანხა ხელუხლებელი დარჩა და გადმოცემის თანახმად ქალმა ბრძანა ის ჩაეფლოთ მეჩეთის ერთ-ერთი კოლონის ქვეშ, საჭიროების შემთხვევაში გამოეყენებინათ. ჩინგიზს აცნობეს ამ ისტორიის შესახებ და მან ბრძანა ამ მეჩეთის კოლონების დარღვევა. დაახლ. 3 კოლონა დაანგრიეს, მაგრამ ვერაფერი ვერ იპოვეს. დანარჩენებს ხელი არ ახლეს (იბნ ბატუტა 1988:14).

სამეფო წრის ქალებიდან პირველი, ვინც ქველმოქმედებით გამოირჩეოდა, იყო ნილუფერ ხათუნი (ორჰან I-ის (1326-1360) ცოლი, მურად I-ის (1360-1389) დედა). მან დააფინანსა ხიდის მშენებლობა, ასევე მისი დაფინანსებით აშენდა დერვიშთა მონასტერი (ძავიყე) და პატარა მეჩეთი (მესციტ) ბურსას მახლობლად (გოჩექი 2003: 77).

მეჩეთისა და სხვა არქიტექტურული ნაგებობების დაარსებით შემდგომში თავი გამოიჩინეს სულტნის სასახლის სხვა ქალებმაც: ზეინაბ სულტანმა (1769), შებსაფა ქადინმა (1787) და ბეზმიალემ ვალიდე სულტანმა – სულტან აბდულ-მეჯიდ I (1839-1861) დედამ. მათ დააარსეს მეჩეთები, მოაწყვეს შადრევნები და ააგეს საღვთო ნაგებობანი. აღსანიშნავია, რომ ბეზმიალემ ვალიდე სულტანმა დააარსა როგორც მეჩეთი, ისე დაწყებითი სკოლა, რომელ შიც სწავლობდნენ გოგონები. სულტანმა, თავისი დედის მხარდასაჭერად, თავისი ორი შვილი ამ სასწავლებელში შეიყვანა. ეს შენობა სტამბოლში დღესაც არის შემორჩენილი და ასევე ამ ვალიდე სულტნის მიერ დაფინანსებული საავადმყოფოს შენობა (Gureba Hastanesi). მუჰამედ ალის ერთ-ერთმა ქალიშვილმა, რომელიც ტახტზე ეცილებოდა მაჰმუდ II, სახელად ზეინაბ ქამილმა (1852-82) დააარსა საავადმყოფო, რომელიც დღესაც მოქმედია.

1755 წელს

ზევქი ქადინმა, ჰარემის ერთ-ერთმა მობინადრემ ოსმან III-ის დროს, დააარსა სკოლა, რომელიც გამოირჩეოდა ლამაზი შადრევნით ფინდიკლიში, გზად გალათადან ბეშიქთაშამდე. (ფაროქი 2003: 155).

ზემოთ მოყვანილი ფაქტებს ადასტურებს ისტორიკოსი ფარიბაფ ზარინებაფ შარი, რომელიც წერს: “XVIII ს-ის განმავლობაში ოსმალო პრინცესები დიდი სიმდიდრის მქონენი იყვნენ. მათ დააარსეს მეჩეთები, სახალხო სკოლები, ბიბლიოთები, საავადმყოფოები, სასადილოები და მოაწყვეს სახალხო

³⁸ კაზანი – ტუფის მსგავსი სამშენებლო ქა.

შადრევნები” (ზარინებაფი 2002:557). შემდეგ ეს ისტორიკოსი ჩამოთვლის კონკრეტულ მაგალითებს, რითიც დასტურდება, რომ როგორც სულტნის ქალიშვილები, ისე სულტნის დედებიც ჩართულნი იყვნენ არქიტექტურულ საქმიანობაში: “სულეიმან ბრწყინვალის შვილმა მიჰრიმაჰმა დააარსა მეჩეთი უსქადარში, რომელიც აშენებულ იქნა ცნობილი არქიტექტორის – მიმარ სინანის მიერ (1570 წელს). საფიქ სულტანმა –მეჰმედ III-ის (1595-1603) დედამ დააარსა Yeni Cemi'-ის კომპლექსი ემინონუში 1597 წელს. თურკან სულტანმა, მეჰმედ IV-ის დედამ დაასრულა ის და ასევე დააარსა სკოლა, სახალხო შადრევნები და ეგვიპტური ბაზარი 1663 წელს. მრავალი სახალხო დაწესებულება დააარსა, აგრეთვე, ქოსემ სულტანმა, მურად IV-ისა (1623-40) და იბრაჟიმ I-ის (1640-48) დედამ უსქადარში. XVIII ს-ში უსქადარში გულნუშ სულტანმა მუსტაფა II-ის (1695-1703) და აჰმედ III-ის (1703-1730) დედამ დააარსა “ახალი ვალიდეს მეჩეთი”. მანვე დააარსა საავადმყოფო (*Dar Al-Shifa*), რომელიც დიდი ვაკფის მფლობელი იყო კაიროში, ბულაქსა და სუეცის პორტში. ბეზმიალიემ, აბდულ-მეჯიდ I-ის (1839-1861) დედამ დააარსა “დოლმაბაჰჩეს მეჩეთი” (ზარინებაფი 2002:557).

სულტან სელიმ II-ის დამ მიჰრიმაჰმა მეტად დიდმალი ქონება მოაგროვა თავისი კორუმპირებული ქმრის წყალობით. მაგრამ ორივე მათგანი დიდძალ ფულს ხარჯავდა ქველმოქმედებაში. მიჰრიმაჰმი ითვლებოდა მსოფლიოს უმდიდრეს ქალბატონად. მრავალი სასტუმრო მის სახელს ატარებდა (გუდვინი 1994:126).

ვალიდე სულტანი იყო ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ქალი, რომლის დავალებითაც შენდებოდა არქიტექტურული ძეგლები. ამათგან აღსანიშნავია ვალიდე სულტნების “ახალი მეჩეთი”, რომელიც შენდებოდა სამი ვალიდე სულტნის დროს და სამი არქიტექტორის მიერ.

“ახალი მეჩეთი”-ს აშენება დაიწყო 1598 წელს საფიქ სულტნისა და მისი შვილის – მეჰმედ III-ის (1595-1603) სულტნობისას. საფიქს თავისმა ვაჟმა უბობა მიწები ეგვიპტეში, რომელიც მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო იყო. სწორედ ამ შემოსავალით დააფინანსა საფიქმ მეჩეთის მშენებლობა. თუმცა მან ვერ შეძლო მის დასრულებამდე თოვკაფის სასახლეში დარჩენა. ის თავისმა შვილიშვილმა აჰმედ I-მა ძველ სასახლეში გადაიყვანა. სულტანს სურდა ახალი მეჩეთი აეშენებინა, თუმცა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა ორი მეჩეთის

მშენებლობის ხარჯებს ვერ გასწვდებოდა. ამიტომ საფიქ სულტნის მიერ წამოწყებული მეჩეთის მშენებლობა შეჩერებულ იქნა.

“ახალი მეჩეთი”-ს მშენებლობა გაგრძელდა ქოსემის სულტნობის დროს. შემდეგ კი თურკან სულტნის დროს.

საბოლოოდ “ახალი მეჩეთის” მშენებლობა, თავისი კომპლექსით, დასრულდა 1663 წელს. მეჩეთის შემადგენლობაში იყო მაგზოლეუმები, შადრევნები, აბანოები და ცნობილი ეგვიპტური ბაზარიც.

მეჩეთი, რომელიც ვალიდე სულტნის სახელს ატარებს, არის “ფერთევნიალის მეჩეთი”, ის იყო უკანასკნელი ვალიდე სულტანი, სულტან აბდულ-აზიზის (1861-1876) დედა და მაჰმუდ II-ის (1808-1839) ცოლი. ის არის ეპლექტიკური სტილის მეჩეთი, რომელიც მდებარეობს სტამბოლში აქსარაიში. მისი მშენებლობა დასრულდა 1871 წელს. მის შემადგენლობაში შედის სასაფლაო, შადრევანი და ეზო, რომელსაც მარმარილოს კიბეები მიჰყვება (ბეითის 1978:256).

არქიტექტურული ძეგლების დაფინანსება რთული საქმე იყო. ქალებს შემოსავლის სხვადასხვა წყარო გააჩნდათ და შეეძლოთ ეს თანხა თავიანთი ნება-სურვილის მიხედვით განეკარგათ. წყაროებზე დაყრდნობით ქალებსაც იგივე საფეხურის გავლა უწევდათ, რაც მამაკაცებს, რათა მოქალაქეებინათ მიწა, დაეფინანსებინათ და დაეკარსებინათ ვაკფები. ქალთა მიერ დაწყებული მშენებლობები დადგენილ ვადაში არ სრულდებოდა., რაც განპირობებული იყო დაფინანსების შეწყვეტით.

ისტორიკოსი უ. ბეიტსი დასძენს, რომ არცერთი ქალთა მიერ აშენებული ნაგებობა არ იყო დიდი ზომის და არ იყო აშენებული ქალაქის გამორჩეულ ადგილას.

ქალთათვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა რეგულარული ჯამაგირი, რომელსაც ჰარემის ქალებს უხდიდნენ ყოველდღიური სახარჯო თანხის გარდა, მაგალითად, ტანსაცმლის საყიდლად და სხვა. ამგვარად ქალებს შეეძლოთ დაეზოგათ ფული. გარდა ამისა მდიდარი ოჯახიდან გამოსულ ქალს დიდად მზითებს ატანდნენ, მათ შორის ფულსა და ძვირფასეულობას. ბუსბექის მიხედვით მზითები იყო ერთადერთი განმასხვავებელი კანონიერ ცოლსა და მონა ქალს შორის. იმ შემთხვევაში, თუ ქალს მოჰყვებოდა აურაცხელი მზითები, მაშინ ქმარი ვალდებული იყო უარი ეთქვა სხვა მსევლებზე და ყოფილიყო ერთი ცოლის ერთგული (ბუსბექი 1927:117-119). იყო შემთხვევები, როდესაც ერთი

ცოლის ყოლა სხვა მიზეზითაც იყო განპირობებული, მაგალითად, ევროპელი ელჩი ს. შვაიგერი, რომელიც 1577-81 წლებში იმყოფებოდა სტამბოლში. დასძენს, რომ ხშირ შემთხვევაში ოსმალო კაცს მხოლოდ ერთი ცოლი ჰყავდა, ამისი მიზეზი ის იყო, რომ მას სურდა თავის სახლში მშვიდობა და სიწყნარე ყოფილიყო.

ყველაზე ადრინდელი დროის ქონებრივი ინვენტარიზციის ამსახველი ჩანაწერები დათარიღებულია 1486-89 წლებით. 60 ადამიანს ვხვდებით, რომლის ქონებაც 10,000 ახას შეადგენს ვალის გადახდამდე. ეს კი იმ დროისათვის მნიშვნელოვანი თანხაა. მდიდარ ბურსელ ქალთა შორის გამოვლენილია ათი ქალი, რომელთა ქონებაც აღწევდა 10-20 ათას ახას. ამათგან ორი ქალის ქონება შეადგენდა 20-30 ათას ახას, ხოლო ერთი ამათგან იყო ისეთი, რომლის ქონებაც სიკვდილის დროს იყო 40 ათასი ახა.

ყველაზე მდიდარი ქალების ქონება მაინც არ ჩაითვლებოდა დიდ თანხად მამაკაცის ქონებასთან შედარებით, რადგანაც მამაკაცის საშუალო ქონება 100 ათას ახას შეადგენდა. მდიდარი ქალები ძირითადად იყვნენ ბურსაში, რადგანაც ბურსა იმ დროისათვის ვაჭრობის მთავარი ცენტრი იყო.

მნიშვნელოვანი ქალაქი იყო უსქედარი, რომელიც შემდეგ დედაქალაქს შეუერთდა. ამ ქალაქშიც იყვნენ მდიდარი ქალები, რომელთა ქონებაც გარდაცვალებისას 6,431 ახას შეადგენდა. ბურსელი ქალების ქონებას იშვიათად შეადგენდა ფული, ხანდახან სახლი, ძვირფასეულობა ან ძვირფასი საფეიქრო ნაწარმი.

ყველა ქალს არ გააჩნდა ფული. გულბაჟარ აბდულაჟმა დატოვა 1500 ახა (14,3% მისი ქონებისა ვალის გადახდამდე), პაჯე ბენეფშე უფრო მეტად ორიენტირებული აღმოჩნდა ფულზე, რადგანაც მისმა ქონებამ შეადგინა 5,068 ახა (47,7%). მას პქონდა პაჯის ტიტული. ის ხშირად ჰყიდდა თავის ძვირფას ნივთებს, რათა თავისი სიკვდილის შემდეგ შესაძლებელი ყოფილიყო თავისი დანატოვარი ანდერძის შესრულება.

შაპი ხათუნის ქონების ნახევარზე მეტს შეადგენდა ფული, აქედან ძირითადი იყო ვენეციური დუკატები. ამის საპირისპიროდ პათუნბეგი ბინთ პოჯა პუსეინი უპირატესობას ანიჭებდა ძვირფასეულობას, მისი საფულე შეადგენდა 1,472 ახას (9,2% ვალის გადახდამდე). პაჯე შაპფაშა ბინთ პაჯი ალი ბეგ ფლობდა 303 ახას (20,8% მისი ქონებისა სანამ კრედიტორები გამოჩნდებოდნენ).

ჩვენი დავთორების მიერ მიკვლეული მდიდარი ქალები ჩართულნი იყვნენ საკრედიტო საქმეებში. მათ ქმრებს მათი ფული ემართათ, რადგან ქმრებმა დროზე არ გადაუხადეს საპატარძლოებს საქორწინო ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა (მაჰრი). მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში მეუღლეს უხდებოდა მაჰრის გადახდა თავისი გარდაცვლილი ცოლის სასარგებლოდ. ქალები გულბაჟარ ბინთ აბდულაჟისა ან სულტანფაშა ბინთ ჰაჯი მურადის გარდაცვალების შემდეგ ქმრებმა, რომლებიც თავიანთი ცოლების ქონების მემკვიდრეები შეიქმნენ, არსებული საპატარძლო ვალი აღარ გადაიხადეს. XV საუკუნეში მაჰრის გადახდა ხდებოდა წინასწარ და სრულად, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალები პროტესტს აცხადებდნენ.

ფულის გასესხება ან ვალის აღება ძალიან ხშირი მოვლენა იყო. მხოლოდ გულბაჟარ ჰაჯე ბენეფიშე, ჰათუნბეგი ბინთ ჰოჯა ჰუსეინი, სელჩუკ ბინთ ელ-ჰაჯ მეჰმედსა და ჰაჯე შაჟფაშას არავის ვალი არ ჰქონდათ. წავაწყდით ერთ ასეთ შემთხვევას: აიშე ბინთ ალის, აბრეშუმის მქსოველს 10,286 ახსა ვალი ჰქონდა რამდენიმე ადამიანის, აქედან უმეტესწილად ქალების.

მდიდარ ქალებს ჰყავდათ მონებიც. “ათიდან ექვს ან შვიდ ქალს ჰყავდა ერთი მონა ქალი მაინც, ზოგს, შესაძლებელია, უფრო მეტიც. მაგალითად ჰურისა და მის ქმარს, მაჰმუდს, ჰყავდათ მონა ქალი დევლეთი, რომელიც ცოლსაც და ქმარსაც თანაბრად ეკუთვნოდათ. როდესაც მაჰმუდი დაქვრივდა, დევლეთი მისი საკუთარი მონა გახდა. ხშირად ხდებოდა ისე, რომ ქმარს არ ჰქონდა უფლება ცოლის კუთვნილი მონა თავის საკუთრებად გაუხადა, მას თავისი საკუთარი მონები ჰყავდა” (ფაროქი 2003ა:139). სამწეხაროდ არ გვაქვს ზუსტი ცნობები, რომელიც ნათელს მოჰყენდა მონა ქალების რომელი კატეგორია იყო ქმრის და რომელი ცოლის საკუთრება.

ჰურის სიკვდილმა დევლეთს თავისუფლება ვერ მიანიჭა, მაჰმუდს არც უცდია მისი გათავისუფლება. ამ მხრივ იღბლიანი აღმოჩნდა სულტანფაშა ჰაჯი მურადის მონა ქალი გულბაჟარი. სულტანფაშამ ანდერძად დაიბარა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ გულბაჟარისათვის თავისუფლება მიენიჭებინათ. სულტანფაშამ გათავისუფლებულ ქალს 200 ახსაც დაუტოვა, რომლითაც მას შეეძლო ახალი ცხოვრების დაწყება. გათავისუფლების პროცედურა და მემკვიდრეობის მიღება ყოფილი მესაკუთრისაგან სრულდებოდა გარდაცვალებულის ქონებრივი ინვენტარიზაციის შედგენით, სადაც მითითებული უნდა ყოფილიყო გათავისუფლებული მონის კუთვნილი წილი ყოფილი

მესაკუთრის ქონებიდან. ბერკლის მიხედვით დაბალი სოციალური წარმოშობის ქალს არ ჰყავდა მონა-მოსამსახურეები და ისინი საქმეს თვითონ აკეთებდნენ. მდიდარი ოჯახის ქალები კი მისდევდნენ უზრუნველ ცხოვრებას, არ ასრულებდნენ არანაირ სამუშაოს და წიგნის გადაშლაც კი ეზარებოდათ. ბერკლი ამბობს: “ისინი მთელ დღეებს ატარებენ ჩახუთულ ოთახებში, ეწევიან სიგარეტს და მიიერთმევენ ტკბილეულს, დადიან აბანოებში და ერთმანეთის მოსანახულებლად” (ბერკლი 2001).

ჰათუნბეგი ბინთ პოჯა პუსეინი თავის მონა ქალებს რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ ათავისუფლებდა. ასეთ გათავისუფლებულ ქალებს მიეკუთვნებიან სალური და შამლუ ბინთ აბდულაპი. ისინი ერთი პერიოდი იყვნენ ჰათუნბეგის ოჯახის წევრები.

ქონების დატოვება ყოფილი მონა ქალისათვის ტრადიციად იქცა და გაგრძელდა შემდგომ საუკუნეებშიც. 1735 წლით დათარიდებულია ერთი ცნობა, რომელიც მოგვითხობს ჰავა ბინთ ჰალილზე. მასაც ასევე ჰყოლია მონა ქალი სახელად აფიფე, რომელიც ქართველი იყო და რომელსაც შეპირდა გათავისუფლებას. აფიფემ გათავისუფლების შემდეგ მიიღო ლეიბი, დასაჯდომი ბალიში, ასევე რამოდენიმე ქვაბი, ტაფა. ჰავამ თავის მონა ქალს აგრეთვე დაუტოვა ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, ინვენტარიზაციიდან ვიგებთ, რომ აგრეთვე დაუტოვა ვერცხლის აბზინდა და ერთი წყვილი საყურე. ეს გულუხვობა გახდა მიზეზი იმისა, რომ ჰავას ერთმა ნათესავმა გააპროტესტა მისი ანდერძი და განაცხადა, რომ ჰავას ქმარმა და აფიფემ ქონების მეტად დიდი რაოდენობა მიიღეს, თუმცა მოსამართლემ ეს პროტესტი არ მიიღო.

შესაძლებელია, ის სიმდიდრე, რაც ამ ოთხ გათავისუფლებულ ქალს დარჩათ, მოდიოდა იმ საჩუქრებიდან, რასაც მათ მათი ქმრები აძლევდნენ. ამ საჩუქრებში შედიოდა საპატარძლო საჩუქრებიც. მცირე ვაჭრობას, ხელობას და ფულის გასესხების ინსტიტუტსაც შეეძლო მათოვის დამატებითი ფინანსური შემოსავალი მოეტანა. გულბაპარი სარგებლობდა ამ შესაძლებლობით. მას ჰქონდა საქსოვი დაზგა, აბრეშუმის ძაფი და ხშირად ფულის გასესხებითაც იყო დაკავებული. ჰაჯე ბენეფშე, რომელმაც მექაში ჰაჯი შეასრულა, ჩანს, საკმაოდ მდიდარი ყოფილა, რადგანაც ჩვეულებრივ ქმრები ცოლებს ასეთი საქმიანობისათვის არ აფინანსებდნენ. ჰაჯე ბენეფშე ეწეოდა ფულის გასესხებასაც.

სავარაუდოა, რომ რამოდენიმე ქალმა ოსმალეთის იმპერიაში, სარწმუნო წყაროების მიხედვით შეასრულა მექაში პილიგრიმობა. იმისათვის, რომ აღნიშნული მისია შეგესრულებინა, ანუ ბურსადან ჰიჯაზში ჩასულიყავი, უნდა ყოფილიყავი საკმაოდ მდიდარი. ჰაჯი³⁹ ანუ პილიგრიმობა მექაში დიდი პატივი იყო თითოეული მისლიმისათვის, განსაკუთრებით კი ქალთათვის. სულტანფაშა ბინთ ჰაჯი მურადმა მექაში ჰაჯი წინასწარ დაგეგმა, მაგრამ ის იქამდე გარდაიცვალა. მან თავის ანდერძში დაიბარა, რომ თავისი ძვირფასი თავსაბურავით დააფინანსებდა ნებისმიერს, რომელიც მის ნაცვლად განახორციელებდა ჰაჯის. სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება ზუსტი ცნობები იმის შესახებ მისი თავსაბურავი საკმარისი ანაზღაურება იყო თუ არა ჰაჯის (პილიგრიმის) დაქირავებით განახორციელებისათვის. არ არის აგრეთვე ცნობილი, ვინმემ განახორციელა თუ არა მისი უკანასკნელი სურვილი. იყვნენ ისეთი ქალებიც (სავარაუდოა, რომ ეს იყო ჰაჯე ბენეფი), რომლის დედას და მამას შესრულებული ჰქონდათ მექაში პილიგრიმობა. მან მოუწოდა რამოდენიმე ქალს, რომ შესრულებინათ მექაში ჰაჯი. თუმცა როგორ მოახერხა მან ამის განახორციელება, ჩვენ არ ვიცით. გვაქვს ცნობა იმის შესახებ, რომ ჰაჯე შაჰფაშას ჰქონდა ჰაჯის ტიტული.

ოსმალეთის სამეფო წრის მხოლოდ ოთხმა წევრმა (აქედან არცერთი სულტანი) შეასრულა ჰაჯი. მათ შორის იყვნენ სულტანების აჰმედ II-ის (1691-95) და მაჰმედ I-ის (1730-54) ცოლები (გუდვინი 1994:118).

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქალის მიერ მექაში პილიგრიმობის შესრულება მიუთითებდა არა მხოლოდ მათ ქონებრივ შესაძლებლობებზე, არამედ მთლიანად მათი ოჯახის მაღალ სტატუსზე.

საინტერესო ორი მდიდარი პროვინციელი ქალის ქონებრივი მემკვიდრეობის მიმოხილვა. ეს ქალები არიან: ჰაჯე სალიპა ჩიოსიდან და ჩეშმედან, რომელიც გარდაიცვალა 1806 წელს, ჰავა ჰანიმი, რომელიც გარდაიცვალა 1860-61 წელს. ჰაჯე სალიპას შესახებ ვგებულობთ, რომ ერთ-ერთმა მისმა ბაბუამ დააარსა საოჯახო კერა ჩიოსსა და ჩეშმეში, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა სარწყავი ბადი, ვენახი და რამოდენიმე მაღაზია. ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჰაჯე სალიპა წარმოშობით იმ ადგილიდან იყო

³⁹ ჰაჯი - პილიგრიმობა მექაში, მუსლიმის ხუთი ძირითადი მოვალეობიდან, ისლამის ხუთი ბურჯიდან ერთ-ერთი (ჯაფარიძე 1999ბ:233).

და გათხოვების შემდეგაც მას შორს წასვლა არ მოსდომებია. “შესაძლებელია მოხდა ისეც, რომ პაჯე სალიპა დაუბრუნდა თავის წარმოშობის ადგილს როგორც ქვრივი. მაგრამ ეს ნაკლებად სავარაუდოა. იქიდან გამომდინარე, რომ მის საკუთრებაში მყოფი მიწა პატარა ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ამ ქალს ქონების დიდი ნაწილი მემკვიდრეობით ერგო. რა ასაკში გარდაიცვალა, ცნობილი არ არის, მაგრამ სახელი პაჯე მიუთითებს, რომ ის უნდა ყოფილიყო სულ ცოტა შუა ხნის ქალი მაინც” (ფაროქი 2003ა:154).

პაჯე სალიპას ინვენტარი ნაკლებად დამაკმაყოფილებელია XV საუკუნის მკვლევარისათვის, რადგანაც იქ არაფერია ცნობილი მემკვიდრეზე.

შედარებით მეტი ინფორმაცია მოგვეპოვება პავა პანიმზე, რომელიც ცხოვრობდა ანატოლიაში და გარდაიცვალა 1860-61 წელს, პაჯე სალიპას გარდაცვალებიდან 54 წლის შემდეგ. მის ინვენტარიზაციაში მოპოვებული დიდძალი სიმდიდრის გარდა ჩვენ ვიცით მისი მამისა და ბაბუის სახელები (პაჯი მეპმედ ფაშა აღა და აბუბექირი). ჩვენთვის უცნობია, თუ რა იყო მათი შემოსავლის წყარო, გარდა იმისა, რომ ისინი იყვნენ მიწისმფლობელები ანატოლიაში. მისი ქმარი ცნობილია, როგორც მუბაიაციზადე მუსტაფა ბეიეფენდი პალილ აღა. მისი წინაპრები, სავარაუდოა, რომ გამდიდრნენ თსმალთა ჯარისადმი და ფლოტისადმი ხორბლეულის მიყიდვით.

სიკვდილის შემდეგ პავა პანიმს დარჩა ორი ვაჟი, დაახლოებით 14 წლისა. ჩვენ თითქმის არ მოგვეპოვება ინფორმაცია მისი ერთადერთი ქალიშვილის შესახებ - იყო თუ არა გათხოვილი, დატოვა თუ არა შთამომავლობა. პავა პანიმი გარდაიცვალა 30-40 წლის ასაკში. ჩვენ არ ვიცით მის ქმარს სხვა ცოლებიც პყავდა თუ არა.

სავარაუდოა, რომ პავა პანიმის ქონების თითქმის ნახევარი მოდიოდა მისი თავდაპირველი ქონებიდან. გათხოვების შემდეგ მის ქონებას შეემატა მხოლოდ საქორწინო გადასახადი მაჰრი, რომელიც, შესაძლებელია, ყოფილიყო რაიმე სამკაული. ჩანს, რომ პავა პანიმი ყოფილა XIX საუკუნის შუა წლების ანატოლიის ერთ-ერთი იშვიათი მემკვიდრე გამორჩეულად მდიდარი კაცისა. შესაძლებელია, რომ მან თავისი ქონება გაზარდა ინვესტიციების ხარჯზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ისლამური კანონმდებლობის მიხედვით, მხოლოდ მის ქმარს შეეძლო ეკონტროლებინა ოჯახის დღიური გასავალი.

შესაძლებელია, რომ თავის ფინანსურ საქმიანობაში მას ჰქონდა ვალებიც, მაგრამ პავა პანიმის ქონებრივი აღწერილობა ამაზე ცნობებს არ გვაწვდის. შემონახულია ცნობები იმის შესახებ, რომ მისი სიკვდილის შემდეგ მისმა ქმარმა გაყიდა მისი ქონება, რომელიც შეფასებული იყო 42 300 ყურუშად.

პაჯე სალიპას ქონებიდან ცნობები გვაქვს მხოლოდ იმ ნივთებზე, რომლებიც გაიყიდა. ცნობები არ მოგვეპოვება იმ ნივთებზე, რომლებიც მისი სიკვდილის შემდეგ შთამომავლობას გადაეცა. ამისაგან განსხვავებით პავა პანიმის ქონებრივი ინვენტარიზაცია იძლევა ცნობებს თითოეულ ნივთზე. მას ქონების უდიდესი ნაწილი მიღებული ჰქონდა მემკვიდრეობით და არც მისი სიკვდილის შემდეგ არ გაყიდულა.

შეიძლება ითქვას, რომ პაჯე სალიპას ძირითად ქონებას შეადგენდა ფული, უძრავი ქონება და წილი გემებზე, თუმცა მისი მთლიანი ქონების განსაზღვრა რთულია. პავა პანიმის გარდერობი მეტად მოკრძალებულია, პაჯე სალიპას კი გააჩნდა უამრავი ტანსაცმელი. ტანსაცმელის ასეთი ნაირსახეობა მიგვანიშნებს XIX საუკუნეში ვაჭრობის განვითარებაზე, რომელშიც ჩაბმულნი იყვნენ ეგეოსელი და ჩიოსელი ვაჭრები. შესაძლებელია ითქვას, რომ პავა სალიპას ძვირფასეულობა უფრო ფასეული იყო ვიდრე პავა პანიმის.

მეტად მნიშვნელოვანია ამ ორი ქალის სასოფლო-სამეურნეო ქონება. ორივე ქალი ფლობდა ფერმებს, ბაღებსა და ვენახებს. პაჯე სალიპას ქონება იყო 60 978 ყურუში, საიდანაც ნახევარი მაინც ჩადებული ჰქონდა მიწაში, მაშინ როცა პავა პანიმს თავისი ქონების 40% ჩადებული ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. პაჯე სალიპას ინვესტიცია სოფლის მეურნეობაში პატარა იყო. 2900 ყურუში ჩადებული ჰქონდა ფერმის შენობაში, ჰქონდა წილი ორ წყლის წისქვილში. პაჯე სალიპას გააჩნდა ძვირფასი ვენახი, ასევე ზეთისხილისა და ფორთოხლის ხეების ბაღები და ჩეშმეს რაიონში ასობით ზეთისხილის, ლიმონისა და ფორთოხლის ხე იყო დარეგისტრირებული მის სახელზე. პაჯე სალიპას ქონების ყველაზე ფასიან ნაწილს შეადგენდა ვენახები.

განსხვავებული იყო პავა პანიმის სასოფლო-სამეურნეო ქონება. მის საკუთრებაში შედიოდა XVII ს-ში ანტალიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ბაღები. გარდა ამისა მას ჰქონდა წილი წისქვილებში ისტანციის ტერიტორიაზე, მას გააჩნდა ფერმა ქოსელერში თავისი აღჭურვილობით. ეს ფერმა ცნობილი იყო იმით, რომ იქ დასაქმებული ყოფილან აფრიკელი მონები. მოიპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ პავა პანიმი ლეგალური მფლობელი

ყოფილა ქოსელერის ფერმის და სახლებიც, რომლებიც აღმართული იყო ამ ტერიტორიაზე, იყო ამ ქალის პირადი საკუთრება. ეს ყველაფერი აღნიშნულიც არის მის ქონებრივ ინვენტარიზაციაში.

ქოსელერში არსებული ფერმის გარდა, ჰავა ჰანიმის საკუთარი წილი გააჩნდა ქიზილაღაჩისა და თექფუროვას ფერმებიდან. ჩვენთვის უცნობია ეს ფერმები მხოლოდ მიწას მოიცავდა, თუ შენობებსაც. ქოსელერის ფერმებთან შედარებით ეს ფერმები ნაკლებად საინტერესო იყო. ეს იქიდანაც დასტურდება, რომ როცა ჰავა ჰანიმის დაქვრივებულმა ქმარმა გადაწყვიტა გაეყიდა თავისი ცოლის კუთვნილი ქონება, მან გასაყიდად ამოირჩია თექფუროვასა და ქიზილაღაჩის ფერმების წილი, ქოსელერის ფერმა კი დაიტოვა.

ჰავა ჰანიმის ქონება კეთილმოწყობილი იყო. მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის საერთო რაოდენობა საერთო ქონების 10%-ს შეადგენდა. ქოსელერის ფერმაში იყო 32 წყვილი ხარი, 70 ცხვარი და უამრავი ვირი, 10 აქლემი, 28 ფაშატი, 20 კამეზი. აქლემები გამოიყენებოდა სეზონური მოგზაურობისათვის. ჰავა ჰანიმის ქვრივმა პირველ რიგში გაყიდა აქლემები, კამეზები და ფაშატი ცხენები.

“ჰაჯე სალიპაც და ჰავა ჰანიმიც ცდილობდნენ ფინანსური საქმიანობა დაეწყოთ ვაჭრობის სფეროშიც. მათ შორის ფულის გასესხებაში. მაგ. თუ ჩავთვლით, რომ ჰაჯე სალიპას ქონება შეადგენდა 59,175 ყურუშს, აქედან სესხი 7,8% იყო, ეს სესხის რაოდენობა ცოტათი აღემატება ჰავა ჰანიმის სესხს, რომელიც იყო 6,7%. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არცერთი ქალისათვის ფულის გასესხება არ იყო მნიშვნელოვანი საქმე” (ფაროჭი 2003ა:159).

ჰაჯე სალიპას მიერ გაცემული სესხების ნაწილი კომერციული დანიშნულებისა იყო. მაგ., ჰაჯი ჰასანოდლუ ჰუსეინ ადას, რომელმაც ისესხა მისგან 600 ყურუში, ფული მოიხმარა სავაჭრო საქონელის საყიდლად. ჰაჯე სალიპა აფინანსებდა მიწაზე მომუშავე გლეხებსაც, რათა მოსვლოდათ კარგი მოსავალი. ჰავა ჰანიმი ვალებს ძირითადად მუსლიმანებს აძლევდა. სესხი აღწევდა 1000-2000 ყურუშს, იყო ასევე დაბალი სესხებიც. მაშინ როცა 10აქლემი ღირდა 2000 ყურუში და პატარა მაღაზია ანტალიაში შესაძლებელი იყო, რომ გაყიდულიყო 750 ყურუშად, 1000 ყურუში საკმაოდ კარგ თანხას წარმოადგენდა.

ორივე ქალს წილი ჰქონდა ნაოსნობაში (ნავებზე), ნაოსნობა კი იმ დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო. ჰაჯე სალიპას გარდაცვალებისას

ჩეშმეს პატარა პორტი მთლიანად მის საკუთრებაში იყო და დირდა 800 უურუში. გარდა ამისა მას ჰქონდა წილი სხვა სამ გემზე, ამ სამი გემის წილი დაახლოებით 1500 უურუში იყო.

ამ ორ ქალს წილი ჰქონდა აგრეთვე სამოქალაქო უძრავ ქონებაზე, რომელიც წარმოადგენდა კომერციულ ინვესტიციებს, ეს იყო მუდმივი რენტის წყარო. ჰაჯე სალიპას გააჩნდა რამოდენიმე მაღაზია, სახელდობრ სურსათის მაღაზიები, მეთუნუქეთა, მდებავთა, მჭედელთა მაღაზიები. ყველა ეს მაღაზია განლაგებული იყო ჩეშმეს მახლობლად მდებარე სოფელ ალაჩათში. ჰაჯე სალიპას საქალაქო ქონება 94-450 უურუშს მოიცავდა და მისი ქონების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა. ჰაჯე სალიპა მაღაზიებს ფლობდა ქორქუთელშიც. აქ მის საკუთრებას წარმოადგენდა ერთი დიდი შენობა, სადაც პირველ სართულზე მოთავსებული იყო 5 მაღაზია, ზემო სართულზე კი ყავის სახლი იყო. ის აგრეთვე ანტალიაში მდებარე ყავის სახლის თანამფლობელიც იყო. შეიძლება ითქვას, რომ ამ ქალის ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მისმა ქმარმა მისი სიკვდილის შემდეგ შეაგროვა, წარმოიქმნა ამ ინვესტიციებიდან.

ქონების რა ნაწილს მოიხმარდნენ ეს ქალები? ამის დადგენა არცთუ ადვილი აღმოჩნდა. ყველაფერთან ერთად ამ კატეგორიაში შეტანილი უნდა იქნეს ის სახლი, რომელშიც ჰაჯე ჰანიმი ცხოვრობდა. ამ კატეგორიაში არ შედის არც მისი სახლი ანტალიაში, არამედ მხოლოდ დიდი რეზიდენცია ისტანციან ახლოს მდებარე სოფელში, რომელიც ნახევრად დანგრეულ მდგომარეობაში იყო. შესაძლებელია, ჰავა ჰანიმი და მისი ოჯახი ანტალიაში ცხოვრობდნენ მხოლოდ ზამთრობით.

ჰაჯე სალიპას შესახებ ვიცით, რომ ის ფლობდა 3 რეზიდენციას. ჩიოსის სახლი სავარაუდოა, რომ მისი მთავარი რეზიდენცია იყო. მისი ამ სამი რეზიდენციის შესახებ ჩვენ ძალიან მწირი ინფორმაცია გვაქვს. უფრო მეტი ინფორმაცია მოგვეპოვება ჰაჯე სალიპას ანატოლიის ორი რეზიდენციის შესახებ, რომელიც მდებარეობდა ჩეშმეში მდებარე მეჩეთის მარჯვენა მხარეს თავისი ბაღით. სახლი სამსართულიანი იყო. პირველ სართულზე იყო მისაღები, როგორც დივანჰანე, მესამე სართულზე იყო ვერანდა და ოთახი მეიდანის სახელწოდებით. ამ შენობასთან შედარებით ალაჩათის საცხოვრებელი სახლი უფროს ჰგავს. მასაც ჰქონდა როგორც სელამლიქი, ისე ჰარემი.

ჩვენ ვიგებთ, რომ პაჯე პანიმი ხელმომჭირნე ქალი იყო, მისი ინვენტარი მხოლოდ 5 კაბას შეიცავდა და არც მისი სამკაულები ჭარბობს. უნდა აღინიშნოს, რომ პაჯე სალიპას სამკაულები უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე პაჯე პანიმის. ორივე ქალს გააჩნდა მარგალიტი და ბრილიანტი, ოქროს ჯაჭვები. გარდა ამისა პაჯე სალიპას გააჩნდა ძვირფასი ქვები, როგორიცაა საფირი, ზურმუხტი, ფირუზი, რომ არაფერი ვთქვათ ძოწებელი და მომინანქრებული ემალის ნაკეთობებზე. დოკუმენტაცია ამ ძვირფასეულობის ლირებულების შესახებ არ არსებობს.

XVIII-XIX სს-ის განმავლობაში ოსმალეთის იმპერიაში ხშირი იყო ქონების კონფისკაცია. კონფისკაცია ეხებოდა ქალის ქონებასაც, მათ შორის, პაჯე სალიპას ქონებასაც შეეხო კონფისკაცია, საბოლოოდ კი მთელი მისი ქონება მის მემკვიდრეებს გადაეცათ. გასათვალისწინებელია, რომ ამ ორივე ქალის ოჯახში იცავდნენ სამოქალაქო ტრადიციებს და შესაბამისად ქალებს უფლებას რთავდნენ მიეღოთ თავიანთი წილი ქონებისა, მაშინ როცა სოფლად ქალს იმ წილსაც ართმევდნენ, რომელიც შარიათის მიხედვით მისი კუთვნილი იყო. ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილმა ქალებმა ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიღეს მემკვიდრეობით. როგორც წესი, მამაკაცებს პილიგრიმობისას თავიანთი ცოლები თან არ დაჰყავდათ, ჩვენ არ ვიცით პაჯე სალიპა მექაში მარტო იყო, თუ ქმართან ერთად, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მას ამ გადაწყვეტილების მიღებაში დაბრკოლება არ შეხვედრია. პაჯე პანიმი კი არ გამოირჩევა ასეთი გადაწყვეტილების მიღებით.

აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის არანაირი მითითება არ არსებობდა თუ ქონების რა ნაწილი უნდა ყოფილიყო ქალის საკუთრებაში. ამით ეს ქალები განსხვავდებოდნენ XVII ს-ის კაისერის თუ ანკარის ქალებისაგან ან თუნდაც XVIII ს-ის ალეპოს და სხვა სოფლის ქალებისაგან.

ოსმალეთის იმპერიაში სამეფო ოჯახის წევრი ქალები აარსებდნენ კერძო და საოჯახო ვაკფებს. “ვაკფი, ეს იყო საეკლესიო მიწა, რომლის ფონდსაც შეადგენდა სულტნის, ფეოდალების ან სხვა სამეფო დინასტიის წარმომადგენლის მიერ შეწირული მიწები” (სვანიძე, 1999: 100). ეს ვაკფები წარმოადგენდა საქველმოქმედო ორგანიზაციებს. XVIII ს-ის მანძილზე ანატოლიის ვაკფების 17.03% ოსმალო ქალების მიერ იყო დაარსებული. ოსმალეთის იმპერიაში არსებობდა აგრეთვე ფულადი ვაკფებიც. “ბარქანისა და აივერდის მიერ გამოქვეყნებული ფულადი ვაკფის დოკუმენტებიდან ვიგებთ, რომ

1546 წელს ფულადი ვაკფები შეადგენდა სტამბოლის მთლიანი ვაკფების 46%-ს. ამავე დუკუმენტებიდან ვიგებთ, რომ ვაკფებს აარსებდნენ ქალებიც. რისთვისაც ისინი XVI ს-ში არსებული კანონის თანახმად იხდიდნენ წლიურ 10%-ს (500 ახას). ჩანს, რომ ამ 10%-ს (360 ახა) ისინი უხდიდნენ მეჩეთის იმამს, ხოლო დანარჩენს (140 ახა) დამაარსებელს” (ზარინებაფი 2002:555).

ვაკფებს ქალები ძირითადად სტამბოლში აარსებდნენ, მაგრამ ასევე მექაში, მედინასა და იერუსალიმში. ყველაზე მსხვილი ვაკფის მფლობელები იყვნენ: ნურბანუ სულტანი (მურად III-ის (1574-1595) დედა), საფიე სულტანი (მეჰმედ III-ის (1595-1603) დედა), ქოსემ სულტანი (მურად IV-ისა (1623-1640) და იბრაჟიმის (1640-1648) დედა), პათიჯე სულტანი (მეჰმედ IV-ის (1648-1687) დედა), გულნუშ ემეთულაჲ სულტანი (მუსტაფა II (1695-1703) და აჰმედ III-ის (1703-1730) დედა), ბეზმიალემ სულტანი (აბდულ-მეჯიდის (1839-1861) დედა) და ბოლოს ფერთვანიალ სულტანი (აბდულ-აზიზის (1861-1876) დედა) (იხსანოგლუ 2006:114).

“ოსმალო ქალების მსგავსად XVIII ს-ის კაიროში მცხოვრები მონური წარმომავლობის მამლუქი ქალებიც მნიშვნელოვანი საჭალაქო და სასოფლო ქონების მფლობელნი იყვნენ, რასაც შემდეგ ისინი აბანდებდნენ საოჯახო ვაკფებში. კაიროს მამლუქი ქალები ფლობდნენ ვაკფების 25%-ს. იგივე მდგომარეობა იყო ალეპოში” (ზარინებაფი 2002:561).

ირკვევა, რომ 1546 წლიდან მოყოლებული ვაკფთა 36% დაარსებული იყო საშუალო ფეხის წარმოშობის ქალთა მიერ. ამ ქალთა დიდი ნაწილი იყო ყოფილი მონა, რაზეც მიუთითებს მათი სახელები, მაგ. ამინე ბინთ აბდულაჲ. “ბინთ/ბინ აბდულაჲ” იყო საზოგადო სახელი, რომელიც ერქვათ მონა ქალებს ან ქაცებს.

ამგვარად, ამ თავში განხილული იყო XV-XVIII სს-ის ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები მდიდარი ქალების ისტორიები. საუბარი იყო მათ სოციალურ როლზე საზოგადოებაში, საქველმოქმედო საქმიანობაზე, აღწერილი იყო მათი ქონებრივი ინგენიერიზაცია და საზოგადოებრივი სტატუსი. ისინი ამ დროისათვის ქალისთვის წარმოუდგენელი სიმდიდრის მქონენი იყვნენ. ამ სიმდიდრეს გონივრულად მართავდნენ და გადასცემდნენ შთამომავლობას. ხშირად მათი მექანიდრეები მათი ქმრები ხდებოდნენ და ისინი გარდაცვლილი მეუღლის ქონებით აგრძელებდნენ ცხოვრებას. განსხვავებული იყო მდიდარი ქალის ჩასაცმელი და სამკაულები, რომელიც მათი სოციალური სტატუსის გამომხატველი იყო. ასევე ადსანიშნავია, რომ ზოგიერთი ქალი მუსლიმთათვის

უმაღლესი ტიტულის – პაჭის მფლობელი იყო. აქვე მნიშვნელოვანია ერთი ფაქტორი, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ქალთა ამ წარმატების განმსაზღვრელი იყო მათი სოციალური კუთვნილება და წარმომავლობა.

8. ქალის სამოსი და ძვირფასეულობა ოსმალეთის იმპერიაში

ოსმალო ოუ ევროპელი დამკვირვებლების აზრით, ქალის სამოსი მათი სოციალური სტატუსის გამომხატველი იყო. მსგავსად ბევრი ევროპელი მონარქისა, ოსმალო სულტნებიც ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ სტაბილურობა და ნათლად განსაზღვრავდნენ სოციალურ წესრიგს. ეს წესრიგი ეხებოდა ჩაცმულობასაც. შესაბამისად ქალის სტატუსის გამომხატველიც უნდა ყოფილიყო მისი ჩაცმულობა. “1564 წელს გამოვიდა დეკრეტი, რომლის მიხედვითაც არამუსლიმ ქალს უნდა ეტარებინა ქვედაბოლო ანგორას მატყელისაგან ან აბრეშუმისა და ბამბის ნაერთისაგან დამზადებული, რომელიც წარმოებული იყო სავარაუდოდ ბურსაში” (ფაროქი 1980:77). ტანსაცმელი განსხვავდებოდა რეგიონების მიხედვით, რადგან შეუძლებელია იმპერიის ყველა მხარეში ერთანირი ჩასაცმელი დამზადებულიყო. ოსმალო ისტორიკოსები ასევე აღნიშნავენ ტანსაცმელთან დაკავშირებულ ფოლკლორულ მოტივებს. მოგზაური ევლია ჩელები მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ქალთა ქურქებისა და თავსაბურავების შესახებ, როდესაც მან იმოგზაურა მათ სახლებში. ევლია ჩელები ქალის ჩაცმულობასთან ერთად დასძენს: “ისინი მოძრაობენ მეტად მორიდებულად და გახვეულნი არიან ჩადრში და მოსახამებში” (ჩელები 1983:73). ამას განაპირობებდა მეტწილად ქალის ჩასაცმელის სტილი. იდეალური ქალი უნდა ყოფილიყო მთლიანად დაბურული და უხილავი. მცირე აზიაში, კემოდ კი ქალაქ ბოლუში მოგზაურობას ველია ჩელები ასე აღწერს: “ყველა ქალს აცვია ფარანჯა, ან მთლიანად არიან შეფუთულები” (ჩელები 1983:61).

იგივეს ადასტურებს აგსტრიის მეფე ფერდინანდის ელჩი ოჟიე ჯისელინ დე ბუსბექი, რომელმაც ოსმალეთის იმპერიაში იმოგზაურა 1544-62 წლებში “თურქები ყველაზე მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თავიანთი ცოლების უბიწოებას. ისინი მათ აიძულებენ ისხდნენ სახლში და იშვიათად ნახონ მზის სინათლე. თუ ისინი გარეთ გასვლის უფლებას მიიღებენ, ისეთი შეხვეულები გამოდიან, რომ ადამიანს მოჩვენება ან აჩრდილი ეგონება” (ბუსბექი 1927:117).

XVIII საუკუნეში სულტნებმა ჩაცმის სტილთან დაკავშირებით მრავალი დეკრეტი გამოსცეს და ამით შეზღუდეს ქალისათვის მინიჭებული იქამდე დარჩენილი ის რამდენიმე უფლებაც, რის მიხედვითაც ქალს შეეძლო ქუჩაში სიარული. ამ დეკრეტებით ქალთათვის დაკეტილი აღმოჩნდა მქარგველთა

მაღაზიებიც, რომლის ხშირი სტუმრებიც ისინი იყვნენ.

მდიდარ და დარიბ ქალს შორის ჩატულობის სტილთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი სხვაობა არ იყო. თუმცა გარკვეული წესები მათ ნებას რთავდა ეტარებინათ სხვადასხვა ფერის ფარაჯა (მოსასხამი) და ფეხსაცმელი, რათა გამოეაშკარავებინათ თავიანთი სტატუსი. ფარაჯა გამოიყენებოდა ძირითადად სახლის გარეთ. ის იყო ფართო მოსასხამი, გრძელმკლავებიანი, საყელოს გარეშე, ძირითადად აბრეშუმის. ან მატყლის ქსოვილისაგან დამზადებული და კოჭებამდე სიგრძის. საზამთრო მოსასხამი ხშირად ბეწვით იყო გაწყობილი. ქალები ასევე ატარებდნენ ბეწვის პალტოებს. თავსაბურავს “yaşmak” ერქვა და ქალებს მასში მხოლოდ თვალები უჩანდათ.

ფეხსაცმელს “başmak”-ი ერქვა და ყველა ქალი ატარებდა მას. არამესლიმ ქალს მისი ტარების უფლება არ ჰქონდა. ჩასაცმელის მიხედვით ჩანდა ქალის სტატუსი, დაწყებული სულტნის დედით, დამთავრებული ჰარემის ქალით. მათი ჩასაცმელი ორი ნაჭრისაგან შედგებოდა (მთავარი ნაჭრისაგან და ოქროს ან ვერცხლის ძაფის ნაჭარგისაგან). ჩასაცმელი იყო აგრეთვე სამნაჭრიანი, შალვრები, ჟილეტები, პერანგები, კაფთანები, ფარანჯები.

ძვირფასეულობა და ძვირფასი ტანსაცმელი მაღალი წრის წარმომადგენელ ქალის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი იყო. მათი სტუმარი იყო ლედი მერი მონტეგიუ.

მდიდარი ქალის ტიპური ჩასაცმელი იყო ფართო პერანგი (gömlek), დამზადებული ბამბისა ან აბრეშუმისაგან. ამის ქვემოთ ეცვათ კაბა (entari), რომელიც როგორც საშუალო, ისე მაღალი წრის ქალთაოვის, დამზადებული იყო ველვეტის ან აბრეშუმისაგან. ნაკლებად შეძლებული ქალთაოვის ის დამზადებული იყო იაფიანი აბრეშუმისა ან ბამბისაგან, რომელსაც ერქვა beledis. თავშალი თმებში სამაგრით იყო დამაგრებული, თმები მაღლა ჰქონდათ აწეული. გარედან ეცვათ მოსასხამი (dolaman), რასაც ძირითადად ზამთარში ხმარობდნენ. გარეთ ჩასაცმელად იყენებდნენ ფართო პალტოს – farace, რასაც ჰქონდა გრძელი მკლავები, რათა ხელები თავისუფლად შეეყოთ სიცივეში შიგნით. მათი სახე მთლიანად დაფარული იყო ჩადრით, მხოლოდ პატარა ადგილი თვალებისთვის იყო ღია (ფაროქი 2007:110).

წყაროებიდან ირკვევა, რომ ქალის თავსაბურავი ძალიან ძვირფასი იყო, (მათ შორის სულტანფაშა ბინთ ჰაჯე მურადისა და სელჩუკ ბინთ ელ-ჰაჯ

მექმედის) და დაახლოებით 3,500 ახჩა ლირდა, ზოგიერთი კი 4,000 ახჩა, ეს თავსაბურავები შეიცავდა ოქროსა და ვერცხლის ნაჭრების დეკორაციას.

აღსანიშნავია, რომ სულტანფაშა ბინთ ჰაჯი მურადის მეუდლეს, მეტად ძვირფასი კაფტანი ჰქონდა, რომელიც შეიცავდა გირჩის, აბრეშუმისა და ვალვატის ქსოვილებს ოქროსა და ვერცხლთან ერთად. მისი ფასი 700 ახჩას შეადგენდა, რომელიც უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე ნებისმიერი სამკაული. ასეთი ძვირფასი ნიგო გააჩნდა ჰათუნბეგი ბინთ ჰოჯა ჰუსეინს, რომელიც იყო 800 ახჩამდე ლირებულების. XVI საუკუნეში ოსმალური ადმინისტრაცია მკაცრად აკონტროლებდა ვერცხლის ძაფის წარმოებას, მაგრამ XV-XVI სს-ში მამაკაცები უფრო ადვილად აძლევდნენ თავს უფლებას ძვირფასი ფარჩის ქსოვილით შეემოსათ თავიანთი ქალები.

“სასახლის ქალი ატარებდა თმების მოსართავებს, რომლებიც თავიანთი თმებისაგან იყო დამზადებული და ერქვა “hotoz” ან “yemen”, ასევე სხვა მოსართავი ნაჭრებისაგან” (ფაროქი 2003ა:66). სასახლის ქალი ფეხზე იცვამდა ფეხსაცმელს ან საღამოს ჩუსტებს, რომლებიც სხვადასხვა ფერის ტყავისაგან იყო დამზადებული და მორთული იყო ოქროთი და ვერცხლით, ხშირად კი ბრილიანტისა და მარგალიტის თვლებით.

“ძვირფასი თვლების ორნამენტებით იყო მორთული მდიდარი ქალების ყელი და მკლავები. მდიდარი ქალები მისდევდნენ პარიზულ მოდას, თანდათან კი ევროპული მოდა მთლიანად ჩაენაცვლა ადგილობრივ მოდას” (ქალის ჩასაცმელი).

მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ სასახლის მდიდარი და გავლენიანი ქალები ატარებდნენ გვირგვინის მსგავს ქუდის მოსართავ ფრთებს (პლუმაჟი, ჯილა), ასეთსავე მოსართავ ფრთებს ატარებდა სულტანიც და ეს იყო ძალაუფლების სიმბოლო. სულტანი ასეთ მოსართავებს საჩუქრადაც არიგებდა. მდიდარი ქალი, ჩვეულებრივ, ერთზე მეტ ქუდის მოსართავ ფრთას ატარებდა, მაგრამ ხანდახან მხოლოდ ერთსაც, რომელსაც იმაგრებდა შუბლზე ან თავის უკანა მხარეს.

მდიდარი ოსმალო ქალების აღჭურვილობაში შედიოდა ისეთი ძვირფასი თვლებით მოჭედილი სამკაულები, როგორიცაა ბრილიანტი, ამეთვისტო, კორნელია, მარგალიტი. მდიდარი ქალები ასევე ატარებდნენ მარგალიტის მძივსა და ოქროს ჯაჭვს. XVIII ს-ის ბრიტანელი ელჩი სტამბოლში წერდა, რომ

სულტან მუსტაფა II-ის (1695-1703) ცოლს ჰაფიზე სულტანს ფეხებამდე სიგრძის მძივი ეკიდა, რომელიც შემკული იყო მარგალიტისა და ბრილიანტის თვლებით.

ლედი მერი მონტეგიუ გაოცებული დარჩა სამკაულების სილამაზითა და ფასეულობით, რომლითაც სტამბოლის მცხოვრები ქალები თავიანთ თავებს ამკობდნენ. თუმცა განსაკუთრებით საინტერესოა ბურსაში მცხოვრები ხელოსანთა და ვაჭართა ცოლებისა და ქალიშვილების მდგომარეობა. უდავოა, რომ ყველა ქალს გააჩნდა ძვირფასეულობა. ამათგან ყველაზე გამორჩეული იყო საყურები, ძირითადად ოქროსი ან ვერცხლის. შედარებით მდიდარ ქალებს კი ეს საყურები გაწყობილი პქონდათ მარგალიტებით, რომელიც ყველაზე პოპულარული იყო და სავარაუდოდ იმპორტირებული იყო ბაჰრეინიდან. ასევე პოპულარული იყო ბრასლეტები, ძირითადად ის იყო ოქროსი და იყიდებოდა წყვილად. ყელსაბამებს მოჰყვებოდა პატარა ყუთები, სადაც იდო ყურანის ტექსტი, თუმცა ეს ნაკლებად პოპულარული იყო ვიდრე საყურე. ბურსის მდიდარ ქალებს პქონდათ ძვირფასი მეტალის ქამრები. გარდა ვერცხლის ქამრებისა, აგრეთვე იყო ნაჭრის ქამრები, რომლებიც მორთული იყო ვერცხლისა და მოჰქროვილი მაქმანებით. ასეთი ნაჭრის ქამრები ხშირად შემკული იყო ვერცხლისა და ოქროს ძაფებით და ხშირად წელზე შემორტყმული მოქარგული შარფებითაც დადიოდნენ ქალები. ოქროსა და ვერცხლის ნაქარგები იყო სხვადასხვა დასახელების ტანსაცმელზე და ასევე ბალიშებისა და სახლის ტექსტილის სხვა ნივთებზე (ფაროჭი 2007:108)

ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ რამოდენიმე ასეთმა სახეობამ, რომლებიც ინახება მუზეუმებში და ეპუთვნის ან სულტნის ოჯახს, ან აღდგენილია XIX საუკუნეში. ზოგიერთი საყურე, რომელიც ინახება მუზეუმში, დათარიღებულია XIX-XX საუკუნით და არის განმეორება ბიზანტიური სტილისა. ჩვენამდე მოღწეული საყურები ჩვენ გვიქმნიან წარმოდგენას XVIII საუკუნის ქალის სამკაულებზე.

თანამედროვე უთნოლოგიური გამოკვლევებიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ ქალს შეეძლო გაეყიდა მისთვის ქორწილში ნაჩუქარი სამკაულები, რათა უზრუნველყო ახლადშექმნილი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა. (სირმანი 1988). დღეისათვის ეს ნივთები არის ძირითადად ბრასლეტები. ეს ხდებოდა XVIII საუკუნის ადრეულ წლებში ბურსაში. ასევე დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ბრასლეტები დამზადებული იყო ოქროსაგან. თუნდაც ოსმალო

პრინცესები მკირფასეულობას იყენებდნენ როგორც სიმდიდრის დაგროვების წყაროს, რომელიც შეეძლოთ გაჭირვების დროს გადაედნოთ და გამოეყენებინათ.

“ოსმალეთის იმპერიაში ქალის მიერ ჩარმაფის ტარება ნიშნავდა მისი ბავშვობის დასასრულს. ამით აგრეთვე დასტურდებოდა, რომ ის გათხოვილი იყო” (Nicole, 2002: 581).

არამუსლიმი ქალებიც მუსლიმი ქალების მსგავსად იცვამდნენ. იბურავდნენ თუ არა ისინი სახეს, დამოკიდებული იყო იმ ადგილზე, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, ან მათ სტატუსზე. ბალკანეთსა და სტამბოლში ქალებს სახის სულ მცირე ნახევარი არ ჰქონდათ დაფარული, თუმცა ასეთი შემთხვევა გამონაკლისი იყო. ათენში, ახალგაზრდა, დასაოჯახებელი ქალები ატარებდნენ ჩადრს და მხოლოდ დაოჯახებულები აჩენდნენ თავიანთ სახეს (მაქკენზი 1992:64). სომხეთსა და აღმოსავლეთ ანატოლიაში, ასევე კავკასიაში, ქალები მუსლიმთა მსგავსად ჩადრს ატარებდნენ. თუმცა ევროპელ ისტორიკოსთა ცნობით XVI-XVII სს. გარკვეულ რეგიონებში იყო გამონაკლისები. XVI საუკუნის ოსმალურ მინიატიურებში ვხვდებით როგორც ჩადრით, ისე მის გარეშე ქრისტიან ქალებს (რენდა 2001).

ევროპელი მაღალი წრის ქალები ეპატიუებოდნენ შეძლებული ოჯახების ოსმალო ქალებს და ასწავლიდნენ ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებს. შედეგად ენის ცოდნა ოსმალო ქალს ეხმარებოდა ევროპული მოდის შესახებ ცოდნის მიღებაში.

პირველი ოსმალო ქალები, რომლებმაც აითვისეს ევროპული მოდი, იყვნენ სამეფო დინასტიიდან ან შეძლებული ოჯახებიდან. უნდა აღინიშნოს, რომ “ევროპული ტანსაცმლით ოსმალური ტანსაცმლის ჩანაცვლება ერთბაშად არ მომხდარა. თავიდან ოსმალო ქალებმა დაიწყეს ევროპული აღჭურვილობის ხმარება, მაგალითად, ხელთაომანის, წინდის. ნელნელა ტრადიციული თურქული მოსასხამი ევროპულმა კაბამ შეცვალა” (Nicole, 2002: 583).

ოსმალო ქალი ევროპულ ტანსაცმელს ძირითადად პარიზში ყიდულობდა, სადაც თავად დადიოდა, ან ნათესავს აბარებდა. ზოგიერთი ქალი კი სტამბოლშივე აკერინებდა კაბას ევროპულ მკერავებს.

ამგვარად, ქალის სამოსი ოსმალეთის იმპერიაში მათი სოციალური სტატუსის გამომხატველი იყო. თურქი ქალის ძირითადი ჩასაცმელი იყო ფარაჯა, რომელსაც ის ძირითადად სახლის გარეთ იცვამდა და “başmak”-ი (ფეხსაცმელი), თავზე კი თავსაბურავი ეხურა და მას “yaşmak” ერქვა, რაც ქალის მთელ სახეს

ფარავდა და მხოლოდ თვალები უჩანდა. მდიდარ ქალთა ჩაცმულობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამორჩეული იყო. მათ ძვირფასი ნაჭრისაგან შეკერილი ტანსაცმელი ემოსათ, მათი სამკაულები და თავსაბურავი ძვირფასი თვლებით იყო შემკული. პირველი ოსმალო ქალები, რომლებმაც აითვისეს ევროპული მოდა, სამეფო დინასტიიდან ან შეძლებული ოჯახებიდან იყვნენ. ნელ-ნელა ოსმალეთის იმპერიაში ხდებოდა ტრადიციული თურქული ტანსაცმლის ევროპული კაბით ჩანაცვლება. XIX საუკუნის ბოლოს ფარაჯამ და თავსაბურავმა გაქრობა დაიწყო. 1908 წლის რევოლუციის შემდეგ თურქეთში მკვეთრი ცვლილებები მოხდა თურქი ქალის ჩასაცმელთან დაკავშირებით. საბოლოოდ კი თურქეთში ევროპული მოდა დამკვიდრდა.

9. ქალის მდგომარეობა ოსმალეთის იმპერიაში თანზიმათამდე

შუა საუკუნეების ოსმალეთის იმპერიაში ქალთა დიდ ნაწილს უხდებოდა მუშაობა, რათა ოჯახები შეენახათ. მათი დასაქმების არეალი არცთუ დიდი იყო. ისინი ძირითადად დასაქმებული იყვნენ ოჯახებში. თუმცა აღსანიშნავია, რომ ასეთი სამუშაოს შოვნის შანსი მხოლოდ ახალგაზრდა მონა ქალებს ეძლეოდათ. გათხოვილი ქალისათვის ასეთი სამუშაოს მოძებნა მნელი იყო. ქალები დაკავებული იყვნენ აბანოებში, ასევე საქორწინო სამზადისთან დაკავშირებულ საქმიანობაში.

ქალთა დიდი რაოდენობა დაკავებული იყო საფეიქრო წარმოებითა და შემდგომ მისი რეალიზაციით. ძაფის დართვას ქალები სახლებშიც ახერხებდნენ. “1678 წელს ბურსაში მცხოვრები ქალების 50% აბრეშუმის დართვით იყო დაკავებული” (ფაროჭი 2003:165). საფეიქრო მრეწველობიდან შემოსული შემოსავალი განაპირობებდა ქალის სიძლიერესა და ფინანსურ დამოუკიდებლობას (გოჩექი 2003: 78). ბევრი საქსოვი დაზგა განლაგებული იყო არა მხოლოდ მაღაზიაში, არამედ კერძო სახლებში, ქალები აქაც გვევლინებოდნენ დამრთველებად. ასეთი ქალების უმრავლესობა ახალგაზრდობაში მუშაობდა მდიდარ ქალებთან როგორც მქარგველები და მათ ამ საქმიდან კარგი ანაზღაურებაც ჰქონდათ. იყვნენ ისეთი ქალებიც, რომლებიც აწარმოებდნენ სანთელს. სანთლის დამზადებისას ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა ცხოველის ცხიმი.

იყვნენ ისეთი ქალებიც, რომლებიც დროს სახლში ფუჭად ატარებდნენ. ევროპელი მოგზაური ჰანს დერნშვამი, რომელიც თან ახლდა ბულგარელ სარდალს სტამბოლში 1553 წელს, დასძენს, რომ ოსმალო ქალი არც თუ ხშირად დადის მეჩეთში, არამედ ის სახლში ლოცულობს. დერნშვამი დასძენს, რომ ოსმალო ქალი, ხშირ შემთხვევაში, სახლში დროს ფუჭად ატარებდა, საოჯახო საქმეს კი მოსამსახურები აკეთებდნენ. ასევე აღნიშნავს, რომ ბევრი ცოლი ქმრის ერთგული იყო, მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც ქალი დალატობდა ქმარს მისი ომში წასვლის შემდეგ. ეს ქალები შემდეგ საკადრისად არც კი ისჯებოდნენ, რადგანაც მათი სახე ჩადრით იყო დაფარული და ეს უცნობი რჩებოდა (გოჩექი 2003:74).

სასამართლოს ჩანაწერებიდან ვგებულობთ, რომ ამ პერიოდის ქალებს გააჩნდათ ფაბრიკა-ქარხნები, საცხობები, გასტრონომიული მაღაზიები და სხვა. რონალდ ჯენინგსმა შეისწავლა 1600-25 წლების კაისერის სასამართლოს 2000-მდე ჩანაწერი, საიდანაც ირკვევა, რომ არაელიტარული წრის ქალები თავისუფლად მართავდნენ ქონებას და მონაწილეობდნენ კომერციულ გარიგებებში. ისინი დაკავებულნი იყვნენ მიწათმფლობელობით და ფულის გასესხებით (გოჩექი 2003:79).

განსაკუთრებით დიდი აქტიურობით გამოირჩეოდნენ ბურსელი ქალები. 1600-1700 წლების სასამართლოს ჩანაწერებიდან ნათელია, რომ ბურსელი ქალები უფრო ხშირად მიმართავდნენ სასამართლოს ვიდრე ქ. კაისერის ქალები. ქალთა მაღალი აქტიურობა ბურსაში განპირობებული იყო ამ ქალაქის სიახლოვით დედაქალაქთან.

სოციოლოგების მიერ შესწავლილ იქნა XVII-XVIII სა-ის თურქული ოჯახები. მათი ნაშრომების გაცნობის შედეგად ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძირითადად არსებობდა ოჯახის ორი ტიპი: პირველი ტიპის ოჯახში პატარძალს თავისი ოჯახის წევრები გადასცემდნენ სიძის ოჯახის ნათესაობას. საბოლოოდ ქმარი და დედამთილი აკონტროლებდნენ პატარძლის ყველა ნაბიჯს. თუ ქალი ოჯახიდან წასვლას დააპირებდა, მათ უფლება ჰქონდათ ხელი შეეშალათ მისთვის და არ გაუტანებინათ ქონება. ეს ამცირებდა ქალის სტატუსს. მეორე ტიპის ოჯახში ქალი იყო ქმრის ბიზნეს პარტნიორი, რომელიც ინაწილებდა მის უფლებამოსილებას და დამოუკიდებლად ასრულებდა ეკონომიკურ საქმიანობას. ასეთი ტიპის ოჯახი საკმაოდ ხშირი იყო და ქალებიც, ჩვეულებრივ, შარიათის მიხედვით მემკვიდრეობის მფლობელნიც ხდებოდნენ.

შარიათის მიხედვით ოსმალეთის იმპერიაში ქალსაც და მამაკაცსაც თანაბარი უფლება ჰქონდათ სასამართლოში სარჩელის შეტანის, ნებისმიერი სახის შეთანხმების დადების, ადვოკატის აყვანის დროს. მამაკაცსაც და ქალსაც თანაბრად ევალებოდათ სასამართლოში მოწმის მიყვანა.

“ხშირი იყო შემთხვევები, როცა დაქვრივებული ქალები გამოდიოდნენ ოჯახის ინტერესების დამცველებად. აქედან გამომდინარე ქმრები ან ადგილობრივი მოსამართლეები ღრმად ენდობოდნენ ქალების კომპეტენტურობას. ქმარი სიკვდილის შემდეგ თავის ცოლს შვილების მეურვედ ნიშნავდა, რომელიც იცავდა მათ უფლებებს” (ფაროჭი 2003ა:168).

ყადის დოკუმენტაციებში, უხვადაა ისეთი ქალების რაოდენობა, რომლებიც თავიანთი შვილების უფლებების დასაცავად გამოდიოდნენ. ისტორიკოსი რონალდ ჯენინგსი იყო პირველი, რომელმაც დაამტკიცა, რომ ქალები მართლაც არ უშინდებოდნენ სასამართლოში წასვლას და თავიანთი და თავისი შვილების უფლებების დაცვას. ანატოლიის ქალაქებში მცხოვრებმა რამდენიმე ქალმა სახელი გაითქვა, როგორც თავიანთ უფლებების აქტიურმა დამცველმა.

ხშირად ქალებს გადაეცემოდათ ისეთი მნიშვნელოვანი საქმიანობა, როგორიც იყო საოჯახო აღმინისტრირებაში არსებულ დაწესებულებათა მართვა. ამ დაწესებულების დამაარსებელი დანიშნავდა თავის მემკვიდრეს, რომელიც იქნებოდა ან კაცი ან ქალი და რომელსაც უნდა ემართა ესა თუ ის მეჩეთი, სკოლა ან შადრევანი, ან გამიზნულად დაეხარჯა ფული რაიმე საღმრთო საქმიანობისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ საკმოდ ხშირად ეს მემკვიდრეები იყვნენ ქალები.

“ქალები უფრო ხშირად მაშინ ხდებოდნენ დაწესებულებათა მმართველები, როდესაც ისინი იყვნენ დამაარსებლის ერთადერთი მემკვიდრე. შესაბამისად ისინი განაგებდნენ ამ საქმეს და შემდგომ გადასცემდნენ თავიანთ ვაჟიშვილებს ან ქალიშვილებს” (ფაროქტი 2003ა:187).

ყოველივე ზემოთოქმულის შემდეგ უნდა აღვნიშნოთ, რომ ძირითადი ფუნქცია ოჯახში მამაკაცს ეკავა და მათი სტატუსი ოჯახის დანარჩენ წევრებთან შედარებით ამაღლებული იყო. ქალები მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში იღებდნენ მონაწილეობას სხვადასხვა საპასუხისმგებლო საქმიანობაში, ძირითადად ასეთი საქმიანობა იყო წინა საქორწინო მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღება. ბამბის საწარმოს ფერმერთა ცოლები აქტიურად მონაწილეობდნენ ქალთათვის შრომის დანაწილებაში. ქალი ასევე ამყარებდა საჭირო კავშირებს, რითიც უზრუნველყოფდა მოსავლის გაზრდას და ამით ოჯახის პრესტიჟსაც ზრდიდა. ქალები დაკავებულნი იყვნენ წარმოებითაც და უფლება ჰქონდათ ყოფილიყვნენ ოჯახის სრულუფლებიანი წარმომადგენლები სოციალურ საკითხებში.

XVII ს-ის ბურსელი ყადის ჩანაწერების მიხედვით ქალები მეტად აქტიურ ცხოვრებას ეწეოდნენ. მათ შორის იყვნენ კაისერში მცხოვრები ქალები. ჩვენ შეგვიძლია დაგასკვნათ, რომ ქალაქში მცხოვრები ქალებისაგან განსხვავებით, სოფლელი ქალები ჩრდილში იდგნენ.

საინტერესო XVIII ს-ის კაისერის ქალთა ქონება. კაისერიდან იყო იაზგულ ბინთ ჰაჯი ჰიდირი, რომლის მამამაც იმოგზაურა იერუსალიმში. ამ ქალის ქონება შეადგენდა 1-2 უურუშს, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა პატარა სავენახე მიწა, ასევე 10 უურუშის ღირებულების ძვირფასი ვერცხლის ქამარი, აგრეთვე 50 უურუშის ღირებულების ოქროს ბრასლეტი.

აღსანიშნავია, რომ როგორც კაისერში, ისე სოფლებში არსებობდნენ შეძლებულ ქრისტიანთა ოჯახები. შეძლებულ ფენას ეკუთვნოდა გულ ანას ოჯახი. ოქროსა და ვერცხლის ორნამენტებიანი ძვირფასეულობა შეძლებულ ქრისტიანთა ოჯახებისათვის არ წარმოადგენდა იშვიათობას.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შუასაუკუნეების ოსმალეთის იმპერიაში მთელი რიგი შეზღუდვების მიუხედავად მაინც შეინიშნება ქალთა საზოგადოებრივ საქმიანობაში გარკვეული აქტიურობა. თუმცა, მათგან გამორჩეულნი არიან ქალაქად მცხოვრები ქალები, სოფლები ქი, ჩრდილში დგანან. ქალთა აქტიურობის შესახებ ინფორმაციას მეტწილად სასამართლოს ჩანაწერებიდან ვიღებთ, საიდანაც ირკვევა, რომ ელიტარული წრის ქალები თავისუფლად მართავდნენ ქონებას და მონაწილობდნენ კომერციულ გარიგებებში. ისინი, ასევე, დაკავებულნი იყვნენ მიწათმფლობელობით და ფულის გასესხებით. ქალსაც და მამაკაცსაც თანაბარი უფლება ჰქონდა სასამართლოში სარჩელის შეტანის, ნებისმიერი სახის შეთანხმების დადების და ადვოკატის აყვანის დროს. ქალს ხშირად გადაეცემოდა სასამართლო ადმინისტრირებაში არსებულ დაწესებულებათა მართვა. მაგ. მეჩეთი, სკოლა ან შადრევანი. ქალს შეეძლო ფულის გაღება რაიმე სახის საღვთო საქმიანობისათვის. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქალები მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში იღებდნენ ასეთ საქმიანობაში მონაწილეობის უფლებას. ეს ხშირად მაშინ ხდებოდა როცა ის დამაარსებლის ერთადერთი მემკვიდრე იყო.

**10. ქალის მდგომარეობა ოსმალეთის იმპერიაში
თანზიმათის შემდეგ**

XIX ს-ის დასაწყისიდან ოსმალეთის იმპერიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება. თანდათან ქვეყანაში დაიწყო დასავლური ლირებულებების დამკვიდრების ტენდენცია. ოსმალები თვლიდნენ, რომ ისინი ევროპას ძალიან ჩამორჩებოდნენ. ეს ჩამორჩენილობა რომ დაეძლიათ, ქვეყანაში გასატარებელი იყო მნიშვნელოვანი რეფორმები, მათ შორის სამხედრო, სასამართლო და საგანმანათლებლო. XIX ს-ის სამი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქვეყნის მოდერნიზაციისათვის იყო კონსტიტუციური მთავრობის მშენებლობა, ინტელექტუალური ელიტის აღმოცენება და ქალის განათლების საკითხისადმი მნიშვნელობის მინიჭება (ბუქური 2004გ:295).

XIX ს-ის რეფორმების სანა ოსმალეთის იმპერიაში ცნობილია როგორც თანზიმათის სანა. 1839 წელსა და 1856 წელს გამოსულმა კანონებმა დიდი გარდაქმნა შეიტანა თურქი ქალის ცხოვრებაში.

“1839 წლამდე ოსმალეთში ისლამური კანონმდებლობა მოქმედებდა და შესაბამისად ნებისმიერი ფადიშაპის მიერ მიღებული ბრძანება ისლამური კანონთა კოდექსის შესაბამისობაში უნდა მოსულიყო. 1839 წლიდან მოყოლებული ოსმალეთის იმპერიაში ისლამური კანონმდებლობასთან ერთად მოქმედებდა ევროპაში მოქმედი კანონთა სისტემაც” (პალილი 1974:285).

მართლაც დაიწყო სტრუქტურული ცვლილებები ქვეყნის მოდერნიზაციისათვის. ეს ცვლილებები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა სფეროს შეეხო.

”1842 წლიდან ქალთათვის თანდათანობით გაიხსნა დაწყებითი და უმაღლესი განათლების სკოლები და ქალებმაც იწყეს განათლების მიღება” (ნოვიჩევი 1978:186). ის ქალები, რომლებიც ამთავრებდნენ ‘*Muallime Mektepleri*’-ს (“მასწავლებელ ქალთა სკოლა”), მთავრობის მიერ იგზავნებოდნენ ქვეყნის სხვადასხვა მხარეში, რათა სხვა ქალებისთვისაც მიეცათ განათლება.

1858 წელს ოსმალეთის იმპერიაში გაიხსნა პირველი დაწყებითი სკოლა ქალთათვის (Rüşdiyye). 1869-70 წლებში სტამბოლში გაიხსნა მასწავლებელ ქალთა მოსამზადებელი სემინარია, რომელთაც უნდა ესწავლებინათ ქალთა

სკოლებში. 1880-იანი წლებიდან სკოლები გაიხსნა ცალკეულ პროვინციებში ადგილობრივ მმართველთა ინიციატივით (ფაროქი 2003:159).

ქალები ცდილობდნენ საგაზეთო პუბლიკაციების საშუალებით საზოგადოებისათვის ეცნობებინათ თავიანთი პრობლემები. ქალები ატარებდნენ კონფერენციებს, ქმნიდნენ საზოგადოებებს. მაგალითად, 1869 წ-დან მოყოლებული, როცა დაიბჭდა ქალთა პირველი გაზეთი “თერაქი მუჭადერათი” (ცივილიზაციის პროგრესი), 40-მდე ქალთა გაზეთი იქნა დაბჭდილი ვიდრე 1926 წ-მდე, როცა ახალი ლათინური ანბანი შემოიღეს. ამ პერიოდიდან მოყოლებული თურქეთში დაარსდა მრავალი ქალთა საზოგადოება, რომელიც იბრძოდა ქალთა უფლებებისათვის.

1886 წელს დაიბუჭდა პირველი შურნალი “კვავილის ფურცელი” (“Şüküfezar”), სადაც იბეჭდებოდა მხოლოდ ქალთა სტატიები, მისი მფლობელი ქალი იყო. შურნალისტებიდან აღსანიშნავია: მუნირე, ფატმა ნევბერი და ფატმა ნიგარი.

შურნალი “ქალთა გაზეთი” (“Hanımlara mahsus gazete”) გამოდიოდა 1895-დან 1908 წლამდე. მასში მომუშავე თანამშრომლები იყვნენ როგორც ქალები, ისე მამაკაცები, მათ შორის იყო ნოველისტი ფატმა ალიე. (ფაროქი 2003:160) მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა საოჯახო სამართალმაც. “კანონი ნებას რთავდა დაქვრივებულ ქალს ხელმეორედ დაქორწინებულიყო” (იარამანი 2001:24).

“1856 წელს მიღებული კანონით გოგონებს, ბიჭების მსგავსად, უფლება ეძლეოდათ მამის დანატოვარი მიწა მემკვიდრეობით მიეღოთ და ყოფილიყვნენ ამ მიწის მფლობელნი” ” (იარამანი 2001:25).

1868 წელს გამოიცა კანონი “Maarif-i Umumiye Nizamnamesi” (“სახალხო განათლების რეგულაცია”), რომლითაც “მთავრობა მოუწოდებდა ოსმალეთის იმპერიის მთელს მოსახლეობას, რომ ქალიშვილები 6-11 წლის ასაკში გაეგზავნათ დაწყებით სკოლებში განათლების მისაღებად” (Çana). მოგვიანებით კი, 1876 წელს გამოსულ “კონსტიტუციაში” (“Kanuni Esasi”) ეწერა, რომ ოსმალეთის იმპერიის მთელი მოსახლეობა ვალდებული იყო მიეღო დაწყებითი განათლება.

ქალთა მიმართ სახელმწიფოს ასეთმა დამოკიდებულებამ განაპირობა ქალთათვის უფრო დიდი ყურადღების მიპყრობა. ქალთა თემას ეხებოდა სტატიები ათეულობით შურნალსა და გაზეთში, სადაც ყველაზე აქტუალური თემა იყო ქალთათვის განათლების მიცემა, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა

ქვეყნის განვითარებაში. ქალები ასევე ილაშქრებდნენ მრავალცოდნიანობის წინააღმდეგ, მოითხოვდნენ ქალისა და მამაკაცის უფლებრივ გათანაბრებას.

1908 წლის რევოლუციის შემდეგ წინა პლანზე დადგა ქალთა თანასწორობის საკითხი. ინტელიგენციას სურდა ქალები ყოფილიყვნენ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები და არა ჰარემის ქალები. ჰარემის ქალები გაუჩინარდნენ თურქული საზოგადოებიდან მონარქიის გაუქმებასთან ერთად (აკმადი 1999:84).

I მსოფლიო ომამდე თურქეთში პირველი ფილმი გამოვიდა. აყვავება იწყო თეატრმაც. ახალმა გარემომ ხელი შეუწყო მუსლიმ ქალებს ფეხი დაედგათ სცენაზე, სადაც მონოპოლიას სომეხი ქალები ფლობდნენ.

1911 წელს თურქეთში დადგეს ტელეფონები და ომის პერიოდში აქ გაჩნდა პირველი სამუშაო ადგილები მუსლიმ ქალთათვის. ოსმალურ საზოგადოებაში ქალები მუშაობდნენ მცირე ინდუსტრიაში, როგორიც იყო საფეიქრო, ხალიჩების და თამბაქოს მრეწველობა. ეს განშტოებები მიჩნეულ იყო, როგორც ქალის საქმე და მათ უხდიდნენ უფრო დაბალ ხელფასს, ვიდრე მამაკაცებს. ფრანგული წყაროს მიხედვით ქალის შრომა წყალზე უფრო იაფი დირდა.

1908 წლის რევოლუციის შემდგომ, განათლებულმა ქალებმა ისეთ დიდ ქალაქებში როგორიცაა სტამბოლი, სალონიკი და იზმირი, დაიწყეს ურნალების გამოცემა, სადაც გამოხატავდნენ თავიანთ რეაქციას ქალთა დისკრიმინაციის გამო. მათ დაარსეს ქალთა პირველი ასოციაცია, გაზარდეს ურნალის გამოცემის რიცხვი.

1908 წელს ახალგაზრდა თურქთა რევოლუცია ქალთათვის დიდი შედეგის მომტანი აღმოჩნდა. ახალგაზრდა თურქები აცხადებდნენ: “ქალი უნდა განთავისუფლდეს ტრადიციის ჩარჩოებიდან” (აკმადი 1999:84). ისინი ასევე თვლიდნენ, რომ თურქული საზოგადოება არ შეიცვლებოდა იქამდე, ვიდრე ქალი არ მოიპოვებდა აქტიურ როლს ამ საზოგადოებაში.

1908 წლის გადატრიალებამდე ქალის განათლების საკითხს არ ეძღვოდა უურადღება. გოგონებს იღებდნენ დაწყებით სკოლებში, მაგრამ განათლების მიღება მხოლოდ 2 წლამდე გრძელდებოდა, ანუ როგორც ისინი წამოიზრდებოდნენ, თვლიდნენ, რომ მათი ადგილი მამაკაცის გვერდით აღარ იყო. ვ. გორდლევსკი გვამცნობს, რომ “რევოლუციის შემდეგ სტამბოლის საშუალო სკოლა საერთო იყო გოგოებისა და ბიჭებისათვის, თუმცა ფორმალურად განათლების მიღება განცალკევებით ხდებოდა. 12-13 წლის ასაკში

გოგონები უკვე ჩარშაფით დადიოდნენ და სახეს იბურავდნენ” (გორდლევსკი 1962:75).

1911 წელს გაიხსნა ქალთა პირველი სკოლა სტამბოლში, ასწავლიდნენ ფრანგულ ენას, როგორც უცხო ენას და შესვენების დროს გოგონები ფრანგულად საუბრობდნენ. უმაღლესი სკოლის კარგბი იმ დროისათვის მაინც დახურული იყო ქალთათვის, მაგრამ ეს გაგრძელდა პირველ მსოფლიო ომამდე. 1914 წელს სტამბოლის უნივერსიტეტში გაიხსნა კურსები ქალებისათვის. “ასეთი კურსები არსებობდა აბდულ-აზიზის დროს, მაგრამ აბდულ-ჰამიდ 11-ის რეაქციულმა მთავრობამ აკრძალა. კურსები მიზნად ისახავდა მოქმზადებინათ კარგი დიასახლისები, ასწავლიდნენ ხელსაქმეს, ჰიგიენას, საოჯახო საქმეს. ლექციები ტარდებოდა კვირაში 4-ჯერ, დღეში 2 საათი” (გორდლევსკი 1962:76).

ერთ-ერთი გაზეთის “Vakit”-ის კორესპონდენცი ქალი ქულსუმ რახიმი პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე წერდა: “ის დრო შორს არ არის, როცა სტამბოლის უნივერსიტეტში ჩაბარების უფლებას ქალებსაც მისცემენ და ქალებიც მოისმენენ ლექციებს მამაკაცების გვერდით”-ო.

1916 წელს ლიცეუმმა გამოუშვა პედაგოგთა პირველი კადრები. 1913 წელს დაარსდა უმაღლესი სკოლა ქალთათვის, ხოლო 1915 წელს გაიხსნა მათთვის უმაღლესი სასწავლებელი.

ქალის მდგრადარება უმჯობესდებოდა. ქალი ხდებოდა საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი. “ქ. კონიაში მეჯლისის არჩევნების დროს მუსტაფა ქემალის ცოლმა – ლატიფე 10 ხმა მიიღო. ლატიფე დიდი მადლობა გადაუხადა ქალაქის მერს და გაზეთ „Halk“-ის რედაქტორს” (გორდლევსკი 1962: 504).

1908 წლის რევოლუციის შემდეგ ქალებმა უფლება მოიპოვეს დაეარსებინათ ასოციაციები, სადაც გაატარებდნენ თავიანთ ინტერესებს. ამან კი გზა გაუხსნა სხვადასხვა ფემინისტური ორგანიზაციის დაარსებას (ბუქური 2004ბ:298).

1911 წელს გამოჩნდა “ქალთა უფლებების დაცვის საზოგადოება”. ამ საზოგადოების გარშემო მრავალი ქალი დაირაზდა.

ყველაზე გამორჩეული ქალთა ორგანიზაცია იყო “Osmanlı Mudaafa-i Hukuk-u Nisvan Cemiyeti” (“ქალთა უფლებების დაცვის ოსმალური საზოგადოება”). 1913 წელს ამ საზოგადოებამ გამოსცა ქურნალი “Kadınlar Dünnyası” (“ქალთა მსოფლიო”), რომელიც 1921 წლამდე გამოდიოდა. ამ ქურნალის ლიდერებმა

გადაწყვიტეს შეეცვალათ არსებული საოჯახო სამართალი და დაემკვიდრებინათ ახალი, უგალიტარული საოჯახო სამართალი. ასოციაციის წევრები უურადღებას ამახვილებდნენ საყოველთაო პრობლემებზე, ხაზს უსვამდნენ იმ ტრადიციულ პრივილეგიებს, რომლითაც მამაკაცები სარგებლობდნენ დაქორწინებისას ან განქორწინებისას და განსაკუთრებით მათვის მინიჭებულ პოლიგამიის უფლებას. ისინი ასევე ილაშქრებდნენ იმ დაბრკოლებათა წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უშლიდა ქალს მონაწილეობა მიეღო საზოგადოებრივ საქმიანობაში” (ალთინდალი 1994:233).

ამრიგად, XIX ს-ში ოსმალეთის იმპერიაში დაწყებული თანზიმათით ქალის მდგომარეობა გაუმჯობესდა. გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმები სამხედრო, სასამართლო და საგანმანათლებლო დარგში. ამ პერიოდისათვის ყველაზე დიდი მონაპოვარი ქალისთვის განათლების უფლების მინიჭება იყო. 1839 და 1856 წლებში გამოსულმა კანონებმა დიდი გარდატება მოახდინა თურქი ქალის ცხოვრებაში.

თავი III

1. ქალი თურქეთის რესპუბლიკაში

1923 წელს თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადდა და ამას მოჰყვა რადიკალური რეფორმები ქალის სტატუსთან დაკავშირებით.

რესპუბლიკის დამაარსებელმა – მუსტაფა ქემალ ათათურქმა მიზნად დაისახა ახალი საზოგადოების ფორმირება ახალი კულტურითა და ახალი ფასეულობებით. რესპუბლიკის შექმნიდან პირველ ეტაპზე ყურადღება მიენიჭა ერის ჩამოყალიბების საკითხს, ანუ ერის ინტეგრაციას ახალ სახელმწიფოსთან. ამ ერის წარმომადგენლები იყვნენ როგორც სამხედრო პირები, ბიუროკრატია და ინტელიგიცია, ისე ქალები, რომლებიც საზოგადოების მნიშვნელოვან ფენას წარმოადგენდნენ, რადგანაც ისინი მთავარ პოლიტიკურ ფუნქციას ასრულებდნენ.

ქემალისტების სურვილი იყო ტრადიციული ოსმალური საზოგადოება შეცვალათ ევროპული საზოგადოებით. ამ მიზნის მისაღწევად ქალს ნება დართეს მონაწილეობა მიეღო საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქალების გამოსვლა კარჩაკეტილი ცხოვრებიდან და იქამდე არსებული მრავალი ადათ-წესის გაუქმება ნიშნავდა, რომ ქვეყანაში არსებული ისლამური კანონები თანდათანობით დასავლური ფასეულობების გავლენის ქვეშ ექცეოდა.

გარდა ზემოთქმულისა ათათურქი ბრძანებდა, რომ ქალისა და მამაკაცის უფლებები უნდა ყოფილიყო თანასწორი ყველა ასპექტში. ის ასევე აცხადებდა, რომ ქალებმა დიდი წვლილი გაიღეს იმ ბრძოლაში, რომელიც წარმოებდა რესპუბლიკის დაარსების ადრეულ წლებში. მოგვიანებით მან ასევე ყურადღება შეაჩერა ქალთა იმ შესაძლებლობებზე, რომლებიც მათ შეეძლოთ გაედოთ ქვეყნის საკეთილდღეოდ. ამის საფუძველზე შემუშავებულ იქნა ახალი კანონები.

რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ ქალებმა მოიპოვეს შემდეგი უფლებები, რომლებიც მოყვა 1926 წლის ახალ სამოქალაქო კოდექსს და 1934 წელს არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

განმათავისუფლებელი ომის (1918-1920) დასრულების შემდეგ, 1923 წელს, ქალებმა დაარსეს I პოლიტიკური პარტია – “*Kadınlar Halk Partisi*” (“ქალთა სახალხო პარტია”). ეს პარტია იბრძოდა ქალთა სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებებისათვის. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალურად ეს პარტია არ იყო დაშვებული. მალე 1924 წელს პარტიის

წევრებმა დააარსეს “თურქ ქალთა გაერთიანება” (“Turk Kadınlar Birliği”) და იბრძოლეს იქამდე, სანამ მთავრობამ ქალს არ მისცა არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ამ მიზნისათვის იმართებოდა უამრავი მიტინგი და კონფერენცია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1926 წელს მიღებულ იქნა სამოქალაქო კოდექსი, რომელმაც აამაღლა ქალის სტატუსი. კოდექსმა მნიშვნელოვნად შეცვალა შარიათის ნორმები. მოვიყვანთ რამოდენიმე მუხლს:

მუხლი 169 - ქალს არა აქვს უფლება გახდეს თავისი ქმრის ვალის გარანტი, თუ მას ამაზე სასამართლოს ნებართვა არა აქვს მიღებული.

მუხლი 153 - ქალი მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში იღებს ქმრის გვარს.

საოჯახო სამართლის 88-ე და 90-ე მუხლების მიხედვით სრულწლოვან გოგონას (18წ.) უფლება აქვს გათხოვდეს ოჯახის წევრების დაუკითხავად. მამაკაცს შეუძლია დაქორწინდეს 17 წლის ასაკში. “ქალს შეეძლო დაქორწინება 18 წლის ასაკში. ეს კი ხელს შეუშლიდა გოგონას ადრეულ ასაკში გათხოვებას. შესაბამისად 16-17 წლის გოგონას გათხოვება შეეძლო მხოლოდ ოჯახის წევრების თანხმობის მიღების შემდეგ” (ქაფლანი 2002:566).

მუხლი 170 - განქორწინების შემთხვევაში ხდება ქონების გაყოფა.

მუხლი 263 - თუმცა ცოლ-ქმარს თანაბარი უფლებები აქვს შვილებზე, განქორწინების შემთხვევაში ბავშვები რჩებიან მამასთან.

მუხლი 95-განქორწინებულ ქალს არ შეუძლია გათხოვება გაყრიდან 300 დღის განმავლობაში (ფეხმძიმობის მაქსიმალური პერიოდი), მაგრამ თუ ქალი დაამტკიცებს, რომ არ არის ფეხმძიმელ, ან თუ გაყრილ მეუღლეს შერიგება მოუნდება, მაშინ ეს მოცდის პერიოდი შეიძლება შემცირდეს.

“1926 წელს გამოსული სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით მამაკაცს უფლება ჰქონდა ჰყოლოდა მხოლოდ ერთი ცოლი, მრავალცოლიანობა არაკანონიერი გახდა. კანონის მიხედვით მხოლოდ ოფიციალურ ცოლს შეეძლო ესარგებლა ქორწინების უფლებებით (მემკვიდრეობის მიღება და სხვ.) (ქაფლანი 2002: 565).

ზემოთ აღნიშნულ ფაქტს აღნიშნავს გ. ბარტოლდიც და დასძენს: “1926 საფუძველი უფრო ადრე მოუმზადდა, ანუ 1917 წელს, როცა გამოიცა კანონი, რომლის მიხედვითაც ნებადართული იყო ქორწინებისას დაუყენებინათ პირობა, რათა ქმარს არ მოეყვანა სხვა ცოლი, ამ პირობის დარღვევის შემთხვევაში ქორწინება გაუქმებულად გამოცხადდებოდა. როგორც ვხედავთ, ქალის

მდგომარეობის გაუმჯობესება საზოგადოებრივი და კულტურული პროგრესის საფუძველზე განხორციელებული რეფორმების „შედეგად მოხდა” (ბარტოლდი 1966: 649). აქეთ დავსძენთ, რომ 1917 წელს გამოხული კანონით საოჯახო სამართალზე, ქალს ენიჭებოდა განქორწინების და ქორწინების უფლება (აჭმადი 1999: 86).

მიუხედავად რესპუბლიკური სამოქალაქო კოდექსის მიერ პოლიგამიის გაუქმებისა, ისლამური პოლიგამია კვლავ ცოცხლობს თურქეთში. სოფლებსა და დაბებში, სადაც ეკონომიკური ცხოვრება დაფუძნებულია სოფლის მეურნეობაზე, მამაკაცებს კვლავ მოჰყავთ ერთი ან ორი ცოლი. მეორე ცოლის მოყვანას ძირითადად განაპირობებს ის ფაქტი, რომ პირველი ცოლი აღარ არის სექსუალურად მიმზიდველი, ან მან ვერ შვა ვაჟიშვილი. ცოლების რაოდენობა დამოკიდებულია მამაკაცის ეკონომიკურ შესაძლებლობაზე. ბავშვები, რომლებიც მეორე ან შემდეგი ქორწინებიდან იშვნენ, არაკანონიერად ითვლებიან და მათი მამის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული მათთვის ფინანსური მხარდაჭერა. “ასეთი ადათ-წესები ძირითადად აღმოსავლეთ თურქეთშია გავრცელებული, ვიდრე დასავლეთში და ეს ფაქტორი უეჭველად მეტყველებს მამაკაცთა პრივილეგირებულ მდგომარეობაზე” (ჯოშარი 1978: 127).

1926 წლის სამოქალაქო კოდექსში ნათქვამი იყო, რომ სამუშაოზე ხელფასის გადახდისას არ უნდა ყოფილიყო განსხვავება სქესის მიხედვით (ბრაუნინგი 1985:10).

ქალთა უფლებები განსაზღვრულია თურქეთის კონსტიტუციაში.

მუხლი 50- “არავინ შეიძლება აიძულონ შეასრულოს სამუშაო, რომელიც არ შეესაბამება მის ასაკს, სქესს და ძალებს. განსაკუთრებით დაცულია მცირეწლოვანთა და ქალთა, ფიზიკურად და სულიერად არასაკმარისად განვითარებულთა შრომის პირობები.

მუხლი 42- არავის შეიძლება ჩამოერთვას სწავლისა და განათლების უფლება (სორდია 2000:35). თუმცა განურჩევლად სქესისა, ყველა მოქალაქისათვის სავალდებულოა მხოლოდ დაწყებითი განათლების მიღება, რომელიც 5 წელს შეადგენს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ 1997 წლიდან სავალდებულო განათლება გაიზარდა 5-დან 8 წ-მდე.

დემოგრაფიული პოლიტიკიდან გამომდინარე აბორტი გამოცხადდა დანაშაულად, რომლისთვისაც ისჯებოდნენ 1-დან 4 წლამდე თავისუფლების აღქვეთით.

1983 წელს მიღებული კოდექსის მიხედვით ქალს აბორტის უფლება აქვს პირველი 10 კვირის განმავლობაში, ხოლო თუ ქალი გათხოვილია, საჭიროა ამაზე ქმრის თანხმობა, თუ ქმარი არ ჰყავს, მაშინ ნათესავების.

ამგვარად, თანამედროვე თურქული საკანონმდებლო აქტები შეიცავს ქალთათვის რამოდენიმე უფლებრივ შეზღუდვას, თუმცა ამასთან ერთად ეს კანონები არ ზღუდავს ქალს მიიღოს განათლება, იმუშაოს, განქორწინდეს, განსაზღვროს შობადობასთან დაკავშირებული საკითხები (ბუქური 2005:49).

1926 წელს განათლების სამინისტრომ განიხილა ქალთა განათლების საკითხი. 1927 წლიდან მოყოლებული ვიდრე 1939 წლამდე ორიდან ცამეტამდე გაიზარდა ქალთა პროფესიული სკოლების რაოდენობა. შესაბამისად სტუდენტთა რაოდენობამაც იმატა 456-დან 2175-მდე. აღნიშნული სკოლები არ იყო ხელმისაწვდომი სოფლები ქალისათვის. მათვის 1939 წელს დაარსდა ჭრა-კერვისა და საოჯახო საქმიანობის კურსები (ბრაუნინგი 1985:20).

1924 წლის კონსტიტუციის 21-ე მუხლში ეწერა: “ყველა თურქს, ვისაც შეუსრულდა 30 წელი, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში”-ო. რეჯეფ ფექერმა – შემდგომმა პრემიერ მინისტრმა, მოითხოვა ამ მუხლში შესწორების შეტანა და იმ თურქებში ყველა ქალის გაერთიანება. თავის თპონენტებს კი მიმართა: “თქვენ ამბობთ, რომ თურქეთის სახელმწიფო არის ხალხის სახელმწიფო, ხალხის რესპუბლიკა, მაგრამ ნუთუ თურქი ქალები არ შეადგენენ სულ ცოტა ამ სახელმწიფოს მოსახლეობის ნახევარს? სიტყვებში “ყოველი თურქი” უნდა მოიაზრებოდეს ყოველი თურქი ქალი, რომელსაც 30 წელი შეუსრულდა” (აპმადი 1999:86). მაგრამ ფექერის მცდელობა დამარცხებულ იქნა პარლამენტში მყოფი ქემალისტური ბურჯუაზიული რევოლუციის მოწინააღმდეგეთა მიერ. ქემალისტები იძულებულნი შეიქმნენ ელიარებინათ საზოგადოება იმ ტრადიციებით, რომლის წინააღმდეგაც იბრძოდნენ, თუმცა დროებით. ქემალმა გადაწყვიტა ყველასათვის მაგალითი ეჩვენებინა და ცოლად მოიყვანა განათლებული, თავისუფლად მოაზროვნე თურქი ქალი. ქემალს ასევე ჰყავდა 2 გერი ქალიშვილი: აფეთ ინანი და საბიჭა გოქჩენი, რომელთაგანაც პირველი გახდა ანკარის უნივერსიტეტის პროფესორი, ხოლო მეორე - პილოტი, რომლის მონაწილეობითაც ჩახშობილ იქნა ქურთების აჯანყება 1937 წელს. საბიჭას იმიჯი განასახიერებდა ქალთა თანასწორუფლებიანობასა და ნაციონალიზმს.

ქემალისტების მხრიდან ძველი ტრადიციებისადმი აქტიური ბრძოლის გამოხატულება იყო “მის თურქეთის” კონკურსის ჩატარება (1929). ეს პირველი შემთხვევა იყო თურქეთში. გამარჯვებულმა “მის თურქეთმა” მომდევნო წელს მონაწილეობა მიიღო “მის მსოფლიოზე” რიო დე ჟანეიროში 1930 წელს. მის თურქეთის გამარჯვებული გახდა ქერიმან ჰალისი, რომელმაც 1932 წელს მის მსოფლიოს ტიტული მოიგო. ამ ამბიდან 20 წლის შემდეგ თურქი გუნსელ ბაშარი არჩეულ იქნა მის ევროპად. “ეს კონკურსი ნაწილობრივ მიმართული იყო იქითაც, რომ შედარებით დაბალი წრის ქალებში ჩამოეყალიბებინათ თავის რწმენა” (აჭმადი 1999:76). მის მსოფლიოს ტიტულის მიღების შემდეგ ქერიმან ჰალისმა დეპეშა გაუგზავნდა მუსტაფა ქემალს, სადაც იტყობინებოდა, რომ მისი წარმატება შედეგი იყო იმ იდეებისა, რომელიც მან და მისმა თანამებრძოლებმა გააღვივეს თურქულ საზოგადოებაში.

1930-იანი წლების დასაწყისში სტამბოლის გარშემო გაიხსნა პლიაზები ქალებისათვის, მაგრამ აქ მისვლა მხოლოდ გასათხოვარ გოგოებს, მათ შორის სამოქალაქო მოხელეთა ქალიშვილებს შეეძლოთ.

1930-იანი წლებიდან ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შედეგად მრავალი ფაბრიკა-ქარხანა იხსნება და იქ ასაქმებენ ბევრ ქალს. ქალაქებში ქალები ხდებიან მასწავლებლები, ადვოკატები, მოსამართლეები, ქალთათვის ლია იყო პოლიციის კარებიც. თანდაონობით გადავარდა გარიგებით ქორწინების ტრადიცია და ქალები თავიანთი სურვილით თხოვდებოდნენ. აღმოცენება იწყო ახალი ტიპის ოჯახებაც.

აქტიურად მუშაობდა “თურქ ქალთა კავშირი” და მისი პრეზიდენტი ლატიფე ხანიმი (ქემალის მეუღლე). მამაკაცები აქტიურად უპირისპირდებოდნენ ქალთა ამ კავშირს, ისინი გამოდიოდნენ ქალებთან მათი უფლებების გათანაბრების წინააღმდეგ. მამაკაცები ქალებში ხედავდნენ მთავარ მეტოქებს სამუშაო ბაზარზე, რომლებიც “პირიდან ლუკმას აცლიდნენ”.

ქალთა ემანსიპაციის საკითხში მნიშვნელოვანი იყო თურქიზმის იდეოლოგია. მისი მთავარი იდეოლოგი ზია გიოქალფი ამბობდა, რომ რაც უფრო მაღალია ქვეყნის დემოკრატიის დონე, მით მაღალია ფემინიზმის ხარისხი (გოქალფი 1998:145). თავის ნაშრომში “თურქიზმის პრინციპები” ზ. გოქალფმა აღიარა ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა ისლამამდელ თურქებში. მისი ნაშრომი, რომელიც მნიშვნელოვანია ახალი რეფორმების ლეგიტიმურობისა და ქალთა სტატუსის შეცვლის საქმეში, დაფუძნებულია

კონკრეტული სამუშაოების, მითებისა და ლეგენდების ხელახალ განმარტებებზე (არათი 2003:294).

გოქალფი მიიჩნევდა, რომ მოდერნიზაცია არ ნიშნავდა ვესტერნიზაციას, არამედ ის იყო არსებითად თურქული. ის შედარებას ახდენდა ანატოლიის ისტორიულ წარსულთან და ამბობდა, რომ წინაისლამური ანატოლიის საზოგადოება იყო ეგალიტარული, ძველი თურქები იყვნენ დემოკრატები და ფემინისტები, თურქეთს არ ესაჭიროებოდა მიებამა ევროპისათვის, მას შეეძლო თავისი წარსულის მაგალითებით ეხელმძღვანელა (უაითი 2003:148). გოქალფის იდეები აშკარად რევოლუციური იყო.

რეფორმების კვალდაკვალ, რომელიც მიზნად ისახავდა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, რეფორმისტებმა მიზნად დაისახეს თავიდან დაეწერათ თურქეთის ისტორია. აფეთ ინანი, ათათურქის გერი ქალიშვილი, იყო მათ შორის ვისაც დაევალა თურქეთის ისტორიის კვლევა. მას განათლება შვეიცარიაში პქონდა მიღებული ათათურქის მეთვალყურეობით. აფეთ ინანის წიგნი “Tarih Boyunca Türk Kadının Hak ve Görevleri” (“თურქ ქალთა უფლებები და მოვალეობები”) არის შედეგი ბრძოლისა, რომლის მიზანიც იყო რესპუბლიკური რეფორმების დაკანონება. წიგნი მიმოიხილავს თურქი ქალის ისტორიას წინა ისლამური დროიდან მოყოლებული რესპუბლიკის პერიოდამდე. წიგნის მთავარი მიზანია წარმოაჩინოს ათათურქის როლი ქალთათვის უფლებების მინიჭების საქმეში.

1930-იანი წლების ეკონომიკურ პროგრესთან ერთად ქალებმა დიდი თავისუფლება მოიპოვეს. საფეიქროდან დაწყებული და თამბაქოს ინდუსტრიით დამთავრებული გამოიყენებოდა ქალის შრომა. ქალთა მიერ ამ როლის შესრულებამ გამოიწვია მათთვის პოლიტიკური სტატუსის მინიჭება. 1930წლის აპრილში მათ უფლება მიეცათ მონაწილეობა მიეღოთ ადგილობრივ არჩევნებში, რომელიც ჩატარდა წლის ბოლოს. 1934 წელს პარლამენტმა ხმა მისცა წინადადებას, რომ ქალებს მონაწილეობა მიეღოთ საპარლამენტო არჩევნებში არა მხოლოდ როგორც ამომრჩევლებს, არამედ როგორც კანდიდატებსაც. “პარლამენტის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა პრემიერ მინისტრი ისმეთ ინენიუ, რომელმაც განაცხადა: “როდესაც მთელი ქვეყანა დაპყრობილი იყო, ამ დროს ქალები მამაკაცებთან ერთად ომის ფრონტზე იბრძოდნენ. ისინი შრომობდნენ მინდვრებშიც, რათა ქვეყნის მოსახლეობა ლუქმა-პურის გარეშე არ დარჩენილიყო. ქალის ასეთი ღირსება ნამდვილად დასაფასებელია” (ქაფლანი

2002:567). საინტერესო იქნება თუ აღვნიშნავთ, რომ 1935 წლის თებერვლის არჩევნების შედეგად 18 ქალი არჩეულ იქნა ახალ მთავრობაში. ამათგან 3 საშუალო განათლებით, დანარჩენები კი უმაღლესი განათლებით, მხოლოდ ერთი იყო გლეხობის წარმომადგენელი. ასე და ამგვარად, მაშინ, როდესაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ქალები სახლში გამოკეტილები იყვნენ, თურქი ქალი პარლამენტის წევრი იყო.

1935 წელს სტამბოლში “ილდიზ პალასში” (*Yildiz Palace*) ჩატარდა ხმის უფლებებისა და თანასწორუფლებიანობისათვის მებრძოლთა საერთაშორისო ალიანსის კონგრესი, რომელსაც უმასპინძლა ქალთა კავშირმა. კონგრესის მთავარ საკითხად განხილულ იქნა მსოფლიოს ქალთა თანამშრომლობა იმ საკითხებში, რომელიც ეხებოდა სოციალურ წეს-ჩვეულებებსა და ადათებს. სტამბოლიდან კონგრესის მონაწილეები ანკარაში წავიდნენ, სადაც მათ ათა-თურქმა უმასპინძლა. მან დელეგაციის წევრებს განუცხადა, რომ თურქი ქალებისა და მამაკაცების მსგავსად უნდა გაერთიანდნენ მთელი მსოფლიოს ქალები და მამაკაცები, რათა დაამყარონ მშვიდობა მთელს მსოფლიოში”-ო (აჰმადი 1999:89).

1955 წელს საინტერესო ექსპერიმენტი განხორციელდა – გაიხსნა სამხედრო სკოლები კადეტი ქალთათვის. რამდენიმე ქალმა წარმატებითაც დაასრულა ეს სკოლა, მაგრამ 1961 წელს გადაწყვეტილება უკუაგდეს და აღნიშნული სკოლა გააუქმეს (ბრაუნინგი 1985:12).

ქალის პოლიტიკური მდგომარეობა შემდგომ წლებში მკვეთრად გაუმჯობესდა. მაგალითად: 1946 წელს დაიწყო მრავალპარტიული პოლიტიკა, 1971 წელს პირველი ქალი მინისტრი იქნა არჩეული. 1986 წელს პარლამენტის წევრი ქალი გახდა მინისტრთა კაბინეტის წევრი. 1993 წელს დაინიშნა I კრემიერ-მინისტრი ქალი (თანსუ ჩილერი).

საარჩევნო და ყოველივე სხვა ზემოხსენებული უფლებების მინიჭების შედეგად ქალთა ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ მათ მიიღეს ის, რისთვისაც იბრძოდნენ და თვლიდნენ, რომ ქალთა მოძრაობა უნდა შეწყვეტილიყო. 1935 წელს “თურქ ქალთა გაერთიანების”. რამდენიმე ლიდერმა გადაწყვიტა, რომ გაეუქმებინათ ეს გაერთიანება. პარალელურად მთავრობის მიერ დაარსებულ იქნა ორგანიზაცია “ხალხთა სახლები” (“*Halk Evleri*”), რომლის მიზანიც იყო ქემალისტური პრინციპების განხორციელება. “ქემალისტები” ქალებს

მოუწოდებდნენ ამ ორგანიზაციებში წასულიყვნენ და თავიანთი ენერგია ქემალისტური იდეების განხორციელებისათვის „შეეწირათ” (ჩანა).

1950 წლიდან კიდრე 1980 წლამდე თურქი ქალები თავიანთ ენერგიას ორ იდეოლოგიას სწირავდნენ: ქემალიზმს და სოციალიზმს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ეს ორივე იდეოლოგია ხელს არ უწყობდა ფემინისტური მოძრაობის განვითარებას 1980 წლამდე. ასე იწყო მიძინება ფემინისტურმა მოძრაობამ 1980 წლამდე.

ხანგრძლივი შესვენების შემდგომ, 1980 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ, თურქეთში ფემინისტური მოძრაობა აღსდგა. რევოლუციის შედეგად ქვეყანაში დამყარდა დემოკრატია, ფემინიზმი მალე უმთავრეს თემად გადაიქცა, რომელიც ხალხს არწმუნებდა, რომ მალე ის მნიშვნელოვან ადგილს დაიმკვიდრებდა 1980-იანი წლების ქვეყნის პოლიტიკურ ასპარეზზე. ჯარისკაცთა ინტერვენციის შემდეგ, 1980 წელს აღმოცენდა ფემინისტური მოძრაობა, რომელიც დამოუკიდებელი სხვა პოლიტიკური პარტიებისაგან და რომელმაც ქალთა დიდი მასები ჩაითრია. “თავდაპირველად ფემინისტურ მოძრაობაში მოღვაწე ქალები ძირითადად სტამბოლის, იზმირისა თუ ანკარის განათლებული და მდიდარი ოჯახის წარმომადგენლები იყვნენ. თანდათანობით ამ მოძრაობაში სხვადასხვა ფენის ქალები ჩაერთვნენ. ძირითადად ესენი იყვნენ უნივერსიტეტის სტუდენტი გოგოები” (იარამანი 2001:175).

ჩადრის თემა და “თავსაბურავის ომი” თურქეთში.⁴⁰ საზოგადოებრივი გამოკითხვის თანახმად თურქეთში ჩადრის თემა საკმაოდ მნიშვნელოვანია, ის 10 ყველაზე აქტუალურ პრობლემათა რიცხვში შედის, მათ შორისაა უმუშევრობა, ეკონომიკური არასტაბილურობა, ქურთების პრობლემა და სხვა. სტატისტიკის

⁴⁰ თავდაპირველად ”ჰიჯაბის”, ანუ ჩადრის” ტარება ევალებოდათ მოციქულ მუჭამადის ცოლებს, შემდგომ კი ყველა თავისუფალ მუსლიმ ქალს შეეხო. ყურანი მოუწოდებს მოციქულს მოსთხოვოს თავის ქალიშვილებს და მორწმუნეთა ცოლებს მჭიდრონ მოიხვიონ საბურველი (33:59) (სანიკიძე 1999გ: 235).

ყურანში წერია, რომ მორწმუნე ქალებმა “არ უნდა გამოაჩინონ თავიანთი მშვენებანი, სიტყვა ‘მშვენება’ არის ფართოდ განმარტებული, ანუ მასში შეიძლება ვიგულისხმოთ თმა, მხრები, მკლავები, თუმცა მრავალი რეფორმისტი ამტკიცებს, რომ ეს მიუთითებს ქალთა დაფარულ ნაწილებზე (პოუვი 2000:104).

თანახმად თურქეთში ჩადრის მტარებელ ქალთა რიცხვი მოსახლეობის ნახევარზე მეტია და 61.3%-ს აღწევს (ჯარქიოგლუ 2006: 23).

ჩადრის პრობლემა თურქეთში მეოთხედი საუკუნეა არსებობს. პირველად ჩადრის ტარება სახელმწიფო ორგანიზაციებში, სასწავლო და სამედიცინო დაწესებულებებში 1924 წლის 25 ნოემბერს აიკრძალა. 1980-იანი წლებიდან ხალხში რელიგიური ტენდენციების გაძლიერების ნიადაგზე პრემიერ-მინისტრის თურგუთ ოზალის დროს ჩადრის ტარებაზე აკრძალვა დროებით გაუქმდა, შემდეგ კი კვლავ აიკრძალა (1984-იდან 1987-მდე).

1980 წელს, როდესაც სამხედრო ძალებმა ხელთ იგდეს ხელისუფლება, დახურეს ყველა პოლიტიკური პარტია, გაერთიანება და ასოციაცია და აკრძალეს თავსაბურავებისა და არახეინის ტარება სახალხო სკოლებში. ყოველივე ამან ისლამისტების მხრიდან გაფიცვები და საპროტესტო დემონსტრაციები გამოიწვია (პოუვი 2000:103).

ამ პერიოდს ემთხვევა გ.წ. “თავსაბურავის ომი” რომელიც 1981 წელს გაჩადდა თურქეთში. ეს მოძრაობა თავდაპირველად რამოდენიმე სტუდენტმა წამოიწყო და მალე ის საერთო სამოქალაქო ომად იქცა.

1988 წლის დეკემბერში გაძლიერდა თ. ოზალის მმართველი პარტიის ისლამისტური დაჯგუფება. მათ მიერ კანონში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლითაც ხება დართეს ჩადრის ტარებაზე უმაღლეს სასწავლებლებში, ბიბლიოთეკებში, ლაბორატორიებსა და საავადმყოფოებში. ეს კანონი კვლავ შეიზღუდა პრეზიდენტ ქ. ევრენის (1980-1989) მიერ 1999 წლის 28 ოქტომბერს, სამხედროებმა ულტიმატუმი წაუყენეს თურქეთის ისლამისტ პრემიერს 6. ერბაქანს და კვლავ გამკაცრდა ჩაცმის სტილი.

სახელწიფოს მხრიდან ქალთა საკითხის ასეთმა სოციალიზაციამ გამოიწვია ქალთა რელიგიური ფენის აქტიური ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც საკმაოდ ეფექტური გამოდგა. 1980-იან წლებში დაარსდა ქალთა მრავალი გაერთიანება: “რეფანი”, “ფაზილეთი” (“სათხოების პარტია”), “სამართლიანობისა და განვითარების პარტია”, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს 1990-2000-იან წლებში.

2007 წლის საპარლამენტო არჩევნებში “სამართლიანობისა და განვითარების პარტიის” გამარჯვებამ განაპირობა 1980 წლის კონსტიტუციის ტექსტის გადახედვა. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ტაიპ ერდოგანმა განაცხადა, რომ არ თვლის ჩადრის ტარებას საზოგადოებრივ აღგილებში კანონდარღვევად.

კონსტიტუციის პროექტის ერთ-ერთმა ავტორმა პროფ. ე. ოზბუდუნმა მხარი დაუჭირა პრემიერ-მინისტრს და გაიხსენა სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები, რის მიხედვითაც ქალთა 70% ატარებს ჩადრს და ამ ფაქტს ისინი მიიჩნევენ როგორც რელიგიურ წესს.

ახალი კანონი, რომელიც პარლამენტმა მიიღო 2007 წელს კვლავ შეიცავს მუხლს ძველი კონსტიტუციიდან, სადაც ნათქვამია, რომ “განათლების მიღება უნდა მოხდეს ათათურქის პრინციპებისა და ნორმების დაცვის პარალელურად და ამავდროულად უნდა იქნეს გათვალისწინებული თანამედროვე საგანმანათლებლო ნორმები სახელმწიფოს მეთვალყურეობითა და კონტროლით.

თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადებიდან პირველივე დღეებში თავის დაბურვის საკითხი აქტუალური ხდება.⁴¹ ათათურქი მიიჩნევდა, რომ ჩაცმა არის კულტურის გამომხატველი. ათათურქი ცდილობდა დასავლური სახელმწიფოს აშენებას და ილაშქრებდა ისლამური თავსაბურავებისა და ჩადრის წინააღმდეგ. მან საბოლოოდ აკრძალა ეს უკანასკნელი, რომელიც მისთვის ოსმალეთის იმპერიის გადმონაშთი იყო. ერთ-ერთი სიტყვით გამოსვლისას ათათურქმა განაცხადა: “ზოგიერთ ადგილას მე შევხვდი ქალებს, რომლებიც ატარებდნენ

⁴¹ აქე ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ გადავინაცვლებთ ისტორიულ წარსულში და დავხსენთ, რომ მუსლიმი ქალის მიერ ჩადრის ტარება მოხდა დაპყრობილ ხალხთან ასიმილაციის შედეგად. როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, ისლამის აყვავებისას ჩადრს მოიხმარდნენ სასანიანთა საზოგადოებაში, ქრისტიანულ ახლო აღმოსავლეთსა და ხმელთაშუაზღვისპირა რეგიონში. მუჭამედის ცხოვრებისას მისი ცოლები იყვნენ ერთადერთი მუსლიმი ქალები, რომლებიც ვალდებული იყვნენ თავი დაებურათ, მისი გარდაცვალების შემდეგ, მუსლიმთა მიერ მიმდებარე ტერიტორიების დაპყრობის შედეგად, ჩადრის ტარება მაღალი საზოგადოების წარმომადგენელი ქალთათვის სავალდებული გახდა (აკმადი 1992:5). ამ საკითხს ეხება ისტორიკოსი ნ. გელოვანი, რომლის აზრითაც “ჩადრი და კარჩაკეტილობა არ არის წმინდა ისლამური მოვლენა. აბრაამისტული ერთდმერთიანობის ტრადიცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მორწმუნე ქალის გარეგნულ სახეს. ქალის სხეულის დაფარვა უცხო თვალისაგან, “სწორი ჩაცმა” ყოველთვის იყო ქალის სიწმინდისა და უმანკოების სიმბოლო. ჩადრი უძველესი დროიდან ქალის მორთულობისა და ჩაცმულობის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა. მაგრამ ეს წესი უცხო იყო ისლამამდელი არაბებისათვის. ჩადრის ჩვეულება მუსლიმებთან გავრცელდა მეზობელი ბიზანტიიდან და სპარსეთიდან” (გელოვანი 2005:136).

ქსოვილის ან პირსახოცის ნაჭერს, რათა დამალონ სახეები... რას ნიშნავს ეს საქციელი? ბატონებო, ნუთუ შეიძლება განათლებული ერის დედებმა და ქალიშვილებმა დაუშვან ასეთი საქციელი, ასეთი ბარბაროსული მდგომარეობა? ეს არის სანახაობა, რომელიც მთელს ერს სასაცილოს ხდის. ეს უნდა დაუყოვნებლივ გამოსწორდეს” (ლიუსი 1961:165). ის ასევე დასძენდა: “ზეგობრებო, ჩვენი ქალები ჩვეულებრივ აზროვნებენ... მოდით დაანახონ მათ თავიანთი სახე მსოფლიოს, და დაე მათაც დაინახონ ის საკუთარი თვალებით” (უაითი, 2003:150)

ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ თავსაბურავი, რომელსაც ატარებდა ისლამისტი აქტივისტი, და ტრადიციული თავსაფარი. პირველი მათგანი მთლიანად ფარავს სახეს, გარდა თვალებისა, ამასთანავე არ უნდა ჩანდეს თმის ნაწილიც კი. მეორე კი წარმოადგენს ერთგვარ ქსოვილის ნაწილს, მის დაფარებისას ჩანს თმის ნაწილი. მას ქალი ატარებს დაკრძალვისას, ან სოფლის მეურნეობაში მუშაობისას მზის სხივებისაგან დასაცავად.

1998 წლის დასაწყისში განათლების სამინისტრომ შემოიღო კოდექსი, რომლითაც მკაცრად განისაზღვრა ჩაცმის სტილი მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის სკოლებსა და უნივერსიტეტებში, ამ კოდექსით, ასევე, იკრძალებოდა რელიგიური სიმბოლოების ტარება. ამან კიდევ უფრო გააღვივა საპროტესტო ტალღა. მასში მონაწილეობას პარლამენტარებიც იღებდნენ.

ჩაფას სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორი აისელ ექში მოგვითხოვდეს ჩვენთვის ცნობილი სეკულარისტი ქალის – ბაჟრიე უჩოკის ტრაგიკულ ისტორიაზე. რომელმაც გაბედა და ტელევიზიონით განაცხადა, რომ თავსაბურავის ტარება არ იყო სავალდებულო ყურანის მიხედვით. ამ ორმა ქალმა ერთად მიიღო მონაწილეობა 1993 წელს კონფერენციაზე გერმანიაში, რომელიც მიემდვნა ქალთა სტატუსის განხილვას. უჩოკმა გამოხატა შიში, რომ ის შესაძლებელია მოეკლათ ფუნდამენტალისტებს. ორი კვირის შემდეგ ის მართლაც მოკლეს საკუთარ სახლში ასაფეთქებელი ნივთიერებით (აჭმედი 1992:105).

ირანში მიმდინარე მოვლენებმა და თურქეთში ისლამური მოძრაობის გააქტიურებამ შეაშფოთა უნივერსიტეტის ქალთა ფენა, რამაც 1989 წელს ბიძგი მისცა “თანამედროვე ცხოვრების მხარდასაჭერი საზოგადოების” (CYDD) გახსნას, რომლის მიზანიც არის თურქეთის დემოკრატიული სისტემის დაცვა რადიკალური ისლამისაგან.

ამ საზოგადოების თანადამაარსებრელია ზემოთ მოხსენიებული ნეჯლა არათი, ქალთა საკითხის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი სტამბოლის უნივერსიტეტი.

პროფ. არათი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც შეეცადა ქალთათვის სავალდებულო განათლება 5- და 8 წლამდე გაეზარდა.

მეორე აქტიური ქემალისტური დაჯგუფებაა “თურქ ქალთა ფედერაცია”, რომელსაც ქვეყანაში 35 განშტოება აქვს. ისინი ზრუნავენ ქალთა ჯანმრთელობის, განათლებისა და იურიდიული უფლებებისათვის და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ სტამბოლის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტი აინურ დემირელი მზად იყო თავისი განათლება შეეწირა რელიგიური მრწამსისათვის. ის დაუინებით მოითხოვდა თავსაბურავის ტარებას და ამაში ვერ ხედავდა ვერანაირ დისკრიმინაციას. შესაბამისად ეს არ მიანიშნებდა მამაკაცთა ბატონობაზე. ის ამბობდა: “თუ მამაკაცი რელიგიურად განათლებულია, ის ქალს უკეთესად ეპყრობა, ამიტომაც მე მსურს, რომ რელიგიურად განათლებულ ქმარზე ვიქორწინო”. აინურს არ დართეს ნება ჩაებარებინა გამოცდები, რადგანაც თავსაბურავს ატარებდა.

წიგნის ავტორი მარვინ ჰოვი აინურს პირადად შეხვდა და ესაუბრა. ავტორი დასძენს, რომ გოგონას სიტყვებში იგრძნობოდა ფუნდამენტალისტური იდეები. მან განაცხადა, რომ სჯეროდა ყურანის თითოეული სიტყვის და თავსაბურავის ტარება მისთვის რელიგიური ვალდებულება იყო. “თუ მე არ დავიბურავ თავს, მე დავისჯები სხვა ცხოვრებაში. ქალებს აქვთ მინიჭებული უფლებები ყურანის მიხედვით, და თუ მამაკაცები უფრო მეტ უფლებებს ფლობენ (დაქორწინებისას, სასამართლოში, მექვიდრეობის მიღებისას და სხვ.) ეს იმიტომ, რომ ისინი უფრო ძლიერნი არიან და მათ შეუძლიათ ქალთა დაცვა და მხარდაჭერა (ჰოუვი 2000:109).

1998 წელს განათლების სამინისტროს მიერ შემოღებული კოდექსით აიკრძალა თავსაბურავისა და წვერის ტარება სასწავლებლებში და რომელი უნივერსიტეტის ხელმძღვანელიც ამას არ შეასრულებდა, განთავისუფლდებოდა თანამდებობიდან.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ “თავსაბურავის ომი” –ს დროს დაიხარჯა მნიშვნელოვანი დრო, მაშინ, როცა 21 საუკუნის თურქეთში მრავლად არიან გაუნათლებელი ქალები, ხშირია ადრეული ქორწინებისა და

მრავალცოლიანობის შემთხვევები. ადგილი აქვს ძალადობრივ ქორწინებას, საოჯახო კონფლიქტებს.

1980-იანი წლები – ფემინიზმის აღმოცენება. აღსანიშნავია სამი ფაქტორი, რამაც 1980-იანი წლებიდან ფემინიზმის აღმოცენება გამოიწვია:

1) სამხედრო მთავრობის მიერ ქვეყნის გაწმენდა მემარცხენე და მემარჯვენე იდეოლოგიებისაგან. ქვეყნის იდეოლოგიური გარემო ასევე გათავისუფლდა მოხალისეთა მიერ დაარსებული საგაჭრო და პოლიტიკური ორგანიზაციებისაგან. ეს კი გზას უხსნიდა ახალ სოციალური მოძრაობების განვითარებას.

2) ლიბერალური პოლიტიკა, რომელიც წამოიწყო პრემიერ მინისტრმა თურგუთ ოზალმა, მას შემდეგ, რაც 1983 წლის არჩევნებით ხელისუფლებაში მოვიდა. მის მიერ ხასგასმით იქნა აღნიშნული ორი საკითხის მნიშვნელობა: ლიბერალიზმისა და სამოქალაქო საზოგადოების. ლიბერალური პოლიტიკის დამყარებასთან ერთად ადგილი დაიმკვიდრა პლურალიზმა და სამოქალაქო საზოგადოება გათავისუფლადა მემარცხენე და მემარჯვენე იდეოლოგიებისაგან.

უკანასკნელი მესამე ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო ფემინიზმის განვითარებას, იყო სოციალური ფაქტორი. ეკრდნობოდნენ რა საგანმანათელებლო და საკომუნიკაციო შესაძლებლობებს, ქალები ითხოვდნენ განსაკუთრებული უფლებების მინიჭებას. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მხრივ იყო პროფესიის ქონა. ქალები, რომლებიც მიისწრაფოდნენ კარიერისაკენ, იდებდნენ რაიმე განათლებას და ამით ხელს უწყობდნენ თვითრეალიზაციას (ოზორუქი 1992/1993).

შირინ თექელი, რომელიც იყო თურქული ფემინისტური მოძრაობის კველაზე გავლენიანი ფიგურა, ამბობდა, რომ 1980-იანი წლების დასაწყისი იყო მათი მოძრაობის შესამზადებელი წლები. ამ ხნის მანძილზე ფემინისტმა ქალებმა მრავალი დასავლელ ფემინისტთა წიგნი თარგმნეს თურქულ ენაზე. თარგმნილ იქნა ისეთი ცნობილი დასავლელ ფემინისტთა ნაწარმოებები, როგორიც არიან: სიმონე დე ბოვეარი, ქეით მილეთი და შულამით ფაიერსტოუნი.

ფემინიზმის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჟურნალმა “Kadınca” (“ქალური”), რომლის გამოცემაც 1978 წლიდან დაიწყო. ამ ჟურნალის სტატიები მთლიანად ეხებოდა ქალთა პრობლემებს. “Kadınca” დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქალის შესაძლებლობებს, რომლითაც ქალს საშუალება

ეძლეოდა აემაღლებინა თავისი სტატუსი. გარდა ამისა ამ ჟურნალში არსებული სტატიების ავტორები აკრიტიკებდნენ სხვადასხვა ტრადიციულ დირექტულებებს, როგორიც იყო მაგალითად – ქალწულობის შენარჩუნება, აბორტის აკრძალვა და სხვა.

თურქეთის ფემინისტურ მოძრაობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნა გადადგმული 1981 წლის მაისში, როცა გაიხსნა სიმპოზიუმი “YAZKO”-ს (მწერალთა და მთარგმნელთა კავშირი) სახელწოდებით. მალე იმავე პირთა მიერ გაიხსნა ახალი სიმპოზიუმები. მათი მიზანი იყო აგრეთვე, ყურადღება გაემახვილებინა ქალთა უუფლებო მდგომარეობაზე, მიუხედავად ამ კუთხით გატარებული მრავალი რეფორმისა.

“YAZKO”-ს შემადგენლობის ძირითად ბირთვს წარმოადგენდა 50 ქალი, რომლებიც თავიანთ ენერგიას მოლიანად ქალის საკითხს ახმარდნენ, თარგმნიდნენ ევროპელი ფემინისტების ნაწარმოებებს თურქულ ენაზე. ისინი აგრეთვე დაკავებული იყვნენ წარსულის კვლევითაც.

თექელი მიიჩნევს, რომ რესპუბლიკის დამაარსებლების მიერ განხორციელებულ რეფორმებს პქონდა სიმბოლური მნიშვნელობა და დადებითად აისახებოდა ამ ელიტის დემოკრატიულ იმიჯზე (არათი 2003:295).

თექელი აღნიშნავს, თუ როგორ დაგმეს მათ მარქსიზმი და წარმატებასაც მიაღწიეს:

“1980-იანი წლების მანძილზე ჩვენ რადიკალურად მიმოვინილეთ ჩვენი წარსული, განსაკუთრებით კი მარქსიზმი, განვიხილეთ ჩვენი ყოველდღიური გამოცდილება. ჩვენ მივაღწიეთ იმ კონცეფციათა სწორ განმარტებას, რომელიც თურქული კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია. მაგალითად, პატრიარქატი, ანუ მამაკაცთა ბატონობა ქალებზე და ამ გზით ჩვენ საბოლოოდ გავხდით ფემინისტები” (თექელი 1989:37).

1982 წლიდან ქალები უფრო აქტიურად შეეცადნენ თავიანთი იდეოლოგიის დანერგას. ამისათვის ისინი ცდილობდნენ სხვადასხვა გაზეთის თითო გვერდზე სათანადო სტატია გამოექვეყნებინათ. შედეგად მათ დაბეჭდეს სტატია “YAZKO”-ს მიერ გამოცემულ გაზეთ “Somut”-ში. პირველი ფემინისტური გვერდი დამზადებულ იქნა ფემინისტურ მოძღვრებათა პრინციპებზე, რაც გულისხმობდა, რომ ყოველ ქალს უფლება პქონდა გამოჩენილიყო საგაზეთო სტატიებში. საგაზეთო სტატიები შეეხებოდა ისეთ თემებს, როგორიც იყო აბორტი, ქალთა დღე, ქალი და რეპლამა, ქალი ფოლკლორში. გარდა ამისა ამ გაზეთში

იბეჭდებოდა დასავლელ მწერალთა სხვადასხვა სტატიები, განსაკუთრებით კი სიმონე დე ბოვუარის.

“Somut”-ის გამოცდილების მიღების შემდეგ ქალებმა გადაწყვიტეს შეექმნათ ავტონომიური პოლიტიკური ძალა, რომელიც დამოუკიდებელი იქნებოდა სახელმწიფოს, პოლიტიკური პარტიებისა და სხვა სოციალური მოძრაობებისაგან. ამგვარად 1983 წლიდან თურქელ ფემინიზმში ახალი ხანა დაიწყო.

ყველაზე დირსშესანიშნავი ფაქტი იყო “ქალთა წრის” (“Kadınlar Çevresi”) დაარსება. მისი მიზანი იყო ხელი შეეწყო ქალთა მოძრაობის განვითარებისათვის, გაეანალიზებინა ქალთა შრომა და მოეხდინა მისი სათანადო ანაზღაურება. ასევე მისი მიზანი იყო ქალში გამოემუშავებინა საკუთარი თავის რწმენა და შეცნობის უნარი.

სტუდენტთა აქტიური მხარდაჭერის შედეგად ფემინიზმა ქვეყანაში ფეხი მყარად მოიკიდა. 1980-იანი წლების მანძილზე როგორც ქალთა მიერ, ისე ქალთა შესახებ დაწერილი წიგნები ბესტსელერებად იქცა.

პირველი ნაშრომი თურქეთში, რომელიც მხოლოდ ქალთა თემაზე იყო ფოკუსირებული, გამოსცა ნერმინ აბადან-უნათმა, თავდაპირველად თურქულად, ხოლო შემდეგ ინგლისურად. აბადან უნათმა შეძლო ნაშრომში თავი მოეყარა ორიგინალური ესეებისათვის ქალთა ფერტილურობის, ჯანმრთელობის ეკონომიკური და პოლიტიკური მოდგაწეობის შესახებ (არათი 2003:295).

ფემინისტური მოძრაობისადმი ყურადღება გაამახვილეს ქალთა ფილმებითაც. “1980-იან წლებში გამოსული თურქული ფილმების მთავარი თემა ქალის საკითხი იყო” (ჩანა).

თურქმა ფემინისტებმა, პირველად თურქეთის ისტორიაში, 1985 წელს აღნიშნეს ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი.

თურქ ფემინისტთა პირველი მასობრივი აქციის შედეგად, საპეტიციო საბჭომ 1986 წელს მიიღო პეტიცია, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტს უყენებდნენ მოთხოვნას, რომ ეცნო გაერთიანებული ერების მიერ მიღებული შეთანხმება, სადაც ნათქვამი იყო, რომ თურქეთის ყველა მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, ეძლეოდა თანაბარი უფლებები. ამას მოჰყვა შემდგომი პეტიცია 1986 წლის მარტში, რომელიც წაუყენეს თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას. შემდგომ პეტიციას ხელს აწერდა 7000 ქალი, რომლებიც იყვნენ

სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენლები: მსახიობები, პარლამენტარები, დიასახლისები, მასწავლებლები და სხვა (ბუქური 2005:51)

ზემოთ მოხსენიებული მოძრაობის შედეგად შეიქმნა “ქალთა ასოციაცია დისკრიმინაციის წინააღმდეგ”, რათა მას ორგანიზება გაეკეთებინა სხვადასხვა დონისმიერებისათვის და დაერწმუნებინა მთავრობა, რომ გაერთიანებული ერების შეთანხმება განსახილველად გაეტანა. შედეგად თურქეთმა ხელი მოაწერა ამ შეთანხმებას 1987 წელს.

შეიქმნა მრავალი დამოუკიდებელი ორგანიზაცია. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია იყო *“Mor Çati Kadın Sağlığı Vakfı”* (“ქალთა თავშესაფარის საზოგადოება”), რომელიც დაარსდა 1990 წელს სტამბოლში. მისი მიზანია გადაწყვიტოს ქალის ფსიქოლოგიური და იურიდიული პრობლემები, აგრეთვე მიანიჭოს ქალებს თავშესაფარი. დღესდღეობით თურქეთში ბევრია ასეთი ქალთა თავშესაფარი, რომლებსაც ძირითადად ადგილობრივი მთავრობა აფინანსებს.

ფემინისტება დაარსეს ბიბლიოთეკა, სახელად *“Kadın Eserleri Kütüphanesi ve Bırlığı Merkezi”* (“ქალთა თხზულებებისა და საინფორმაციო ცენტრის ბიბლიოთეკა”), სადაც თავმოყრილია ქალთა ნაწარმოებები და ასევე პუბლიკაციები ქალთა შესახებ. ეს ბიბლიოთეკა დღესაც ფუნქციონირებს და დაინტერესებულ პირებს ამარაგებს ინფორმაციით ქალთა შესახებ. ეს ბიბლიოთეკა ასევე წარმოადგენს ქალთა თავშეყრის ცენტრს.

ფემინისტმა ქალებმა თურქეთის უნივერსიტეტებში დააარსეს ქალთა საკითხის კვლევის ცენტრები, რომლებიც ემსახურება როგორც ქალთა პრობლემების კვლევას, ისე სათავეში უდგას სემინარებისა და სიმპოზიუმების გამართვას, ასევე ამზადებს ახალგაზრდა გოგოებს ამ დარგში.

1990-იან წლებში ფემინიზმი ფართოდ გავრცელდა სხვადასხვა სოციალურ დაჯგუფებებში. ეგალიტარულმა ფემინიზმმა დააარსა *“KADER”*-ი (“ასოციაცია ქალთა მხარდაჭერისა და მომზადებისა პარლამენტისათვის”). ამ საზოგადოების მიზანია მხარი დაუჭიროს ქალთა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საქმიანობას.

ფემინიზმა აქტიურად გააგრძელა თავისი მოღვაწეობა 1990-იან და 2000-იან წლებში. ქურთი ფემინისტები დაირაზმნენ ჟურნალ *“Rosa”*-ს გარშემო. 1996 წელს მათ თავიანთი თავები გამოაცალკევეს თურქი ქალებისაგან, ქურთია ეროვნული მოძრაობისაგან და კაცებისაგან.

Ծրաდიციუլმა რელიგიურმა ფემინისტურმა დაჯგუფებამ დააარსა “Başkent kadın Platformu” (“დედაქალაქის ქალთა პლატფორმა”), მასში გაწევრიანებული ქალები იბრძვიან Ծრადიციული და პატრიარქალური დირექტულებების წინააღმდეგ. ისინი მოითხოვენ იმ ეკონომიკური, იურიდიული და კულტურული ბარიერების გაუქმებას, რაც მათ ედობებათ საზოგადოებრივი ცხოვრებისაკენ.

ქმალისტმა ქალებმა დააარსეს “Cağdaş Yaşamı Destekleme Derneği” (“ასოციაცია თანამედროვე ცხოვრების მხარდასაჭერად”). რომლის მიზანიც არის თანამედროვე ცხოვრების სტილის დაკანონება ქალაქებში, განსაკუთრებით უპირისპირიდებიან ისლამურ მოძრაობას.

თურქეთის რესპუბლიკის დაარსებიდან 70 წლისთავის იუბილის აღსანიშნავად გამოიცა წიგნი: “ათათურქი: წარსულიდან მომავლისაკენ”. მასში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში, რომლის ავტორიც არის ნეჯლა არათი – სტამბოლის უნივერსიტეტში არსებულ ქალთა საკითხთა პლეგის პროგრამის ხელმძღვანელი, იტყობინება, რომ ათათურქის რეფორმები საოჯახო სამართალში, თურქული სამოქალაქო კოდექსი და ქალთა საარჩევნო უფლებები იყო გარდატეხა არა მხოლოდ ისლამურ სამყაროში, არამედ მთელს დასავლეთში.

პროფესორი არათი ასევე ეხმაურება 1925 წლის დეკლარაციას, რისთვისაც მრავალი თურქი ქალი მადლიერებას გამოთქვამს ათათურქის მიმართ. ის დასძენს: საზოგადოება, ერი შედგება ორი სქესის წარმომადგენელისაგან: მდედრობითისა და მამრობითისაგან. შეუძლებელია ჩვენ შევცვალოთ ერთი ნაწილი და მეორე უგულებელვალი, თუ ჩვენ ქვეყნის კეთილდღეობა გვსურს. განა შესაძლებელია, რომ საზოგადეობა გაყოფილი იყოს ორ ნაწილად, სადაც ერთი ნაწილი ცისკენ მიემართება, ხოლო მეორე ნაწილი დედამიწაზეა მიჯაჭვული? ამგვარად პროგრესისაკენ ნაბიჯები უნდა გადაიდგას როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა მიერ (პოუვი 2000:18).

1998 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად ტარდება “ქალთა კინოს ფესტივალი”. თურქ ქალთა დაჯგუფებები (ფემინისტები, მემარცხენეები, ქმალისტები და სხვა) რეგულარულად იღებენ მონაწილეობას ფესტივალში. ისინი ასევე წარმოადგენენ თურქეთს გაერთიანებული ერების მიერ ორგანიზებულ შეკრებებზე.

ფემინისტურმა მოძრაობამ თურქეთში ქვეყნის სოციალური დაჯგუფებების უურადღება მიიპყრო. 1980-იანი წლების დასაწყისიდან მემარცხენეთა მრავალმა

ქურნალმა გამოაქვეყნა სტატიები ქალთა ოქმაზე. მათ მიერ დაარსებულ იქნა სხვადასხვა ქალთა ასოციაცია. ქალთა საკითხს ყურადღება დაუთმო ტრადიციულმა რელიგიურმა დაჯგუფებამ. მათ მიერ დაიბეჭდა სხვადასხვა სახის ქურნალები. 1990-იანი წლისათვის ეს დაჯგუფება გახდა ყველაზე აქტიური, ვინც პირველ ეტაპზე აუქნებდა ქალის ოქმას. მათ მიერ დაბეჭდილ ქურნალთა რაოდენობა 50 ათასს აღწევდა. დაარსებულ იქნა სხვადასხვა ასოციაცია. ამ დაჯგუფების წევრმა ქალებმა დაიწყეს ტრადიციული თურქული კულტურის გაკრიტიკება, რომელიც იყო პატრიარქალური. ქალთა ამ მოძრაობას ეძახდნენ “თავშალიან ფემინისტურ მოძრაობას.” 1987 წელს მათ დაბეჭდეს ქურნალი “AyÇe.” ისინი მოითხოვდნენ, რომ სასულიერო პირთ მათვის ნება დაერთოთ, რათა ყოფილიყვენენ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები.

1980-იანი წლებიდან ფემინიზმის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა ქემალისტ ქალთა ასოციაცია. მათ ყურადღება მიაქციეს სამოქალაქო სამართლის კოდექსს, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ქალთა ინტერესებს, ქალთა მიერ პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობას.

1990-იანი წლებიდან თურქეთში დაარსებული ქალთა საზოგადოებებიდან აღსანიშნავია *“Aile Araşturma Kurumu”* (“ოჯახის კვლევის ინსტიტუტი”) და *“Kadının Statusu ve Sorunları Genel Müdürlüğü”* (“ქალთა პრობლემებისა და სტატუსის დირექტორატი”).

1993 წელს დაარსდა “დედათა და ბავშვთა საგანმანათლებლო დაწესებულება (MOCEF), რომელიც თურქეთში პირველად ემსახურება სახლში დაფუძნებულ მოსამზადებელ კურსებს სკოლაში შემსვლელთათვის.

1995 წელს ანკარაში დაარსდა “თანამედროვე ახალგაზრდებისა და ქალთა დაწესებულება”. ცენტრი ხელს უწყობს ჯანმრთელობის პროგრამას, საგანმანათლებლო კურსებს, საბავშვო ბაღებს, ბიბლიოთეკებსა და პროფესიულ წვრთნას ქალთათვის.

1996 წელს ჯეილან ორჰუნის მიერ დაარსებულ იქნა კულტურული ორგანიზაცია, რომელიც იკვლევს სოფლელ ქალთა ცხოვრებას. ამ ორგანიზაციას ეწოდება *“Anakültür”* და მუშაობს სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში. ორგანიზაციის ხელმძღვანელობით 1997 წლის 7-10 მარტს მოეწყო ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ზეიმი, რომელსაც აგრეთვე დაესწრო სახელმწიფო მინისტრი ქალთა საკითხებში. ზეიმში მონაწილეობა მიიღო 50 ქალმა სტამბოლიდან, ანკარიდან და სხვა ქალაქებიდან, აგრეთვე 500

ადგილობრივმა ქალმა. ზეიმს თან ახლდა ტრადიციული ცეკვები, მოდების ჩვენება და ა.შ.

ანალოგიური ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ზეიმები გაიმართა სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალურ ანატოლიის სხვადასხვა ქალაქებში. ზეიმს თან ახლდა წარმოდგენები, ფოლკლორული ცეკვები, პოეზია, სიმღერა ად ა.შ.

"Anakültür" -ის წევრი მოხალისეები ქვეყნის აღმოსავლეთით მცხოვრებ ქალებს უგზავნიან წიგნებს, ჩასაცმელს, საკანცელარიო საქონელს.

ამგვარმა სამუშაოებმა სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში გამოიწვია მრავალი არასამთავრობო ორგანიზაციის დაინტერესება ამ რეგიონით, მაგალითად, დამყარდა კავშირი შემდეგ საზოგადოებებს შორის: ქალები ქალთა უფლებებისათვის და *"Kader"*-სა და გაზიანთეფის ქალთა პლატფორმასთან. თურქელმა განვითარების ორგანიზაციამ დაიწყო მრავალფეროვანი პროექტი ამ რეგიონში.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, 1993 წლის ზაფხულში ისტორიული ფაქტი დაფიქსირდა, თურქეთის პრემიერ მინისტრი გახდა ქალი – თანსუ ჩილერი. სხვადასხვა პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენელი თურქები, განსაკუთრებით, ქალები აღფრთოვანებულები იყვნენ ამ ფაქტით. მათ წინაშე წარსდგა ახალგაზრდა ქალი თავისი მომხიბვლელი დიმილით, რომელსაც ეკონომიკური განათლება ამჟრიკაში პქნდა მიღებული, და რომელიც ინგლისურს უფრო კარგად ფლობდა, ვიდრე თურქულს. მასში ხედავდნენ ქვეყნის ეკონომიკურის გზაზე დადგომის დიდ იმედს (პოუვი 2000:114).

თანამდებობის დაკავების შემდეგ ჩილერმა განაცხადა, რომ ის არ იქნებოდა განსხვავებული მამაკაცისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ მისმა მმართველობამ ფემინისტების მხრიდან ძლიერი კრიტიკა დაიმსახურა, რადგანაც ის ნაკლებ ყურადღებას უთმობდა ქალთა საკითხებს (ჩილერი 2009).

თურქეთის პოლიტიკურმა პარტიებმა თავიანთ პროგრამაში შეიტანეს ახალი პრინციპები, რომელიც ეხებოდა ქალთა საკითხს, გადასინჯულ იქნა სამოქალაქო სამართლისა და საგადასახადო კოდექსები და ცვლილებები იქნა შეტანილი თანასწორუფლებიანობის საფუძველზე.

1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში 21.4%-ით პირველ ადგილზე გავიდა რეფაპის ისლამისტური პარტია, მეორე, მესამე ადგილზე კი ლიბერალურ და

კონსერვატიული პარტიები – “დედასამშობლოს” და “სამართლიანი გზის” პარტიები – 19-19%-ით.

რეფაპის პარტიის წარმატების ერთ-ერთი განმაპირობებელი იყო მისი წევრი ქალები, რომლებიც კარიდან-კარზე დადიოდნენ და ხალხს სთავაზობდნენ ჯანმრთელობის, სოცუზრუნველოყოფისა და საგანმანათლებლო საქმიანობაში მხარდაჭერას. პარტიის ერთ-ერთი გამოჩენილი ვარსკვლავი იყო სიბელ ერასლანი – ისლამისტური ფემინიზმის აქტივისტი, რომლის მამაც იყო ქემალისტი სამხედრო ოფიცერი. მიუხედავად იმისა, რომ მას პქონდა იურიდიული განათლება, ის ვერ გამოჩნდა სასამართლოს წინაშე, რადგანაც ის დაუინებით მოითხოვდა თავსაბურავის ტარებას. თითქმის დამოუკიდებლად ერასლანმა დააარსა რეფაპის პარტიის ქალთა განშტოება, რომელიც 18 000 მოხალისისაგან შედგებოდა. მალე ამ რიცხვმა 200 000 ქალს მიაღწია. მიუხედავად მისი დიდი მცდელობისა, მან თავისი პოსტი დაკარგა 1995 წელს, რადგანაც მან გააკრიტიკა პარტიის პოლიტიკა, რადგანაც ხელმძღვანელებმა არ დაასახელეს არცერთი ქალის კანდიდატურა ეროვნულ არჩევნებში (პოუვი 2000: 29).

“1995 წლის 23 ივლისს თურქეთის პარლამენტმა, ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ, დაამტკიცა ქ.წ. “დემოკრატიული რეფორმების პაკეტი”. ამ დადგენილებით ახალგაზრდებსა და ქალებს მიეცათ პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნის უფლება” (სვანიძე 2005:215-216).

1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში 24 ქალი იქნა არჩეული პარლამენტის წევრად, ეს არის დიდი რაოდენობა მას შემდეგ რაც 1934 წელს ათათურქის დამსახურებით თურქმა ქალებმა მოიპოვეს უფლება ყოფილიყვნენ არჩეულნი ეროვნულ არჩევნებში. მათი რიცხვი უფრო მეტიც იქნებოდა ათათურქის პარტიას 10%-იანი ბარიერი რომ გადაელახა. თუმცა აღსანიშნავია, რომ პირველად პარლამენტის წევრი ქალიდან ორს ებურა თავსაბურავი (პოუვი 2000:214).

ფემინისტური მიმართულებები. 1985 წლიდან მოყოლებული წარმოიქმნა სხვადასხვა ფემინისტური მიმართულებები და მათი იდეოლოგიები. ამათგან აღსანიშნავია სამი მირითადი მიმდინარეობა: ეგალიტარული, სოციალური და რადიკალური ფემინიზმი. ეგალიტარული ფემინიზმი ყურადღებას ამახვილებს ქალთა გათავისუფლებასა და თანასწორობაზე მამაკაცთან მიმართებაში. მან თურქეთში ფეხი მოიკიდა 1984 წლიდან, მას შემდეგ, რაც დაიბეჭდა ჯურნალი

“Kadinca”, რომელიც დღესაც გამოდის. ის საკითხები, რომლებსაც ეს ჯურნალი 1980-90 წლებში განიხილავდა, დღესაც აქტუალურია. ასევე ცალკე მიმდინარეობად გამოეყო სოციალური და რადიკალური ფემინიზმი. ეგალიტარული ფემინიზმისაგან განსხვავებით სოციალისტმა და რადიკალისტმა ფემინისტებმა თანასწორობაზე უფრო მეტი მოითხოვეს და დაიწყეს ბრძოლა ქალთა ემანსიპაციისათვის.

ქალთა ეს სამი დაჯგუფება (ეგალიტარული, სოციალური, რადიკალური) გაერთიანდა 1987 წლამდე, ხოლო შემდეგ ისევ დაიყო. სოციალისტმა ფემინისტებმა 1987-1990წწ. დაბეჭდეს ჯურნალი “Sosyalist Feminist Kaktus” (“სოციალისტ ფემინისტთა კაკტუსი”), ამჟამად კი უშვებენ “Pazartesi”-ს (“ფაზართესი”), მაშინ როდესაც რადიკალებმა დაბეჭდეს “Feminist”-ი. შემდეგ კი უშვებდნენ სხვადასხვა ადგილობრივ ჯურნალებს.

ეგალიტარულმა ფემინიზმმა მთავარ ამოცანად დაისახა ქალისა და მამაკაცის თანასწორობა და თავისუფლება. ეს თანასწორობა მოიცავდა სამ ძირითად მოთხოვნას: თანასწორობა პროფესიულ ცხოვრებაში, თანასწორობა ქორწინების პერიოდში და თანასწორობა სოციალურ ცხოვრებაში. გარდა ამისა ისინი უურადღებას ამახვილებდნენ ქალთა თავისუფლებაზე, რაც ძირითადად სექსუალურ თავისუფლებას ნიშნავდა.

ეგალიტარული ფემინიზმის მიმდევრები ცდილობენ დაარეგულირონ სახელმწიფოს ნორმები და სამართალი. მათ თურქეთში შექმნეს ლიბერალურებოკრატიული საზოგადოება, სადაც ქალიცა და მამაკაციც თანაბარი უფლებებით სარგებლობენ.

ეგალიტარული ფემინიზმისაგან განსხვავებით რადიკალური ფემინიზმის მიზანია გაათავისუფლოს ქალი კაცის ბატონობისაგან. ასევე რადიკალური ფემინიზმი უარყოფს ქალთა გაწვრიანებას სხვა საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან. ისინი აცხადებენ, რომ ისეთი საზოგადოებრივი დაწესებულებები, როგორიცაა, მაგალითად, სახელმწიფო ბიუროკრატია, სამხედრო და პოლიცია, არიან მამაკაცური ლირებულებების მატარებლები და არცერთ ქალს არ შეუძლია ამ სფეროში მონაწილეობის მიღება (ვილდანი 1990:4). ისინი აკრიტიკებენ ეგალიტარული ფემინიზმის შეხედულებებს, რომ ქალთა ემანსიპაცია მიიღწევა დემოკრატიულ და სახალხო ინსტიტუტების თანასწორობით. რადიკალი ფემინისტები არ კმაყოფილდებიან მათვის მინიჭებული დროებითი უფლებებით და ისინი მოითხოვენ მამაკაცზე

დამყარებული კულტურის ძირეულ გარდაქმნას.

სოციალისტი ფემინისტები კი ამტკიცებენ, რომ ქალის სტატუსი არის ისტორიული შედეგი კონკრეტული ეკონომიკური მოდელისა, სახელდობრ-კაპიტალიზმის. ამიტომაც ქალთა ჩაგვრის ძირითად მიზეზად ისინი მიიჩნევენ “კაპიტალიზმს” და არა “პატრიარქატს” (სავრანი 1989:29).

სოციალისტი ფემინისტები ყურადღებას ამახვილებენ ლოზუნგზე “პირადი არის პოლიტიკური”, ე.ი. ისინი ილაშქრებენ კერძო მესაკუთრეობის, პირადულის წინააღმდეგ. ისინი წარმოაჩენენ ქალის მიერ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების საჭიროებას. ისინი თვლიან რომ მათ უნდა მოახდინონ ისეთი საკითხების პოლიტიზირება, როგორიცაა ქალის შრომა ოჯახში, დედობა და სხვ. აკრიტიკებენ ეგალიტარული ფემინიზმის მოთხოვნას თანამონაწილეობის უფლების მინიჭებაზე, რადგანაც ისინი თვლიდნენ, რომ “თვით პარლამენტში მყოფი ფემინისტური ბურჟუაზია ვერ გადაწყვეტდა ქალთა პრობლემებს, რადგანაც მთავარი ბაზისი ქალთა ჩაგვრისა იყო ამ სისტემის შემადგენელი ნაწილი” (ოზორუქი 1988:22).

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად იმისა რომ ფემინიზმის ამ სამ განშტოებას გააჩნდა სხვადასხვა შეხედულებები და მისწრაფებანი, ისინი მაინც ერთ მიზანს ემსახურებოდნენ, ძირს უთხრიდნენ პატრიარქალურ კულტურასა და მის პოლიტიკურ ინსიტუტებს თურქეთში.

ამრიგად, ფემინიზმა, როგორც სოციალურმა ჯგუფმა, 1980-იანი წლების თურქეთში შექმნა ახალი პოლიტიკური მიმდინარეობა. ფემინისტთა აქტიური მოძრაობის შედეგად თურქეთში მთავარ საკითხად დადგა გენდერული თანასწორუფლებიანობის პრობლემა.

ამჟამად ფემინიზმი თურქეთში ანგითარებს ტენდენციას, რომელიც გულისხმობს ქალთა სეპარაციას კაცებისაგან და იმ საქმიანობისაგან, რომელიც მამაკაცთა სასარგებლოდ არის მიმართული. გენდერი თურქეთში ამკვიდრებს სამართლიან კანონებს გენდერის, რასის, კლასის, რელიგიისა და სხვა სოციოლოგიურ კატეგორიებთან მიმართებაში. თურქული ფემინიზმი წარმოაჩენს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს, რომელთაც გააჩნიათ სხვადასხვა სოციალური საჭიროებანი, კულტურა, ისტორია, და გამოცდილება. აღსანიშნავია ფემინიზმის დიდი წელიდი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.

ფემინისტური ლოზუნგი “პირადი არის პოლიტიკური” უარყოფს სოციალურ დაყოფას სახალხო და კერძო სფეროებს შორის. საზოგადოებრივ

ცხოვრებაში ყველასათვის გზა ხსნილი უნდა იყოს განურჩევლად სქესისა, ეთნოსისა, ასაკისა და სხვა. ყველამ თავიანთი წვლილი უნდა შეიტანოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში (ბუქური 2005ა:53).

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე მეტად დიდია ფემინისტთა წვლილი თურქული საზოგადოების ფორმირებაში. მიუხედავად მიღწეული თანასწორუფლებიანობისა, უთანასწორობა საზოგადოებაში ყოველთვის იარსებებს. რადგანაც თურქეთის რესპუბლიკა წარმოადგენს წინააღმდეგობრივად განვითარებულ ქვეყანას, ის არის გარდამავალი განვითარების საფეხურზე მყოფი ქვეყანა. დღესაც კვლავ არსებობს მოთხოვნები, რაც ქმნის ახალ-ახალი ფემინისტური მოძრაობის ნიადაგს.

ქ რ თ ნ თ ლ თ გ ი ა

ქალთა უფლებები თურქეთში და
გენდერული თანასწორობისაკენ გადადგმული ნაბიჯები

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

- 1842წ. დაიწყო მედდების მომზადება სამედიცინო საგანმანათლებლო სკოლებში
- 1845წ. სავალდებულოდ გამოცხადდა დაწყებითი განათლების მიღება გოგონებისა და ვაჟებისათვის
- 1876წ. დაარსდა მასწავლებელთა სკოლები გოგონებისათვის
- 1859წ. დაარსდა საშუალო განათლების სკოლები გოგონებისათვის
- 1864წ. დაარსდა ტექნიკური საგანმანათლებლო სკოლა გოგონებისათვის
- 1869წ. დაარსდა საინდუსტრიო სკოლა გოგონებისათვის
- 1876წ. პირველი კონსტიტუციის მიხედვით (Kanun-i Esasi) დაწყებითი განათლება სავალდებულოდ გამოცხადდა ვაჟებისა და გოგონებისათვის
- 1880წ. დაარსდა მოსამზადებელი სკოლები საშუალო სკოლებში შემსვლელი გოგონებისათვის
- 1913წ. დაარსდა უმაღლესი სკოლები ქალთათვის
- 1915წ. დაარსდა პირველი უნივერსიტეტი ქალთათვის
- 1924წ. ძალაში შევიდა კანონი განათლებისა და სწავლების შესახებ
- 1932წ. დაარსდა დამის პროფესიული და ხელოვნების სკოლები ქალთათვის
- 1938წ. დაარსდა ხელოვნებისა და კერვის კურსები ქალთათვის
- 1945წ. დაარსდა მოსამზადებელი სკოლები პროფესიული სკოლების კურსდამთავრებულ ქალთათვის
- 1990წ. სტამბოლის უნივერსიტეტში დაარსდა ბაკალავრის შემდგომი განათლების ხარისხი ქალთათვის
- 1996წ. პირველად ქალთა განათლება დაჯილდოვდა უმაღლესი ხარისხით
- 1997წ. სავალდებულო განათლება გაიზარდა 5-დან 8 წლამდე.

ჯ ა ნ მ რ თ ე ლ თ ბ ა

- 1926წ. აბორტი და მისი ხელშეწყობა გამოცხადდა კრიმინალურ დანაშაულად
- 1952წ. დაიწყო დედა-შვილის სამედიცინო სერვისი ჯანდაცვის სამინისტროს მიერ
- 1965წ. ძალაში შევიდა კანონი ოჯახის დაგეგმვაზე: შობადობის კონტროლი გამოცხადდა ნაწილობრივ უფასოდ, აბორტი გამოცხადდა უფასოდ მხოლოდ როგორც სასწრაფო სამედიცინო დახმარება
- 1985წ. გამოიცა შესწორება ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებით: ნებადართული აბორტი გამოცხადდა ორსულობის მხოლოდ პირველ 10 კვირაზე.

დ ა ს ა ქ მ გ ბ ა

- 1897წ. ქალებმა შეაბიჯეს მოსამსახურეთა რიგებში როგორც ხელფასის მქონე მოხელეებმა
- 1913წ. ქალებმა შეაბიჯეს სახელმწიფო სამსახურში
- 1914წ. ქალებმა დაიწყეს ვაჭრობა და კომერციული საქმიანობა
- 1915წ. კანონმა მიანიჭა მომუშავე ქალებს სოციალური უფლებები და უსაფრთხოება
- 1930წ. გამოიცა საყოველთაო სახალხო ჯანმრთელობის კანონი, რომელიც ითვალისწინებდა ქალთა და ბავშვების დაცვას.
- 1945წ. დაწესდა დეკრეტული შვებულება
- 1949წ. კანონის მიხედვით საპენსიო ასაკი და დაზღვევა თანაწორი გახდა კაცებთან მიმართებაში
- 1971წ. გამოიცა კანონი, რომელიც ეყრდნობოდა პრინციპს: თანაბარი ხელფასი თანაბარი სამუშაოს ფასად.
- 1971წ. აიკრძალა ქალთა მუშაობა მძიმე და სახიფათო პირობებში
- 1990წ. საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა კანონი, რომელიც ითვალისწინებდა ქალთა მუშაობას ქორწინების პირველ პერიოდში
- 1993წ. გამოიცა კანონი, რომელიც ითვალისწინებდა ქალთა სამეწარმეო საქმიანობის წახალისებას.

პ ა ნ თ ნ ი

- 1567წ. ქალებს მიენიჭათ ქონების დამოუკიდებლად განკარგვის უფლება
- 1839წ. ქალები თანასწორუფლებიანები გახდნენ კანონის წინაშე
- 1858წ. ქონების ფლობისას ქალები და კაცები თანასწორუფლებიანები გახდნენ
- 1876წ. პირველი კონსტიტუციით განისაზღვრა უმთავრესი უფლებები
- 1911წ. ცოლ-ქმრული დალატისათვის თანაბრად ისჯებოდა კაციც და ქალიც.
- 1917წ. ცვლილება განიცადა საოჯახო სამართალმა: საქორწინო კონტრაქტის დადებისას აუცილებელი იყო სამოქალაქო პირის დასწრება. საქორწინო ასაკი განისაზღვრა კაცთათვის 18 წლით და ქალთათვის 17 წლით.
- 1923წ. რესპუბლიკის გამოცხადება
- 1926წ. თურქეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით სავალდებულო გახდა ერთცოლიანობა. ქალებს 2მიენიჭათ განკორწინების, შვილზე მეურვეობის, ქონების განკარგვის უფლებები.
- 1935წ. გაიმართა 12-ე საერთაშორისო ქალთა კონგრესი სტამბოლში
- 1938წ. არასრულწლოვანთათვის საქორწინო ასაკი განისაზღვრა მამაკაცებში 17 წლით და ქალებში 15 წლით მშობლების ნებართვით.
- 1985წ. თურქეთი გაწევრიანდა CEDAW-ში (საერთაშორისო კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ფორმების აღმოფხვრის შესახებ)
- 1990წ. კანონის ძალით გაუქმდა სასჯელის შემსუბუქება პროსტიტუციისათვის
- 1995წ. თურქეთმა ხელი მოაწერა პეკინის დეკლარაციას.
- 1996წ. გაუქმდა ცოლ-ქმრული დალატის, როგორც კრიმინალურ აქტად მიჩნევა მამაკაცებისათვის
- 1997წ. ქალებს მიენიჭათ უფლება შეენარჩუნებინათ ქალიშვილობის გვარები თავიანთი ქმრების გვარებთან ერთად.
- 1998წ. მიღებულ იქნა ახალი კანონი საოჯახო უფლებების დასაცავად
- 1998წ. გაუქმდა ოჯახის უფროსის მიერ საშემოსავლო გადასახადი. ქალები და კაცები გახდნენ ინდივიდუალური შემომტანები
- 1998წ. გაუქმდა ცოლ-ქმრული დალატის, როგორც კრიმინალურ აქტად მიჩნევა ქალთათვის.

პ თ ლ ი ტ ი პ ა

- 1923წ. ქალთა უფლებების დასაცავად დაარსდა “ქალთა სახალხო პარტია”.
- 1924წ. დაარსდა ქალთა ასოციაცია.
- 1930წ. ქალებმა მოიპოვეს უფლება მონაწილეობა მიედოთ არჩევნებში როგორც ამომრჩევლებმა, ისე კანდიდატებმა ადგილობრივ მთავრობაში.
- 1933წ. ქალებმა მოიპოვეს უფლება მონაწილეობა მიედოთ არჩევნებში როგორც ამომრჩევლებმა, ისე კანდიდატებმა სასოფლო ადმინისტრაციაში.
- 1934წ. მოიპოვეს საარჩევნო ხმის და არჩევნებში მონაწილეობის უფლება საპარლამენტო არჩევნებში
- 1935წ. ჩატარდა პირველი არჩევნები, სადაც ქალებს გააჩნდათ უფლება ყოფილიყვნენ როგორც ამომრჩევლები, ისე არჩეულნი.
- 1946წ. დაიწყო მრავალპარტიული პოლიტიკა.
- 1971წ. დაინიშნა პირველი ქალი მინისტრი დამატებით-საპარლამენტო წევრად
- 1986წ. პარლამენტის წევრი ქალი გახდა მინისტრთა კაბინეტის წევრი.
- 1994წ. დაინიშნა პირველი ქალი პრემიერ-მინისტრად
- 1995წ. ქალთა რაოდენობა პარლამენტში გაიზარდა 2.4%-ით, 1935 წლის შემდეგ ქალთა რაოდენობამ პარლამენტში პიკს მიაღწია.

დ ა რ დ გ ე გ ე ბ ი ქ ა ლ თ ა მ ი მ ა რ თ

- 1980-იანი წლების ქალთა მოძრაობის აღმავლობამ გამოიწვია ეროვნულ კოორდინატი ქალთა მიმართ დარღვევების საკითხის გათვალისწინება
- 1990წ. “მეწამული სახურავის თავშესაფარის” საზოგადოებამ გახსნა “ქალთა საკონსულტაციო და თავშესაფრის ცენტრი” სტამბოლში.
- 1991წ. გაიხსნა ქალთა სოლიდარობის ორგანიზაცია. მან გახსნა პირველი დამოუკიდებელი თავშესაფარი ქალთათვის 1993წ.
- 1994წ. გენერალურმა დირექტორატმა ქალთა სტატუსსა და პრობლემებზე გახსნა საინფორმაციო-საკონსულტაციო ბანკი, რათა გაუწიონ ქალებს კონსულტაცია და მეურვეობა მათ მიმართ არსებული დარღვევების წინააღმდეგ.

1998წ. მთავარი პროგურორის გადაწყვეტილებით ძალაში შევიდა კანონი საოჯახო სამართლისა, რომელიც ითვალისწინებდა ქალთა დაცვას მათ მიმართ არსებული დარღვევებისა და ბავშვებისა, რომლებიც ასევე არიან საოჯახო ძალადობის მსხვერპლი.

დღეისათვის თურქეთში არის 11 ქალთა თავშესაფარი, ასევე 6 სამეურვეო ცენტრი. ასევე ბავშვთა დაცვისა და სოციალური დახმარების სააგენტო ემსახურება 19 სოციალურ ცენტრს, რომელიც ემსახურება ქალებს საოჯახო დარღვევებისაგან დასაცავად.

ეროვნული მექანიზმი ქალთა მოძრაობის მსარდასაჭერად

1987წ. დაარსდა ქალთა პოლიტიკის გამტარებელი კომიტეტი

1989წ. შრომისა და სოც. უზრუნველყოფის სამინისტროში დაარსდა ქალთა განყოფილება.

1989წ. სტამბოლის უნივერსიტეტში დაარსდა ქალთა პრობლემების კვლევის ცენტრი. დღეისათვის არის 13 ასეთი ცენტრი.

1990წ. მუნიციპალიტეტებში დაარსდა ქალთა ბიუროები.

1992წ. (ოქტომბერი) დირექტორატის მიერ მოხდა ხელახალი გადასინჯვა ქალთა სტატუსისა და პრობლემებისა კანონი № 3670-ის თანახმად.

1992წ. DGSOW –ს ტექნიკური თანამშრომლობის “გენდერი და განვითარება” პროექტი დაიწყო UNDP-ს მხარდაჭერით.

1993წ. დაარსდა ქალთა ბიუროები ყველა სამოქალაქო და შრომის სინდიკატებით.

1993წ. სახელმწიფო სტატისტიკის უნივერსიტეტში დაარსდა სტატისტიკისა და სოციალური სტრუქტურის დეპარტამენტი ქალთათვის.

1994წ. თურქეთმა მონაწილეობა მიიღო კაიროში გაეროს საერთაშორისო კონფერენციაში განვითარების დარგში.

1995წ. თურქეთმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაზე სოციალურ განვითარებაზე. სახელმწიფო მინისტრმა ხელი მოაწერა ეროვნულ პროგრამას.

- 1995წ. თურქეთმა მონაწილეობა მიიღო ქალთა IV საერთაშორისო კონფერენციაში
- 1997წ. გაიხსნა ქალთა განყოფილებები 12 პროვინციაში.
- 1997წ. DGSPW ქალთა განვითარების პროექტი გაიშალა UNDP-ს მხარდაჭერით.
- 1998წ. დაარსდა საპარლამენტო კომისია ქალის სტატუსის განსასაზღვრად CEDAW-ს ფარგლებში.

დ ა ს პ გ ნ ა

ნაშრომის მიზანი იყო თურქი ქალის სტატუსის განხილვა სხვადასხვა ეპოქაში. ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ ყალიბდებოდა ანატოლიის ტერიტორიაზე ქალის კულტი. ჯერ კიდევ ზედა პალეოლითის ხანაში ქალი აღიქვეს, როგორც ნაეოფიერების სიმბოლო. ნეოლითურ პერიოდში დომინირებდა დედალმერთის კულტი. ქალის კულტი მაღალ საფეხურზე ჩანს ანტიკური ქვეყნების კულტურის შესწავლისას. ა. წ. მე-4 ათასწლეულის ბოლოს, ბრინჯაოს ხანაში, მამაკაცის როლმა საზოგადოებაში მეტი მნიშვნელობა მოიპოვა. თუმცა ქალი კვლავ დარჩა ნაეოფიერების სიმბოლოდ და დედა-ღმერთის კულტიც აგრძელებდა აყვავებას. მეორე ათასწლეულის შუა ხანებში ხეთების იმპერიის (ძვ. წ. XVIIIს-დან XIIIს-მდე) დროს ხეთურ სამართალში დაცული იყო ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა. ქალს გააჩნდა პოლიტიკური უფლებებიც. ანატოლიის ბერძნულ საზოგადოებაში ქალები მნიშვნელოვანი თავისუფლებით სარგებლობდნენ, გაბატონებული იყო მონოგამია. რომაელთა ხანაში კი ქალმა უფრო მეტი უფლებები მოიპოვა, ვიდრე ბერძენთა მმართველობის დროს პქონდათ. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ რელიგიურ დოქტრინებში წმინდა დავთისმშობლის კულტი წარმოჩნდა.

XI საუკუნიდან თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს ბიზანტიის იმპერიის მნიშვნელოვანი ტერიტორია და მოხდა თურქი ქალის ასიმილაცია იქ არსებულ კულტურასთან. იმ დროს თურქი ქალი აქტიური იყო როგორც ოჯახურ, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქალს დამოუკიდებლობა გააჩნდა სოციალურ სფეროშიც. თურქთა რელიგია იყო შამანიზმი, რაც დაფუძნებული იყო ქალის საღვთო ძალაზე. ისლამამდევლი პერიოდის თურქი ქალი იყო იყო ოჯახის უფროსი, ბავშვების აღმზრდელი, რელიგიური ცერემონიების ხელმძღვანელი.

ისლამის გავრცელების შემდეგ (ა. წ. მე-7 ს-ში) მოხდა ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობის მკვეთრი ფორმულირება. ისლამმა ქალის სტატუსი აამაღლა დის, ქალიშვილის, ცოლის და დედის რანგში. მუჰამედი, არაბული სამყაროს ლიდერი, როგორც პროგრესული მოღვაწე, მოქმედებდა ქალის უფლებებისათვის და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მუჰამედმა ქალს უფლება მისცა სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა: საოჯახო, ქორწინება, განათლება, მექანიდრეობა და სხვ., რამაც ქალის სტატუსი საზოგადოებაში მნიშვნელოვნად აამაღლა იმასთანდ შედარებით, რაც ადრე იყო.

წინაისლამურ ეპოქაში ქალი განიხილებოდა, როგორც ვიღაცის საკუთრება, ისლამის გავრცელების შემდეგ კი მან მოიპოვა უფლება. ამიტომ ისლამის აყვავების სანაში მუსლიმურ ქვეყნებში ქალს თავისუფლად და მშვიდად შეეძლო დაეკავებინა მისთვის შესაფერისი თანამდებობა. მუსლიმი ქალები, მათ შორის თურქი ქალები, წარმატებით მოღვაწეობდნენ მეცნიერების, ლიტერატურის დარგში. ისინი ფაქტობრივად არ ჩამორჩებოდნენ მამაკაცებს არც პოლიტიკურ არენაზე. ასრულებდნენ სახელმწიფო საქმეებს, იყვნენ ვალიები, ნაიბები (ნაცვლები, რეგენტები) და ძლევამოსილი მეუფენი.

ისლამის ევოლუცია განვითარდა ქალის უფლებების მკვეთრი შეზღუდვით. ისლამის განვითარების შედეგად შეიზღუდა ქალთა უფლებები. ადგილობრივი ძველი ტრადიციები შეიცვალა შარიათის მოთხოვნების შესაბამისად. ისლამმა თანდათანობით ქალს ჩამოართვა ის უფლებები, რომლებიც მათ მანამდე გააჩნდათ. მალე ქალი ადმოჩნდა დამცირებულ მდგომარეობაში მამაკაცთან შედარებით. შემდგომ კანონმდებლობებში და ზნე-ჩვეულებებში უფრო და უფრო იზღუდებოდა მათი უფლებები.

XIII-XIV სს-ში და შემდგომაც ხშირად ხდებოდა შარიათის ნორმების დარღვევა და ქალისათვის გამონაკლის შემთხვევაში უფლებების მინიჭება. ამისი დადასტურებაა სულტან სელიმ I-ის (1512-1520) “კანუნ-ნამე”. ეს “კანუნ-ნამე” შეიქმნა იმ პერიოდში, როდესაც ოსმალეთის იმპერიაში შარიათის მკაცრი კანონმდებლობა ბატონობდა. იმ დროისათვის ეს კანონთა კრებული წინგადადგმული ნაბიჯი იყო ოსმალეთის იმპერიაში, მან აღიარა ქალის უფლებები და შესაძლებლობები.

აღსანიშნავია XV-XX საუკუნეებში ოსმალეთის იმპერიაში მოღვაწე პოეტ ქალთა შემოქმედება. მათ მიერ შექმნილი მნიშვნელოვანი პოეტური მემკვიდრეობა ღირსეულ კონკურენციას უწევს მამაკაცთა შემოქმედებას და თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა თურქულ პოეზიაში.

პოეტ ქალთაგან გამორჩეული იყო მიპრი-ხათუნი (1516). მაშინ, როდესაც ისლამი ქალს ჩარშაფში ახვევდა და ოსმალეთის იმპერიაში შარიათის მკაცრი კანონმდებლობა მოქმედებდა, მიპრი-ხათუნმა თავის შემოქმედებაში უმღერა სიყვარულს, აღწერა მუსლიმი ქალის მდგომარეობა, რომელიც ფაქტობრივად უუფლებო იყო.

XV საუკუნის ცნობილი პოეტი ქალი იყო ზეინაბი (1474), რომელიც თურქული ენის გარდა ფლობდა არაბულ და სპარსულ ენებს. მან თავის

შემოქმედებაში ასახა მამაკაცთა დომინირებული მდგომარეობა.

XVIII საუკუნის სახელოვანი პოეტი იყო ფითნათი (პუბი ხათუნი (1780). XIX საუკუნეში ლეილა ჰანიმი, იგივე “ბულბული” და სხვანი.

ქველა ზემოთ ჩამოთვლილი პოეტი ქალის არსებობა საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ ქალებმა მეტად რთულ ვითარებაში მაინც შეძლეს თავიანთი თავის დამკვიდრება. დავინახეთ, რომ მათ დიდი წვლილი შეიტანეს ოსმალეთის იმპერიის ლიტერატურის ისტორიაში, კერძოდ კი პოეზიაში, და ამით მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრეს თურქულ პოეზიაში.

ჩვენ დავინახეთ, რომ ჰარემი, რომელიც აზიური სამყაროს მრავალ ქვეყანაში არსებობდა, ყველაზე განვითარებული ოსმალეთის იმპერიაში იყო. ის საუკუნეების განმავლობაში ოსმალო სულტნის სასახლის შემადგენელი ნაწილი იყო. კერძოდ, ჰარემის გადატანა სულტნის სასახლეში 1541 წელს მოხდა, მას შემდეგ, რას სულტანმა როგორიცაა თავისი საცხოვრებელი იქ გადაიტანა და ამით პრეცედენტი შექმნა ოსმალეთის იმპერიაში.

ჰარემის ქალთა უმრავლესობა ქრისტიანი და არამუსლიმური წარმოშობის იყო, ისინი ყველაზე ლამაზი ქალები იყვნენ ოსმალეთის იმპერიაში, რომლებიც სულტნის ჰარემში ძირითადად მონათა ბაზრებიდან ხვდებოდნენ. ეს ქალები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რათა ჰარემში წარმატება მოეპოვებინათ. მრავალი იდბლიანი მონა ქალი სულტანი ვალიდე გახდა.

ჰარემის სოციალური სტრუქტურა იერარქიული იყო. ეს სტრუქტურა ჩამოყალიბდა ისლამისა და სახელმწიფოს მოთხოვნილებათა გავლენით. ვალიდე სულტანი განაგებდა ჰარემს, ის იყო პირამიდის თავში და მას მხოლოდ შვილის სიკვდილის შემდეგ აქვეითებდნენ. მონა ქალები კი ჰარემის იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურზე იყვნენ.

XIX საუკუნეში სულტანი აბდულ-მეჯიდი თოფკაფიდან გადავიდა ახალ სასახლეში (ბოსფორის ახლოს). ამავე სასახლეში გადავიდა სულტნის ჰარემიც. ოსმალეთის იმპერიის დაშლასთან ერთად მოიშალა ჰარემის ტრადიციაც. 1923 წელს მუსტაფა ქემალ ათათურქმა (1881-1938წ.) სულტნის ინსტიტუტთან ერთად ჰარემიც გააუქმა.

ჩვენ დავინახეთ, რომ საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა ქალის სტატუსმა ანატოლიაში. ქალის უუფლებო მდგომარეობის ფონზე ოსმალეთის იმპერიაში ჩამოყალიბდა ჰარემის სოციალური სტრუქტურა და დამკვიდრდა ვალიდე სულტანის ინსტიტუტი.

ვალიდე სულტანი მოგვევლინა, როგორც რეგენტი და როგორც ყველაზე ძალაუფლების მქონე ქალი ოსმალეთის იმპერიაში. აქეე აღსანიშნავია, რომ რეგენტის ანუ მეურვის წოდება დედებს ოსმალებამდეც გააჩნდათ. თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში ასეთი რეგენტი ქალი იყო სულტან მალიქ-შაჰის (1072-1092) მეუდლე და სულტან მაჰმუდის დედა თურქან-ხათუნი.

ვალიდე სულტანის წოდება ოსმალეთში პირველად მურად III-მ (1574-1595) შემოიღო და შემდგომშიც დიდხანს არსებობდა. ვალიდეს ტიტული დედას უნარჩუნდებოდა შვილის სულტანობის პერიოდში. ისინი შვილების აღმზრდელებად ოსმალეთის იმპერიაში XVI-XVII საუკუნეებში მოგვევლინნენ. ეს იყო როგორც მათი მოვალეობა, ისე მათი უფლება.

პარემში მცხოვრებ ქალთა უფლებები უსაზღვრო იყო. ისინი ერეოდნენ სახელმწიფოს საქმეებში, ისმენდნენ ქვეყნის საიდუმლოებებს. პარემის გავლენიანმა ქალებმა XVI-XVII სს-ში ოსმალეთის იმპერიაში შექმნეს ეპოქა, რომელიც ცნობილი გახდა, როგორც “ქალთა მმართველობის ხანა”. საუკუნეზე მეტხანს ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკური ძალაუფლება სამეფო პარემის წარმომადგენელ ქალთა ხელში იყო. ეს ხანა დაიწყო როგორლანას (სულტან სულეიმან ბრწყინვალის ცოლი) გარდაცვალების შემდეგ (1558) და დასრულდა სულტანი ვალიდე თურჰანის (მეჰმედ IV-ის დედა) მმართველობით (1648-1683).

XVII საუკუნის მიწურულიდან სულტანები სერიოზულად დაფიქრდნენ სულტანი ვალიდეს ხელისუფლებაზე, მათ დიდ ძალაუფლებაზე და გადაწყვიტეს მათი უფლებები შეეზღუდათ. მიუხედავად იმისა, რომ სულტანი ვალიდეს ინსტიტუტი მურად III-მ (1574-1595) შემოიღო, მისი და ყოველი მომდევნო სულტანის საზრუნავი იყო ის, რომ შეეზღუდათ დედების უფლებები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ფაქტობრივ მმართველებად იქცეოდნენ ხოლმე, თუმცა ეს ბალანსი დიდად იყო დამოკიდებული სულტანებისა და დედების პიროვნულ თვისებებსა და შესაძლებლობებზე. სამეფო წრის ქალთა გავლენიანი მმართველობა მაღე დასრულდა. პოლიტიკური ხელისუფლების შეზღუდვის შემდეგ ვალიდე სულტანები გახდნენ დინასტიის მატრიარქები, რომელთა ძირითად საზრუნავს წარმოადგენდა დინასტიის კეთილდღეობა, გამრავლება და გადარჩენა. ისინი ასევე იყვნენ ოსმალეთის იმპერიაში არსებული ტრადიციების პირველი დამცველები. თანდათან ვალიდე სულტანის ფუნქცია ფორმალური გახდა.

ამრიგად, მეტად საინტერესო ტრანსფორმაცია განიცადა როგორც

მთლიანად ქალის სტატუსმა ანატოლიაში, ისე ვალიდე სულტანი ინსტიტუტმა. ქალებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ოსმალეთის იმპერიაში.

ნაშრომში მოთხოვილია სულტნის გავლენიანი სამეფო ოჯახის წევრებზე, სულტნის ცოლებსა და ქალიშვილებზე. სერაგლიოში მცხოვრები ცოლებიდან გამორჩეული ადგილი ეკავათ როკსოლანას (1526-1558 წწ.), სულეიმან ბრწყინვალის ცოლს, ქოსემ სულტანს, რომელმაც ყველაზე დიდხანს იცოცხლა და ყველაზე მეტი ნახა, და ნაქშედილ სულტანს, რომელმაც ისეთი ცხოვრებით იცხოვრა, რომ მასზე ლეგენდები გაჩნდა. სულტნის ქალიშვილებიდან ყველაზე გამორჩეული იყო სულეიმან ბრწყინვალის ქალიშვილი მიპრიმაპი.

ნაშრომში განხილული იყო XV-XVIII სს-ის ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები მდიდარი ქალების ისტორიები. საუბარი იყო მათ სოციალურ როლზე საზოგადოებაში, საქველმოქმედო საქმიანობაზე, აღწერილი იყო მათი ქონებრივი ინვენტარიზაცია და საზოგადოებრივი სტატუსი. ისინი ამ დროისათვის ქალისთვის წარმოუდგენელი სიმდიდრის მქონენი იყვნენ. ამ სიმდიდრეს გონივრულად მართავდნენ და გადასცემდნენ შთამომავლობას. ხშირად მათი მექანიზრები მათი ქმრები ხდებოდნენ და ისინი გარდაცვლილი მეუღლის ქონებით აგრძელებდნენ ცხოვრებას. განსხვავებული იყო მდიდარი ქალის ჩასაცმელი და სამკაულები, რომელიც მათი სოციალური სტატუსის გამომხატველი იყო. ასევე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ქალი მუსლიმთათვის უმაღლესი ტიტულის – ჰაჯის მფლობელი იყო. აქვე მნიშვნელოვანია ერთი ფაქტორი, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ქალთა წარმატების განმსაზღვრელი იყო მათი სოციალური კუთვნილება და წარმომავლობა.

მნიშვნელოვანი იყო ქალის სამოსი ოსმალეთის იმპერიაში, რაც მათი სოციალური სტატუსის გამომხატველი იყო. თურქი ქალის ძირითადი ჩასაცმელი იყო ფარაჯა, რომელსაც ის ძირითადად სახლის გარეთ იცვამდა და “başmak”-ი (ფეხსაცმელი), თაგზე კი თავსაბურავი ეხურა და მას “yaşmak” ერქა, რაც ქალის მთელ სახეს ფარავდა და მხოლოდ თვალები უჩანდა. მდიდარ ქალთა ჩაცმულობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამორჩეული იყო. მათ ძვირფასი ნაჭრისაგან შეკერილი ტანსაცმელი ემოსათ, მათი სამკაულები და თავსაბურავი ძვირფასი თვალებით იყო შემკული. პირველი ოსმალო ქალები, რომლებმაც აითვისეს ევროპული მოდა, სამეფო დინასტიიდან ან შეძლებული ოჯახებიდან იყვნენ. ნელ-ნელა ოსმალეთის იმპერიაში ხდებოდა ტრადიციული თურქული

ტანსაცმლის ევროპული კაბით ჩანაცვლება. XIX საუკუნის ბოლოს ფარაჯამ და თავსაბურავმა გაქრობა დაიწყო. 1908 წლის რევოლუციის შემდეგ თურქეთში მკვეთრი ცვლილებები მოხდა თურქი ქალის ჩასაცმელთან დაკავშირებით. საბოლოოდ კი თურქეთში ევროპული მოდა დამკვიდრდა.

შუასაუკუნეების ოსმალეთის იმპერიაში შესამჩნევია ქალთა საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურობა. თუმცა, მათგან გამორჩეულნი არიან ქალაქად მცხოვრები ქალები, სოფლელი ქალები კი, ჩრდილში დგანან. ქალთა აქტიურობის შესახებ ინფორმაციას მეტწილად სასამართლოს ჩანაწერებიდან ვიღებთ, საიდანაც ირკვევა, რომ ელიტარული წრის ქალები თავისუფლად მართავდნენ ქონებას და მონაწილობდნენ კომერციულ გარიგებებში. ისინი, ასევე, დაკავებულნი იყვნენ მიწათმფლობელობით და ფულის გასესხებით. ქალსაც და მამაკაცსაც თანაბარი უფლება პქონდა სასამართლოში სარჩელის შეტანის, ნებისმიერი სახის შეთანხმების დადების და ადგოკატის აყვანის დროს. ქალს ხშირად გადაეცემოდა სასამართლო ადმინისტრირებაში არსებულ დაწესებულებათა მართვა. მაგ. მეჩეთი, სკოლა ან შადრევანი. ქალს შეეძლო ფულის გაღება რაიმე სახის საღვთო საქმიანობისათვის. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქალები მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში იღებდნენ ასეთ საქმიანობაში მონაწილეობის უფლებას. ეს ხშირად მაშინ ხდებოდა როცა ის დამაარსებლის ერთადერთი მემკვიდრე იყო.

XIX ს-ში ოსმალეთის იმპერიაში დაწყებული თანზიმათით ქალის მდგომარეობა გაუმჯობესდა. გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმები სამხედრო, სასამართლო და საგანმანათლებლო დარგში. ამ პერიოდისათვის ყველაზე დიდი მონაპოვარი ქალისთვის განათლების უფლების მინიჭება იყო. 1839 და 1856 წლებში გამოსულმა კანონებმა დიდი გარდატეხა მოახდინა თურქი ქალის ცხოვრებაში.

1858 წელს გაიხსნა I დაწყებითი სკოლა ქალთათვის ოსმალეთის იმპერიაში. 1886წელს დაიბეჭდა პირველი ჟურნალი ქალთათვის. 1895-1908 წწ-ში გამოდიოდა ჟურნალი “ქალთა გაზეთი”. 1856წელს მიღებული კანონით გოგონების ბიჭების მსგავსად უფლება ეძლეოდათ მამის დანატოვარი მიწა მემკვიდრეობით მიედოთ. 1876წელს გამოსულ კონსტიტუციაში ეწერა, რომ ოსმალეთის იმპერიის მთელი მოსახლეობა ვალდებული იყო მიედო დაწყებითი განათლება. ქალთათვის უფრო დიდი შედეგის მომტანი აღმოჩნდა 1908 წლის ახალგაზრდა თურქთა რევოლუცია. 1911 წელს გაიხსნა ქალთა I სკოლა

სტამბოლში, 1913 წელს დაარსდა უმაღლესი სკოლა ქალთათვის, ხოლო 1915 წელს გაიხსნა მათვის უმაღლესი სასწავლებელი.

თურქულმა საზოგადოებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა 1920-იან წლებში რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ათათურქის მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგად. გამოცხადდა თურქეთის რესპუბლიკა (1923), გაუქმდა სასულტნო (1922), სახალიფო (1924). მიიღეს დასავლური კანონმდებლობა. საფუძველი ჩაეყარა ლიბერალურ კაპიტალიზმსა და ინდუსტრიალიზაციას. ქალთა კანონმდებლობის დარგშიც ძირითადი ცვლილებები სწორედ ამ პერიოდში გატარდა.

XX საუკუნიდან მოყოლებული თურქეთში უფრო აქტიური ხდება ქალის თემა. თურქი ახალგაზრდობა განათლებას ევროპაში იღებს, სამშობლოში დაბრუნებულები კი ცდილობენ დასავლური ლირებულებების თავიანთ ქვეყანაში დამკვიდრებას. ახლად გამოცხადებული რესპუბლიკის პერიოდში გატარებული რეფორმებიდან აღსანიშნავია: მრავალცოლიანობის გაუქმება (1926), ჩადრის მოხდა (1925), არჩევნებში მონაწილეობის უფლება (1930), ქალისათვის საარჩევნო უფლებების მინიჭება (1934), და სხვა მრავალი. თურქი ქალი გამოდის კარჩაკეტილი ცხოვრებიდან და საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში ებმება. მაშინ, როდესაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ქალები სახლში გამოკეტილები იყვნენ, თურქი ქალი უკვე პარლამენტის აქტიური წევრი იყო (1935წ.). უფრო მოგვიანებით კი თანსუ ჩილერი გახდა ქვეყნის პრემიერ მინისტრი ქალი (1993). თურქეთის რესპუბლიკის ადრეულ წლებში განხორციელებული ემანსიპაციური გარდაქმნები უცხო იყო ევროპული სახელმწიფოებისათვის, მაგრამ ეს პროცესი თურქეთში ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინებით განვითარდა.

თურქულ საოჯახო სამართალში მკვეთრად დომინირებს სელჩუკთა და ოსმალთა ხანიდან შემორჩენილი წესები. თუმცა, მეორეს მხრივ, ის ითვალისწინებს ევროპულ სამართლებრივ ტრადიციებს.

ზოგიერთი მოძველებული ტრადიცია თურქეთში აფერხებს ქალთა სრულ ემანსიპაციას. გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით ვაწყდებით კულტურულ და ეთნიკურ განსხვავებებს მოსახლეობას შორის. ძირითადად ეს შეიმჩნევა სოფლად, მეტწილად აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში, სადაც გლეხი ქალი მიჯაჭვულია მიწას, მან ნაკლებად იცის თავისი უფლებების შესახებ და ბრმად ემორჩილება თავის ქმარს. სახელმწიფო და სხვადასხვა ფონდები ცდილობენ ამ რეგიონებში აამაღლონ ქალთა განათლების დონე.

თურქეთში ქალთა აქტიურობის დონე საზოგადოებაში ბევრად ჩამორჩება ევროპულ მაჩვენებლებს. აქ თავისი სპეციფიკური განვითარებით, სპეციფიკურად ხასიათდება ქალთა სტატუსიც.

1980-იანი წლებიდან ფემინისტური მოძრაობა უფრო აქტიურდება. არსდება მრავალი ქალთა საზოგადოება, ჟურნალ-გაზეთები, ბიბლიოთეკები, იმართება ქალთა კონფერენციები, როგორც თურქეთის, ისე მთელი მსოფლიოს მასშტაბით, სადაც თურქი ქალი აქტიურად იღებს მონაწილეობას.

შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ქალთა მოძრაობამ შექმნა ახალი პოლიტიკური მიმდინარეობა თურქეთში, ამ მიმდინარეობამ თურქეთში მთავარ საკითხად დააყენა გენდერული თანასწორუფლებიანობის პრობლემები. ქალთა პრძოლამ ემანსიპაციისათვის დიდი როლი ითამაშა თურქეთის საზოგადოების ფორმირებაში.

მიუხედავად ქალთა მიერ მიღწეული გარკვეული წარმატებებისა, თურქულ საზოგადოებაში მაინც არსებობს გენდერული არათანასწორუფლებიანობა, ადგილი აქვს ქალის უფლებების დარღვევებს, ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქალის თემა კვლავ აქტუალურია.

ათათურქის მემკვიდრეობა და ქალთა აქტიურობის ხარისხი თურქეთში იმედს გვაძლევს, რომ მომავალში თურქი ქალი სრულად მოიპოვებს თავის უფლებებს და გახდება საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი.

ბიბლიოგრაფია

ა) წეროები

ბუსბექი 1927

Busbecq Ogier Ghiselin, Turkish letters, trans. E.S. Forster, London 1927
 ბუსბექი ოგიერ ჩისელინ, თურქული წერილები, თარგმნა ე.ს.
 ფორსტერმა, დონდონი, 1927

ბუსბექი 1998

Busbecq Ogier Ghiselin, Excerpts from Busbecq Ogier Ghiselin: *The Turkish Letters*, 1555-1562. accessed 1998, available from
http://www.arts.ualberta.ca/~amcdouga/Hist323/Readings/de_busbecq%20oct%206.htm
 ბუსბექი ოგიერ ჩისელინ, ნაწყვეტები ბუსბექის: თურქული
 წერილებიდან, 1555-1562, განთავსებულია 1998წ.-დან, მის.:
http://www.arts.ualberta.ca/~amcdouga/Hist323/Readings/de_busbecq%20oct%206.htm

თეფენი 1998ა

Tappan E., M., *A Visit to the Wife of Suleiman the Magnificent* (Translated from a Genoese Letter), c. 1550. Eva March Tappan, ed., *The World's Story: A History of the World in Story, Song, and Art*, (Boston: Houghton Mifflin, 1914), Vol. VI: *Russia, Austria-Hungary, The Balkan States, and Turkey*, გვ.509-510.
 accessed October, 1998; available from:

<http://www.fordham.edu/halsall/mod/1550sultnavisit.html>;
 თეფენი ე. მ., სულეიმანის მეუღლის ცოდნას ვიზიტი (თარგმანი
 გენუური წერილებიდან), 1550. ევა მარჩ თეფენი, მსოფლიოს
 მოთხოვა: მსოფლიოს ოსმალი მოთხოვად, სიმღერა და
 ხელოვნება, (ბოსტონი: ჰუთონ მიფლინი, 1914).გვ. VI: რუსეთი,
 ავსტრია-უნგრეთი, ბალკანეთის ქვეყნები და თურქეთი, გვ. 509-510.
 განთავსებულია 1998წ. მის.

<http://www.fordham.edu/halsall/mod/1550sultnavisit.html>;

თეფენი 1998ბ

Tappan E., M., *Lady Mary Wortley Montagu: Dining With The Sultana, 1718*.
 From: Eva March Tappan, ed., *The World's Story: A History of the World in Story, Song, and Art*, (Boston: Houghton Mifflin, 1914), Vol. VI: *Russia*,

Austria-Hungary, The Balkan States, and Turkey, accessed 1998, available from <http://www.fordham.edu/halsall/mod/1718montague-sultana.html>;

თევენი ე. მ., ლედი მერი მონტეგიუ: სადილი ხულტის ცოლთან, 1718. ევა მარჩ თევენი, მხოვდიოს მოთხოვდა: მხოვდიოს თხორია მოთხოვდად, ხიდებია და ხელოვნება, (ბოსტონი: ჰიუტონ მიფლინი, 1914).ტომი. VI: რუსეთი, ავსტრია-უნგრეთი, ბალკანეთის ქვეყნები და თურქეთი, განთავსებულია 1998წ. მის. <http://www.fordham.edu/halsall/mod/1718montague-sultana.html>;

თურსუნ ბეი 1997

Tursun Bey, *Tarih-i Ebū'l-Feth*, Hazırlayan Mertol Tulum, Bahá Matbaasi, Istanbul, 1997

თურსუნ ბეი, ებულ ფათიჰის ისტორია, რედ.: მერთოლ თოლუმი, სტამბოლი, 1997

იბნ ბატუთა 1963

Ibn Battuta: *Travels in Asia and Africa 1325-1354*. Translated and selected by H.A.R. Gibb. Edited by Sir E. Denison Ross and Eileen Power. London 1963.

იბნ ბატუთა, მოგზაურობა აზიასა და აფრიკაში 1325-1354, თარგმანი ჸ.ა.რ. გიბბის, რედაქტორი სერ ე. დენისონ როუსი და ეილენ ფოვერი, ლონდონი, 1963

იბნ ბატუთა 1988

Ибн Баттута, *Путешествие*, пер. И. Ибрагимова, текст воспроизведен по изданию: Ибн Баттута и его путешествия по Средней Азии, М., Наука, 1988
იბნ ბატუთა, მოგზაურობა, ტექსტი გამოცემულია: იბნ ბატუთა და მისი მოგზაურობა შუა აღმოსავლეთში, მ., 1988.

კრავენი 1970

Craven, Elizabeth, *A Journey through the Crimea to Constantinople*, New York: Arno, 1970

კრავენი, ელისაბედი, მოგზაურობა კორიმიდან კონსტანტინოპოლის, ნიუ იორკი, არნო, 1970

ლელო 1952

Lello, Henry. *The report of Lello / Lello'nun Muhtirası*. Edited by O. Burian. Ankara, 1952

ლელო, ჰენრი, ლელოს მოხსენებები, რედაქტორი ო. ბურიანი, ანკარა, 1952

მიჰრი ხათუნი 1967

Михри Хатун. *Диван*. Критический текст и вступительная статья Е.И. Маштаковой. М. 1967.
Мөзрө ხათუნი, დივანი, შესავალი სიტყვა და კომენტარები დაურთო
გ.ი. მაშტაკოვმა, მოსკოვი, 1967

მონტეგიუ 1861

Montagu Lady Mery W., *Selected Turkish Embassy Letters*, ed. by Lord Wharncliffe and W. Moy Thomas (London: Henry G. Bohn, 1861)
მონტეგიუ ლედი მერი ვ., თურქეთის საელჩოს რჩეული წერილები,
რედაქტორი: ლორდ ვარნექლიფი და მოი ტომასი, ლონდონი: ჰენრი
გ., ბონი, 1861

მონტეგიუ 1965

Montagu, Lady Mary Worthly, *The complete Letters of Lady Mary Worthly*
Montagu, Ed. Robert Halsband, Oxford: Clarendon, 1965
მონტეგიუ, ლედი მერი ვ., ლედი მერი ვორნელის სრული წერილები,
რედ.: რობერტ ჰალსბანდი, ოქსფორდი: კლარენდონი, 1965

ნაიმა 1863-1864

Naima, Mustafa, *Tarih* 6 vols, Istanbul, 1280/1863-1864
ნაიმა, მუსტაფა, ისტორია 6 ტომი, სტამბოლი, 1280/1863-1864

ნეშრი 1983

Neşri, Mehmed., *Neşri Tarihi*. Cilt2, Haz. Prof. Dr. Mehmet Altay Köyメン,
Ankara 1983
ნეშრი მეჰმედ, ნეშრის ისტორია, ტომი 2, რედ.: პროფ. მეჰმეთ
ალთაი ქომენი, ანკარა, 1983

ნეშრი 1995

Neşri Mehmed, *Kitâb-I Cihan-nûmâ. Neşri Tarihi* II. cilt, Yayınlayanlar Faik
reşit Unat, Prof. Dr. Mehmed A. Köyメン, 3. Baskı, Ankara 1995.
ნეშრი მეჰმედ, წიგნი ჯიანუმა, ნეშრის ისტორია, ტომი 2, რედ.:
პროფ. მეჰმეთ ალთაი ქომენი, ანკარა, 1995

ნიზამულ-მულქი 1999

Nizamül-Mülk . *Siayset-Name*. Haz. Mehmet Altay Köyメン, Ankara, 1999
ნიზამულ-მულქი, “სიასეთ-ნაძე”, რედ.: პროფ. მეჰმეთ ალთაი
ქომენი, ანკარა, 1999

რაშიდ ად დინი 1987

Рашид ад-Дин Фазллаллах, *Огузнаме*, пер. Р.М. Шукюровой, текст воспроизведен по изданию: Фазллалах Рашид Ад-Дин, Баку, 1987. რაშიდ ად-დინი ფაზზლალაჰ, მუჯუბაძე, თარგმანი რ.მ. შუქუროვასი, ტექსტი გამოიცა: ფაზზლალაჰ რაშიდ ად-დინის მიხედვით, ბაქო, 1987

სადრ ად-დინი 1980

Садр ад-Дин Али ал-Хусайни, *Сообщения о Сельджукском государстве, сливки летописей, сообщающих о Сельджукских эмиратах и государствах*, пер. З. М. Буняитова, текст воспроизведен по изданию: Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Ахбар ад-даулат ас-сельджукийа, М., Восточная Литература, 1980
 სადრ ად-დინი ალ-ჰუსაინი, ცხობები სელჩუკთა სახელმწიფოზე, მემატიანის ცხობები სელჩუკთა ემირებისა და მბრძანებლებზე, თარგმანი: ზ.მ. ბუნიაზოვისა, ტექსტი გამოიცა: სადრ ად-დინი ალ-ჰუსაინის მიხედვით. მოსკოვი, აღმოსავლეთის ლიტერატურა, 1980

სელანიქი 19892

Selaniki M., *Tarih-I Selânikî*, edited and transliterated by M. Ipşirli, 2 vols. Istanbul 1989
 სელანიქი მ., სელანიქის ისტორია, რედ., და მთარგმნელი: მ. იფშირლი, 2 ტომად, სტამბოლი, 1989

სორდია 2000

სორდია გ., *თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია*, კანონი №2709, მიღებულია 1982 წლის 18 ოქტომბერს. კონსტიტუცია თურქულიდან თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა გიორგი სორდიამ, თბილისი, 2000

ტვერიტინოვა 1969

Тверитинова А.С.. *Книга законов султана Селима I*. Публикация текста, терминологический комментарий и предисловие. М. 1969.
 ტვერიტინოვა, ა.ს., სელიმ I-ის სამართლის წიგნი,
 ტექსტის პუბლიკაცია, ტერმინოლოგიური კომენტარები და
 წინასიტყვაობა, მ., 1969

ტავერნიე 1678

Tavernier, J.B., *Nouvelle Relation de l'Intérieur du Séral du Grand Seigneur*, Cologne, 1675-Les Six Voyages de..., Amsterdam, 1678, (Goodwin G. pg. 133)
 ტავერნიე, ჯ.ბ., ცხობები სელიმის სახახლებები, კოოლი, 1765-6
 მოგზაურობა, ამსტერდამი, 1678, (გოდვინი, გ., გვ. 133)

უზუნჩარშილი 1998

Uzunçarşılı I. H., *Osmanlı Tarihi, II Cilt* 8. Baskı, İstanbul'un Fethinden Kanuni Sultan Süleyman'ın ölümüne kadar. Ord. prof. Ismail Hakki Uzunçarşılı. Türk Tarih Kurumu Üyesi. Ankara, 1998

უზუნჩარშილი ი.ჸ., ოსმალეთის ისტორია, ტომი 2, გამოცემა მე-8, სტამბოლის დაკყრობიდან სულეიმან I-ის სიკვდილამდე, რედ.: ისმაილ პაკი უზუნჩარშილი, ანკარა, 1998

ვეჩევი 1864-1867

Peçevi, I., *Tarih-i Peçevi*, 2 vols., Istanbul, 1281-1284 /1864-1867
ვეჩევი ი., ვეჩევის ისტორია, 2 ტომი, სტამბოლი, 1864-1867

ვეჩევი 1866

Peçevi I.E., *Osmanlı Tarihi*, Ist. 1866
ვეჩევი ი.ე., , ოსმალეთის ისტორია, სტამბოლი, 1866

ვეჩევი 1992

Peçevi I.E., *Peçevi Tarihi*., Haz. Prof. Dr. Bekir Sitki, Baykal, Ankara, 1992
ვეჩევი ი.ე., , ვეჩევის ისტორია, რედ.: პროფ. ბექირ სიოქი, ანკარა, 1992

ვეჩევი 1981-1982

Peçevi I.E., *Peçevi Tarihi*. Haz. Prof. Dr. Bekir Sitki, Baykal, Ankara, 1981-1982 available from: www.vostlit.info
ვეჩევი ი.ე., , ვეჩევის ისტორია, რედ.: პროფ. ბექირ სიოქი,
ბაიკალი, ანკარა, 1982, ვებ გვერდიდან: www.vostlit.info

ფორსტერი ... 1998

Forster C. T., Daniel F. H. B., Ogier Ghiselin de Busbecq: *The Turkish Letters*, 1555-1562. From C. T. Forster and F. H. B. Daniel, eds., *The Life and Letters of Ogier Ghiselin de Busbecq*, vol. I (London: Kegan Paul, 1881), pp, 86-88, 153-155, 219-222, 287-290, 293. accessed 1998, available from
<http://www.fordham.edu/halsall/mod/1555busbecq.html>;
ფორსტერი ს. თ., დენიელი ფ. ჸ. ბ., ოგიერ ჩისელინ ბუსბეკი:
თურქული წერილები, 1555-1562. ფორსტერი ს. თ., დენიელი ფ. ჸ. ბ.,
წიგნიდან ცხოვრება და წერილები ოგიერ ჩისელინ ბუსბეკის,
